მალხაზ ბარამიძე

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი

ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში

თბილისი
2017

მთავარი რედაქტორი: **გურანდა ფხაკაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რედაქტორი: **ირმა ირემაძე**

რეცენზენტები: **ჯემალ გამახარია**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი;

მხატვარი: **გოგი წერეთელი**

კორექტორი: **ნინო დოლიძე**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი"

დაიბეჭდა სტამბა „საარში", 2017 წ.

ISBN 978-9941-27-686-6

წინათქმა

პროფესორ მალხაზ ბარამიძის ფუნდამენტური ნაშრომი „ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულების პირველ ნახევარში" მრავალწლიანი ყოველმხრივი მეცნიერული კვლევის შედეგია. იგი აგებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და გათხრილი სრულიად ახალი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ იყო მოკვლეული 1976-1991 წწ. მალხაზ ბარამიძის ხელმძღვანელობით.

ნაშრომში სრულადაა მოცემული და გააზრებული ყველა კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლები: ნასახლარები, სამაროვნები, ლითონის წარმოების ნაშთები, განძები, საკულტო ობიექტები და სხვა.

კომპლექსური კვლევისა და ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზის შედეგად თანამედროვე მეცნიერებათა უახლესი მიღწევების გათვალისწინებით მიღებულია ბევრი საგულისხმო მოსაზრება და მნიშვნელოვანი დასკვნა საკვლევი პერიოდის კულტურულ-ისტორიული, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ.

დადგენილია ნასახლართა ტიპები, ტოპოგრაფია და არქიტექტურა, ხელოვნური არხების არსი და დანიშნულება, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მაღალი დონე, სამაროვნების თავისებურებანი და მათი ქრონოლოგიის კორექცია.

პირველადაა დამაჯერებლად გამოყოფილი შუიდან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ეტაპი, კულტურული კონტაქტები ყუბანისპირეთთან, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთდამოკიდებულება და გენეზისი.

აფხაზეთისა და კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების შედარება-შესწავლამ მისცა ავტორს მყარი საფუძველი, რომ აფხაზეთის საკვლევი ეპოქის მატერიალური კულტურა კოლხეთის ცნობილი და ფართოდ განფენილი კულტურის ნაწილად მიიჩნიოს.

აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა განხილულია მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ჩრდილო კავკასიის, წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სინქრონულ კულტურათა ფონზე.

არქეოლოგიურ მეცნიერებაში ურყევი ჭეშმარიტებები არ არსებობს, ყოველი დებულება შეიძლება შეიცვალოს ან გამტკიცდეს ახალი აღმოჩენების შედეგად, ამიტომ არც წინამდებარე ნაშრომი იქნება დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისა და საკამათო საკითხებისაგან, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანი პირველწყაროა განსაკუთრებით დღეანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, რომ მას გვერდს ვერ აუვლის ამ რეგიონითა და ეპოქით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

მალხაზ ბარამიძის ნაშრომი ქართული არქეოლოგიური მეცნიერების ღირსეული შენაძენია.

სამწუხაროდ, თვით ავტორი ვერ მოესწრო ნაშრომის წიგნად გამოცემას, მაგრამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და დაფინანსებით ეს პირველწყარო ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის.

ჩვენი ულრმესი მადლობა და უდიდესი პატივისცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრს", რომელთაც ითავეს და განახორციელეს ეს საშვილიშვილო საქმე და აფხაზეთის უძველეს ისტორიას მეორე სიცოცხლე შესძინეს.

რედაქტორი
გ.ფხაკაძე

შესავალი

დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი ისტორია უკვე რამდენიმე ათეული წელია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ამ ინტერესს განსაკუთრებით აძლიერებს საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი წლების მიღწევები, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

უკვე ძვ. წ. III ათასწლეულისათვის თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და შესაძლოა მისი სამხრეთითაც, გაერცელებული იყო თავისებური, მაღალგანვითარებული კულტურა, რომლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია მხარის უძველესი მოსახლეობის, კოლხების სახელთან. საყურადღებოა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ასირიულ და ძველბერძნულ ისტორიულ წყაროებში ვხვდებით პირველ ცნობებს ქართველ ტომთა უძველესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კოლხასა და დიაოხის შესახებ.[1]

მათში მოცემულია მწირი, მაგრამ უაღრესად საყურადღებო ცნობები კოლხეთის პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ეს ცნობები ივსება და დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით. მაგალითად, უდაოდ აღსანიშნავია, რომ უძველეს ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ სწორედ კოლხეთის ტერიტორიას უკავია ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი. მასში თვალნათლივ ჩანს კოლხეთის სიძლიერის, ხალხმრავლობის, ეკონომიკური კეთილდღეობის სურათი და ხაზგასმულია, რომ კოლხეთი არის მოწინავე მიწათმოქმედი ტომებით დასახლებული, ოქრომრავალი მხარე, რომელსაც უდიდესი წარმატებებისა და მასშტაბებისთვის მიუღწევია ბრინჯაოს და განსაკუთრებით კი რკინის მეტალურგიის განვითარების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არქეოლოგიამ ნიშანდობლივად დაადასტურა ეს ფაქტები. მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასია, განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი ნაწილი, იყო რეგიონი, სადაც თავიდანვე ყოველგვარი გეოკლიმატური პირობები იყო მიწათმოქმედების განვითარებისათვის. სწორედ ამიერკავკასიას მიეწერება მნიშვნელოვანი როლი მარცვლეული კულტურების ფორმირებისა და გენეზისის თვალსაზრისით[2]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიაში მსოფლიოში დაფიქსირებული ხორბლის თითქმის ყველა სახის არსებობა[3]. დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია ხორბლის ენდემური სახეობა – მახა და ზანდური, რომელთაც აქვთ ველური პოპულაციის ნიშნები და გარდამავალი ადგილი უკავიათ ველურსა და კულტურულ სახეობათა შორის, თუმცა აშკარაა, რომ თავისი ბიოლოგიური თვისებებით ისინი უფრო ახლოს დგანან ველურ ჯიშებთან.[4] უკანასკნელ ხანებში თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამიერკავკასია დაღესტანთან ერთად არის მარცვლეული კულტურების დომესტიკაციის ერთ-ერთი უძველესი კერა და იგი შედის ამ კულტურების წარმოშობის არეალში[5]. ჩვენს რეგიონში იყო ყოველგვარი პალეობოტანიკური პირობა მიწათმოქმედების წარმოშობისა და განვითარებისათვის და იგი მიჩნეულ უნდა იქნას კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა წარმოშობის დამოუკიდებელ ცენტრად[6]. ბოტანიკოსთა ამ მოსაზრებას სრულიად ადასტურებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მარცვლეული კულტურების ნაშთები და უძველესი სამიწათმოქმედო იარაღები.

---

1. Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб. 1959. გვ. 184-186; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974, გვ. 9-75.
2. Г. Н. Лисьшина, Л. Б. Пришиненко. Палеоботанические находки Кавказа и Ближнего Востока, М. 1977, გვ. 18-19.
3. Энеолит, СССР, 1982, გვ. 94.
4. В. Л. Менабде, К истории культуры пшеницы, М. 1962.
5. Н. И. Вавилов. Мировые ресурсы зерновых культур и льна, М. Л. 1957. გვ. 87.
6. Энеолит, СССР, 1982, გვ. 96.

უკვე ძვ. წ. VI-IV სს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეინიშნება ადრესამინათმოქმედო კულტურათა ძეგლების სიმრავლე, რომლებიც მინათმოქმედებით და მესაქონლეობით, მწარმოებლური ეკონომიკით მკვიდრად მჯდარ მოსახლეობას ეკუთვნის. ამ პერიოდის დასასრულისათვის საფუძველი ეყრება კაცობრიობის კიდევ ერთ დიდ მონაპოვარს – სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიას.

ადრესამინათმოქმედო კულტურის ეს სამივე მონაპოვარი მნიშვნელოვნად ვითარდება მომდევნო, ადრე ბრინჯაოს ეტაპზე, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებში ექცევა. ეს პერიოდი ეკონომიკის მძლავრ აღმავლობასთან ერთად განიცდის გარკვეულ სოციალურ ძვრებს, ყალიბდება დიდი არქეოლოგიური კულტურები თავისი ლოკალური ვარიანტებით, მიმდინარეობს ტომთა კონსოლიდაციის პროცესი. ეს წინარე ფონი ქმნის საფუძველს მომდევნო პერიოდის კულტურათა ახალი აღმავლობისათვის. სწორედ ამ მომდევნო პერიოდების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე კულტურათა შესწავლას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

საკვლევი რეგიონის არჩევა გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ეს არის გეოგრაფიულად ხელსაყრელი ტერიტორია, სადაც არსებობდა ყოველგვარი პირობა მინათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებისათვის და რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თამაშობდა გადამწყვეტ როლს კოლხეთის კულტურათა ჩამოყალიბება-განვითარების საკითხში. ამასთანავე განმსაზღვრელი იყო, ის გარემოებაც, რომ ჩვენ წლების განმავლობაში გვიხდებოდა მუშაობა ამ რეგიონში და ჩვენი ხელმძღვანელობით გამოვლენილი მთელი რიგი ძეგლები დაედო საფუძვლად ნაშრომს.

1960 წლიდან მოყოლებული ჩვენ მუშაობა მოგვინია რაჭის, ენგურის, დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო, კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, სადაც ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა და დაიზვერა ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორებიცაა ბრილის აკლდამა, პალურის „საძვლე" და ჟირ-სუკი, საელიაოს, წყემის, ვედითკარის და კეთილარის გუძუბები, ნიგეზიანას სამაროვანი და სხვა.

1976 წლიდან ვხელმძღვანელობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალმშენებლობათა ზონაში ექსპედიციამ 200-მდე სხვადასხვა პერიოდის სრულიად უცნობი ძეგლი გამოავლინა, რომელთაგან ჩვენთვის დღეს საინტერესო პერიოდს 40-მდე ძეგლი განეკუთვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია გალის რაიონის სოფ. ფიჩორის უნიკალური, მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომელიც თავისი სტრატიგრაფიითა და დაცულობით ეტალონურ ძეგლს წარმოადგენს არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ძვ. წ. II-I ათასწლეულების კულტურათა მკვლევართათვის. სწორედ ფიჩორის ნამოსახლარის სტრატიგრაფიულ ჭრილზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ადრევე გათხრილ და შესწავლილ მთელ რიგ ძეგლთა სწორი ქრონოლოგიურ-კულტურული ატრიბუცია, შემთხვევით აღმოჩენილი, მრავალრიცხოვანი სამუზეუმო კოლექციებისათვის სათანადო ადგილის განსაზღვრა. სამეცნიერო მიმოქცევაში შედის ფიჩორის 8 ნამოსახლარი ბორცვის, ტამიშის, „აბაჟუს", მზიურის, განმუხურის, ჯვარალების, ნაკარლალის და სხვ. ნამოსახლართა მონაპოვარი. ბუნებრივია, რომ მათი განხილვა ვერ მოხერხდებოდა ადრევე ცნობილ მთელ რიგ ნამოსახლართა გათვალისწინების გარეშე. ამდენად, ჩვენი კვლევის სფეროში მოექცა დიხა გუძუბა I და II, ნოსირის გუძუბა, ნამჭედური, ისპანი და სხვა ნამოსახლარები – ფაქტობრივად მთელი შავიზღვისპირეთის საკვლევი პერიოდის ძეგლები.

აღნიშნული ძეგლების ისტორია უკვე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. გამოქვეყნებულია ათეულობით მონოგრაფია და გამოკვლევა, რომლებიც კოლხეთის უძველესი პერიოდების ცალკეულ ეტაპებს ან კულტურის ელემენტების შესწავლას ეძღვნება.[7] ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ა. იესენის,[8] ბ. კუფტინის,[9] გ. ნიორაძის,[10] ალ. კალანდაძის,[11] გ. გობეჯიშვილის,[12]

7. ჩვენ შეგნებულად არ ვიძლევით საკითხის ისტორიოგრაფიას, რაც კოლხეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ნაშრომშია მოცემული. მაგ. იხ. ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმმ XVI_B, თბ. 1950; მ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი, თბ. 1977. მისი დეტალური განხილვა კიდევ უფრო გადატვირთავდა ისედაც ვრცელ ნაშრომს.

8. А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК _ 120. М. 1935.

9. Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиди, т. I. Тб. 1949; т. II. 1950.

10. გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხეთში, ენიმიკის მომბე, ტ. X, თბ. 1940.

11. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

12. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. *მისივე*, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ. *მისივე*, ღების უძველესი სამთომეტალურგიული კერა, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, თბ. 1952

ო. ჯაფარიძის,[13] გ. მელიქიშვილის,[14] ნ. ხოშტარიას,[15] ო. ლორთქიფანიძის,[16] დ. ხახუტაიშვილის,[17] დ. ქორიძის,[18] ე. გოგაძის,[19] ლ. სახაროვას,[20] ალ. რამიშვილის,[21] შ. ჩართოლანის,[22] გ. ფხაკაძის,[23] მ. ტრაფშის,[24] ი. ვორონოვის,[25] ვ. ბეანიას,[26] ი. ნვინარიას,[27] დ.სოლოვიოვის,[28] გრიგოლიას[29] და სხვათა ნაშრომები. ტექსტში სათანადო ადგილზე დადასტურებულია ყოველი მათგანის მოსაზრებანი თუ დებულებები კოლხური კულტურის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კოლხეთის უძველესი ისტორიის კვლევის საკითხების მეცნიერული თვალსაზრისით სწორი გააზრების საკითხში განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. თ. მიქელაძის დამსახურება. მის მიერ კერამიკული ნანარმის შესწავლის შედეგად მიღებული სქემა – კოლხური კულტურის განვითარების ეტაპების შესახებ, სადღეისოდ ყველაზე რეალური და მისაღები ჩანს.[30] ამ სქემით კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში გამოყოფილია უძველესი, ძველი, შუა და გვიანი კოლხური პერიოდები. თითოეულ ამ პერიოდში არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გამოყოფილია 2 ეტაპი: პროტოკოლხური I და II (პრკ-I, პრკ-II), ძველკოლხური I და II (ძვკ I, ძვკ II) და ა. შ. ჩვენ ძირითადში ვიზიარებთ პროფ. თ. მიქელაძის სქემას,

---

13. ო. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, სსმმ. XVI B, თბ. 1950; *მისივე*, სამინათმოქმედო იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბ. 1953; *მისივე*, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის ნარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961; *მისივე*, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, 1976; *მისივე*, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991.

14. Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб. 1959.

15. ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის უძველესი ნასახლარი, სმამ, ტ.V, N 2, თბ. 1944; *მისივე*, კოლხეთის დაბლობის უძველესი ნამოსახლარები და მათი შესწავლის პრობლემები, სმამ, ტ.VI , N 6, თბ. 1945; *მისივე*, არქეოლოგიური ძიებანი სოფ. ყულევში, სმამ, ტ. VII 17 1-2, თბ. 1946; Т. В. Хоштария, Археологические исследования в Уреки, მსაა I, თბ. 1955.

16. О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб. 1979. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ. 1966.

17. Д. А. Хахутаишвили, Некоторые памятники древнеколхидской металлургии железа, КСИА _ 151, М. 1977.

18. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965; *მისივე*, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის, სსმმ – XXVIII- B, თბ. 1969.

19. ე. გოგაძე, კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის კულტურა, თბ. 1982; მისივე, კოლხური კულტურის ძეგლთა ქრონოლოგია – პერიოდიზაციის საკითხისათვის, (ნოსირი – მუხურჩას მასალების მიხედვით), სსმმ – XXXVII – n; თბ. 1984. ტ. გოგაძე, ც. დაველიანიძე, გორაძირი, თბ. 1981.

20. ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ. 1976; *მისივე*, ბრინჯაოს უძველესი მბატვრული ჭურჭელი საქართველოში, საბჭოთა საქართველო, N12, თბ. 1965; *მისივე*, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოდან, სმამ, N 4, თბ. 1970; *მისივე*, უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიიდან (ბრინჯაოს ხელშუბისპირები) სმამ N3, თბ. 1970 ნ, *მისივე*, ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის სამინათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის, სმამ N1, თბ. 1964.

21. ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1975 ნ.; Ал. Рамишвили, О назначении стоянок с „текстилной керамикой" Восточного Причерноморья, СА 4, М. 1975.

22. Ш. Г. Чартолани. К истории нагорья Западной Грузии докласовой эпохи, Тб. 1989.

23. გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამერკავკასია *ძველი* ნელთალრიცხვის III ათასწლეულში, თბ. 1993; *მისივე*, ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნამთები, მსაა, ტ. VII, თბ. 1979; Г. Г. Пхакадзе. К изучению памятников Рионо-Квирильского басейна (IV _ сер. III тысяч до н. э.), (А 2, М. 1988. Г. Г. Пхакадзе и др. Археологические раскопки в с Атара, АО, М. 1978;

24. М. М. Трапш, Труды, т. I, Сухуми, 1970, т. II 1969.

25. Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969; Ю. Н. Воронов, Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979; Ю. Н. Воронов, Восточное Причерноморье в железном веке, автореферат докторской диссертации, М. 1984; Ю. Н. Воронов, Абхази _ кто они? Гагра, 1991; Ю. Н. Воронов, М. М. Гумба, Новые памятники колхидской культуры в Абхазии, СА 2, М, 1978.

26. В. В. Бжания, мачарское поселение эпохи энеолита и ранней бронзи Абхазии, СА I, М. 1966; В. В. Бжания, Томышское поселение. Труды.

27. И. И. Цвинария, Поселение Гуандра, Тb. 1978; И. И. Цвинария, Долмени Абхазии.

28. Л. Н. Соловьев, энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Тр. АБНИ вып. 15, Сухуми, 1939.

29. გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე და სხვ. დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, მსაა -ტ. V, თბ. 1972.

30. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974; *მისივე*, არქეოლოგიური კვლევა-ძიება მდ. რიონის ქვედა ნელზე, (მასალები ქ. ფაზისის ისტორიისთვის), თბ. 1978; *მისივე*, ადრე რკინის ხანის კოლხური სამაროვნები (ურეკის და ნიგვზნარის სამაროვნები), თბ. 1985; თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე და სხვ. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-75 წწ. ანგარიშები კრებულში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1970, 1971, 1972, 1973, 1974, 1975 ნლებში; თ. მიქელაძე და სხვ. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976-80 წწ მუშაობის ანგარიშები, იხ. კრებულში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1976,1977 და მომდევნო ნლებში.

Т. К. Микеладзе, Д. А. Хахутаишвили, Древнеколхидское поселение Намчедури, Тб. 1985; Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, Колхский могильник VII-VI вв до н. Э. в с нигвзиани, КСИА-151; М. 1977. Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зоне новостроек, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, т. I, Тб. 1976; Т. К. Микеладзе, О некоторых результатах полевых исследований в зонах новостроек, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, т. II, Тб. 1982.

თუმცა მთელ რიგ საკითხებში (ქრონოლოგია, კულტურული კუთვნილება, ეთნიკური ატრიბუცია და სხვა) უახლეს სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობთ ვაზუსტებთ მას და ახლებურად განვსაზღვრავთ.

საკვლევიფიკაციო ნაშრომი ამ თვალსაზრისით მოიცავს პროტოკოლხურ II და ძველკოლხურ I და II ეტაპებს. უახლესი მონაცემების გათვალისწინებით თითოეულ ამ ეტაპზე გამოყოფილია კიდევ რამდენიმე თანმიმდევრული საფეხური.

საკვლევი რეგიონი გეოგრაფიულად კოლხეთის დაბლობსა და მის უშუალოდ მიმდებარე მთისწინა ზოლს მოიცავს და აღმოსავლეთის მხრივ მკვეთრად სამკუთხედისებურ წანვეტებულ ფორმას იღებს.

მას ახასიათებს ახალგაზრდა ალუვიურ-აკუმულაციური ნალექებით აგებული ზღვისკენ მსუბუქად დახრილი, თითქმის თარაზული სიბრტყე. ახასიათებს ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა; ზღვის განედით, ზამთარი თბილია, ზაფხული გრილი. საშუალო წლიური ტემპერატურა 13-15°, რაც წელიწადში რამდენიმე მოსავლის აღების საშუალებას იძლევა. ნალექების წლიური, საშუალო რაოდენობა 1400-3000 მმ მერყეობს, რის გამოც გრუნტი ნესტიანია, ისლიან-ტორფიანი ჭაობებით. სწორედ ბუნებრივი გარემო არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ადრიდანვე, ადრესამინათმოქმედო კულტურათა გავრცელების პერიოდში ყოფილიყო საცხოვრებლად ათვისებული. ამ პერიოდის ძეგლები სადღეისო მონაცემებით მთისწინა და მის ზედა ზონებშია ფიქსირებული. კოლხეთის დაბლობი და საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძირითადად ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩანს ათვისებული. საყურადღებოა, რომ საკვლევი რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი მშრალი ჩანს და აქ მოსახლეობა უკვე ნეოლითის ხანიდან შეინიშნება (ქისტრიკი, ოდიში).[31]

სწორედ ეს წინარე პერიოდები ქმნიდნენ საფუძველს მომდევნო ეტაპების ბრწყინვალე კოლხური კულტურისათვის. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან სახეზე გვაქვს თვისობრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, რომელთა საფუძველზე ვითარდება ძვ. წ. II-I ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები. ამგვარად, საქმე გვაქვს ერთის მხრივ, პროტოკოლხური კულტურის გარკვეულ (II) საფეხურთან და მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ კოლხურ კულტურასთან. უპირველეს ყოვლისა ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი ამ ორი კულტურის არა მარტო ქრონოლოგიური, არამედ კულტურული ურთიერთმიმართების შესახებ. რა სახის კავშირია მათ შორის? საქმე გვაქვს კულტურის გენეტიკურ განვითარებასთან თუ სახეზეა ერთი კულტურის მეორეთი შეცვლა. სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც ეხვდებოდით ამ საკითხის შესწავლის მცდელობას,[32] მაგრამ ძირითადად საქმე გვქონდა კულტურის ცალკეული ელემენტების (ძირითადად იარაღი – ცულები, შუბისპირები) ერთი ქრონოლოგიური განვითარების სისტემაში მოყვანას. ჩვენ შევეცადეთ ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება გაგვემახვილებინა კერამიკულ ნაწარმზე, როგორც ყველაზე მასობრივ და არსებით ელემენტზე. ჩვენის აზრით, კოლხური და პროტოკოლხური მასალების ერთგვარი ხელოვნური გათიშულობის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მასალის არქონის გამო გამოტოვებული იყო შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის მთელი ერთი, გარდამავალი საფეხური. ფიჩორის ნასახლარის მონაცემების მიხედვით სადღეისოდ შესაძლებელი ხდება კოლხეთის ნამოსახლარ ძეგლებზე გამოიყოს გარდამავალი ხასიათის მასალის შემცველი მთელი პლასტი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება პროტო და კოლხური კულტურების ურთიერთმიმართების ხასიათის გარკვევა. ამასთანავე, ამ საფეხურის გამოყოფამ საჭირო გახადა კოლხური კულტურის გარკვეული ეტაპების ქრონოლოგიების კორელირება და ძვ. წ. II-I ათასწლეულების ძეგლთა ახლებური შეფარდებითი სქემის შემუშავება. გარკვეულწილად აუცილებელი შეიქმნა ამ კულტურათა ეთნიკური ატრიბუციის შესახებ ჩვენი მოსაზრების წარმოჩენა.

ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა კოლხურ ნამოსახლართა ტიპოლოგიასა და ტიპოგრაფიას, მეურნეობის დარგების (მეტალურგია, მინათმოქმედება, მესაქონლეობა, სამეურნეო საქმე, კულტმსახურება), მეზობელ რეგიონებთან კულტურულ-ეკონომიური კავშირურთიერთობის, ლოკალური კულტურების და სხვა საკვანძო პრობლემებს. რამდენად სწორად არის აღნიშნული საკითხები გადაწყვეტილი, სპეციალისტების განსასჯელია.

---

31. ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ. 1986. გვ. 80. რომ ავტორის ეს მოსაზრება სწორი ჩანს, დასტურდება ჩვენი მონაცემებითაც. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაფიქსირდა ნეოლითური ფენები სოფ. ათარაში (იხ. **Г. Пхакадзе**, Археологические раскопки в Атара) და უძრავი კულტურული ფენები სოფ. აჩიგვარაში.

32. ო. ჯაფარიძე. კოლხური ცული, გვ. 74; დ. ქორიძე, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 152; ე. გოგაძე, კოლხეთის დაბლობი... გვ. და სხვა.

თავი I

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ძეგლები

(ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევარი)

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძალზე მდიდარია საკვლევი პერიოდის ძეგლებით. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი არქეოლოგიური პერიოდის ძეგლები არ არის ცნობილი იმ რაოდენობით, როგორც ძვ. წ. II-I ათასწლეულების. თითქმის არ არის დასავლეთ საქართველოში მიკრორეგიონი, საიდანაც კოლხური კულტურის ესა თუ ის ობიექტი არ იყოს ცნობილი. რაც შეეხება მის წინარე (II ათასწლეულის პირველი ნახევარი) პერიოდის ძეგლებს, ისინი შედარებით მცირერიცხოვანია და მათი მეცნიერული კვლევა-ძიება ფაქტობრივად სულ ორ ათეულ წელს თუ ითვლის. ამდენად გასაგებია ის ინტერესი, რასაც იწვევს სამეცნიერო წრეებში ყოველი ახალი გამოკვლევა თუ ინფორმაცია ამ პერიოდის ძეგლების შესახებ.

ჩვენ, წლების განმავლობაში გვიხდებოდა ინტენსიური მუშაობა ამ პერიოდის ძეგლთა გამოვლენა-შესწავლაზე. უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელობით, სადღეისოდ, რამდენიმე ათეული ამ პერიოდის ობიექტია შენაელილი. კვლევის სფეროში ექცევა ნამოსახლარები, სამაროვნები, განძები, სანარმოო ობიექტები. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ნაშრომში მოკლედ მაინც მიმოგვეხილა ის ობიექტები, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. მათ სრულყოფილ განხილვას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვლევი რეგიონის ისტორიის საკვანძო პრობლემების შესწავლისათვის. ბუნებრივია, ვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ სხვა მკვლევართა ნაშრომებს ამ პერიოდის ძეგლების შესახებ. მაგრამ ნაშრომში არ არის მოცემული ამ ძეგლების აღწერილობა, რაც კიდევ უფრო გადატვირთავდა აღწერილობით ნაწილს. ამიტომ, მხოლოდ ჩვენ მიერ გათხრილ და შესწავლილ ძეგლთა აღწერილობით ვიფარგლებით.

ნამოსახლარები

ფიჩორის ნამოსახლარი, ბორცვი №1
(ტაბ. I – XXII)

ფიჩორის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ-ზე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ზღვიდან 0,5 კმ-ის დაშორებით (ტაბ. $I_{1,2}$, $II_{1,2}$). კომპლექსის შუაში აღმართულია ელიფსური ფორმის (70 X 80 მ-ზე) ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე 5 მ.), სადაც დასტურდება ადამიანის ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრების კვალი (ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან, ვიდრე ძვ. წ. III ს. საწყისამდე), მის ირგვლივ ორ რიგად განლაგებულია ათამდე ბორცვი, რომლებიც დროთა განმავლობაში იქმნებოდნენ ჭარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად.[33] თითოეულ ამ ბორცვს და მთელ ამ კომპლექსს გარშემო შემოუყვება 10-15 მ. სიფართის ხელოვნური თხრილი, რომელიც ამჟამად შევსებულია.[34] ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის სტრატიგრაფიულ ჭრილში დადასტურდა 13 გეოლოგიური ფენა, რომელთაგან 8 მძლავრ კულტურულ ნაშთს შეიცავდა.[35]

1. კორდოვანი ფენა (სისქე 0,15 მ.);
2. ბათქაშოვანი, ელინისტური ხანის ფენა (I კულტურული, სისქე – 0,35 მ.);
3. კულტურული ნაშთების შემცველი, მონაზვინი ფენა (I მოზვინვა – სისქე 0,50 მ.);
4. მორუხო ფერის თიხნარი – II კულტურული ფენა ნახშირებისა და ბათქაშების ჩანართებით (სისქე – 0,30 მ.);
5. ნამწვი ნახშიროვან-ბათქაშოვანი – III კულტურული ფენა (სისქე – 0,33 მ.);

---

33. ქვემოთ თითოეულ ბორცვს განვიხილავთ რიგითი ნომრებით. სიმარტივისათვის ცენტრალური ბორცვი ტექსტში მოიხსენიება ფიჩორი I და ა. შ.

34. ნამოსახლარის სამხრეთით 0,5 კმ. შეინიშნება ძველი ნამდინარევი კალაპოტი, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით მიედინებოდა მდ. ბულაზი (თურქული ნარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გემების სადგომს) ამჟამად მდ. ბულაზის დიდი ნაწილი დაჭაობებულია, მცირე ნაწილი კი მიედინება სოფ. ფიჩორის ცენტრში. საეარაუდოა, რომ ამ მდინარით შორეულ წარსულში წყლით ივსებოდა არხი.

35. მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, ფიჩორის ნამოსახლარი იბეჭდება კრებულში „აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლები", I.

6. მოყვითალო ფერის თიხნარი – მონაზვინი ფენა (II მოზვინვა, სისქე – 0, 40 მ.);
7. ნაცრისფერი, ნახშიროვან-ბათქაშოვანი – IV კულტურული ფენა (სისქე – 0, 38 მ.);
8. მუქი ნაცრისფერ-მოყავისფრო – V კულტურული ფენა (სისქე – 0,38 მ.);
9. ნახშიროვან-ბათქაშოვანი – VI კულტურული ფენა (სისქე – 0, 30 მ.);
10. მონაზვინი, მწვანე ფერის თიხნარი ფენა (III მოზვინვა, სისქე – 0, 37 მ.);
11. ნახშიროვან-ნაცროვანი – VII კულტურული ფენა (სისქე – 20 მ.);
12. მონაზვინი, მოშავო ფერის თიხნარი ფენა (IV მოზვინვა, სისქე – 40 მ.);
13. ნახშიროვან-ნაცროვანი ტორფნარევი VIII კულტურული ფენა (სისქე – 20 მ.).[36]

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონაზვინი ფენები თავისუფალი იყო კულტურული ნაშთებისაგან, გარდა I მოზვინვისა. ეს ფენა იმეორებდა ძირითადად ცენტრალური ბორცვის IV კულტურული ფენის მასალებს, თუმცა გვხვდებოდა უფრო ადრეული (V ფენის სინქრონული) და მოგვიანო პერიოდის მასალებიც. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ I მოზვინვა უშუალოდ მოხდა ადრეანტიკური ხანისათვის. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ ფენის თაეში გვხვდებოდა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ფრაგმენტები (ყურმილიანი ხელადები, სამწახნაგა ბაკოიანი ლანგრები). როგორც ჩანს, ადრეანტიკური და უშუალოდ წინარეანტიკური ხანის ფენები ბორცვზე განადგურებულია ელინისტური ხანის ნაგებობისათვის მოჭრილი მიწის ნივილირების დროს.

კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა ელინისტური ხანის ბათქაშოვანი ფენა, რომელიც მოიცავდა დახლოებით 45 კვ.მ. და საკმაოდ კომპაქტური მასის სახით იყო წარმოდგენილი.

ელინისტურ ფენას ბორცვის ცენტრალურ ნაწილში უშუალოდ მოსდევდა კულტურული ნაშთების შემცველი მოყვითალო ფერის თიხნარი – I მონაზვინი ფენა. მისი გავრცელების პარამეტრი ძირითადად ემთხვეოდა ელინისტურ ფენას, თუმცა გადადიოდა ბორცვის ფერდობზეც.

II კულტურული ფენა ვრცელდებოდა მთელ შესწავლილ ფართობზე. იგი შეიცავდა უსისტემოდ მიმობნეულ დანახშირებულ ძელებსა და ნახშიროვან-ბათქაშოვან შრეებს, რომლებიც ზოგიერთ მონაკვეთში გროვების სახით იდო. შესაძლოა, ეს ნაშთები ხანძრის შედეგი იყოს, რომლის დროსაც გარედან თიხით შელესილი ხის კედლები დაინგრა და იატაკზე დაეფინა. დანახშირებულ ძელებს ზოგიერთ შემთხვევაში ლიანდაგისებრი წყობა ქონდა.[37]

III კულტურული ფენა თითქმის მთლიანად მოიცავდა ბორცვს. პერიფერიულ ნაწილში იგი თანდათან თხელდებოდა და მკრთალდებოდა. ზოგჯერ ძნელდებოდა მისი გამოყოფა ზედა, II კულტურული ფენისაგან. დაფიქსირებულია კოლხური ჯარგვალისათვის დამახასიათებელი ძელური ჭდობით გადაბმის რამდენიმე შემთხვევა.

III-IV კულტურულ ფენებს ჰყოფს მომწვანო-მოყვითალო ფერის მონაზვინი ფენა (II მოზვინვა), რომელიც სტერილურ თიხნარს წარმოადგენს, ანდა იშვიათად შეიცავს ზედა ფენისათვის დამახასიათებელ კერამიკის ფრაგმენტებს. ხშირ შემთხვევაში მონაზვინ ფენას აქვს ლინზისებრ-ბალიშისებრი ფორმა.

IV კულტურული ფენა შედგებოდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებისაგან, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში თავმოყრილი იყო გროვების სახით, პირველად აქ დაფიქსირდა წვრილი კენჭებით მოპირკეთებული იატაკი და ნახშიროვანი ლაქები ზომით 2,5 X 2 მ-ზე.

მომდევნო, V კულტურული ფენა ვრცელდებოდა მთელ განათხარ ფართობზე, რომელიც გუძუბას ცენტრალურ ნაწილში უფრო კომპაქტურად იყო წარმოდგენილი, ხოლო პერიფერიაში კი მკრთალდებოდა. მაქსიმალური სისქე 50 სმ. აღემატებოდა და შედგებოდა 3-5 სამშენებლო ჰორიზონტისაგან, რომლებიც ვინრო იატაკების ზოლით იმიჯნებოდნენ ერთმანეთისაგან. შიგადაშიგ მათ შორის შეიმჩნეოდა მომწვანო-მოყვითალო ფერის თიხნარი მონაზვინი ფენა. აქ იატაკზე იშვიათად ჩნდებოდა დანახშირებული ძელების ფრაგმენტებიან ნახშიროვანი ლაქები (1,0 ხ 2 მ-ზე). საგულდაგულოდ მოსწორებულ გრუნტზე იკვეთებოდა სარის ბუდეები, რომელთა დიამეტრი 10-12 სმ. აღწევდა.

---

36. ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის ფენები დასტურდება ცენტრალური ბორცვის ირგვლივ განლაგებულ თითქმის ყველა შემაღლებაზე (გარდა მე-6 ბორცვისა). აშკარაა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისისათვის გუძუბას მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ იკავებს მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას და ამაგრებს მთელ ამ კომპლექსს ხელოვნური არხით. ადრეანტიკური ხანისათვის მოსახლეობა გადის არხის გარეთაც (ბორცვი N 8) და ამდენად, იზრდება ნამოსახლარის ფართობი. ნამოსახლარის მასშტაბები, ხელოვნური გამაგრება და დასახლების ინტენსიური ხასიათი გვაძლევს უფლებას ეს პერიოდი პროტოურბანისტულ ცივილიზაციად მივიჩნიოთ.
37. Барамидзе М. В. Исследования в с. Пичори, АО, 1982, стр. 420-421.

VI კულტურული ფენა დაფენილია გუძუბას ცენტრალურ ნაწილში და შედგებოდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებისაგან. იგი ზედა, V ფენისაგან იყოფოდა 10 სმ. სისქის იატაკის ვიწრო ზოლით.

VII კულტურული ფენა მოიცავდა გუძუბას ცენტრალურ ნაწილს (25 X 25 მ-ზე). თიხის ნანარმის გარდა შეიცავდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებს. შედარებით მრავლად იყო შემორჩენილი ძირითადად უსისტემოდ მიმობნეული ძელურ ნაგებობათა ნაშთები. ზოგჯერ ისინი კოლხური ჯარგვალისათვის დამახასიათებელი ძელური ჭდობის წესით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული. საყურადღებოა აქ აღმოჩენილი წრიული მოშავო ფერის დამწვარი ლაქები, რომელთა შიგნით ზოგჯერ, სავარაუდოდ, დასტურდებოდა ქაოსურად მიმობნეული ძელების ფრაგმენტები. VII კულტურულ ფენაში მთელ განათხარ ფართობზე აღმოჩნდა ვერტიკალურად ჩასობილი სოლები, რომლებიც უმეტესად წყვილად იყო განლაგებული ერთმანეთისადმი მსუბუქი გადახრით. უნდა შევნიშნოთ, რომ VII კულტურული ფენის იატაკზე მიმობნეული იყო თეთრი ფხვიერი ნივთიერება, რომლის რაობის გარკვევა ჯერჯერობით არ ხერხდება.

VII კულტურულ ფენას უშუალოდ მოსდევდა IV მონაზვინი სტერილური ფენა, რომელიც მუქი შეფერილობით და ლინზისებრი მოყვანილობით ხასიათდებოდა და მთელ განათხარ ფართობზე არ ვრცელდებოდა. რამდენიმე კვადრატში VII ფენა უშუალოდ ედო ზემოდან VIII ფენას. აშკარაა, რომ მოზვინება არ მომხდარა მთელ ფართობზე და ეს ფენებიც ქრონოლოგიურად ახლოს დგას ერთმანეთთან.

VIII ტორფნარევ კულტურულ ფენას სხვა ფენებთან შედარებით მუქი შეფერილობა გააჩნდა. მისი გავრცელების პარამეტრი იფარგლებოდა ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილით. შეიცავდა ბათქაშოვან-ნახშიროვან ნაშთებს. აქაც მრავლად გვხვდებოდა ვერტიკალურად ჩასობილი ხის სოლები და უმრავლეს შემთხვევაში უსისტემოდ განლაგებული ხის მორების ნაშთები. დაფიქსირდა ოთხკუთხა ნაგრძელებული ნაგებობის ფრაგმენტი, რომლის საძირკვლის ნაშთები სოლებით იყო დამაგრებული.

როგორც ვხედავთ, საყოფაცხოვრებო არქიტექტორული კონსტრუქცია ჩვენს მიერ შესწავლილ ბორცვზე ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივად გავრცელებული იყო ორი ძირითადი ტიპის ნაგებობა: ჯარგვალისებრი წყობისა (სქელი მორებითა და ძელებით ნაშენები) და სარლასტზე გამართული ფაცხისმაგვარი, წნულკედლიანი. ორივე ტიპის ნაგებობა ბათქაშით იყო შელესილი.

როგორც აღვნიშნეთ, ძელურ ნაგებობათა ნაშთები უფრო ხშირად გვხვდება II, III და VIII კულტურულ ფენებში და ისიც უმრავლეს შემთხვევაში უსისტემოდ მიმობნეული, ხანდახან კი ლიანდაგისებრი წყობით. ყველა შემთხვევაში მათ გააჩნდათ ერთნაირი ორიენტირება სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს.

ჩვენს მიერ შესწავლილი ნამოსახლარის VII-VIII კულტურული ფენების მაგალითზე სახლის (ჯარგვალის) გამართვა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. ბორცვის პირველი მოსახლენი, უპირველეს ყოვლისა, ჭაობში ალაგებენ ყოველგვარი სისტემის გარეშე ძელებს, ხის ტოტებსა და ნაფოტებს. შემდეგ მათზე ხდება მინის დაზვინვა. მონაზვინ მიწაზე კვლავ ლაგდება ძელები, რომლებიც ორივე მხრიდან მაგრდება სოლებით.[38]. ამგვარად მომზადებულ სპეციალურ პლატფორმაზე ლაგდებოდა ხის ფიცრები.

ცენტრალურ ბორცვზე მონაპოვარ მასალას განვიხილავთ ზემოდან ქვემოთ ფენების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკული მასალა მიუხედავად სიუხვისა, მაინც ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც თიხის ჭურჭლის ფორმების შესახებ საუბარი გვიხდება ძირების, გვერდებისა და პირ-ყელის პროფილების მიხედვით. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ფენაში გვხვდება მთელი ჭურჭელიც.

I კულტურული-ელინისტური ფენა შემორჩენილი იყო ნამოსახლარის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში, მასალა ძირითადად წარმოდგენილი იყო ბრტყელი სინოპური გვერდებაკეცილი ღარიანი კრამიტითა და დერგების პირგვერდის ფრაგმენტებით. ამავე ფენის საკუთრებას წარმოადგენდა ამფორის რამდენიმე ყური და მცირე აზიური იმპორტული ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ასევე ყურადრებას იპყრობს ერთი ხელადა აგურისფერი გამონვით. მას ახასიათებს მაღალი, თითქმის ცილინდრული ყელი, მსუბუქად გაშლილი პირი, მსხლისებრი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზე და პირის ქვეშ აქვს მიძერნილი. თიხის ჭურჭელი, თითქმის ზუსტად იმეორებს წითელი შუქურას სამაროვნის ხელადების ფორმებს (სამარხი N24). თუმცა ამ უკანასკნელთა ტანი რამდენადმე უფრო დაბალი და ფართოა.[39]

---

38. ასეთი წესით ძელების გამაგრება გვხვდება ისპანის, ერგეტას, ანაკლია II-ისა და ოჩამჩირის ნამოსახლარებზე და რაც საერთოდ დამახასიათებელ ელემენტად ჩანს კოლხური არქიტექტურისათვის.

39. **Трапш М. М.**, Труды,т. II, Сухуми, 1969. Таб XVII.

II კულტურული ფენის მონაპოვარი ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი, რომლებიც უმეტესად შავად და ნაცრისფრადაა გამომწვარი. საქმე უნდა გექონდეს საშუალო ზომის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლის (ქოთნები, ქილები, სასმისები, ტოლჩები). შედარებით მცირეა დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დერგები, ქვევრები), ორნამენტირებაში გაბატონებული ადგილი უკავია ნერტილოვან და სავარცხლისკბილისეულ დეკორს. გვხვდება ამ ტიპის ორნამენტების დატანა კერამიკაზე, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური რიგების სახით. ხშირად გადმოცემულია მათი შეხამება ღარულ შემკობასთან. მსგავსი ხერხით ჭურჭლის გაფორმება დამახასიათებელია ნაოხვამუს,[40] ზურგას,[41] ნოსირის,[42] ზედა ფენებისა და და კოლხეთის დაბლობის რიგი ნამოსახლარებისათვის, ხშირია სავარცხლისებრი შტამპით, ჭდეებით, პარკეტული და ვაფლისებრი ორნამენტით ჭურჭლის გაფორმება. შავად გამომწვარ კერამიკაში იხმარება ვიწრო და ფართოზოლიანი კანელურები, ამ სახის დეკორით II ფენის მასალები ახლო პარალელებს პოულობენ ნაოხვამუს,[43] ნოსირი III-ის[44] და აბედათის[45] ნამოსახლარების ზედა ფენებთან.

II კულტურულ ფენაში გავრცელებულია ყურები, რომელთა რქისებრი შვერილები კარგადაა გამოკვეთილი. ზოგიერთ მათგანს ღეროს ზედა პირზე დატანებული აქვს ჰორიზონტალურად განლაგებული სავარცხლისკბილისეული ორნამენტი. გვხვდება მეორე სახეობა ზოომორფული ყურებისა, რომლებიც წაკვეთილი ხის იმიტაციის შთაბეჭდილებას ქმნიან.[46] ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ყურების ნაწილი ზურგის მხრიდან შემკულია ნინვოვანი და ნერტილოვანი დეკორით.

III ნახშიროვან-ბათქაშობანი (კულტურული) ფენის მასალები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია (ტაბ. VII-VIII). კერამიკა უფრო ხშირად შავად და ნაცრისფრადაა გამომწვარი. უმთავრესად გავრცელებულია სამზარეულო ჭურჭელი (ქოთნები, ქილები, ხელადები, კოჭბები და სხვ.). ამ ფენაშიც გვხვდება ტოლჩები, ყოველგვარი კანელურების გარეშე, ჩვეულებრივად რქისებრშვერილიანი ყურები, თუმცა მათი შვერილები უფრო შეუმჩნეველია. ხშირად ასეთი ფორმის ყურები მუხლისებრ ფორმას იღებს. ზედა II ფენის მასალების მსგავსად გრძელდება ჭურჭლის შემკობა ნერტილოვანი ორნამენტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური რიგებით. ნაკლებია ჯამები მილისებრი გადმოსასხმელით. ერთ-ერთ მათგანს გააჩნია უფრო დაბალი პირი და კორპუსის დასანყისში გამობერილი მუცელი. ზედაპირზე დატანებული აქვს სავარცხლისკბილისეული ორნამენტის რამდენიმე ჰორიზონტალური რიგი.

ორნამენტაციის სხვა სახეობებიდან — ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს ნერტილოვანი ორნამენტის შეხამება-კომბინირება ღაროვანთან და მათი სხვადასხვა ვარინტებით გადმოცემა. გვხვდება ღარულისა და ნაძვისებური დეკორის შერწყმა ერთმანეთთან. შავად გამომწვარ თიხის ფრაგმენტებზე ხშირია ჰორიზონტალურად ამოღარული მოტივები. პირველად III ფენაში ჩნდება ნახევრად რკალისებრი ღარების, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განლაგებული ფოსოების კომბინირება ერთმანეთთან. ასეთი შემკობა დამახასიათებელია ნაოხვამუს[47], ზურგასა[48] და ნოსირი III-ის[49] ქვედა ფენების მასალებისათვის. გვხვდება ყურის ღეროზე დატანებული ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ჭდეები და ნერტილოვანი ორნამენტი. იშვიათადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ზედაპირის მოგლუვება-მოსწორება ნაფოტით, რომელიც ქვედა ფენებში მასობრივ ხასიათს იღებს. ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს ზოომორფული ყურების სხვადასხვა ვარიანტები. გავრცელებულია მუხლისებრი და ფრინველისმკერდისებრი ყურები.

IV კულტურული ფენის კერამიკა (ტაბ. X-XIII) გამომწვარია რუხ-მონაცისფროდ, იშვიათად შავად ან აგურისფრად. კეცი ნვრილმარცვლოვანია, ხშირად ერთფენოვანი, კვარცისა და ქარსის მინარევებით. მასალის ძირითადი ნაწილი საშუალო და მომცრო ზომის ჭურჭელს განეკუთვნება,

---

40. Куфтин Б. А., Материалы, к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950.
41. მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო ნელზე, თბ., 1978, გვ. 25, ტაბ. II, IV.
42. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982, გვ. 51, ტაბ. 51
43. Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 197, სურ. 48, გვ. 52.
44. გოგაძე ე., დასახ. ნაშრ., გვ. 56, ტაბ.41, 456, 547, 506.
45. ფხაკაძე დ., მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1974, გვ. 139.
46. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სახრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 56.
47. Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, სურ. 48 105, 112, 108.
48. მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო ნელზე, თბ., 1978, ტაბ. III.
49. გოგაძე ე., დასახ. ნაშრ., ტაბ. 48, 401.

რომელიც ხელითაა ნაძერწი. წარმოდგენილია ქოთნები, ჯამები, კოჭბები, თასები, ტოლჩები, ხელადები, პატარა დოქები და სასმისები. იშვიათად გვხვდება დერგისა და ქვევრის ფრაგმენტები. ყველა შემთხვევაში თიხის ჭურჭლის ძირი ბრტყელია. მრავლდება პირმოყრილი და მუცელგამობერილი ჭურჭელი. ქოთნების უმრავლესობას ახასიათებს დაბალი ცილინდრული ყელი და მომრგვალებული მუცელი. ისინი ხშირად მსუბუქად გადაშლილპირიანებია. ქილებს ოდნავ გადაშლილი სწორი პირი ახასიათებთ, ხოლო ჯამები ძირითადად პირმოყრილია. ამავე ფენიდან ყურადღებას იპყრობს ორპირა მინიატურული კოჭობი. მას აქვს ჩაღარული ყელი, გაშლილი პირი და ფართო მომრგვალებული მუცელი, რომელიც პირისკენ სწრაფად ეიწროვდება. ყურ-მხარზე და უშუალოდ პირზე აქვს მიძერწილი ისე, რომ ყურის ღერის პირთან მიერთებისას იქმნება სამკუთხედისებრად შებრტყელებული მოედანი. ფერად აგურისფერია, მსუბუქად ზედაპირ-ნაპრიალები, წვრილმარცვლოვანი. ფორმით უახლოვდება არქაულ ჭურჭლებს. ყურების ფორმირების მიხედვით მასთან ახლოს დგას ანაკლიის დიხა-გუძუბას[50] ყურების ერთი ჯგუფი, რომლებიც შუა ბრინჯაოს პერიოდისა უნდა იყოს.

კერამიკის შემკობაში გვხვდება პირმოყრილი ჯამის ფრაგმენტებზე დატანილი შევრონები, შესრულებული ღარული ორნამენტით, რომელთა შორის წარმოქმნილი სიცარიელე შევსებულია ირიბად დასმული წვრილი ღარებით, შევრონებით და ფოსოებით კერამიკის გაფორმება დამახასიათებელია ნაკარღალის,[51] ნაოხვამუს,[52] ნამჭედურისა[53] და საელიაოს კურზიას (II ფენა)[54] ქვედა ფენების მასალებისათვის. ხანდახან ჯამებსა და ქოთნებს კორპუსის დასაწყისში შემოუყვება ჰორიზონტალურად დატანებული ფოსოების ორი-სამი რიგი.

ჩნდება რელიეფური სარტყელი ნათითური ან დაკბილული ორნამენტით. აღნიშნული დეკორი ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ფენების და საერთოდ კოლხეთის დაბლობის პროტოკოლხური კერამიკის წამყვან ორნამენტს წარმოადგენს.

IV ფენაში გაბატონებული ადგილი უკავია ბრტყელძირიან ჭურჭელს. ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელია ჭილოფის ანაბეჭდები. ანალოგიური ნიმუშები ცნობილია ოჩამჩირის,[55] მაჭარის (III ფენა),[56] დაბლა გომის,[57] ნაკარაღალის,[58] ანაკლია I (II ფენა)[59] და ანაკლია II[60] ნამოსახლარებზე.

გავრცელებულია ჰორიზონტალური, წყვილადი, ორფერდა, ფართოღეროიანი ლენტური და ზონარგასაყრელი მინიატურული ყურები. გვხვდება ყურები, რომლებიც პირთან მიერთების ადგილზე ქმნიან ე. წ. სამკუთხედისებრ შებრტყელებულ მოედანს. იშვიათი ჯამები მილისებრი გადმოსასხმელით.

მომდევნო, V კულტურული ფენის კერამიკა (ტაბ. XIV-XV) რუხი ნაცრისფერია. იშვიათადაა ჩალისფერი ან აგურისფერი. ჭარბობს სამზარეულო ნაწარმი (ქოთნები, ქილები, ჯამები, ხელადები, ყელიანი კოჭბები). თიხა ხელითაა ნაძერწი, უხეში ხაოიანი ზედაპირით. პირის პროფილების მიხედვით ყველაზე უხვადაა წარმოდგნილი ქოთნებისა და ქილების ფრაგმენტები, რომელთა დიდი ნაწილი უყელოა ან დაბალყელიანი. ქოთნების პირები ხშირად უგვირგვინოა, გარეთ გადაშლილი. გვხვდება მსუბუქად და კარგად გადაშლილპირიანი ჭურჭელი ბრტყელი ძირით. უმრავლეს შემთხვევაში ქოთნები გვხვდებიან ჰორიზონტალური ყურებით. ქილები წარმოდგენილია წყვილადი, ზემოდან სამკუთხედისებრად დაბრტყელებული და დაკეჭნილი ყურებით. აქვე ფორმის მიხედვით ყურადღებას იპყრობს ერთი ცალყურა ხელადა. იგი საშუალო ზომისაა, ღია ნაცრისფრადაა გამომწვარი, უყელო და პირმოყრილია. ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი, ზედაპირი ტლანქი და ხაოიანია. აქვს ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი ძირი. ხელადა ფორმის მიხედვით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ანაკლიის დიხა-გუძუბა I-ის ქვედა ფენაში ფიქსირებულ თიხის ჭურჭელთან.[61]

---

50. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., ტაბ 66 8, 9
51. **ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., ფხაკაძე გ., ჯიბლაძე ლ., შერაზადიშვილი ბ.** და სხვ., აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985 წლის საველე მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).
52. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., ტაბ. 59, სურ. 48 69, 71.
53. **Микеладзе Б. А., Хахутаишвили Д. А.**, Древне Колхидское поселение Намчедури, Тб., 1985. Таб. 59 5 10
54. **Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., Хахутаишвили Д. А., Мусхелишвили Д. Л., Пхакадзе Г.**, Об итогах полевых исследований Колхидской экспедиции, ПАИ в 1972 г; Тб., 1973, стр. 51.
55. **Соловьев Л. Н.**, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Сб., I, 1939, вып. Сухуми, таб. 14.
56. **Бжания В. В.**, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, I, М., 1966, стр. 116-118.
57. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., ტაბ. 41
58. **ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ.** და სხვ., დასახ. ნაშრ., გვ. 6.
59. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., გვ. 250, ტაბ. 65.
60. **Микеладзе Т. К., Мусхелишвили Д. Л., Хахутаишвили Д. А.**, Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции, ПАИ в 1974 г., Тб., 1980, стр. 35.
61. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., ტაბ. 68.

V ფენაში პირველად ჩნდება შავად ნაპრიალები ლენტური ყურები, რომელთაც ხშირად ზედაპირზე ჰორიზონტალურად დატანებული აქვთ შვერილები (პატარა მეჭეჭები, ან ზიგზაგოვანი ნაკაწრი ტეხილი ხაზები. საინტერესოა, რომ შავად ნაპრიალები ლენტური ყურების გვერდით გვხვდება ადგილობრივი წარმოების მინაბაძი ბრტყელი ყურები. ეს ნიმუშები ძირითადად დამახასიათებელია რუხად გამომწვარი კერამიკისათვის.[62]

ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს დაკბილული და ნათითური ორნამენტები. ჩნდება თიხის ჭურჭლის კორპუსის დასაწყისში ჯიბისებრი მინაძერწები, რომლებიც ქვედა ფენებში კიდევ უფრო მრავლდება.

VI ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის უმრავლესობა ბრტყელძირიანია, თუმცა გვხვდება მსუბუქად ან კარგად გამოყვანილი ქუსლიანებიც. გაერცელებულია ჭილოფის ანაბეჭდიანი და ღრუტუსლიანი ძირებიც. ჩნდება მასიურძირიანი თიხის ნაწარმი. აქ გვხვდება მასიური ორკაპა შვერილიანი თიხის სადგრები, ზოგიერთს ბრტყელ ძირზე შუაში დატანებული აქვს ფოსოები.

VI ნახშიროვან-ბათქაშოვან კულტურულ ფენაში თიხის ნაწარმი შედარებით მცირეა. კერამიკა ძირითადად რუხად და ჩალისფრადაა გამომწვარი. პროფილირებული ნიმუშების მიხედვით გავრცელებული ჩანს ქოთნები, ქილები, პატარა დოქები, ჯამები. ყურადღებას იპყრობს რამდენიმე თიხის ჭურჭლის ყელიანი პირ-გვერდის ფრაგმენტი, რომელთაც კორპუსის დასაწყისში დატანებული აქვთ მრგვალი ნახვრეტები. შესაძლოა ისინი სადღვებლებს წარმოადგენდნენ. VI ფენაში არსებობას იწყებს შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი, პატარა ზომის თიხის ჭურჭლები (ტაბ.XVI-XVII).

აღნიშნული მასალები ქვედა VII-VIII კულტურულ ფენებში პროცენტულად მრავლდებიან და უფრო დახვეწილ ფორმას იღებენ. ისინი შემკული არიან ნაკაწრი ზიგზაგოვანი ხაზებით და ბადისებრი ორნამენტით. VI ფენაში გავრცელებულია შავად ნაპრიალები ლენტური, ჰორიზონტალური, წყვილადი და ღეროდაღარული ყურები. ისევ ნამყვან დეკორს წარმოადგენს დაკბილული და ნათითური ანდაზით თიხის ჭურჭლის შემკობა. მრავლდება ოჩამჩირული ტიპის კერამიკისათვის დამახასიათებელი ჯიბისებრი მინაძერწები. ჭილოფის ანაბეჭდიანი ძირების გვერდით ჩნდება მცენარის ანაბეჭდიანი ძირებიც, რომლებიც სადღეისო მონაცემების მიხედვით გავრცელებული ჩანს მხოლოდ დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარებზე (მაჭარა,[63] ოჩამჩირე[64]).

VII კულტურული ფენის კერამიკა (ტაბ.XVIII) გამომწვარია რუხად, მუქნაცრისფრად, ზოგჯერ შავად და ჩალისფრად. გავრცელებულია საშუალო ზომის სამზარეულო კერამიკა – ქოთნები, ქილები, კათხები, ჯამები, სასმისები, ლანგრები, ფიალები და პატარა დოქები. ამ სახის თიხის ჭურჭლებს თან ახლავს ჰორიზონტალური, ვერტიკალური, წყვილადი და გრძელღეროიანი შავპრიალა ყურები.[65] VII ფენაში მრავლად გვხვდება ყურები, რომლებიც შვერილებით ჩამაგრებულია ჭურჭლის კედელში. ყურების ამგვარი წესი დამახასიათებელია დაბლა გომის,[66] ოჩამჩირის,[67] მაჭარისა[68] და ახრა-კაპშის[69] ნამოსახლარების ქვედა ფენებისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი კერამიკა, რომელიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ჯოჭბები, პატარა დოქები, სასმისები). მათ ახასიათებთ მსუბუქად პირგადაშლილი მაღალი ყელი. თითქმის ყველა მათგანი ლენტურყურიანია. ნაპრიალები კერამიკისათვის დამახასიათებელია ნაკაწრი ორნამენტებით შემკობა. გვხვდება თიხის ჭურჭლის პირის გასწვრივ და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად დატანებული ნაკაწრი, პარალელურად განლაგებული ხაზები, რომელთა შორის არსებული სიცარიელე შევსებულია ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალური ხაზებით. ხშირად მათთან შეხამებულია ვერტიკალურად დასმული ნაკაწრი ხაზები, რომლებიც ბადისებრ ორნამენტს ქმნიან. ასეთი დეკორი ხანდახან ყურის ღეროზეც არის დატანებული. გავრცელებულია ზიგზაგოვანი ტეხილი ხაზები, რომლებიც ჭურჭელს ყელზე

---

62. შავად ნაპრიალები კერამიკა ჩვენ იმპორტული წარმოების გეგონია, ამის შესახებ უფრო დანერილებით საუბარი ქვემოთ გვექნება.
63. **Бжания В. В.**, დასახ. ნაშრ., გვ. 121, სურ. 2, 5, 6.
64. **Соловьев Л. Н.**, დასახ. ნაშრ., გვ. 43.
65. ლენტისებრი ყურები, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ჩნდება IV ფენაში. მათ აქვთ ფართო ღერო. მომდევნო V, VI კულტურულ ფენებში ლენტურ ყურებს ღერო უვიწროვდებათ და ვერტიკალურად უგრძელდებათ. VII-VIII კულტურულ ფენებში კი ამ ტიპის ყურები თან ახლავს როგორც პატარა, ასევე დიდი ზომის თიხის ჭურჭლებს.
66. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., გვ. 25, ტაბ. 362.
67. **Соловьев Л. Н.**, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
68. **Бжания В. В.**, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
69. **Бжания В. В.**, Поселения Очамчирской культуры в горах Абхазии, Кавказ и Восточная Европа в древности, М. 1973, стр. 66.

შემოუყვებიან. თხელკეციანი შავად და წაბლისფრად ნაპრიალები კერამიკა კოლხეთის დაბლობის ერთეულ ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი (ოჩამჩირე,[70] ანაკლია II[71] და სხვა.

VII კულტურულ ფენაში ყურადღებას იპყრობს შიბაქისმაგვარი, მრგვალნახვრეტიანი, გაურკვეველი დანიშნულების მქონე თიხის ნივთი და ორნამენტის დასატანი თიხის შტამპი, რომლის ზედაპირი დაჭდეულია. მრავლად გვხვდება თიხისა და ქვის ბორბლისებრი ფორმის კვირისტავები.[72]

VIII კულტურული ფენის კერამიკა გამომწვარია რუხად, შავად, ზოგჯერ კი მუქნაცრისფრად (ტაბ. XIX, XXVI). გავრცელებულია შავად და წაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ფენაშიც კვლავ დომინირებს სამზარეულო კერამიკა. პროცენტულად მატულობს სამეურნეო დანიშნულების, შედარებით დიდი ზომის თიხის ჭურჭლები. ყველაზე გავრცელებული ფორმა საშუალო ზომის ჰორიზონტალურყურიანი, ბრტყელძირიანი ქოთნებია, რომლებიც ხასიათდებიან ერთფენიანი კეცით ქარსისა და კვარცის მინარევებით. ქილები უფრო ხშირად სწორპირიანია, ზოგი მათგანი პირგადმოკეცილია და ხორკლიანი ზედაპირი აქვთ.

VIII ფენაში მატულობს სუფრის ჭურჭელი (პატარა დოქები, სასმისები, კოჭბები). დოქები თხელკეციანებია შავად და წაბლისფრად ნაპრიალები. გააჩნიათ გრძელღეროიანი ლენტური ყურები. ამ ფაქტურის კერამიკიდან ყურადღებას იპყრობს შავად ბრწყინვალედ ნაპრიალები ბადიის პირ-გვერდის ფრაგმენტი. ყელზე ორრიგი ღარებით, მინიატურული ფორმის ყურითა და შვერილით. გვხვდება საშუალო ზომის შავად ნაპრიალები ქუსლიანი ფიალის ფრაგმენტები. აღნიშნული ჭურჭლები გარკვეულ შეხების წერტილებს ავლენს ბედენური კულტურის კერამიკასთან (გამონვის მიხედვით).[73]

ამ ფაქტურისა და ფორმის ჭურჭლებს პარალელები არ მოეპოვებათ ჩვენთვის ცნობილი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე.

VIII კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ორი საშუალო ზომის დოქი. ერთი მათგანი გამომწვარია ღია წაბლისფრად. აქვს დაბალი ყელი და მოკლე ყური, რომელიც პირთანაა მიერთებული. ჭურჭელი სფერულმუცლიანია, ძირისკენ სწრაფად შევიწროვებული. ყელზე ორ რიგად შემოუყვება ზიგზაგოვანი ტეხილი ხაზი, რომელთა შორის არსებული სივრცე შევსებულია ტეხილი ორნამენტით. მეორე ჭურჭელი შავპრიალაა, აქვს დაბალი ყელი, ირგვლივ ჰორიზონტალურად შემოუყვება ორი პარალელური ამოკაწრული ტეხილი ხაზი. დოქს, როგორც ჩანს, ჰქონდა ლენტური ყური. კორპუსის დასაწყისში დატანებული აქვს პატარა კოპი.

VI-VII ფენებიდან აქ ტრადიციულად გრძელდება ჰორიზონტალური, ნყვილადი, ლენტური და ზემოდან დაკენჭილი ყურები. გავრცელებულია ყურები, რომლებიც შვერილებით ჭურჭლის კორპუსში მაგრდება. ჩნდება საინტერესო ჯგუფი ვერტიკალური ყურებისა, რომელთაც ჭურჭლის პირთან მიერთებისას ზედა ნაწილში ამკობს ნუშისებრი შვერილები (კოპები). ასეთი ტიპის ნიმუშები ჩვენთვის ცნობილია ოჩამჩირის ნამოსახლარიდან.

VIII კულტურულ ფენაში ფართოდაა გავრცელებული რელიეფურ სარტყელზე დატანებული დაკბილული და ნათითური ორნამენტები, რომლებიც აქ შედარებით უხეშ ფორმას იღებენ, ჭურჭლის კორპუსის დასაწყისში ხშირად ვხვდებით ჯიბისებრ მინაძერწებს და შვერილებს. ისევ დომინირებს შავად და წაბლისფრად ნაპრიალებ კერამიკაში ნაკაწრი, ზიგზაგოვანი და ბადისებრი ორნამენტი. ამ ჯგუფის კერამიკაში იშვიათად გვხვდება ჭურჭლის მხარის ირგვლივ დატანებული ფოსოები, რომელიც ძალზე ნააგავს მაიკოპური კულტურისათვის დამახასიათებელ მარგალიტისებრ ორნამენტს.

---

70. Соловьев Л. Н., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморя в эпоху неолита и бронзы _ Стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, т. XXIX, 1958, с. IV, 1937 г., стр. 323, Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 267.

71. Микеладзе Т. К., О некоторых результатах полевых исследований в зонах Новостроек Колхидской низменности в десятой пятилетке. Археологические исследования на новостройках ГССР. Тб., 1982, стр. 76, Микеладзе Т. К. и др., Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции, ПАИ в 1977 г., Тб .,1980, стр. 35.

72. ბორბლისებრი ფორმის კვირისტავები თან ახლავს პროტოკოლხურ კერამიკას, ხოლო გვიანი ბრინჯაოს ფენებისათვის დამახასიათებელია კონუსისებრი მოყვანილობის კვირისტავები.

73. შავპრიალა კერამიკა შემკული ნაკაწრი, ზიგზაგოვანი ორნამენტით როგორც გამთხრელი ლ. სოლოვიოვი აღნიშნავს, პირველად აღმოჩნდა ოჩამჩირის ნამოსახლარზე (თუმცა, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების დათვალიერებისას ისინი არ აღმოჩენილა). ლ. სოლოვიოვმა აღნიშნული კერამიკა დაუკავშირა იმპორტულ ნანარმს. იხ. მისივე, დასახ. ნაშრომები: 1. გვ. 149 და 2. გვ. 323; თ. მიქელაძე ანაკლია 2-ზე აღმოჩენილ შავპრიალა კერამიკას უკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ნანარმს (თრიალეთის ყორღანების შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა). კუფტინი თვლიდა, რომ ოჩამჩირული შავპრიალა კერამიკა შორეულ პარალელებს პოულობდა შვეიცარიის ძელური ნაგებობების შემცველ ნამოსახლარების ქვედა ფენებთან და უძველეს სირიულ კერამიკასთან. იხ. კუფტინი, დასახ. ნაშრ., გვ. 267.

ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VII-VIII კულტურულ ფენებში, კერამიკული მასალის გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ყუამილიანი ცულებისა და თოხების ყალიბების აღმოჩენა (ტაბ. XXIII).[74]

ყუამილიან ცულებს (ყალიბების მიხედვით) ახასიათებთ სწორი შვეტილი ტანი და მოკლე ყუა, პირი, გორდა მომრგვალებულია.[75] მათთან ახლოს დგანან სოფ. განთიადის (ყარა-დერეს),[76] ისპანის,[77] კუმბულთას,[78] ფასკაუს[79] სვანეთის[80] და კრასნოდარის[81] მუზეუმებში დაცული ყუამილიანი ცულები. ფიჩორის ყუამილიანი ცულები სრულიად ახალი ფორმაა დღემდე ცნობილ მასალებს შორის, რის გამოც მათ „ფიჩორულ ვარიანტს" ვუწოდებთ.

ძალზე საყურადღებოა თოხის ყალიბები და ბრინჯაოს თოხები. ისინი მხრებმომრგვალებულია. მხრები ტანისგან არაა გამოყოფილი და ჩართულია მის მთლიან მოხაზულობაში.[82]

ცენტრალურ ბორცვზე აღმოჩენილ ყალიბებში, რასაც ადასტურებს მათი ტიპოლოგიური მსგავსება და ციცხვებში შემორჩენილი ბრინჯაოს ნაღვენთები. 1981 წელს მონაზვინ (I) ფენაში აღმოჩნდა ურეკული ტიპის მხრებმომრგვალებული სამკუთხაპირიანი თოხი. მისი სიგრძე 14 სმ-ია, ხოლო პირის ყველაზე განიერი ადგილის სიფართე 8 სმ-ს აღწევს. შიდა ნაწილზე მასაც თოხის მსგავსად მიუყვება რელიეფური წიბური.

1986-87 წლებში ცენტრალური ბორცვის VI-VII-VIII კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ბრინჯაოს 4 თოხი, რომელიც ტიპოლოგიურად თითქმის ერთი ტიპისაა. ყველა მათგანი მხრებმომრგვალებულია. სატარე ხვრელი დატანებული აქვთ ტანის ყველაზე განიერ ნაწილზე. ურეკის თოხთან შედარებით ახასიათებთ ფართო ტანი. მათი სიგრძე 11-13 სმ. შორის მერყეობს. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი მათგანი აქვე აღმოჩენილ ყალიბშია დამზადებული. ფიჩორში აღმოჩენილი ყალიბები და თოხები ტიპოლოგიური თვალსაზრისით ანაკლია II-ზე აღმოჩენილ ყალიბებს უახლოვდებიან, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო მოგვიანო პერიოდით ათარიღებენ.[83] მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ანაკლიის ყალიბები უფრო სწორკუთხოვანია, ვიდრე ფიჩორისა.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე სამკუთხა თოხების აღმოჩენა იმითაც არის საყურადღებო, რომ დღემდე ისინი მომდინარეობენ მხოლოდ შემთხვევითი მონაპოვარი განძებიდან და ვარაუდობენ, რომ მათ გავრცელების არეალი უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ გურია-აჭარის ტერიტორიით.[84] ამ აღმოჩენით ნათელი ხდება, რომ სამკუთხა პირვიწრო თოხები გავრცელებული ყოფილა კოლხეთის მთელ შავიზღვისპირეთში.

ლითონის სხვა ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს VI ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრისპირი. ამ ნივთის მოპოვებით გარკვეული შეხების წერტილები ელინდება კიურ-დერეს № 4 დოლმენში აღმოჩენილ ბრინჯაოს ისრისპირთან.[85]

განსაკუთრებით საინტერესოა VIII კულტურულ ფენაში აღმოჩენილი თიხის კომბინირებული ყალიბი (ტაბ. XLII_{21-24}). იგი ოთხმაგია, თავისკენ ოდნავ წანეტებული. 4 ნახნაგზე გამოყვანილია სხვადასხვა იარაღების ფორმები. ერთი მათგანი ტოლფერდა, სამკუთხედის მაგვარ ბრტყელ სატევარს ეკუთვნის. მეორე ნახნაგზე, მის საპირისპირო მხარეს, გაურკვეველი დანიშნულების ნიეთია ამოკვეთილი, რომელსაც ოვალური ფორმის თავი ბოლოსკენ შევიწროებული აქვს. მსუბუქად დაშვებული ვიწრო მხრები ყალიბის განიერი ნაწილისკენ სიმეტრიულად ფართოვდება. პატარა ნახნაგებზე ორ მოპირდაპირე მხარეს დატანებულია, ერთი მხრივ, მოკლე და ვიწრო მხრებდაშვებული შუბისპირი, რომლის მასრის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, მის მოპირდაპირე მხარეს კი

74. ცენტრალური ბორცვის ქვედა ფენებში 5 ათეულამდე სხვადასხვა ნიეთის ყალიბი აღმოჩნდა.
75. ცენტრალური ბორცვის VII-VIII ფენებში აღმოჩენილია ყუამილიანი ცულის 40-მდე ყალიბი.
76. რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 43, ტაბ. VII 7.
77. Микеладзе Т. К., Барамидзе М. В. и др., Об итогах полевых исследований Колхидской экспедиции, ПАИ в 1974 г; Тб. 1976, таб. XXIX; Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д. А., Древне Колхидское поселение Наычедлури, Тб., 1985. Таб. 4.
78. МАК, вып. VIII. 1900. т. 8 (უვაროვას კოლექცია).
79. МАК, იქვე, ტაბ. VIII $_3$
80. ჩართოლანი შ., სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977, ტაბ. XII $_{1,2,3}$, ტაბ. VIII $_2$
81. ИЕССЕИ А. А. Прикубунский очаг металообработки в конце Медно-бронзового века, Материалы и исследования по археологии СССР, 23, М.-Л., стр. 97 , рис. 26 (2, 3).
82. ცენტრალური ნასახლარის ქვედა ფენებში 8 თოხის ყალიბია აღმოჩენილი.
83. Микеладзе Т. К., Мускелишвили Д. Л., Хахутаишвили Д. А., Итоги полевых исследовании Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1978 г., Тб., 1981, стр. 44, таб. XX_{1-2}
84. Хоштария Н. В., Археологические исследования Уреки. Тб., 1949, 72 $_{1,2}$.
85. Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, таб. XXXII.

პატარა კოვზის (ციცხვის) ფორმის ნივთია ამოკვეთილი. ფიჩორის კომბინირებულ ყალიბს არ მოეპოვება პირდაპირი პარალელი ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალებს შორის.[86]

VIII კულტურულ ფენაში აღმოჩნდა გიშრის, პასტისა და დომინოსებრი მძივები.[87] გიშრის მძივები შესანიშნავადაა დაცული და ტიპოლოგიურად იყოფიან რამდენიმე ჯგუფად:

1. ბიკონისებრი მოყვანილობის, ექვსწახნაგა, ყველა მათგანს ნახვრეტი დატანებული აქვს შუა ადგილზე;

2. ცილინდრული მოყვანილობის, ბორბლისებრი ფორმის;

3. კასრისებრი ფორმის, რომელთაგან ზოგიერთ მათგანს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. დომინოსებრ მძივებს გვერდებზე აქვთ სამი გამჭოლი ნახვრეტი, ხოლო ზედაპირის ორივე მხარეს აქვთ მრგვალი წრეები.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო VIII ფენაში ორი ხის სახვნელის აღმოჩენა (ტაბ. XXIV), რომელთაგან ერთი დამზადებულია მუხლიანი ხისაგან. მისი სიმაღლე 40 სმ, ხოლო სამუშაო ქუსლის სიგრძე (ქვედა ჰორიზონტალურად გამართული ადგილის) 28 სმ აღწევს.

სახვნელის სამუშაო პირს შუა ნაწილში დატანილი აქვს ოთკუთხა ნახვრეტი 2 x 2 სმ-ზე, სადაც ალბათ ებმებოდა სხვა გასაქაჩი ნაწილი (მხარი).[88] გარდა ამისა შემორჩენილია ხის სახვნელის მეორე შემადგენელი ნაწილი, რომლის დანიშნულების გარკვევა ჭირს. მისი სიგრძეა 58 სმ. კიდეები ნათლილი და დამუშავებული აქვს.[89] ნივთის ზედაპირზე და გვერდებზე დატანილია სამი ერთმანეთისგან დაშორებული ოთკუთხა ნახვრეტი ზომით 1x4 სმ-ზე. მეორე ხის სახვნელის სიგრძეა 1,20 მ, ხოლო სამუშაო ქუსლისა კი 36 სმ, რომელიც წინა მხარეს ოდნავ ნაკლულია. ფიჩორის ხის სახვნელები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილ მესხურ, მეგრულ და აფხაზურ სახვნელებთან.[90] ასევე შესაძლოა გარკვეული პარალელის გავლება ევროპაში ცნობილ ხის სახვნელებთან.[91]

განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ფიჩორის ცენტრალური ბორცვის სხვადასხვა ფენებში კაჟის ისრისპირები და ნამგლისჩასართები. კაჟის ისრისპირებში გამოიყოფა ორი ჯგუფი. გვხვდება სიმეტრიულად და ასიმეტრიულად ფუძეამოღარული, ფრთებნაგრძელებული და ფრთებმომრგვალებული ისრისპირები (ტაბ.XXII). გავრცელებულია კაჟის ნამგლისჩასართები. მათთვის დამახასიათებელია როგორც ცალი ასევე ორივე გვერდის დაკბილვა. ქვედა ფენებში დომინირებს ორივე მხრიდან თავებშეჭრილი ნამგლისჩანართები, რომლებიც დამახასიათებელია აგრეთვე ოჩამჩირის ნამოსახლარისათვის[92]. აღნიშნული იარაღებით და მათი დამუშავების ტექნიკით ცენტრალური ბორცვის მასალები ახალი შეხების წერტილებს აკავშირებენ ოჩამჩირის ნამოსახლართან[93]. გარდა ზემოთ აღნიშნული ნივთებისა, ცენტრალური ნამოსახლარის სხვადასხვა ფენებში უხვადაა გავრცელებული ქვის დამუშავებული ინვენტარი: ხელსაფქვავები (ნავისებრი მოყვანილობის), ქვასანაყები, სანაყები, სასრესები, ქვედა ფენებისათვის (V, VI, VII, VIII) დამახასიათებელია ქვის სანაფები და ცულები.

---

86. VII-VIII კულტურულ ფენებში მრავლად აღმოჩნდა მეტალურგიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები: ციცხვები, საქშენი მილები და ძაბრისებრი ფორმის თიხის ნივთები. ეს უკანასკნელი შესაძლოა გამდნარი ლითონის უშუალოდ ყალიბში ჩასასხმელად გამოიყენებოდა და ერთგვარ ძაბრის ფუნქციას ასრულებდა.

87. მსგავსი ნივთები არაა მრავლად ცნობილი ამ პერიოდის ძეგლებზე, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, მათი რამდენადმე მოგვიანო პერიოდის ნანარმად მიჩნეულია. თუმცა აღმოჩენის ვითარება სრულიად გამორიცხავს ამ მოსაზრებას. მძივები აღმოჩენილი იყო კომპლექსში ბრინჯაოს ცულთან და 1,5 აგრაფის ხვიასთან ერთად 30 სმ. დიამეტრის პატარა ორმოში. ორმოზე ზემოდან გადადიოდა VIII ფენის თიხატკეპნილი იატაკი, რის გამოც შეუძლებელია ამ მასალის VIII ფენაზე უფრო მოგვიანოდ მიჩნევა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანო იერის შთაბეჭდილებას უფრო ქმნის ე.ნ. დომინოს ფორმის მძივები, რომლებსაც მრავალი პარალელი ეძებნებათ (მართალია, რამდენიმე განსხვავებული) შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებში, რაც შეეხება გიშრის მძივებს მსგავსი ნივთი აღმოჩენილია ხვაბის დოლმენში (ი. ნეინარიას ცნობა) და, რაც მთავარია, ახალციხის ამირანის გორაზე.

88. ასე ვარაუდობს ლ.ძიძიგური. დაწერილებით იხ. მისი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა", თბ.,1994.

89. სახვნელი ბრწყინვალედ იყო დამუშავებული, ზედაპირზე ეტყობოდა ვინრო ზოლები. გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი შეიძლება დამზადებული იყოს პოლიმიასაგან. ეს ხე იშვიათადაა შემორჩენილი კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე, ძალზე გამძლეა და დასამუშავებლად ადვილი.

90. ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე № 1, 1937, გვ. 263, სურ. 12: მისივე, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 270, სურ. 2., მისივე, К вопросу о происхождении Абхазских пахотных орудий, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 3-4, 1941, გვ. 375-376, სურ. 1, 2, 3.

91. Семенов С. А., Происхождение земледелия. Л., 1974, стр. 213-214, к. $30_{1,19}$. მბედეულობაში გვაქვს შვეიცარიაში (ბურგეშუზედი) და იტალიაში (ლენდროში) აღმოჩენილი სახვნელები ისინი თარიღდებიან შუა ნეოლითითა და სპილენძის ხანით. იქვე, გვ. 213-216.

92 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, ТБ., 1949, таб. 72 (1,2).

93. Соловьев Л., დასახ. ნაშრ., ტაბ. 73.

ცენტრალური ბორცვის პროტოკოლხური ფენებისათვის დამახასიათებელი იარაღია ქვის ცულები, რომლებიც 30 ცალამდეა აღმოჩენილი. ყველა მათგანი ერთი ტიპისაა. ხასიათდებიან მომრგვალებული თავითა და ნამახვილებული წვერით. მათ ეტყობათ სამუშაო წვერზე ხმარების კვალი (პირი ხმარებისაგან ატკეცილია). ქვის ცულებს მრგვალი ნახერეტი დატანებული აქვთ ზედა ნაწილში. ფიჩორული ქვის ცულების მიახლოებითი პარალელები ცნობილია საჩხერედან,[94] თერეგვანიდან[95] და ოჟორიდან.[96]

ცენტრალური ბორცვის კულტურულ ფენათა დათარიღებისას ძირითად საყრდენს წარმოადგენს თვით ძეგლის სტრატიგრაფია და კერამიკული მასალა. აგრეთვე ვხელმძღვანელობთ იმ კარგად შესწავლილი და გამოქვეყნებული ძეგლებით, რომელიც ცნობილია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე (ზურგა, ნოსირი III, ნამჭედური, ნაოხვამუ და ნანილობრივ ანაკლია I).

ფაქტობრივად ფიჩორის ცენტრალური ბორცვი დღეისათვის ერთადერთი ძეგლია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე, სადაც თანმიმდევრულად ეხვდებით ადრე (ოჩამჩირე), შუა (ანაკლია I და II) და გვიანი ბრინჯაოს (ნაოხვამუ, ზურგა) ხანის კერამიკას.

ცენტრალური ნამოსახლარის I კულტურული ფენა სინოპური კრამიტებით, მსხლისებრი მოყვანილობის დოქითა და მცირე აზიური თიხის ჭურჭლის იმპორტით კარგად თარიღდება ძვ.წ. IV-III საუკუნეებით.

როგორც აღვნიშნეთ, II ფენაში მრავლად აღმოჩნდა კანელურებით შემკული თიხის ჭურჭლები და ძველი კოლხური კერამიკის განვითარების II ეტაპის ყურები (რქისებრი ნაკვეთილი და ყურები, რომლებიც ნაბელილი ორკაპა ტოტის შთაბეჭდილებას ტოვებენ).

თ. მიქელაძეს კანელურები ძველი კოლხური II ეტაპის კერამიკის განმსაზღვრელად მიიჩნია.[97] ბ. კუფტინს ნაოხვამუს ზედა ფენა, სადაც აღმოჩნდა კანელუროვანი კერამიკა და ზოომორფული ყურები, მიაჩნდა სინქრონულად ყველაზე ადრეული ბერძნული კოლონიზაციის.[98] ე. გოგაძე ნოსირის ნამოსახლარის IV ფენას, რომელიც შეიცავს ამ ტიპის თიხის ჭურჭელს, მუხურჩის სამაროვანზე დაყრდნობით ძვ.წ. XI-IX სს. ათარიღებს.[99]

ვფიქრობთ, მოყვანილი პარალელების მიხედვით II კულტურული ფენა დავათარიღოთ ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრით. ამ მოსაზრებას რამდენადმე ამაგრებს თარიღი, რომელიც მოგვცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიამ: 2910 – 50 (ძვ.წ. 960 – 50წ., ხოლო შესწორებული ცხრილით 1098 წელი).[100]

ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III კულტურულ ფენაში უკვე თავს იჩენს და გაბატონებული ადგილი უკავია ძველი კოლხური I ეტაპის კერამიკის დამახასიათებელ ნიმუშებს (ნაძვისებრი, ნახევრად რკალური, ღარული ორნამენტის კომბინირება ერთმანეთთან და მათი სხვადასხვა ვარიანტით გადმოცემა). III ფენაში ჯერ კიდევ არა ჩანს პროტოკოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

ვფიქრობთ, აღნიშნული ფენა სინქრონულია, ნაოხვამუს (შუა, ქვედა), ზურგას (ძირა), აბედათისა და ნოსირი III-ის (შუა) ნამოსახლარებისა. იგი შეიძლება მიახლოებით დავათარიღოთ ძვ.წ. XIV-XII სს.[101]

IV ნახშიროვან-ბათქაშოვან კულტურულ ფენაში თავმოყრილია ძველი კოლხური (I ეტაპის) და პროტოკოლხური კერამიკის ნიმუშები (შევრონები, ფოსოები, ჭილოფის ანაბეჭდები, ბრტყელი ლენტური, სამკუთხედისებრად შებრტყელებული ყურები). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენაში შედარებით ჭარბობს პროტოკოლხური თიხის ნაწარმი, ვიდრე ნაოხვამუს ქვედა ფენისათვის დამახასიათებელი ნიმუშები.

---

94. ჯაფარიძე ო., ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, გვ. 91, ტაბ. XIII_4.
95. იქვე, გვ. 98, ტაბ. VIII_1.
96. იქვე, გვ. 98, ტაბ. XV_9.
97. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ.6 1974, გვ. 56.
98. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრ., გვ.152, 71-73.
99. გოგაძე ე., დასახ. ნაშ., გვ. 134.
100. აღნიშნული ფენა ტარტუს უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში დათარიღდა 2845 – 50 წ., ხოლო შესწორებული ცხრილით 2985 – 50 წლით. ამასთან ერთად, გეოფიზიკური მეთოდით ირკვევა, რომ ცენტრალური ბორცვის II კულტურული ფენა დაახლოებით სინქრონულია ფიჩორის № 2, 3, 4, 5 ბორცვების ქვედა ფენების და ტამიშის ნამოსახლარისა. სამუშაო შეასრულა დედამინის ფიზიკის საკავშირო კვლევით ინსტიტუტში კ. ბურაკოვსკიმ.
101. III კულტურული ფენის თარიღს რამდენადმე ემთხვევა თერმოლუმინისცენციის მეთოდით დათარიღება. ამ მეთოდით ფენა თარიღდება 3400 წლით (მიღებულია ტარტუს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში), ხოლო C_{11} 3070+30 წ., შესწორებული ცხრილით კი 3360+110 წ. (C_{14} თარიღი განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში).

IV ფენა შეიძლება ასაკობრივად რამდენადმე ადრეული იყოს, ვიდრე ნაოხვამუს (ძირა), ნოსირი III-ის (მეორე) და ანაკლიის დიხა-გუძუბა I-ის III-IV ფენები. ვფიქრობთ, ფიჩორის ბორცვის IV ფენაში არქაული იერის მქონე ელემენტები უფრო უხვადაა წარმოდგენილი, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე.

საეარაუდოა, რომ ცენტრალური ნამოსახლარის IV კულტურული ფენა ასაკობრივად თანადროულია ნოსირი III-ისა (I ფენა) და ანაკლია I-ის მეორე ფენისა.[102] იგი შეიძლება მივიჩნიოთ გარდამავალ ეტაპად შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე. ამდენად IV ფენა შეიძლება დავათარიღოთ შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულით და გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპით. ჩვენს მიერ მოტანილ თარიღს რამდენადმე ამაგრებს C_{14} და თერმოლუმინისცენციის მეთოდებით დათარიღება: C_{14} მოგვცა კალიბრირებული მეთოდით 3510 – 110 წ., ძვ.წ. XVII სს., ხოლო არაკალიბრირებულით 3290 – 40 წწ., ძვ.წ. XIV სს. თერმოლუმინისცენციის მეთოდით IV ფენის ასაკი განისაზღვრა 3470 წლით.[103]

V ნაცრისფერ-მოყავისფრო კულტურულ ფენაში უკვე მთლიანად გაბატონებული ადგილი უკავია პროტოკოლხურ კერამიკას. ამ ფენაში ვერ ვხვდებით ნაოხვამუს ქვედა ფენისათვის დამახასიათებელ თუნდაც ერთეულ ნიმუშებსაც. აქ, მართალია, გრძელდება IV კულტურული ფენის ჭურჭლის ფორმების ტრადიციები, მაგრამ შედარებით ცვლილებები ხდება ორნამენტაციაში. მრაელდება და ჩნდება ყურების სხვადასხვა ვარიანტები.

V ფენა მიგვაჩნია ანაკლია I-ისა და ფიჩორი №6 ბორცვის ფენების სინქრონულად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის C_{14} ლაბორატორიამ ამ ფენის თარიღი კალიბრებული მეთოდით 3800 – 103 (1880 წ.), ხოლო არაკალიბრებული 3540 – 55 (ძვ.წ. 1590 წ.) განსაზღვრა. მოცემული ფენა თერმოლუმინისცენციის მეთოდით დათარიღებულია 3775 წლით.

VI ფენა ძირითადად იმეორებს V ფენის კერამიკის ფორმებს, ორნამენტაციას, მაგრამ ამასთან ერთად ჩნდება ახალი ნიმუშები, რომელიც დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ადრეული პერიოდის ნამოსახლარებისათვის (ჯიბისებრი მინაძერწები, მცენარის ანაბეჭდიანი ძირები, შავპრიალა თიხის ჭურჭლები და ყურები, რომლებიც ჭურჭლებშია მიმაგრებული წინა შვერილებით), გარკვეული შეხების ნერტილებია ბრინჯაოს ისრისპირით კიურ-დერეს დოლმენებთან. აღნიშნული ფენა, ვფიქრობთ, უკვე სცილდება ანაკლია I-ისა და ნოსირი III-ის ძირა ფენების ქრონოლოგიურ საზღვრებს და იგი შესაძლოა დათარიღდეს შუა ბრინჯაოს საწყისი ეტაპით.

VII-VIII კულტურულ ფენებში გავრცელებულია პროტოკოლხური I-II ეტაპის კერამიკის ნიმუშები. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებისათვის დღემდე უცნობი ბრინჯაოს თოხები, ყუამილიანი ცულებისა და თოხების ყალიბები და სხვა ნივთები. როგორც აღვნიშნეთ VIII კულტურულ ფენაში აღოჩნდა ხის სახვნელები, გიშრისა და დომინისებრი მძივები. აქვე გავრცელებულია შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები კერამიკა.

ვფიქრობთ, VII კულტურული ფენა ასაკობრივად თანადროულია ისპანის ნამოსახლარის (ზედა), კიურ-დერეს დოლმენებისა (ქვედა) და მაჭარის ნამოსახლარის III ფენისა.

რაც შეეხება VIII კულტურულ ფენას, მისი ასაკი შეიძლება მივუახლოოთ ოჩამჩირის, ისპანის (ქვედა) და გუმისთა I-ის ნამოსახლარებს.

ჩვენს მოსაზრებას ემთხვევა C_{14} თარიღები, VII-VIII კულტურული ფენებიდან: კალიბრირებული – 4296 – 109 (ძვ.წ. 2346 წ.); 4710 – 108 (ძვ.წ. 2710 წ.), ხოლო არაკალიბრული – 3915 – 60 (ძვ.წ. 1965 წ.) და 4245 – 60 (ძვ.წ. 2295 წ.).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მოგვეცა ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალურ ბორცვზე თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე უწყვეტი ცხოვრების საერთო სურათი.

ვფიქრობთ, ცენტრალური ნამოსახლარები, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ სხვა ხელოვნურ ბორცვებთან ერთად მეტად საინტერესო მასალებს იძლევა პროტოკოლხური და ძველი კოლხური კერამიკის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

---

102. ანაკლია I-ზე კუფტინმა ოთხი კულტურული ფენა გამოყო და მიაკუთვნა ისინი შუა ბრინჯაოს ხანას. ვფიქრობთ, აღნიშნული ნამოსახლარის III-IV ფენები რამდენადმე დაძველებულია, რადგან აქ კარგად ჩანს ისეთი ფორმები და დეკორი, რომელიც საკმაოდ განვითარებული გვიანი ბრინჯაოს ეტაპის თიხის ჭურჭლებისთვისაა დამახასიათებელი (შვერონები, ღარული და საეარცხლისკბილეული ორნამენტი). გეხვდება ასევე ნაძვისებრი შემკობა და ორმაგი ფესტონები. მოყვანილი ორნამენტები ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით არ გადადის შუა ბრინჯაოს ხანაში. ალბათ, უფრო მისაღებია ანაკლიის III-IV ფენების გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპით დათარიღება.

103. ცენტრალური ბორცვის II-V ფენები თერმოლუმინისცენციის მეთოდით განსაზღვრა გ. ხოუტმ ტარტუს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

ფიჩორი, ბორცვი №2

ნასახლარი მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით 100 მ. მანძილზე მეორე რიგის ელიფსური ფორმის შემაღლებაზე (H – 1,7 მ). თხრილი ზომით 22x34 მ. აღმოსავლეთ-დასავლეთი ორიენტაციით შემდეგ სურათს გვაძლევს. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა ბათქაშოვანმა მოედანმა, რომლის ფართობი 200 მ². სისქე კი 0,5 მ. აღწევდა და მკეთრად იფარგლებოდა ყოველი მხრიდან. ბათქაშები მასიურია, ატარებს ცეცხლის ძლიერ კვალს და ზოგჯერ ნიდადაა ქცეული. ბათქაშოვან მოედანს ქვემოთ უდევს 30 სმ. სისქის მოყვითალო თიხნარის ფენა ნახშირის ჩანანინწლებით. თიხნარი ფენის ქვეშ დაფენილია 0,3-0,5 მ. სისქის მეორე ბათქაშოვანი ფენა, რომელიც წარმოქმნილია წვრილი, ფხვიერი და მასიური ბათქაშებით, ჰორიზონტი ყველაზე ინტენსიურია ბორცვის ცენტრალურ ნანილში, რომელიც პერიფერიისაკენ თხელდება. იგი დაფენილია თხელ ნახშიროვან ფენაზე, რომელსაც მოყავისფრო თიხნარი უდევს ქვეშ (სისქე 0,4-0,5 მ). თიხნარის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა მესამე ბათქაშოვანმა ფენამ (სისქე 0,5-0,6 მ), რომელიც წარმოდგენილი იყო ბრტყელი, ფილისებური ბათქაშით და ეკავა 30 მ². ფართობი. როგორც ჩანს საქმე გვაქვს ერთ ნაგებობასთან. კედელი ჩაწოლილია დამრეცად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ზემოდან ადევს მართკუთხა ფორმის (5 x 5 მ), ხის ძელებით წარმოქმნილ კონსტრუქციას. საყურადღებოა, რომ უშუალოდ მესამე ბათქაშოვანი ფენის ქვეშ დაფენილია მოყვითალო, მონაზვინი თიხნარი (სისქე – 0,3 მ), რომელიც თავის მხრივ ადევს მონაცრისფრო თიხნარს, რომელიც შეიცავს მცირერიცხოვან მასალებს. ეს დონე უშუალოდ ადევს გრუნტს ბორცვის ათვისების ასაკი სნორედ ამ პერიოდით (ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედი) უნდა განისაზღვროს. ქრონოლოგიურად ამ მასალებს მოსდევს მესამე ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარი. იგი ფერად მონითალოა, იშვიათად მურა. ქოთნის პროფილები წარმოდგენილია სადა ან შესქელებულბაკოიანი ნატეხებით. გვხვდება პირმოყრილი ან ბრტყელბაკოიანი დერგების, მცირე ზომის კოჭბების, ნახნაგოვანპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს ჭურჭლები ჩვეულებრივ მხართან შემკულია ირიბი ჭდეებით ან ღარებით. ყურები ზოომორფული, ირიბად ნაკვეთილია ან მრგვალნახვრეტიანია და სადაა. ამ უკანასკნელებს ნახნაგოვანი განიკვეთი და უნაგირისებურად შეზნექილი გარეთა ზედაპირი ახასიათებს. ამ ფენაში განსაკუთრებით აღსანიშნავია თხელკეცციანი, მონითალო ან მოყვითალო, მსუბუქად ნაპრიალები კარგად გამომწვარი ფრაგმენტები. კეცის მიხედვით მსგავსი ჭურჭელი არ არის დამახასიათებელი კოლხური კერამიკისათვის. ორნამენტაციაში ჭარბობს ირიბი ჭდეები, ფოსოები, ტეხილხაზოვანი სახეები და ღარები.

მეორე ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარი ძალზე მცირეა. აღსანიშნავია ოთხკუთხა განივკვეთიანი ქვევრისპირი, პირმოყრილი და ნახნაგოვანი. დერგები შემკული ირიბი ჭდეებით ან ბადისებრი ორნამენტით, – არის ქოთნის ფრაგმენტები, ყელჩაღარული, მსუბუქად გაშლილი. ერთ მათგანს ტანზე რელიეფური კლაკნილი გველის გამოსახულება ამკობს. ყველა მათგანი ღარებითაა შემკული. ჭურჭლის ყურები ორი ტიპისაა: ზოომორფულშვერილიანი შუაში უნაგირისებური ჩაღრმავებით, გარეთა მხრიდან დახრილიხაზებით შემკული და ოვალურნახვრეტიანი და განიკვეთიანი პირისაკენ აზიდული. მასალა ერთგვარ შერეულ ხასიათს ატარებს და შეიცავს ადრე და ნინარეანტიკურ იერს.

ყველაზე მრავალრიცხოვანი პირველი ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარია. ქვევრისპირები – ოთხკუთხაგანიკვეთიანია, გარედან ბადისებრი ან ირიბი ჭდეებით შემკული. დერგისპირები ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: სამკუთხაგანივკვეთიანი (ისრისებრი) და სქელკედლიანი, გარეთ გატანილი შებრტყელებული. პირველი შემკულია სამმაგი ტეხილით, მეორე კი ირიბი ჭდეებით. ქოთნისპირები სადა, მსუბუქად შესქელებული, ნახნაგოვანი ან მომრგვალებულია. ჩვეულებრივ შემკულია ღარებით ან ირიბი ჭდეებით. პირმოყრილი ჭურჭელი წარმოდგენილია დერგებით და მცირე ჯამებით. ერთ-ერთ მათგანს პატარა ოვალურნახვრეტიანი ყური ამკობს. ფენაში წარმოდგენილია შავზედაპირიანი ვერტიკალური ფართო კანელურებით შემკული ქვევრის კედლები კანელურებს შორის სივრცე ჰორიზონტალური ნაკაწრი ხაზებითაა შემკული. ამ ტიპის ქვევრები ჩნდება მხოლოდ ადრეანტიკური ხანიდან და წინა პერიოდში მათი არსებობა არც ერთ ძეგლზე დაფიქსირებული არ არის. სასმისების ჯგუფი წარმოდგენილია ქუსლგამოყვანილი, ჭიქისებრი ან კონუსისებრი ძირებით. ხუფები მხრებჩამოშვებულია, ქუსლიანი, ზემოდან კოპისებრი შვერილით. ყველაზე მრავალრიცხოვანია ყურები. მათში შვიდი ჯგუფი გამოიყოფა. მრგვალგანივკვეთიანი და ნახვრეტიანი პატარა ყურები (1); ოვალურნახვრეტიანი და განივკვეთიანი, ზემოთ აზიდული (2); ყურები ლილვისებური, ირიბი ჭდეებით შემკული, დანაძერწებით (3); ზოომორფული, ირიბად ნაკვეთილი შვერილებით (4); მრგვალნახვრეტიანი, ნახნაგოვანგანივკვეთიანი უნაგირისებრი შეზნექილობით გარეთა მხარეს (5);

ჰორიზონტალური მასიური (6); ყურები პირთან უშუალოდ მიერთებული და ზემოთ აზიდული (7). ფენაში დადასტურებულია რამდენიმე საქმენი მილის ფრაგმენტი და ბრინჯაოს ნაღვენთი და წიდა.

ფენის დასათარიღებლად განმსაზღვრელი ჩანს კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, რომელიც ბორცვის არსებობის ზედა საზღვარს ადრეანტიკური ხანით (ძვ.წ. VI-V სს.) განსაზღვრავს. არ არის გამორიცხული მისი რამდენადმე გაახალგაზრდავებაც.

ფიჩორი, ბორცვი №3

ფიჩორი, ბორცვი №3 მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით 50 მ მანძილზე, პირველი რიგის ელიფსური ფორმის შემაღლებაზე. აქ გაითხარა 400 მ². ფართობი და თითქმის მოიცვა მთელი ბორცვი. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდგომ თავი იჩინა მოყავისფრო ბათქაშნარევმა თიხნარმა (სისქე 0,4-0,5 მ), რომელიც ზემოდან იყო დაფენილი მონაცრისფრო თიხნარზე, რომელშიც შერეული იყო ნახშირის ჩანაწინწკლები (სისქე 0,6 მ). ფენის ქვედა დონე დიდი რაოდენობით შეიცავდა ბათქაშს და ნახშირ-ბათქაშოვანი დონის შთაბეჭდილებას ქმნიდა. იგი ზემოდან ედო თავზე მოყვითალო-მოცისფრო თიხნარს, გრუნტს. საყურადღებოა, რომ ბათქაშოვან ფენაში (I კულტურული ფენა), ზედაპირიდან 0,7 მ. სიღრმეზე დაფიქსირდა მოყვითალო თიხატკეპნილი იატაკი. აღსანიშნავია, რომ თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტები ფიქსირებულ იქნა II ფენაშიც.

II ფენის კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ფართო ვერტიკალურ-კანელურიანი ქვევრის გვერდებით, კონუსისებრძირიანი და ქუსლგამოყვანილი სასმისების ძირებით, ბრტყელბაკოიანი, ბადისებრი ორნამენტით შემკული ქვევრის პირებით, კოლხური სასმისების ზედაპირორნამენტირებული ფრაგმენტებით, პირმოყრილი ჯამების და დერგების პროფილებით. ორნამენტაციაში ვხვდებით ღარებს, ფოსოებს, სავარცხლისკბილისეულ და ირიბ ჭდეებს, გადაბმულ სპირალების რიგს და სხვა. ყურები წარმოდგენილია ჩვეულებრივი მრგვალნახვრეტიანი, კედელთან უნაგირისებური შელრმავებით, ოთხკუთხა განიეკვეთიანი, გარეთ შეზნექილი, ზოომორფული ირიბი წაკვეთილი შვერილებით, მრგვალხვრელიანი ზემოდან ლილვაკისებრი დანაძერნებით, ზოგჯერ ირიბი ჭდეებით. მთელი მასალა იმდაგვარია, რომ მისი მიკუთვნება ადრეანტიკური ხანისთვის ეჭვს არ ინვევს. უდაოდ აღსანიშნავია, რომ I და II ფენებს შორის გამყოფი სტერილური შრე არ შეინიშნება და 0,7-0,8 მ. სიღრმეზე ამ მასალებს თანდათანობით ერევა წინარეანტიკური ხანის ფორმები. ხოლო მის ქვემოთ მხოლოდ წინარეანტიკური ხანის ტიპიური კერამიკაა გავრცელებული. სრულიად ქრება კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, კონუსურძირიანი სასმისები, ბრტყელბაკოიანი, ბაკოორნამენტირებული ფრაგმენტები, პირდაჭდეული დერგები და სხვა. ამასთანავე შეიმჩნევა ქვის სამეურნეო იარაღის სიმრავლე (ხელსაფქვავები, საბეგველები, სანაყები) და ბრინჯაოს უსახური ნივთები. აღნიშნული ფენის სიმძლავრე არაა მაინდამაინც დიდი (დაახლოებით 0,4 მ), რის გამოც შესაძლოა იგი რამდენადმე წინ უსწრებდეს შერეული კომპლექსების არსებობის ხანას (ძვ.წ. VIII ს.) და მისი ქვედა საზღვარი ძვ.წ. VIII ს. სიღრმეში არ უნდა მიდიოდეს.

ფიჩორი, ბორცვი №4
(ტაბ. XXX-XXXVII)

ფიჩორის ნასახლარის №4 ბორცვი მდებარეობს ცენტრალური გუძუბას ჩრდილოეთით 80 მ. მანძილზე მეორე ზოლის შემაღლებაზე. მას აღმოსავლეთიდან დასავლეთით წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს, სიგრძით 140 მ., სიგანე 40 მ. დასავლეთის მხრივ იგი პატარა ყელით გამოყოფილია №3 ბორცვიდან. სამხრეთიდან მას №5 ბორცვიდან გამოყოფს 10 მ. სიგანის არხის ნაკვალევი. ბორცვზე გაელებულ იქნა 70 მ. სიგრძის და 10 მ. სიგანის თხრილი, რომელმაც შემდეგი სურათი მოგვცა. კორდოვანი ფენის (0,3 მ.) ქვეშ დაფენებულია მოყვითალო თიხნარი წვრილი ბათქაშნარევი (0,5 მ). მის ქვეშ მოშავო-მონაცრისფრო ბათქაშნარევი თიხნარი (0,6 მ). ორივე დონეზე ბათქაშები უსისტემოდაა გაფანტული და მხოლოდ პატარა ყრილების სახითაა წარმოდგენილი. ორივე დონეზე პრინციპში ერთგვაროვანი მასალაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების სახით. პროფილების მიხედვით გამოიყოფა ფართოპირიანი, ბაკოდაჭდეული დერგები მხართან ირიბი ჭდეებიანი ან რელიეფურგრეხილი სარტყლით (I ტიპი), მცირე ზომის დაბალი ჩაღარული ყელით, ბაკომომრგვალებული და გადმოკეცილი (II), მაღალი, სნორყელიანი მრგვალპირიანი, ჩვეულებრივ მხარზე გეომეტრიული

ორნამენტით. ქვევრები ხასიათდება ბრტყელბაკოიანი ან მომრგვალებული პირით. ქოთნები წარმოდგენილია თხელკედლიანი ფრაგმენტებით და ჩვეულებრივ პირგაშლილია მომრგვალებული ბაკოთი ან დაბალყელიანი, მსუბუქად გაშლილი პირით. კოჭბები წვრილი სიგრძივი კანელურებითაა შემკული და ზოგჯერ ქუსლიანი ძირით ხასიათდებიან. პროფილების მიხედვით გამოიყოფა ტოლჩების, სასმისების, ჯამების, ქილების, ხუფების და სხვა ნატეხები. შეინიშნება ჭურჭლის ყურების სიმრავლე, რომლებშიც ექვსი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ზოომორფული ყურები ნაკეთილი რქისებრი შვერილებით, უნაგირისებური, მრგვალნახვრეტიანი და განიკეთიანი მინიატურული ყურები, მომცრო სასმისების პირთან მიერთებული ბრტყელგანივკეთიანი, სადა, მორკალული ყურები, იშვიათად კოპებით შემკული და ყურმილიანი ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელები გეხვდება ორივე დონეზე, რაც კარგი საბუთია მათი გამოჩენის ასაკის განსაზღვრისათვის. ძირები ორი ტიპისაა – ბრტყელი, სადა, ზოგჯერ შიდა მხრიდან კოპით ან ქუსლიანი (ჩვეულებრივ სასმისის ფორმის ჭურჭლის).

საინტერესო მასალებია მოპოვებული ბრინჯაოს მეტალურგიის შესასწავლად. ქვედა დონეზე აღმოჩნდა ბრტყელი ცულის და ყუნწიანი სატევრის 2 ნაკლული ყალიბი, გამდნარი ლითონის ჩასასხმელი ჭურჭელი, საბერველი მილები.

არც ერთ კოლხურ ნამოსახლარს არ მოუცია იმდენი ლითონის იარაღი, რაც ფიჩორის №4 აღმოჩენილი და ყველა მათგანი მეორე დონესთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ ორ კოლხურ ცულს (I ტიპი ო.ჯაფარიძის კლასიფიკაციით), შუბისპირს, მრავალწახნაგა სატეხს (3ც.), სეგმენტებს (2ც.), ეჩოსებრ 3 თოხს, ბრინჯაოს ხვიებს, ფირფიტის და კირკალის ფრაგმენტებს. მთელი ეს მასალა კარგად არის ცნობილი კოლხური ლითონის სახით და კიდევ ერთ საბუთს წარმოადგენს კერამიკისა და ლითონის სინქრონიზაციისათვის.

ფენაში მრავლადაა ქვის ინვენტარი. მათ შორის აღვნიშნავთ ხელსაფქვავებს, საბეგველ-სანაყ და სალეს ქვებს, კაჟის ქუსლამოღარულ ისრისპირებს, ნამგლისჩასართებს და სხვა.

მონაპოვარი მასალის ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი აშკარად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძეგლთან გვაქვს საქმე. მისი ქრონოლოგიის გასარკვევად უპირველეს ყოვლისა კოლხეთის ცნობილ ნამოსახლართა მონაცემებს ვითვალისწინებთ. ზედა დონის მასალების (სამწახნაგანიკეთიანი ლანგრები, ყურმილიანი დოქები, ქვევრები და სხვა) მსგავსება ადრეანტიკურ ძეგლებთან, განსაკუთრებით „სიმაგრის" ნამოსახლართან, უფლებას გვაძლევს ნამოსხლარის არსებობის ზედა ზღვარი ძვ.წ. VI ს-ით იყოს განსაზღვრული. არ არის გამორიცხული ამ თარიღის რამდენადმე გაახალგაზრდავება. რაც შეეხება ნამოსახლარის ქვედა საზღვარს იგი ლითონის იარაღის გათვალისწინებით ძვ.წ. VIII ს. მაინც უნდა განისაზღვროს. შესაძლოა ქვედა თარიღი ძვ.წ. IX ს-ის მეორე ნახევარსაც კი მოიცავდეს.

ფიჩორი, ბორცვი №6
(ტაბ. XXXIX-XLII)

ფიჩორი, ბორცვი №6 მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ერთმანეთისგან მხოლოდ 10 მ-მდის სიფართის თხრილი ჰყოფთ. ბორცვი ნასახლარის მთელ სისტემაში განცალკევებით დგას. იგი ფაქტობრივად ერთადერთია, რომელიც ერთფენიანია და ამასთანავე ქრონოლოგიურად საკმაოდ ადრეული და ძვ.წ. I ათასწლეულის მასალა აქ ჩანს.

ბორცვი დაბალია 1მ სიმაღლის, მომრგვალებული ფორმის. წარმოდგენილია უშუალოდ გრუნტზე დაფენილი უსისტემო, ბათქაშოვანი გროვების სახით, რომელიც შეიცავს ნახშირის ჩანანინწლებს და ნაცროვან შრეს. მონაპოვარი მასალა ძალზე მრავალრიცხოვანია და წარმოდგენილია პროტოკოლხური II ეტაპის დამახასიათებელი ფორმებით და ორნამენტით. ეს არის მოზრდილი დერგები მხარზე რელიეფური სარტყლებით ნათითური და ჭრილი ანაბეჭდებით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ყურები, კოპისებრი თუ ჯიბისებრი მინაძერწები, ჭილოფის ანაბეჭდიანი მასიური ძირები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შავპრიალა ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძები ბრტყელი, მოგრძო ლენტური ყურების სახით. მასალა ფაქტობრივად ზუსტად იმეორებს ფიჩორი I-ის V ფენის მონაპოვარს და ქრონოლოგიურად ძვ.წ. XVII-XVI სს. უნდა ეკუთვნოდეს.

ბორცვი №6 კიდევ ერთი მომენტით იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ნასახლარი გამართულია უშუალოდ გრუნტზე, რაც შეეფარდება ფიჩორი I-ის VIII ფენის იატაკის დონეს. ამკარაა, რომ №6 ბორცვზე მოსახლეობის გაჩენის პერიოდისათვის არის მშრალი ადგილი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით სამუშაოებს მოზვინვის თუ საამშენებლო მოედნის მომზადების თვალსაზრისით. ამავე

დროს ამგვარი, ძალზე შრომატევადი სამუშაო შესრულებულია ცენტრალურ ბორცვზე. თუ რატომ არ იქნება გამოყენებული თავდაპირველი დასახლებისათვის, ეს მშრალი ადგილი ძნელი ასახსნელია. ძალზე ძნელი ნარმოსადგენია, რომ ეს მშრალი ადგილი გაჩნდა რამდენადმე გვიან პერიოდში.

ფიჩორი, ბორცვი №8
(ტაბ. XXXVIII)

ფიჩორის ნამოსახლარის №8 ბორცვი მდებარეობს ცენტრალური ბორცვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 160 მ. მისი სიმაღლე 1 მ-ს აღწევს, ფართობი კი 35 X 30 მ². ბორცვს გარს უვლის ნამოსახლარის ირგვლივ გამავალი ხელოვნური თხრილი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ნასახლარის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთთან გვაქვს საქმე. ბორცვზე გავლებულმა თხრილმა (10 X 10 მ²) გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს ფაქტობრივად ერთფენიან ძეგლთან, რომელიც წარმოდგენილია 15 სმ. სისქის მონითალო ბათქაშოვანი ფენის სახით. ფენაში შესულია ნახშირის ჩანაწინწკლებიც.

მონაპოვარი მასალა საკმაოდ მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლების ფრაგმენტებით. ფერად მურა-მოვარდისფროა, იშვიათად მოვარდისფრო. დამზადებულია ჩარხზე ნვრილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისგან. ვხვდებით ჭურჭლის ძირებს, უპირატესად ბრტყელი, ტანზე კუთხოვანი გადასვლით. იშვიათია ქუსლიანი, კოჭბისებრი სასმისების ძირები. აღსანიშნავია, რომ მთლიანად აღსდგა ამგვარი ჭურჭლის პროფილი, მხარზე ყურით. ყურები რამდენიმე ტიპისაა. ვხვდებით ყურმილიან ფრაგმენტებს, ოვალურ ან მრგვანახვრეტიან ყურებს, ჩვეულებრივ ზემოდან დაძერნილი რელიეფური ირიბი ჭდეებით შემკული ლილვაკით. არის მრგვალნახვრეტიანი, გვერდზე უნაგირისებურად ჩაზნექილი ყურები. ეს უკანასკნელი ანალოგიურია პალურის „საძვლისა" და დაბლაგომის ზედა ფენაში ცნობილი მასალების. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაფის ფორმის ჭურჭლის სწორმხრიანი, ოვალურნახვრეტიანი ყური, რომლის ანალოგებს უფრო ელინისტური ხანის საქორქიოს ბათქაშოვანი მოედნების მასალებში ვხვდებით. როგორც ჩანს, ამავე პერიოდის შეიძლება იყოს სამი ფოლაქისებრი ძირი, რომლებიც პატარა ამფორისკებს უნდა ეკუთვნოდეს.

მოზრდილი ჭურჭელი ნარმოდგენილია ბრტყელი, სამწახნაგა განიკვეთიანი პირგადმოკეცილი დერგის პროფილებით, რომელთა ბაკო ირიბი სავარცხლისებრილისეული ნაჭდევებითაა შემკული. ანალოგიური ჭურჭელი სპეციფიურია ადრეანტიკური ხანის კოლხეთისათვის. როგორც ჩანს ამავე პერიოდს უნდა დაუკავშირდეს მოზრდილი პირქობიანი, მკვეთრტეხილიანი ფრაგმენტებიც და შავი ფერის კოლხური ქვევრების ნატეხები.

საშუალო ზომის ჭურჭელი უპირატესად მაღალ ცილინდრულყელიან ჭურჭელს ეკუთვნის, რომელსაც ქობიანი პირი ახასიათებს. ერთ მათგანს რელსისებური პირი აქვს, რითაც ასევე ადრეანტიკურ ნანარმს მოგვაგონებს. არის მსუბუქად პირმოყრილი ჯამის და პატარა ქოთნის პროფილები. მსგავსი პროფილები ნინარე და ადრეანტიკურ კერამიკას ახასიათებს.

მონაპოვარში რამდენიმე არქაულად გამოიყურება სოლისებურპირიანი, ხეხვით მიღებული მრგვალნახვრეტიანი ორი ქვის ცული, რომლებიც ფიჩორი I მეხუთე და ფიჩორი VI მასალებს უკავშირდება და შუა ბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. შესაძლოა ისინი მოხვედრილი არიან ფენაში, სხვა, ადრეული ფენებიდან, თუმცა ძეგლზე არქაული ფენები არ ჩანს. საყურადღებოა, რომ მსგავსი სურათი გვაქვს განმუხურის ბორცვზეც, სადაც ძ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფენაში ასევე ვხვდებით მსგავს ქვის ცულებს და რამდენიმე არქაული კერამიკის ფრაგმენტებს.

პარალელური მასალების გათვალისწინებით ბორცვზე ცხოვრება, როგორც ჩანს იწყება ძ.წ. VI ს-თვის და მთავრდება ძ.წ. IV ს-ის დასაწყისისათვის.

ფიჩორი, ბორცვი № 5, 7, 9, 10.

ბორცვები განლაგებულია ფიჩორი I სამხრეთით და აღმოსავლეთით 100 მ. მანძილზე მიმდებარე ტერიტორიაზე. ყველა მათგანი შემოწმებული იქნა შურფებით (2 x 2 მ). გაირკვა, რომ ყველა ბორცვზე ფაქტობრივად ერთგვაროვანი სურათი გვაქვს და დასტურდება ძ.წ. I ათასწლეულის სამი ქრონოლოგიური პერიოდის არსებობა – ელინისტური ხანა, ადრეანტიკური და წინარეანტიკური. ამ უკანასკნელ ფენაში ორი ჰორიზონტის მასალები გამოიყოფა. ზედა ჰორიზონტი შეიცავს ე.წ. შერეულ კომპლექსებს, რომელიც წინ უსწრებს ადრეანტიკურ ხანას. აშკარაა, რომ ნამოსახლარი

ბორცვები ფაქტობრივად სინქრონულადაა აღმოცენებული ცენტრალური ბორცვიდან ჭარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად. ეს პროცესი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისზე მოდის.

მონაპოვარი მასალა ფიჩორის ნასახლარის სხვა ბორცვების ინვენტარის ტიპიურია. ამდენად განმეორებისგან თავს ვიკავებთ და მასალის დახასიათებას აღარ ვიძლევით. დამატებით აღვნიშნავთ, რომ მეხუთე ბორცვის ბათქაშოვან ფენებში შეინიშნება განსაკუთრებით ძლიერი ხანძრის კვალი. ამ ბორცვის ქვედა ფენაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი სეგმენტი და შუბისპირის (?) ფრაგმენტები.

ნაკარღალის ნამოსახლარი
(ტაბ. XLVII)

ნაკარღალის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის სამხრეთ-აღმოსაელეთით 45 კმ-ზე, ზღვიდან 5 კმ-ზე ჩრდილოეთით, სოფ. ფიჩორის განაპირა ჩრდილო-აღმოსაელეთ ნაწილში. მიკვლეულია ხელოვნური ბორცვების სისტემა, რომელიც შედგება ექვსი ბორცვისაგან, ცენტრალური გუძუბა (4,5 მ) დაზიანებულია სანახევროდ, თუმცა შეინიშნება ბორცვის ირგვლივ გამავალი ხელოვნური თხრილის კვალი. აღსანიშნავია, რომ ნაკარღალი მდებარეობს ფიჩორის ნასახლარიდან მომდინარე არხის პირზე და როგორც ჩანს, ერთი არტერიის ნაწილს წარმოადგენს. ბორცვზე გავლებული იქნა სადაზვერვო თხრილი ზომით 4 x 6 მ-ზე. დაფიქსირდა ცხრა გეოლოგიური ფენა, რომელთაგან ექვსი კულტურულ ნაშთებს შეიცავს, სამი კი სტერილური, მონაზვინი შრეებია.

ბორცვის I, II და III ფენების კერამიკა (ნუმერაცია მიღებულია ზემოდან ქვემოთ) ხელითაა ნაძერწი, ნვრიმარცვლოვანი, ხრეშნარევი თიხისაგან. ფერად რუხი ან ნაცრისფერია. გავრცელებული ჩანს ვერტიკალური, წყვილადი და ჰორიზონტალური, ბრტყელი ყურებიანი ქილები, ქოთნები, ჯამები. შემკობაში ვხვდებით ჰორიზონტალურ ფოსოებს, თითის ანაბეჭდიან რელიეფურ სარტყლებს და ნიწოვან, ნაკანრ ორნამენტს. არის ჭილოფის ანაბეჭდიანი ძირებიც. ანალოგიური მასალა ძირითადად ფიჩორის IV და V ფენებშია წარმოდგენილი, რის გამოც ჩანს, რომ I-II ფენების მასალა გარდამავალი ეტაპის კუთვნილი უნდა იყოს, ხოლო III ფენისა კი პროტოკოლხური II დასასრულს უნდა მიეკუთვნოს.

IV-VI ფენების კერამიკაც ხელითაა ნაძერწი, თუმცა შედარებით ტლანქია და უხეში. ზედაპირი ხაოიანია და ემჩნევა ნაფოტით მოსწორების კვალი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების სახით. ამ დონეზე განაგრძობს არსებობას ნათითური ფოსოები და ჯიბისებრი დანაძერწები, ჭარბობს ჰორიზონტალური, წყვილადი და გრძელღეროიანი ლენტური ყურები. იშვიათია შავპრიალა ნაწარმი. ფენაში აღმოჩენილია თიხის კვირისტავები და შურდულის ქვები.

აღნიშნული ფენების მასალა ყველაზე ახლოს დგას ფიჩორი I-ის V ფენის მონაპოვართან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აქ ვერ ვხვდებით ფიჩორი I-ის VI ფენის შესატყვის მასალებს. აქედან აშკარაა, რომ ძეგლის ქვედა საზღვარი პროტოკოლხურის II ეტაპს ვერ გასცდება.

ბორცვი „აბაჟუ"

ბორცვი „აბაჟუ" მდებარეობს გალის რაიონის სოფ. პირველი გალის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი ფაქტობრივად ყველაზე მაღალი ადგილია მომიჯნავე ტერასებს შორის და აქედან იშლება ხედი მთელი კოლხეთის დაბლობის ზღვის სანაპირო ზოლამდის (მანძილი ზღვამდის 35 კმ.). აღსანიშნავია, რომ სნორედ, ამ ტერიტორიაზე მდ. ერისწყლის და ოქუმის ხეობებით გადადიოდა გზები სვანეთსა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. როგორც ჩანს სნორედ ამ გზას აკონტროლებდა ბორცვის თხემზე შემორჩენილი გვიანფეოდალური ხანის მოზრდილი ციხის ნაშთები. თვით სახელწოდება „აბაჟუ", რაც საბაჟოს ნიშნავს, ამ ფაქტის დამადასტურებლად ჩანს.[104]

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნამოსახლარი მდებარეობს „აბაჟუს" დასავლეთ კალთაზე, შეკავებულ ტერასაზე, რომელიც ბორცვის თხემიდან ჩამოშლილი ფენით და მოგვიანო, უინვენტარო სამარხების ჩაშვების შედეგად ნაწილობრივ აზიანებს ნამოსახლარს. მართალია ძეგლი ბოლომდე

104. არის ამ ტოპონიმის ახსნის მეორე ვარიანტიც: „აბაჟუ" ძველ ციხეს ნიშნავს აფხაზურად და ზოგიერთი ამ ტოპონიმს სნორედ აფხაზური ენით ხსნის (ბ. შამბა, ი. ცვინარია, მ. გუნბა). მაგრამ XVII ს. უადრესი ფენა არ ჩანს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მისთვის „ძველი ციხის" სახელის დარქმევას. არქეოლოგიური მონაპოვარი არავითარ კავშირში არ არის ციხის კომპლექსთან.

გათხრილი არ არის, მაგრამ სადღეისო მონაცემებით უაღრესად საყურადღებოა და საინტერესო. მსგავსი არქიტექტურის მქონე ნამოსახლარი ჯერჯერობით უცნობია.

როგორც ჩანს ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისთვის „აბაჟუს" ტერასაზე თიროვან ნიადაგში ჩაჭრილია მოზრდილი სათავსო. გამოვლენილია სათავსოს ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები ერთმანეთის პარალელურად არის კლდეში ამოკვეთილი. ჩრდილოეთის კედლის სიმაღლე 3,8 მ. აღწევს, სამხრეთის კი 1,95 მ. მათ შორის მანძილი 12 მ-ს აღწევს. გამოვლინდა მათი შემაერთებელი აღმოსავლეთის კედელიც, რომელსაც ტეხილხაზოვანი მოყვანილობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ სათავსოს შიდა ფართი 600 მ². აღემატება (15,5 x 22 x 12 მ-ზე) დასავლეთის კედელი ჯერჯერობით არ ფიქსირდება. შესაძლებელია ამ მხრიდან სათავსოს ღია შესასვლელი ქონოდა. კედლების თავზე წარმოქმნილ სპეციალურად მოსწორებულ მოედნებზე შეინიშნება ხის ბოძების და სარების ბუდეები. როგორც ჩანს სათავსოს ზედა ნაწილი ხის არქიტექტურით იყო წარმოდგენილი. იატაკი კიროვანია საკმაოდ მოსწორებული. მასზე დაფენებულია მოშავო-მონაცრისფრო, ნახშირის ჩანანინწკლებით კულტურული ფენა. მასში არქეოლოგიური მასალა ერთეული, უსახური ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ისინი მოშაო-მონაცისფროა და იერით უკავშირდება ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების კოლხურ ნაწარმს. როგორც ჩანს, ეს პერიოდი უნდა განსაზღვრავდეს სათავსოს გამართვის ასაკს. ძეგლის ზომები, ორიგინალობა თითქოს იქითკენ მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს საკულტო-სარიტუალო ნაგებობასთან.

აღნიშნული ფენის თავზე, სათავსოს პირამდის ფიქსირდება, რამდენიმე ბათქაშ-ნახშიროვანი დონე. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში გამოვლინდა რიყის ქვარგვალების ფენილი, შესაძლოა იატაკის მომზადება. მოპოვებული მასალა ძალზე მრავალრიცხოვანია და წარმოდგენილია ნინარე და ადრეანტიკური ხანის ტიპიური ნაწარმით: კოლხური პითოსები, ბრტყელბაკოიანი ლანგრები და დერგები, სასმისები, სხვადასხვა ტიპის ყურები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სათავსოსგან სამხრეთით 50 მ-ზე გავლებულმა თხრილის ზედა ფენამ ადრეელინისტური ხანის მასალებიც გამოავლინა, თუმცა ძირითად უბანზე ამგვარი ქრონოლოგიის განსაზღვრა ჭირს.

ტამიშის ნასახლარი

(ტაბ. L – LVI)

ტაშირის ნასახლარი მდებარეობს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის დასავლეთ ნაწილში, ადგილი ტამიშ-აგუს ტერიტორიაზე, ზღვის თანამედროვე ნაპირთან 300 მ ჩრდილოეთით, მდ. ტამიშის მარცხენა ნაპირიდან 200 მ-ის აღმოსავლეთით. ბორცვი წარმოადგენს ტიპიურ კოლხურ გუძუბას, რომლის სიმაღლე 2მ., დიამეტრი კი 50 მ-ს აღწევს. სამხრეთ დასავლეთით და ჩრდილოეთით ბორცვი შემოზღუდულია ქაობიანი ტყით. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ ემჩნევა ხელოვნური თხრილის კვალი დაქაობებული ზოლის სახით. ბორცვის სამხრეთით და დასავლეთით უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნება კიდევ ორი შემაღლება კულტურული ნაშთებით. მთელ ამ ტერიტორიას ამჟამად უკავია 90 x 100 მ. ფართობი, თუმცა ნასახლარის გავრცელება შეინიშნება მის გარეთაც, დასავლეთით, მდ. ტოუმიშამდის.

ძირითადი გათხრითი სამუშაოები წარმოებდა ცენტრალურ ბორცვზე,[105] სადაც დაფიქსირდა შემდეგი სურათი. ბორცვის ზედაპირი 0,3 მ. სღრმემდის ძალზე დაზიანებულია მინის სამუშაოების დროს. უძრავი ფენა შეინიშნება მხოლოდ მის ქვეშ. 0,3-0,6 მ. სიღრმეზე ფიქსირდება ბათქაშოვანი, უსისტემოდ განლაგებული გროვები, რომლებიც არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მის ქვეშ 0,6-0,8 მ. სიღრმეზე განფენილია მოშავო-ნახშიროვანი შრე, რომლის ქვეშ ვრცელდება 0,4 სიმძლავრის მონაცრისფრო-მოშავო თიხნარი. 1,2 მ. სიღრმეზე უკვე ჩანს მოყვითალო თიხნარი გრუნტი. აღსანიშნავია, რომ გრუნტში ვერტიკალურად ჩაჭრილია ორი ტიპის ორმოები. პირველი ტიპის ორმოები მრგვალია და სამეურნეო დანიშნულების ჩანს. მათი დიამეტრი 1,2 მ. არ აღემატება. მეორე რიგის ორმოები ოვალური ან ნახევრადოვალური ფორმისაა, სიგრძით 3-3,5 მ.

---

105. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს ანარმოებდა საკავშირო არქეოლოგიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ერთად. ძეგლი მიკვლეული იყო ე. ბჟანიას მიერ, რომელმაც ჯერ კიდევ 1964 წელს გაავლო ბორცვზე შურფი, რომელშიც დააფიქსირა ორი ჰორიზონტი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის. **Бжания В. В.**, Тамышское поселение, сборник работ аспирантов, Сухуми, 1967, стр. 225-231.

სიღრმე 0,5-0,6 მ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ორმოს ფსკერზე დაფიქსირდა მრგვალი ფორმის (დიამეტრი 0,3 მ.) ორმო, ავსებული ნაცრით – ცეცხლის ნთების აშკარა ნიშანია. ამგვარი კერები არაა ტიპიური კოლხური ნასახლარებისთვის. მეორე ორმოს ფსკერი მოფენილი იყო რიყის პატარა ქვარგალებით. ეს ელემენტიც უცხოა ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარებისათვის. ეხედებით იატაკის გამართვის ანალოგიურ სურათს მხოლოდ აფხაზეთში (მოქვის, „აბაკუს". ფიჩორის ნამოსახლარებზე, ნითელი შუქურას სამაროვანზე) და შესაძლოა ამ რეგიონის ლოკალური კულტურის ერთ-ერთ ელემენტად იქნას მიჩნეული.

ამ რიგის ზოგიერთი ორმოს პირზე დაფიქსირდა ხის ბოძების ბუდეები დიამეტრით 3-5 სმ. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ნახევრადმიწურ სადგომებთან, რომლის ზედა ნაწილი სარ-ლასტით იყო ამოყვანილი და შემდგომ თიხით შელესილი.

მონაპოვარი მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი და იგი ჰორიზონტების შესაბამისად ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს შეესატყვისება: ქვედა მონაცრისფრო თიხნარის და ორმოების მასალა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასულს და I ათასწლეულის სულ საწყისს განეკუთვნება, ზედა ჰორიზონტის მონაპოვარი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს. ქვემოთ, კერამიკული მასალების მიმოხილვის დროს ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ მონაპოვარს.[106]

მოქვის ნამოსახლარი

მოქვის ნამოსახლარი მდებარეობს მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან 150 მ-ზე, მდინარის შესართავთან. იგი წარმოადგენს მაღალ, ბუნებრივ გორას, რომლის ფერდობი ზღვისა და მდინარის მიმართულებით ციცაბოა და ძნელად მისადგომი. მხოლოდ ჩრდილოეთით ბორცვი ერწყმის ვაკე ტერასას, თუმცა ამ მხრიდან ბორცვი ხელოვნური (?) ყელით არის მოჭრილი გარემოსაგან. ამდენად სტრატეგიულად ძალზე მოხერხებული და გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ნასახლარი ჯერ კიდევ 30-იან წლებში ისწავლებოდა ლ. სოლოვიოვის, ხოლო 70-იანი წლების მიწურულში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (რაზმის უფროსი გ. კვირკველია).[107]

კორდოვანი ფენის ქვეშ დაფენილია 20 სმ. სიძლავრის მოყვითალო თიხნარი, რომელიც შეიცავს მცირერიცხოვან კერამიკულ ფრაგმენტებს, საწაფებს და ქვის ხელსაფქვავებს. მის ქვეშ მოდის ბათქაშნარევი მოყავისფრო თიხნარი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს კერამიკას. მესამე დონე წარმოდგენილია მუქი მოყავისფრო თიხნარით, ნახშირნარევი, სამზარეულო და ე.წ. დიუნური კერამიკის შემცველი. რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა წვრილი რიყის ქვის ფენილები, იატაკის მომზადება. აღსანიშნავია, რომ მოხერხდა 0,2-0,3 მ. სიღრმის ნახევრადმიწური საცხოვრებელი ნაგებობების ქვედა ნაწილის გამოვლენა.

სამივე დონის კერამიკა პრინციპში ერთგვაროვანია და სინქრონულია კოლხეთის ძვ.წ. VIII-VII სს. ნამოსახლარების მასალების. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთხწახნაგაბაკოიანი, ჭდეული ორნამენტით შემკული პითოსები, კანელურებიანი კერამიკა, ირიბადწაკვეთილშვერილებიანი ზოომორფული ყურებიანი, ირიბი ჭდეებით და ბადისებრი სახეებით შემკული რელიეფური სარტყლები, სწორი ან მსუბუქად პირმოყრილი ჯამები, ბრინჯაოს სეგმენტი, რიყის ქვის სალესები, საბეგელები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზედა ჰორიზონტში ამ მასალაში ჩნდება ფრაგმენტები ტალღოვანი ორნამენტით და სამწახნაგაბაკოიანი პროფილები, რომლებიც ტიპიურია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის. ამგვარად, ეს დონე ე.წ. შერეული კომპლექსების სინქრონული ჩანს. ნასახლარი ნადგურდება ხანძრისაგან ძვ.წ. VII ს., როგორც ჩანს დასასრულში, თუმცა მცირე ხნით მასზე ცხოვრება ხანძრის შემდგომაც გრძელდება.

---

106. 1981 წლის შემდგომ ტამიშის ნასახლარის გათხრებს აგრძელებს აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ექსპედიცია ვ. ბჟანიას და ვ. გაბელიას ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ გაითხარა თითქმის მთელი ძეგლი, ჩვენს მიერ შემუშავებული სტრატიგრაფიული ჭრილი და ქრონოლოგია ძალაში რჩება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1969 წ. ი. ვორონოვმა თავის ნაშრომში Археологическая карта Абхазии, ტამიშის ნასახლარზე სამი კულტურული ფენა გამოყო. ზედა ფენა მისი აზრით ფეოდალურ ხანას განეკუთვნება, მეორე ფენა ძვ.წ. X-VIII სს., მესამე, ქვედა ფენა კი ძვ.წ. XIV-X სს. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, პირველი ფეოდალური ხანის ფენა, ძეგლზე საერთოდ არ არსებობს, შეცდომაა ძეგლის ქვედა ზღვარის განსაზღვრაც. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის (ძვ.წ. XIV-XIII სს.) კარგად ცნობილი მასალა ტამიშში საერთოდ არ ჩანს.

107. Соловьев Л. Н., Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, СА, XIV, М., 1950; Квирквелия Г. Т., Северо-западная Колхида в VIII-IV вв. до н.э., автореферат диссертации, Тб.,1981

შეშელეთის დიხა-გუძუბა

შეშელეთის დიხა-გუძუბა მდებარეობს გალის რაიონის სოფ. შეშელეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გალი-ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე, ტბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 600 მ, ტყეში. ბორცვი ოვალური ფორმისაა (სიგრძე 70 მ; სიმაღლე 10 მ). ბორცვს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ემჩნევა 3-3,5 მ. სიგანის თხრილი. ამ თხრილით იგი გამოყოფილია მეორე ბორცვისაგან, რომელიც რამდენადმე პატარაა და დაბალი. მათ სამხრეთით შეინიშნება კიდევ რამდენიმე (სამი მაინც) შემაღლება. მათ გარეთ ჩრდილოეთის მხრიდან გაყოლებაზეა ხელოვნური თხრილი (სიგანე 2-2,5 მ.), რომელიც დღესაც გამდინარე წყლით არის შევსებული. სოფ. რეფის მიმართულებით „კოლხიდმშენის" მიერ 50-იან წლებში გაჭრილმა სადრენაჟო თხრილებმა ფაქტობრივად შეცვალა არხის ძველი კალაპოტი და წყალი მხოლოდ ერთი მიმართულებით გამდინარე დარჩა. ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ ეს წყალი გარს უვლიდა ბორცვების მთელ ამ სისტემას.

№1 ბორცვზე გავლებულმა სადაზვერვო თხრილმა (2 x 8 მ.) შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი მოგვცა: 1. კორდოვანი ფენა (0,1-0,15 მ.); 2. რუხი მონაცრისფრო თიხნარი (0,1-0,15მ.); 3. ღია ნაცრისფერი თიხნარი (0,10-0,2 მ.);. 4. მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი, ნარევი ფენა, მონაზვინი (1,8-2 მ.). ხის ძელების შემცველი; 5. გრუნტი, მოყვითალო თიხნარი არქეოლოგიურ მასალას შეიცავს მხოლოდ მეორე ფენა და წარმოდგენილია მცირერიცხოვანი, უპირატესად მონითალოდ გამომწვარი უსახური ფრაგმენტები. მათ შორის აღსანიშნავია, მხოლოდ მცირეაზიური (?) თხელკედლიანი ლანგრის პირი და ორი გვერდის ფრაგმენტი. აგრეთვე ადგილობრივი სწორყელიანი დერგის და სასმისის რამდენიმე პროფილი. მასალა ელინისტური ხანის იერისაა.

რამდენადმე განსხვავებული სურათი მოგვცა ბორცვის ჩრდილოეთ ფერდზე გავლებულმა მეორე თხრილმა (4 x 4 მ.). მეორე, რუხ-მონაცრისფრო თიხნარში დაფიქსირდა ბათქაშოვანი თხელი ფენა, რომელიც ზემოდან დაფენილია 1,2 მ. სისქის მონაზვინ ფენაზე. მონაზვინის ქვეშ, 2,05 მ. სიღრმეზე იწყება 15-20 სმ. სისქის მოშავო-მონაცრისფრო თიხნარი, რომელიც შეიცავს წინაანტიკური ხანის ძალზე მცირე და უსახურ კერამიკას. ესაა სწორყელიანი ფრაგმენტი, ერთი ოვალურხვრელიანი ყური და რამდენიმე კანელურიანი ნატეხი. აშკარაა, რომ ბორცვზე ცხოვრება ხანგრძლივი და ინტენსიური არ იყო და მოსახლეობა, როგორც ჩანს მალე ტოვებს მას. ფაქტობრივად იგივე სურათი მოგვცა მეორე ბორცვზე გავლებულმა თხრილმაც. საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ აქაც ელინისტურ ხანაში ხანმოკლე ცხოვრების კვალი ჩანს და ისევე, როგორც სხვა კოლხურ ნასახლარებზე, მოსახლეობა აქაც ტოვებს თავის საცხოვრისს.

რეფის ნამოსახლარი

რეფის ნამოსახლარი მდებარეობს სოფლის განაპირა სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გალი-ფიჩორის სამანქანო გზის მარჯვენა მხარეს 50-100 მეტრში. ერთმანეთის გვერდზე აღმართულია სამი ბორცვი, სიმაღლით 3-4 მ. და დიამეტრით 25-30 მ. შეინიშნება ბორცვების ირგვლივ თხრილის კვალი, რამდენიმე დაჭაობებული, მომწვანო საფარი წარმოქმნილი ზოლების სახით. ეს თხრილები მიმართულების მიხედვით შეშლეთის ბორცვებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ მიწის ინტენსიური დამუშავების გამო ფაქტობრივად დღეს კვალი წაშლილია. სამივე ბორცვზე გავლებულმა თხრილებმა ერთგვაროვანი სურათი მოგვცა. კორდოვანი ფენა, რომელიც შეიცავს ელინისტური ხანის იერის უსახო ფრაგმენტებს, დაფენილია მოშავო-მოყავისფრო თიხნარისა და რიყის ქვების შემცველ მონაზვინ სტერილურ შრეზე, რომლის სიმძლავრე 1,5-2 მ. აღწევს. მონაზვინი ფენის ქვეშ დევს გრუნტი და რაიმე ცხოვრების კვალი ბორცვზე არ ჩანს.

გუდავა I – დიუნური ნასახლარი

გუდავა I - დიუნური ნამოსახლარი მდებარეობს გალის რაიონის სოფ. გუდავას ტერიტორიაზე, „პრიმორსკის" დასახლებაში. ერისწყლის არხის გაყვანის დროს მშენებლებმა შუაზე გაჭრეს დიუნა. ამჟამად არხის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია დასახლება „პრიმორსკი", მარჯვენა ნაპირზე კი შემორჩენილია დიუნის დიდი ნაწილი. ძეგლი თავდაპირველად მიკვლეული იყო ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის მიერ 1965 წელს (გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე). 1968 წელს

ამ ტერიტორიაზე ზედაპირული დაზვერვის დროს მიკვლეული იყო ბრინჯაოს რვა მოზრდილი ზოდი, წონით 32-52 კგ. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1978 წელს ძეგლის გადარჩენილ ნაწილში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაავლო თხრილი, რომელშიც დაფიქსირდა შვიდი დამწვარი დონე (თხრილის სიღრმე 3,8 მ.), რომელიც ერთმანეთისაგან იმიჯნებოდა მაგნეტიტური ქვიშის ფენებით. აღსანიშნავია, რომ ზემოდან 1-2 დონეებზე გაიწმინდა 70 მ². ფართობის სნორკუთხა გადამწვარი მოედნები. მონაპოვარი მასალა ტიპიურია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიუნურ ნასახლარებისათვის. ესაა რქისებური სადგრები და ქსოვილის ანაბეჭდიანი აბაზანისებრი ჭურჭელი. მასთან ერთად ვხვდებით წინარეანტიკური ხანის ტიპიური კოლხური ჭურჭლების (ქოთანი, ჯამი, ყურმილიანი ხელადა) პროფილებს. აქვე შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს მასრაგახსნილი, გრძელმასრიანი, ფოთლისებურპირიანი შუბისპირი გადაცემული იყო გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არქეომაგნიტური მეთოდით გეოფიზიკური გამოკვლევების დროს, გაირკვა, რომ გუდავა I სინქრონულია ფიჩორი II-V, მოქვის და ტამიშის ნასახლარის ზედა ჰორიზონტის მასალასთან.[108] აშკარაა, რომ ძეგლი არსებობას იწყებს ძვ.წ. VIII ს. და წყვეტს არსებობას ძვ.წ. VI ს-ში, სავარაუდოა ძვ.წ. VI ს. შუა ხანებში.

გუდავა II – გუძუბა
(ტაბ. XLVIII–5)

გუდაეა II - გუძუბა მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. გუდავის მარცხენა ნაპირზე, ზღვიდან 2,2 კმ. ჩრდილოეთით. წარმოადგენს ტიპიურ ხელოვნურ ბორცეს, რომლის სიმაღლე 3 მ. აღწევს, დიამეტრი დაახლოებით 15 მ. ბორცვის ნახევარი ნაღებულია მდინარის მიერ. ბორცვის თხემზე შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნაგებობების (ეკლესია?) ნაშთები. ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე) ბორცვზე გაავლო სადაზვერვო შურფი (1 x 2 მ-ზე), რომელმაც უაღრესად საყურადღებო სურათი მოგვცა. ბორცვი წარმოქმნილია ქვიშაზვინულისაგან და მასზე დაფიქსირდა 11 ნახშიროვანი დონე, ოთხ შემთხვევაში ერთმანეთისაგან გამიჯნული 20-25 სმ. სისქის მონაზვინი მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარით. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მე-6 დონე (ზემოდან), რომელიც წარმოდგენილია 4 სმ. სისქის, მკვრივი თიხატკეპნილი იატაკის სახით. მასზედ აშკარად შეინიშნება ცეცხლის კვალი.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ყველა 11 დონის მონაპოვარი კერამიკა აბსოლუტურად ერთგვაროვანია და წარმოდგენილია დიუნებისთვის ტიპიური ქსივილიანი კერამიკით (აბაზანისებური ჭურჭელი, რქისებური სადგრები). არის სულ რამდენიმე ფრაგმენტი წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის.

მსგავსი ძეგლი ჩვენთვის ცნობილ კოლხეთის ძეგლებში არ გვეგულება. საერთოდ დიუნური დასახლებები ზღვის გასწვრივ, ნაპირთან არის განლაგებული და უზარმაზარი ფართობები უკავია. აქ კი სურათი სრულიად საწინააღმდეგოა. ზღვამდის მანძილი დიდია და გეოლოგიურად არ დასტურდება ზღვური დანალექების არსებობა ამ ტერიტორიაზე. ამასთანავე, ბორცვი, კოლხური გუძუბების მასშტაბითაც კი ძალზე პატარაა. აქ გამოყენებული ქვიშა აშკარად მდინარეული წარმოშობისაა. ჩვენის აზრით, გუდავა II შესაძლოა აღმოჩნდეს დიუნურ დასახლებათა რაობის გარკვევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, ეტალონური ძეგლი.

მზიური I – რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო

მზიური I – რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო ძეგლი მდებარეობს ქ. გალის ტერიტორიაზე, მზიურის ჩაის მეურნეობის ჩრდილოეთ ნაწილში, პირველ გალისკენ მიმავალ სასოფლო გზაზე, ვერტმფრენის სადგომიდან 2,5 კმ. ჩრდილოეთით. გზის გაფართოების მიზნით მოჭრილ იქნა ბორცვის ფერადი 3 მ. სისქის ფენა. წვიმებმა შემდგომ გადარეცხეს მიწის ზედაპირი და გამოჩნდა ქურის ზედა ნაწილები და დამწვარი ფენა. საყურადღებოა, რომ ქურები მშენებლების შედეგად დაზიანებული არ ყოფილა და გაშიშვლებულა 4 ქურის ზედა ნაწილი. კიდევ რამდენიმე ქურა შედის გზის მარჯვენა ნაპირის, 5 მ. სიმაღლის ფლატეში და მათ გამოსავლენად დიდი მიწის სამუშაოა ჩასატარებელი. გზის მარცხენა ნაპირი მიუყვება ღრმა (სიმაღლე 25 მ) ხევს, რომლის ფერდზე აკრეფილი იქნა

108. არქეომაგნიტური კვლევა ანარმოა დედამიწის ფიზიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა კ. ბურაკოვსკიმ.

წიდის უფორმო მასები. თვით გზაზე შეინიშნება რამდენიმე ნახანძრალი, განითლებული მოედანი, რომელიც ერთ ვერტიკალურ ხაზზეა განლაგებული. 10 მ. სიგრძეზე 4 ქურაა ფიქსირებული. ყველა მათგანი გრუნტშია ჩაჭრილი ვერტიკალურად, ძირისკენ ოდნავი შევიწროებით ისე, რომ მისი ზედა ნაწილი, დიამეტრით 0,8 მ. დაახლოებით 20 სმ. სიმაღლეზე მიწის ზედაპირს იყო აცილებული. ქურის ძირი მსუბუქად მომრგვალებულია. კედლებზე ზოგიერთ ადგილზე შეინიშნება შელესილობის კვალი. არ ჩანს სასულე ხვრელის კვალიც კი. ყველა მათგანში აღმოჩნდა რკინის წიდები, ხის ნახშირი, თუმცა რაიმე არქეოლოგიური მასალა სამწუხაროდ, ნაპოვნი არ ყოფილა. რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც მოპოვებულია გაუთხრელი ქურების თავზე არსებული მიწის ფენაში, საკმაოდ უსახურია, მაგრამ ზოგადად ძ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის იერს ატარებს.

ძეგლის ასაკის გარკვევისათვის გადამწყვეტი უნდა გახდეს არქეომაგნიტურ და რადიონახშირბადული დათარიღება. სამწუხაროდ, ხის ნახშირი ძალზე მცირეა და არ არის საკმარისი C_{14} დათარიღებისათვის. რაც შეეხება არქეომაგნიტურ კვლევას, რასაც გ. ინანიშვილი და ზ. ჭელიძე ანარმოებდნენ სპეციალური ტექნოლოგიით, სამუშაო შეჩერებულია ცენტრის ლაბორატორიების მდგომარეობის გამო. არსებობს მხოლოდ ზ. ჭელიძის წინასწარული დასკვნა, რომლის მიხედვით მზიური I უფრო ძვ.წ. I ათასწლეულის უნდა იყოს, ვიდრე მასზე ადრეული. ბუნებრივია ამგვარი თარიღი არაა დამაკმაყოფილებელი. საქმეს ვერ შველის ვერც ქურების ტიპოლოგიური კვლევა, რადგან ეს ადრეული ქურა-სახელოსნოები ფაქტობრივად ერთ, ზემოთაღწერილ ტიპს განეკუთვნება და მათი ქრონოლოგიური გამიჯვნა ვერ ხერხდება.

სამაროვნები:

ბრილის აკლდამა
(ტაბ. LXIII-LXVI)

ბრილის აკლდამა გაითხარა 1960 წელს კავკასიონის სამხრეთ კალთების არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი) რაზმის მიერ (რაზმის უფროსი მ. ბარამიძე)[109] ბრილის ცნობილი სამაროვნის ტერიტორიაზე.

იგი წარმოადგენს გეგმაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ორიენტირებულ ოდნავ წაგძელებულ სწორკუთხედს (4,2 x 3,8 მ.), რომლის კედლები ამოყვანილია თიხა-ფიქალის ქვების მშრალი წყობით (მაქსიმალური სიმაღლე 1 მ.) ნაგებობის იატაკიც თიხა-ფიქალის ფილებითაა მოპირკეთებული. ცენტრში ჩაჭრილია ზემოთ შევიწროებული ტრაპეციის ფორმის, ოთხკუთხა, ფილაქვებით გვერდებმოპირკეთებული ორმო, შესაძლოა განკუთვნილი ყოფილიყო მიცვალებულის მოსახსენიებელი მსხვერპლშეწირისათვის. აკლდამა გადახურულა ძელებზე დაწყობილი ფიქალოვანი ფილებით. ნაგებობა გახსნილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, საიდანაც შესასვლელია სავარაუდებელი. სამარხის შიგნით სამხრეთის კედლის გასწვრივ დევს ქვის მერხი, სიგრძით 1,2 მ. სიმაღლე – 0,4 მ. საყურადღებოა, რომ ნაგებობის დასავლეთ კედლის გარეთ, 0,8 მ. მანძილზე ამოყვანილია ასევე მშრალი წყობით ფიქალებისაგან ცალპირა კედელი, როგორც ჩანს დამცველი ზოლი დასავლეთის მხარეზე აღმართული ბუნებრივი ბორცვის მცოცავი ნიადაგის შესამაგრებლად.

სამარხი აკლდამის შიგნით აღმოჩნდა უსისტემოდ ჩაყრილი, ნაწილობრივ დანაწევრებული რამდენიმე ათეული მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები. ზუსტად მსგავსი რიტუალი დასტურდება აფხაზეთის დოლმენებსა და შემდგომი პერიოდების ე. წ. კოლხურ სამაროვნებზე და ისტორიულ წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით აქ მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობას გვავარაუდებინებს.

სამარხეული ინვენტარი არეულია მიცვალებულის ძვლებთან და რაიმე კომპლექსის გამოყოფა შეუძლებელია. იგი წარმოდგენილია ძირითადად სამკაულით (ბრინჯაოს მძივები, ხვიები, დუგმები, ბალთები, საკინძები, სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის მინიატურული ქანდაკებები, ყუამილიანი ცულის ამულეტი და სხვა, კერამიკა სულ ოთხი უსახური ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია მხოლოდ ერთი მოყავისფრო ფრაგმენტი, რელიეფურ-ჭრილი სარტყლით შემკული. მთელი ეს მასალა ტიპიურია და ფაქტობრივად იმეორებს დოლმენური კულტურის მოგვიანო საფეხურის მასალებს (ეშერის დოლმენები და

109. ბარამიძე მ., ბრილის აკლდამა, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1960 წ., მოკლე ანგარიში, თბ., 1961.

კრომლეხები).[110] აღსანიშნავია, რომ გარდა მსგავსებისა, შეინიშნება თანხვედრა თვით სამარხი ნაგებობების არქიტექტურაში. მაგ.: დაკრძალვის რიტუალსა და მონაპოვარში დოლმენებს შესასელელი ხვრელი ჩვეულებრივ ჩრდილოეთიდან აქვთ, ბრილში კი ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეშერის დოლმენებში ვხვდებით ჭირისუფლის ჩამოსაჯდომ მერხს და ცენტრში ამოჭრილ ტრაპეციისებრ სამსხვერპლო ორმოს. განსხვავება ფაქტობრივად მხოლოდ ნაგებობის ხასიათშია. დოლმენების კედლები მთლიანი ქვებითაა წარმოდგენილი, ბრილის აკლდამა კი ნაგებია იმავე არქიტექტურული ნიუანსების დაცვით. სამარხი საკმაოდ კარგად თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულით და გვიანის საწყისით, რის გამოც ჩვენ იგი გარდამავალი ეტაპის ძეგლებისათვის გვაქვს მიკუთვნებული და ძვ.წ. XV ს. – შესაძლოა XIV ს-ის სულ საწყისით იყოს დათარიღებული. უდაოდ აღსანიშნავია და საყურადღებო, რომ ზუსტად ანალოგიური სამარხი, სულ უმცირეს დეტალებშიც კი, აღმოჩენილია ზემო რუთხას სამაროვანზე №16 სამარხის სახით, რომელსაც მკვლევარები ძვ.წ. XII ს-ზე უადრესად მიიჩნევენ.[111] ამრიგად აშკარაა, რომ მსგავსი სამარხი ყობანში სნორედ სამხრეთიდან შელწეული უნდა იყოს. ამ პროცესზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

პალურის „საძვლე"

პალურის „საძვლეს" სახელით ცნობილი სამაროვანი მდებარეობს წალენჯიხის რაიონის, სოფ. პალურის ტერიტორიაზე, სოფლის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ენგურისპირა ვაკე ტერასაზე, 0,5 კმ-ით სამხრეთით მდინარიდან. სამაროვანი ისწავლებოდა ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.[112]

სამაროვნის ცენტრალური ნაწილი (80 მ2) წარმოადგენს სნორკუთხა ფორმის მოედანს, რომელსაც სამი მხრივ (სამხრეთის გარდა) შემოუყვება ნალისებრი ფორმის, 2,8-3,5 მ. სიგანის და 1,2-1,4 მ. სიღრმის თხრილი (ტაბ. XLVII). მოედანი წარმოქმნილია ღორღნარევ გრუნტულ ალუვიონზე მოტანილი, მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარის ხელოვნური მოტკეპნით (სისქე 10-15 სმ.) სნორკუთხა მოედანზე და მის ზემოთ 0,3 მ. სისქის დონეზე არავითარი კულტურული ნაშთები არ გვხვდება. მასალის ნაწილი, აღმოჩენილი გათხრების დაწყების პირველ წლებში, მომდინარეობდა მხოლოდ ნაძრავი, ხვნის დროს შემთხვევით მოხვედრილი ფენიდან. ნალისებრი თხრილის კედლები ჩაჭრილია გრუნტში თითქმის ვერტიკალურად, მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თხრილის კედლები მოპირკეთებულია რიყის ქვის ცალპირა წყობით.

თხრილი პირამდე იყო ავსებული რიყის ქვით, მიწით, ადამიანის დამწვარ-დალეწილი ძვლებით და მასალით. ერთგვაროვანი მასალა გვხვდება თხრილის სხვადასხვა დონეზე და საქმე ერთფენიან ძეგლთან გვაქვს. ჩვეულებრივ ძვლები ბუდეებადაა განლაგებული და ერთი მიცვალებულის კუთვნილი ჩონჩხის ნაწილთა და კომპლექსთა გამოყოფა შეუძლებელია. ძვლები ძალზე ფრაგმენტალურია, კალცირებული, რაც ცეცხლში ყოფნის შედეგი ჩანს. აღნიშნულის გამო ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალთან ნანილობრივი კრემაციით.

თხრილის მასალა უპირატესად კერამიკითა და სამკაულითაა წარმოდგენილი. კერამიკული ფრაგმენტები ტიპიურია ძვ.წ. VIII-VI სს. კოლხური მასალებისთვის.

სამკაული წარმოდგენილია ბრინჯაოს და რკინის საკინძეებით, ბალთებით, სამაჯურებით, საკისრე რკალებით, სასაფეთქლე რგოლებით, სხვადასხვა საკიდებით, სარდიონის, ოპალის, ქალცედონის, მინისებრი პასტის, მინის მძივებით, ვერცხლის და 1 ცალი ოქროს საყურეებით და 1 ცალი კოლხური თეთრით. სნორედ ეს უკანასკნელნი განსაზღვრავენ სამაროვნის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს, ძვ.წ. V ს. საწყისით. აღსანიშნავია, რომ თხრილში ნაპოვნია მხოლოდ 1 ცალი ბრინჯაოს სატეერისპირი და კოლხური ცულის მინიატურული მოდელი-საკიდი. დანარჩენი იარაღი ნაპოვნია თხრილის მიმდებარე ტერიტორიაზე. საყურადღებოა, რომ მონაპოვარი მასალის მიხედვით შეინიშნება თხრილის თანდათანობით შევსება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამაზე მიგვითითებს შედარებით არქაული მასალის არსებობა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და მოგვიანო მასალები სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

---

110. **Куфтин Б. А.**, Материалы к археологии Колхиды, т. I; **ჯაფარიძე ო.**, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 65; **Шамба Г. К.**, Эшерские кромлехи, Сухуми, 1974.

111. **Крупнов Е. И.**, Материалы по археологии Северной Осетии докабанского периода, МИА 23, М.-Л., 1951, стр. 48-49, кар. 17, 19

112. ექსპედიციის ხელმძღვანელი 1964-65 წლებში იყო **რ. აბრამიშვილი**, 1967-70 წლებში – **გ. გრიგოლია**. ძეგლზე მუშაობას ხელმძღვანელობდნენ 1964 წელს **რ. რამიშვილი**, 1965 წელს **დ. მუსხელიშვილი**, 1967-70 წლებში **მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, შ. ჩარიოლანი.**

ძალზე საყურადღებო სურათთან გვაქვს საქმე, თხრილის აღმოსავლეთ და დასავლეთ უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ გაითხარა ორი სნორკუთხა მოედანი ვერტიკალურად ჩაჭრილი 1-1,4 მ. სიღრმეზე ალუვიურ გრუნტში. თხრილისგან ეს მოედნები გამოყოფილია 15-20 სმ. სიმაღლის ჯებირით, ალუვიური გრუნტით. ორივე მოედნის ფსკერი მოსნორებულია სპეციალურად და შემდგომ მოტკეპნილი აღმოსავლეთის მოედანი – მოყვითალო თიხით, დასავლეთის კი სილით. აქ გათხრილი იქნა სულ 70-მდე სამარხი. მიცვალებულები დაკრძალული იყო უშუალოდ მოსნორებულ-მოტკეპნილ მოედანზე, გვერდზე კიდურებმოხრილ პოზაში. სამწუხაროდ, ძვლები ძალზე დაშლილი და დამპალია ზემოდან ჩაყონილი და გრუნტული წყლების ზემოქმედებით და მიცვალებულის პოზის შესახებ მსჯელობა გვიხდება მხოლოდ ანაბეჭდებითა და ორგანული ნაშთებისაგან წარმოქმნილი ლაქებით. ამასთანავე ყველა შემთხვევაში ვერ ხერხდება ერთი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარის გამოყოფაც. აღსანიშნავია, რომ ეს სამარხეული კომპლექსები, როგორც წესი, შეიცავს ბრინჯაოსა და რკინის იარაღს. გვხვდება როგორც საბრძოლო (სატევარი, შუბისპირი, აკინაკი, ცული), ისე სამეურნეო (თოხი, სეგმენტი,სახნისი) იარაღი და ეს მომენტი საერთოდ ტიპიურია ე.წ. კოლხური სამაროვნებისათვის. მონაპოვარი მასალის ამგვარი განლაგება (თხრილში მეორადი დაკრძალვის რიტუალი და სამკაული, მოედნებზე კი მიცვალებულის ინგუმაცია და იარაღი) აშკარად მიგვითითებს სქესობრივი განსხვავების მომენტზე ამ სამარხებში. როგორც ჩანს თხრილში დაკრძალულია ქალები, ინდივიდუალურ სამარხებში კი მამაკაცები.

მასალის შესწავლა აშკარად მიგვანიშნებს, რომ სამარხთა ეს ორივე ტიპი ზუსტად სინქრონული არ უნდა იყოს. ინდივიდუალურ სამარხეულ კომპლექსების ქვედა საზღვარი ძვ.წ. VII ს. არ სცილდება, მაშინ როდესაც თხრილში აშკარად მასზე ადრეული მასალებიცაა აღმოჩენილი. ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. VIII ს. მაინც, თუ უფრო არქაული არა. ამგვარად აშკარა ხდება, რომ ინდივიდუალური დასაკრძალავი მოედნები ქრონოლოგიურად რამდენადმე ახალგაზრდაა, თხრილთან შედარებით და მათი გამოყენება დაიწყეს მხოლოდ თხრილის არსებობის გარკვეულ პერიოდში. შეიძლება ითქვას კიდევ მეტიც. თვით ეს დასაკრძალავი მოედნები არ არის აბსოლუტურად სინქრონული. დასავლეთის მოედანზე შეინიშნება რკინის იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე და თითქმის არ გვაქვს ბრინჯაოს იარაღი. ამასთანავე აქ უკვე გვხვდება ისეთი სპეციფიური რკინის იარაღი, როგორიცაა ბრტყელი ცული, ყუახვრელიანი ცული, აკინაკი, რაც არაა აღმოსავლეთის მოედანზე. ამგვარად აშკარაა, რომ აღმოსავლეთის მოედანი რამდენადმე უფრო ადრე იქნა გამოყენებული დასაკრძალავად და მის ასაკს ძვ.წ. VII-VI სს. განვსაზღვრავთ. რაც შეეხება დასავლეთის მოედანს მისი ათვისება იწყება ძვ.წ. VI ს. შესაძლოა შუა ხანებში და არსებობს ძვ.წ. V ს. პირველ ნახევარში.[113]

ამგვარად პალურის „საძელე" არის უნიკალური სამაროვანი, რომელზეც კოლხური კულტურის აყვავების ბრწყინვალე პერიოდია ასახული. მიცვალებულის სქესის მიხედვით დაკრძალვის რიტუალში განსხვავება, რაც „საძვალეზე" კარგადაა დადასტურებული, ფიქსირდება კოლხეთის რიგ სამაროვნებზე, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ფიჩორის სამაროვანი
(ტაბ. LVII-LX)

ფიჩორის სამაროვანი მდებარეობს ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის ჩრდილოეთით 400 მ. ჩაის პლანტაციაში. პლანტაციის განახლებისა და ჩრდილოეთიდან ფართობის მომატების მიზნით ჩატარებული სადრენაჟო სამუშაოების დროს თავი იჩინა მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტებმა და მძივებმა. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაავლო აქ თხრილი, რომელშიც გამოვლინდა კოლექტიური სამარხი. იგი წარმოადგენს თიხნარ ფენაში ჩაჭრილი 1,2 მ. სიმაღლის ორმოს, დიამეტრით 4,2 მ. ორმოს ირგვლივ შემოუყვება რიყის ქვის ფენილი სიგანით 3-3,5 მ. ქვის ფენილზე შეინიშნება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (კოლხური სასმისის ძირები, ყურმილიანი ხელადის ფრაგმენტები, სამწახნაგგანიკვეთიანი ბრტყელბაკოიანი ლანგრები და სხვა), რომელიც ადრეანტიკური ხანისა ჩანს. სავარაუდოა ამ ფენილზე მიცვალებულის მოსახსენიებელი აღაპის ნაშთებთან გვქონდეს საქმე.

თვით ორმო პირამდის იყო ავსებული მინით, მცირე რაოდენობით რიყის ქვით, მიცვალებულის ნანილობრივ დამწვარ-დანანევრებული ძვლებით და მასალით. დაკრძალვის რიტუალი ზუსტად ანალოგიურია პალურის „საძვლეს" თხრილის დაკრძალვის წესის და ისევე, როგორც ყველა კოლხურ სამაროვანზე, აქაც მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალს გვაეარაუდებინებს.

113. დანვრილებით სამაროვნის შესახებ იხ. მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, პალურის „საძვლე", მსკა, VI, თბ. 1974; მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, პალურის „საძვლე" ხელნაწერი.

მონაპოვარი მასალა ძირითადად სამკაულითაა წარმოდგენილი. ესაა ბრინჯაოს სამაჯურები, კირკალი, ბალთები, საკინძეები, სასაფეთქლე რგოლები, მძივები. აღმოჩენილია მცირერიცხოვანი იარაღიც: ბრინჯაოს სატევრისპირები, რკინის სატევრები, შუბისპირები, თოხები, სეგმენტი, ცული, სახნისისპირები (4ც.). მთელი მასალა ტიპიურია ე.წ. კოლხური სამაროვნებისთვის. განსხვავებით აქ რამდენადმე მოგვიანო ხანის მონაპოვართან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, მისი ასაკი ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარზე შორს არ უნდა მიდიოდეს სიღრმეში, ხოლო ზედა ზღვარი ძვ.წ. V ს. საწყისს უნდა მოიცავდეს.[114]

აღსანიშნავია, რომ სამარხი ორმო ჩაჭრილია მოყავისფრო თიხნარში, რომელიც შეიცავს საკმაოდ არქაულ, პროტოკოლხური კერამიკის ფინალური საფეხურის მასალებს. ფიჩორი I, IV ფენა. საყურადღებოა, რომ აქ კულტურული ფენის სხვა რაიმე კვალი არ შეინიშნება და არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს ამ სამოსახლოს სამეურნეო სავარგულთან, რაც თავისთავად ძალზე საყურადღებო და საინტერესო ჩანს.

მერხეულის სამაროვანი

მერხეულის სამაროვანი მდებარეობს გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულის ცენტრიდან სამხრეთით 300 მ. მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირის პირველი ბორცეოვანი ზოლის ერთ-ერთ შემაღლებაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლაკადას" უწოდებს. ბორცვის სიმაღლე მდინარის დონიდან 60-70 მ. ფერდები სამხრეთიდან და დასავლეთიდან ბორცეოვანი ზოლიდან გამოყოფილია უსახელო ხევებით, ხოლო აღმოსავლეთით იგი თანდათან გადადის მეორე ბორცეოვან ზოლში. ბორცვის თხემი მოვაკებულია, ოვალური ფორმის (150 x 50 მ.). იგი დამუშავებული იყო საყანედ და უკვე ნახნავში აშკარად შეინიშნებოდა კულტურული ნაშთები.

შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი), სადაზვერვო რაზმმა (მ. ბარამიძე) ამ ტერიტორიაზე გამოაელინა საინტერესო სამაროვანი. მას უკავია ბორცვის თხემის დასავლეთი ნაწილი და მოიცავს სულ 40 მ². 10 სმ. სისქის კორდოვანი ფენის ქვეშ დაფენილია 40-50 სმ. სიმძლავრის მოშავო-მონაცრისფრო, კულტურული ნაშთების შემცველი ფენა. ეს უკანასკნელი დევს მოყვითალო გრუნტულ თიხნარზე. სამწუხაროდ, მასალის შემცველი ორივე ზედა ფენა ტრაქტორის მიერ სრულიად ამოტრიალებულია და უძრავ მდგომარეობაში დაფიქსირდა მხოლოდ სამაროვნის პატარა მონაკვეთი. გაირკვა, რომ ამ პატარა მოედანზე მიცვალებულები დაკრძალულია მეორადი დაკრძალვის რიტუალით. ძვლები დანაწევრებულია, ცეცხლში ყოფნის სუსტი კვალით. ჩონჩხები არეულია და კომპლექსად გამოყოფა არ ხერხდება. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს პატარა, საგვარეულო სამაროვანთან.

მონაპოვარი მასალის უმრავლესობას იარაღ-სამკაული წარმოადგენს. სამკაული წარმოდგენილია ბრინჯაოს ნაირგვარი სამაჯურებით, კირკლებით, დიადემებით, საკინძებით, ჩქიფებით, ბეჭდებით, ფრინველისა და ცხოველის ქანდაკებებით, სარდიონის, კვარცისა და ქარვის მძივებით. იარაღი დამზადებულია მხოლოდ რკინისაგან და წარმოდგენილია სატევრებით, აკინაკით, მასრაგახსნილი შუბისპირითა და ისრისპირებით, ყუაკვერიანი ცულით, მოხრილი დანებით.

კერამიკა ძალზე ცოტაა. იგი მონაცრისფროა, თხელკეციანი. ფორმებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ყურმილიანი ხელადა. სხვა ფორმათა განსაზღვრა ვერ ხერხდება.

მთელი მონაპოვარი მასალა, დაკრძალვის რიტუალი ტიპიურია ე.წ. კოლხური სამაროვნების ჯგუფისათვის, თუმცა მონაპოვრის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ამ რიგის სამაროვანთა მოგვიანო ეტაპის ნაკეთობებთან, განსაკუთრებით პალურის „საძვლეს" ინდივიდუალურ სამარხეულ კომპლექსებთან. აქედან გამომდინარე სამაროვნის ძვ.წ. VI ს. -Vს-ის საწყისით ვათარიღებთ.[115]

განძები

ჯერ კიდევ დაახლოებით სამი ათეული წლის წინ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხური კულტურის ზოგიერთი ძირითადი

114. ძეგლის ერთ-ერთი გამთხრელი გ. კვირკველია ფიჩორის ნამოსახლარს ძვ.წ. VI-VII ს. ათარიღებს. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ქვედა თარიღის უფრო სიღრმეში გადატანა, რაზეც უნდა მიუთითებდეს კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს 3 ყუნნიანი სატევრისპირი. ამ ტიპის იარაღი ძვ.წ. VI ს.კომპლექსებში სრულიად უცნობია. ისინი არსებობენ მხოლოდ ძ.ვ.წ. VII ს. მეორე ნახევრამდის და შემდგომ საერთოდ ქრებიან.

115. დაწერილებით მერხეულის სამაროვნის შესახებ იხ. მ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.

კომპონენტი, მაგ. სეგმენტი, გაერცელებული არ იყო.[116] ამის უპირველესი მიზეზია, რომ ამ ტერიტორიიდან შედარებით ცოტა იყო ბრინჯაოს განძები. უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს რამდენიმე განძი და ჩვენ საჭიროდ ვცანით ჩაგვერთო ისინი ჩვენს ნაშრომში. ამასთანავე გაგვეთვალისწინებინა ადრევე ცნობილი ის რამდენიმე კომპლექსი, რომლებსაც ჩვენი აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლხური კულტურის ფორმირების და ქრონოლოგიის გარკვევის საკითხში.

გალის განძი I

1959 წელს, ქალაქ გალში, კეცხოველის ქუჩაზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელშიც ეწყო 8 შედარებით უკეთ დაცული და 10 წუნდებული ბრინჯაოს ყურმილიანი ცული, გაურკვეველი დანიშნულების ბრტყელი იარაღის სახელური, რამდენიმე ზოდი. ჭურჭელი, რომელშიც ეწყო ბრინჯაოს აღნიშნული ნივთები სფერულტანიანია, ბრტყელი ძირით, უყელო, ოდნავ პირგაშლილი, ხელით ნაძერწი. კეცი წვრილმარცლოვანის, არათანაბარი გამოწვით. მხარზე ნაკანრი ღარები და ზიგზაგი ხაზები ამკობს. განძის პირველი პუბლიკატორი მ. ტრაპში მას ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებს.[117] ნივთებიდან განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ერთი ცული, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებს ურეკის განძის ცულებს. ურეკის განძის დათარიღების საკითხს სხვადასხვა დროს ბევრი მეცნიერი შეეხო.[118] ისინი ძირითადად ურეკის განძს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედით ან II ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებენ. ურეკის განძის ასაკის გარკვევა ხელს შეუწყობს გალის განძის დათარიღებასაც. მისი მიკუთვნება გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის (თ. მიქელაძე) ნაკლებსავარაუდოა, რადგან კოლხური ბრინჯაოს მრავალრიცხოვან განძებში არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა ყუამილიანი და კლასიკური კოლხური ფორმების თანხვედრის. მეორე მხრივ, ურეკის ყუამილიანი ცული ყველაზე განვითარებულია, რაც საშუალებას იძლევა ურეკის განძი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით (ძვ.წ. XVI-XV სს.) დათარიღდეს. ჩვენის აზრით გალის ცული ურეკულზე რამდენადმე განვითარებული ფორმაა. მისი სატარე მილი თითქმის გამქრალია და იგი მთლიანად ტანშია ჩართული. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გალის განძი ძვ.წ. XV ს-ით იყოს დათარიღებული და მივაკუთვნოთ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის გარდამავალ საფეხურს.[119]

გალის განძი II

გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც აღმოჩნდა 80-იანი წლების დასაწყისში ქ. გალში, პროფილაქტორიუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ზედაპირულად შეინიშნება ბათქაშების გროვები და ბრინჯაოს წიდის ნაშთები. განძის შემადგენლობაში შედის ბრინჯაოს 10-მდე ცული, აქედან 3 ცალი I ტიპისაა ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით, დანარჩენი კი II ტიპის. აქვეა აღმოჩენილი 4 მთელი და 6 ფრაგმენტი ბრინჯაოს სეგმენტისა და I ცალი თოხი. აგრეთვე ბრინჯაოს რამდენიმე ზოდი. განძი ერთ-ერთი ყველაზე არქაული განძის იერს ატარებს და მას ძვ.წ. XIII-XII სს. ეათარიღებთ.

გალის განძი III

გალის განძი დაცულია გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აღმოჩენილია 1978 წელს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. შედგება ბრინჯაოს I ტიპის ერთი და II ტიპის სამი ცალი ცულისაგან და ოთხი ფართოპირიანი სეგმენტისაგან. აქვე ყოფილა ნაპოვნი ბრინჯაოს რამდენიმე ზოდის ნატეხი და ორი ცალი სეგმენტი. ეს უკანასკნელები დაკარგულია. განძი თარიღდება ძვ.წ. XII-XI სს.

---

116. ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი.

117. Трапш М., Труды, т. I, 1970, стр. 169-174.

118. ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, სსმმ-XVI B, 1950, გვ. 117-118; გობეჯიშვილი გ., საქართველოს არქეოლოგია, გვ. 116; ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 99-101; მისივე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხები, სსმმ-XXV, გვ. 28; რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 95; მიქელაძე თ., ძიებანი ....., გვ. 23.

119. Бараниидзе М. В., Хронология-периодизация памятников эпохи поздней бронзы _ раннего железа Абхазии и некоторые вопросы сынхронизации с основными комплексами Колхидской культуры, доклад на всесоюзном симпозиуме вг. Сигнаги в 1979 г. (ხელნაწერი).

§ 1. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის და არქიტექტურის საკითხები

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. III-I ათასწლეულებში სამოსახლოდ ძირითადად ხელოვნური გორა-ნამოსახლარებია გამოყენებული. მათი ძირითადი კონცენტრაცია შეინიშნება მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტის (განსაკუთრებით მდ. რიონის) გასწვრივ რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოლელას და ენგურ-ერინწყლის აუზებში. ამ ტერიტორიებზე ზედაპირული დაზვერვების თუ სტაციონარული გათხრების შედეგად რამდენიმე ათეული ბორცვ-ნამოსახლარია ფიქსირებული. ამ ხელოვნურ ბორცვთა ყველაზე გავრცელებული ტოპონიმი დიხა-გუძუბას (ამობურცული მიწა) სახელითაა ცნობილი, თუმცა ეხვდებით მთელ რიგ სხვა დასახელებებსაც: ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ნაზონარე (მინა-ნაყარი), ნამჭედური, ნანდევუ (დევების სადგომი), დიხა ზურგა, ზურგა, ზუგა (ამობურცული მიწა), ნაკარღალი (ნაწისქვილარი), ჟი-სუკი, სვიკი (მაღალი ბორცვი) და სხვა.

ნამოსახლარები ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნური ბორცვების სახით, რომლებიც მკვეთრად გამოიყოფა კოლხეთის დაბლობის სწორი ზედაპირისაგან. მათი სიმაღლე მერყეობს 0,8 – 5-6 მ. შორის, თუმცა გვხვდება უფრო მაღალი ბორცვებიც (საელიაო, შეშელეთის ცენტრალური გუძუბა). სადღეისო მონაცემებით ნაკლებად გამოუყენებელი ჩანს ბორცვეოვანი ზოლის შემაღლებები და ტერასები, ისიც ძირითადად აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ხელოვნურ ბორცვთა გამართვის ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი და მყარი ჩანს, რომ ისეთ რეგიონშიც კი, როგორიც სამეგრელოს ბორცვეოვანი ზოლია, და სადაც ამგვარი ნასახლარების გამართვის არავითარი საჭიროება არ არსებობს ვხვდებით მათ. მაგალითად, საელიაოს გუძუბა (მარტვილის რაიონი) აღმართულია ბუნებრივ მაღალ ბორცვზე, რომელიც ოთხი მხრივ მკვეთრად გამოიყოფა გარემოსაგან. სწორედ ამ ბორცვზე დასტურდება ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. სწორედ ამ ფენაზე არის მომდევნო ხანაში აღმართული ხელოვნური გუძუბა, რომლის საერთო სიმაღლე თითქმის 16 მ. აღწევს. ბორცვის სადაზვერვო თხრილმა გვიჩვენა, რომ იგი გამართულია ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის.

ამ ფენას თავზე ადევს 4-5 მ. სიმძლავრის სტერილური შრე, რომლის შემდგომ ფიქსირდება გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ფენები.[120] შუა ბრინჯაოს მასალა ბორცვზე არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ იქაც კი, სადაც ხელოვნური მოზვინვის არავითარი საჭიროება არ არსებობს ტრადიცია იმდენად ძლიერია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ზვინავს მათ და სახლდება მასზე. როგორც ჩანს, მსგავსი სურათი უნდა გექონდეს იმავე რეგიონში გამოვლენილ კიდევ რამდენიმე ძეგლზე (სერგიეთის, აბედათის და ლეხაინდრაოს გუძუბები).[121] თუ რატომ არ ჩანს ამ ბორცვებზე საკუთრივ შუა ბრინჯაოს ხანის მასალა ეს საკითხის მეორე მხარეა. ანალოგიურ სურათთან გვაქვს საქმე აღმოსავლეთ საქართველოს მასალებშიც, სადაც ქვემო და შიდა ქართლის ძეგლებზე ეს პერიოდი არ არის წარმოდგენილი. მკვლევარები ამ გარემოებას ხსნიან ბარიდან მოსახლეობის დენადობით მთის რეგიონებში. მაგრამ კოლხეთის სინამდვილეში ეს ახსნა არ გამოდგება. დაბლობის მთელ რიგ ბორცვებზე შუა ბრინჯაოს ფენები კარგადაა წარმოდგენილი და არავითარი კვალი მოსახლეობის შემცირების არ ჩანს. შესაძლოა კოლხეთის დაბლობის ძირითადი მოსახლეობა რჩება ადგილზე და მისი მხოლოდ ნაწილი ინაცვლებს მთის ზოლისკენ, ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (იხ. ქვემოთ). ამ ტიპის ძეგლების სიმცირე ჯერჯერობით არ იძლევა საფუძველს ამ საკითხის გადასაწყვეტად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ბორცვთა ორგვარი წარმოშობის შესახებ. პირველი წარმოქმნილია კულტურულ ფენათა დაფენების შედეგად და ასახავს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს. მეორე რიგის ბორცვები ასევე ხელოვნური წარმოშობისაა, მხოლოდ მისი ძირითადი ფენა, არავითარ კავშირში არ არის მის ზემოთ დაფენილ მასალასთან.[122] ამ მეორე რიგის ნამოსახლართა კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ბორცვი „სიმაგრე" ჭალადიდთან. მასში დაფიქსირდა ძვ.წ. VI-V სს. მძლავრი კულტურული ფენის არსებობა. ამ ფენის თავზე წარმოქმნილი ბორცვის ზვინული შეიცავს უფრო ადრეულ მასალას, ვიდრე თვით ფენა, ე.ი. საქმე გვაქვს ე.წ. „უეულმა სტრატიგრაფიასთან". აშკარაა, რომ ბორცვის ზვინული შექმნილია მოგვიანო ხანაში და მის გასამართად გამოყენებულია უფრო ადრეული ცხოვრების იქვე

120. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის ანგარიში, მსკა V; Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., О некоторых итогах полевых исследований..., АНН ГССР, т. I, ТБ., стр. 96.
121. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი.
122. Микеладзе Т. К., К археологии Колхиды, Тб., 1990, стр. 16.

არსებული ფენები. საყურადღებოა, რომ ამგვარი შემთხვევები კოლხეთის სინამდვილეში სხვა ძეგლებზეც გვხვდება. მაგალითად, ნოსირის ნამოსახლარის მდინარისპირა ტერასაზე კულტურული ფენები უფრო მოგვიანო (ადრე რკინის ხანის), ხოლო მის ზემოთ მოზვინული გვიანბრინჯაოს განეკუთვნება.[123] როგორც ჩანს, მსგავს უკულმა სტრატიგრაფიასთან უნდა გვქონდეს საქმე ყულევის ნამოსახლარზეც, მდ. ხობის შესართავთან. ნასახლარის ზედა ფენაში სხვა პერიოდების კერამიკასთან ერთად გვხვდება შუა ბრინჯაოს ხანის ტიპიური მასალა, ძირითადი ფენა კი ადრეფეოდალურ ხანას (?) განეკუთვნება.[124] ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის I ფენის (ელინისტური ხანა) ქვეშ თავს იჩენს I მ. სიმძლავრის მონაზვინი ფენა, რომელიც ძირითადში შეიცავს შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის მასალას. მის ქვეშ კი (II) დაფენებულია ადრეული რკინის ხანის მძლავრი შრე. ამგვარი „უკულმა სტრატიგრაფია" ხშირად დააბნევს კიდეც მკვლევარს და საჭიროა სწორედ იქნას გარკვეული თითოეული ბორცვის სპეციფიკა.

პირველი ჯგუფის ბორცვები განსაკუთრებით მრავლადაა ცნობილი. მათ რიგში დავასახელებთ ფიჩორის ცენტრალურ ბორცვს, მზიურის, ნაკარღალის, განმუხურის გუძუბებს, ანაკლია I და II, ნაოხვამუ, ზურგა, აბედათი, წყემი, საელიაო, ნამჭედური, პატრიკეთი და სხვა. მართალია, ეს ბორცვები ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდების ფენებს მოიცავს, მაგრამ დონეთა სტრატიგრაფიული განლაგება, მათი ურთიერთშეჯერება საშუალებას იძლევა, სრულად იქნას აღდგენილი კოლხეთის უძველეს ნამოსახლართა ისტორიის ეტაპები.

კოლხეთის ხელოვნური ბორცვების ჯგუფში საკმაოდ უცნაურად გამოიყურება კიდევ ერთი ჯგუფი. საქმე ეხება ასევე ხელოვნურ შემაღლებებს, რომლებიც არაფრით გამოირჩევა ტიპიური გუძუბებისაგან. მათი განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (ფიჩორის ესართიას ბორცვი, განმუხურის გუძუბა, მზიურის, შეშელეთის და რეფის 3 შემაღლებები). მათზე არავითარი ცხოვრების კვალი არ დასტურდება. გვხვდება ასევე მოზვინული ბორცვები, ხშირად 4-5 მ. სიმაღლის (შეშელეთი, მზიური) და არა ჩანს კულტურული ფენები. მაგ., ფიჩორში, როგორც ცნობილია, ყველა შემაღლება (დაახლოებით 20 ბორცვი) ათვისებულია სამოსახლოდ, გამონაკლისია მხოლოდ ესართიას ბორცვი. განმუხურში აღმართულია გვერდიგვერდ ორი გუძუბა. აქედან უფრო დაბალზე (სიმაღლე 1,8 მ.) დასტურდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მძლავრი 1,5 მ. სისქის ფენა, მეორეზე კი (სიმაღლე 265 მ.) არავითარი ფენა არ ჩანს. ასევე სრულიად სტერილურია რეფის 3 ხელოვნური ბორცვი. შეშელეთის კომპლექსში შემავალი სამ ბორცვთაგან ერთი სრულიად სტერილურია, ორზე შეინიშნება ადრე ელინისტური ხანის ძალზე სუსტი შრე. ამ უკანასკნელიდან მხოლოდ ერთზე, ქვედა დონეში 3,5 მ. სიღრმეზე დადასტურდა წინარეანტიკური ხანის ფენა 0,4 მ. სიმძლავრის. აშკარაა, რომ ეს ბორცვები ფაქტობრივად სამოსახლოდ არ არის გამოყენებული, თუმცა მათ ასაგებად მოზვინულია რამდენიმე ასეული ტონა მიწა. რით ავხსნათ ეს გარემოება, ძნელი სათქმელია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამგვარი ბორცვები სამეურნეო მოედნებს წარმოადგენდნენ (თ. მიქელაძე, ლ.ჯიბლაძე), მაგრამ ეს ჩვენი აზრით ვერ ხსნის ამ მოვლენას. თუნდაც დაუშვათ მათი სამეურნეო სავარგულებად გამოყენება, ძნელი დასაჯერებელია ზედა ჰორიზონტებში მაინც არ აღმოჩენილიყო რამდენიმე უსახური ფრაგმენტი, მით უფრო, რომ გვერდით ბორცვები ამ მასალას შეიცავენ. ან რაში დასჭირდებოდათ ამ სიმაღლის ბორცვის აღმართვა, როდესაც სამეურნეო საჭიროებისათვის საკმარისი იქნებოდა შედარებით მცირე სიმაღლე. ასევე სრულიად გაუგებარია შეშელეთის მაგალითზე არხების გაჭრა. როგორც ჩანს ეს მოვლენა ჯერჯერობით მაინც, ღიად უნდა დარჩეს. ვარაუდის სახით არ არის გამორიცხული ამ ბორცვთა გამოყენება საკულტო რიტუალების დროს, როგორც ღია ცისქვეშ კულტმსახურების ჩატარების ადგილად.

შესაძლებელია ეს ბორცვები ძირითადად გამართულია ადრეელინისტური ხანისათვის და მისი სამოსახლოდ გამოყენება არ მომხდარა. შავი ზღვის ტრანსგრესიული მოვლენების გავლენით ამ პერიოდიდან კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა დროებით ტოვებს ამ რეგიონს და ბორცვიანი ზოლისკენ ინაცვლებს. სადღეისოდ ამ მოვლენის ამგვარი ახსნა ყველაზე რეალური ჩანს.

კოლხური ნამოსახლარები ხელოვნური წარმომავლობისაა და ბევრ საყურადღებო მონაცემებს შეიცავს, როგორც მატერიალური კულტურის, ისე ნამოსახლართა გეგმარების შესახებ. ჩვეულებრივ ნამოსახლარის ქვედა დონეები თითქმის ერთ დონეზეა თანადროული მიწის ზედაპირისგან, ოდნავი

123. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი.
124. მიქელაძე თ., ბარამიძე მ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წ. მუშაობის ანგარიში.

შემაღლებით. ამ ფენებში შემორჩენილია ხის არხიტექტურის ნაშთები, რაც ძალზე სპეციფიკურია კოლხეთში, თითქმის ყველა პერიოდში. ხის ნაგებობები გამართულია შემდეგნაირად: ჩვეულებრივ მინის ზედაპირზე საგულდაგულოდ იტკეპნებოდა მონაცრისფრო-მოცისფრო თიხნარი გრუნტი. მასზე იდებოდა ხის მორები, ისე, რომ წარმოქმნილიყო სწორკუთხა უჯრედები. ხშირად ეს უჯრედები ივსებოდა და შემდგომ იტკეპნებოდა თიხით. მათში ხშირად შერეულია ხის ნაფოტები, ტოტები, ორგანული ნაშთი. ანალოგიური სურათი ჩანს მაგ. დიხა-გუძუბა II-ზე, ნოსირში და რამდენიმე მოგვიანო ნაოხვამუს ქვედა ფენაში.[125] ხშირად ამ უჯრედების გასწვრივ დაფიქსირებულია რიგებად განლაგებული ბოძკინტები ან მორები. მათი სიგძე 0,3-0,7 მ. შორის მერყეობს. ბ. კუფტინის აზრით მათი დანიშნულება, რამდენადმე პრობლემატურია და არ არის საფუძველი ჩაითვალოს ისინი ხიმინჯებიან ნაგებობებად. ამგვარ, საკმაოდ მყარ საფუძველზე იგებოდა ხის ფენილი ან წნული. ეს ნაფენი წარმოადგენდა უძველეს ძელურ ნაგებობათა იატაკს. ზოგჯერ იატაკის ეს დონე მოტკეპნილი იყო მოშავო ან მოყვითალო ფერის თიხით და მასზე აყვანილი იყო ხის მორებისაგან ძელური ნაგებობა, რომელთა 2-3 რიგიღაა შემორჩენილი.[126]

რამდენადმე განსხვავებული სურათი ჩანს ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე. თითქმის სრულად იმეორებს რა ზემოაღწერილ სურათს, ფიჩორში არ დასტურდება სწორკუთხა უჯრედების არსებობა. გვხვდება ხის მორები და მათი გამაგრება ბოძკინტებით და რაც მთავარია თითქოს არსებობს საფუძველი სხვა რიგის ნაგებობათა პარალელურად ხის ხიმინჯებიანი ნაგებობების არსებობაც იქნას ნავარაუდები. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი. მოზვინულ და მოტკეპნილ თიხნარში ჩასობილია ხის მოზრდილი ბოძები, რომელიც რამდენადმე აცილებულია თიხის ფენას. უშუალოდ მასზე დევს ხის რამდენიმე ფიცარი (იატაკი ?). ეს გარემოება აქ სწორედ ხიმინჯიან ნაგებობათა არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ფიჩორის ნასახლარზე დადასტურდა კოლხურ ნამოსახლარებისათვის სრულიად უცხო ერთი ფაქტიც – ცენტრალური ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩრდილოეთის მხრიდან გაითხარა ბორცვი №6, რომელიც ერთფენოვანია, შეიცავს ცენტრალური ბორცვის VI-IV ფენის სინქრონულ, ე.ი. შუა ბრინჯაოს ხანის მასალას, რითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა თანამგზავრი ბორცვებისაგან. ნასახლარი განფენილია უშუალოდ გრუნტზე, რომელიც მოყვითალო თიხნარით არის წარმოდგენილი და არავითარი დამატებითი შემაგრება ან მოზვინვა, არ ჩანს. აშკარაა, რომ სქმე გვაქვს ხისწნულ, ბათქაშოვან ნაგებობებთან, რომლებიც აგებულია მყარ გრუნტზე. დონეთა სხვაობა №6 და ცენტრალური ბორცვის VIII ფენებს შორის არ ჩანს, ე.ი. ირკვევა, რომ ბორცვის თავდაპირველი ათვისების ეპოქაში იქვე არსებობს მშრალი ადგილი, რომელსაც იგი რატომღაც არ აქცევს ყურადღებას და არჩევს ჩაატაროს ძალზე შრომატევადი სამუშაო მოზვინვის და ხის მორებით გამაგრების გზით. რით ავხსნათ ამგვარი ალოგიკურობა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, იმდენად ძლიერია ნასახლართა გამართვის ტრადიცია, რომ იგი აიძულებს მას აწარმოოს ამგვარი სამუშაო.

ხის ჯარგვალური ტიპის ნაგებობანი ბოძების ჯაჭვური გადაბმით გავრცელებულია და როგორც ჩანს ძირითადი, კოლხეთის ისტორიულ სინამდვილეში ყველა არქეოლოგიურ პერიოდში და შემორჩენილია დღევანდლამდის. მათი ზომები არ ჩანს დიდი. მაგ.: ანაკლია II გათხრილია ორი ამ ტიპის ნაგებობა, რომელთა ფართობი 20 მ.^{2} არ აღემატება.[127] კიდევ უფრო პატარაა ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე გამოვლენილი ჯარგვალური ნაგებობანი. ისინი დაფიქსირებულია ცენტრალური ბორცვის II, III, VII და VIII ფენებში. მისი ფრაგმენტები არის ფიჩორი III და IV, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბორცვებზეც. სამწუხაროდ, შემორჩენილია ფრაგმენტალურად და ფართობის ზუსტი განსაზღვრა ჭირს, თუმცა ფიჩორი I-ის II ფენაში დადასტურებული ორი ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთში გამავალი სწორკუთხა ნაგებობების საერთო ფართობი 20 მ^2. არ აღემატება.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც განასხვავებს ფიჩორის ნასახლარს, ამ რიგის სხვა ძეგლებისაგან: ჯარგვალური ნაგებობების პარალელურად IV, V და VI ფენებში გვხვდება „ფაცხის" ტიპის ნაგებობანიც. ამ უკანასკნელებს წნული, ბათქაშით შელესილი კედლებიც ჰქონია. მათი ზომებია 2,5 x 2 მ-ზე და 2,5 x 4 მ-ზე. ამაზე უნდა მიგვითითებდეს მომრგვალებული, თუ ოვალური ფორმის თიხატკეპნილი მოედნები გარემოსაგან მკვეთრად გამოყოფილი მოშავო ფერის ლაქებით, რომელთა ირგვლივ

125. Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., Колхидская археологическая экспедиция, ПАИ -1978 г. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982, გვ. 16; Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, ТБ., 1950, გვ. 172; Микеладзе Т. К., ... დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

126. Микеладзе Т. К., ... დასახ. ნაშრომი, გვ. 17-19.

127. Микеладзе Т. К., ... დასახ. ნაშრომი, გვ.19, ტაბ. II2.

შეინიშნება უსისტემოდ განლაგებული ხის ბოძების ღრმულები და ჩანს ბათქაშის სიმრავლე. აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს „ჯარგვალურ" ნაგებობათაგან განსხვავებულ ტიპთან.[128]

უნდა შეეხოთ ნაგებობათა კიდევ ერთ ტიპს – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის რიგ ძეგლებზე (ტამიში, მოქვი, აბაჟუ) ვხვდებით თიხნარ გრუნტში თუ თიროვან ნიადაგში ჩაჭრილ, ძირითადად ოვალური ფორმის, ნახევრადმინურებს. მათი ფართობი 1,6 x 2 მ-დან 3 x 3,5 მ. შორის მერყეობს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ისინი ტამიშის ნასახლარის ქვედა დონეზე, სადაც გაითხარა ამ ტიპის 4 ნაგებობა-სათავსო. მათი სიმაღლე 0,5-0,6 მ. აღწევს. ორმოს ირგვლივ შეინიშნება ხის ბოძების კვალი ღრმულების სახით, რომელთა დიამეტრი 5 სმ. არ აღემატება. აშკარაა, რომ ამგვარი ორმოების თავზე აღმართულია ხის წნული ბათქაშით შეკრული კედლები. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი (ვ. ბუანია, ი. ცვინარია) ამ ტიპის ნაგებობათა არსებობას ვარაუდობს უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან. მაგ. მაჭარის ნასახლარის ქვედა ფენაში დაფიქსირებულია ოვალური ფორმის ლაქები, რომლებიც ქვიშნარ-თიხანარევ გრუნტში ჩადის.[129] გვანდრის ნასახლარზე მსგავსი ლაქები ზღვისპირა ქვიშებშია დაფიქსირებული.[130] როგორც ჩანს, ანალოგიური სურათი იკვეთება კისტრიკის ნასახლარზეც.[131]

აღნიშნული ნახევრადმინურების სახით ნამდვილ სამოსახლო ნაგებობასთან რომ გვაქვს საქმე, იქიდანაც დგინდება, რომ ტამიშის ერთ-ერთ ორმოში, დადასტურდა კერის არსებობა. მის ფსკერზე გაითხარა მრგვალი 0,3 მ. დიამეტრის და 0,15 მ. სიღრმის ორმო, რომელიც შევსებული იყო ნაცრითა და ნახშირის პატარა ნამცეცებით. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს შუა ცეცხლის არსებობის ფაქტთან. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ კოლხეთის ნამოსახლარებზე შუა ცეცხლის არსებობის ფაქტი არ დასტურდება. ეს გარემოება ავარაუდებინებს, პროფ. თ. მიქელაძეს, რომ ამ მიზნით გამოყენებული იყო მინაში არსებული უბრალო ჩაღრმავებული ადგილები.[132] აღსანიშნავია, რომ ჯარგვალურ ნაგებობებში შუა ცეცხლის არსებობა დადასტურებულია კოლხეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

ზემოაღნიშნული ფაქტები აშკარად გვიჩვენებს, რომ ნახევრადმინური ნაგებობების კონცენტრაცია შეინიშნება, ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე და შესაძლოა რეგიონის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტად იქნას მიჩნეული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გარემოება უნდა აიხსნას ამ რეგიონის შედარებით მშრალი კლიმატით და ბუნებრივი შემაღლებული ადგილების არსებობით.[133] ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გუანდრის, ტამიშის თუ მაჭარის ნასახლართა სიახლოვესაც კი არ ჩანს არავითარი შემაღლება.

კიდევ ერთი არქიტექტურული დეტალი, რომელიც ძირითადად ახასიათებს ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის რეგიონს – ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III და IV ფენებში ფიქსირდება იატაკის მოკირწყვლა რიყის პატარა ქვარგვალებით. იგი სინქრონულია ნაკარლალის ბორცვის ზედა ფენებში გამოვლენილ ქვარგვალების იატაკთან. ანალოგიური სურათი ჩანს აბაჟუს ნასახლარზე წინარეანტიკური ხანის ფენაში, მოქვის და ოჩამჩირის ნამოსახლარების ადრე ანტიკური ხანის ფენებში; ცენტრალურ კოლხეთში მსგავსი სურათი ჩანს ჟირსუკზე, ნოსირი III და ნამჭედურის V ფენაში. ეს უკანასკნელი ძვ.წ. II ათასწლეულის მინურულით თარიღდება.[134] საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ იატაკის მოკირწყვლა ქვარგვალებით დადასტურებულია ნითელ შუქურას ზოგიერთ ორმო-სამარხში,[135] რაც ჩვენი აზრით სათავეს სნორედ ნამოსახლართა ამგვარი ელემენტისაგან იღებს. ეს გარემოება,

---

128. ფენებში სადაც ნარმოდგენილია ფაცხისებური ნაგებობების ნაშთები და არ არის ჯარგვალური ნაგებობანი, არ გულისხმობს იმას, თითქოს ისინი დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყოს გავრცელებული. ფაცხის ტიპის ნაგებობანი, ისევე როგორც ჯარგვალი ტიპიურია კოლხეთისთვის თითქმის ყველა პერიოდისათვის.

129. **Бжания В. В.**, დასახ. ნაშრომი.

130. **Цвинария И. И.**, Поселение Гуандре, ТБ., 1978, стр. 38-39.

131. ზღვისპირა ქვიშებში ამგვარი ლაქების გამოყოფა ჩვენის აზრით, რამდენადმე გართულებულია და სათუოა. ასევე საეჭვოდ ჩანს ამ ლაქებიდან ნაგებობათა რეკონსტრუქციის არსებული სურათი (იხ. ი. ცვინარიას დასახ. ნაშრომი). მით უფრო, რომ არ გვაქვს ბათქაშის ისეთი გროვები, რომლებიც წნულ ნაგებობათა არსებობის პირდაპირი ნიშანი იქნებოდა. ქვიშანაზეინში ამგვარი ნახევრადმინურის ჩაჭრა ჩვენი აზრით ყოვლად გაუმართლებელია. მისი საფუძველი იოლად დაიშლებოდა. რაც შეეხება მაჭარას და კისტრიკს, აქ ნახევრადმინურების არსებობა უფრო დამაჯერებელი ჩანს.

132. **Микеладзе Т. К.**, ... დასახ. ნაშრომი, გვ.19. შესაძლოა ამ მოვლენას კიდევ ერთი ახსნა მოეძებნოს. ჩვეულებრივ ცეცხლის კვალი ნამოსახლართა დონეებზე ძალზე ძლიერი ჩანს, რომლის დროს შუაცეცხლის დაფიქსირება შეუძლებელი ხდება. თუმცა ფიჩორის ნასახლარის ზოგიერთ ფენებში მაინც შეიმჩნევა ხანგრძლივი ცეცხლის ნათების პატარა ადგილები. სამწუხაროდ, ისინი უშუალოდ ნაგებობასთან არ არიან დაკავშირებული.

133. **Джибладзе Л. В.** Стратиграфия, хронология и периодизация поселений..., автореферат, Тб., 1990, გვ. 8.

134. **Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д. А.**, Древнеколхское поселение Намчедлури, Тб., 1985, გვ. 23 таб. 38.

135. **Трапш М.М.**, Труды, т. II, Сукуми

თითქოს იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აღნიშნული არქიტექტურული დეტალი ძირითადად ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთისათვის დამახასიათებელ ნიშნად იყოს მიჩნეული.

საინტერესოდ დგება საკითხი კოლხეთის ხელოვნურ ნამოსახლართა განსახლების სურათის შესახებ. ზოგადად თითოეული ადრეული ბორცვი, არ შეიცავს დიდ ტერიტორიას. მათი უდიდესი ფართობი 2000 მ². არ აღემატება. ჩვეულებრივ ეს ადრეული ბორცვები (ფიჩორი, ნაკარღალი, ანაკლია I-II, ნოსირი, ნამჭედური, წყემი, ზურგა და სხვა) წარმოდგენილია თითო შემაღლებით. მათ უშუალო სიახლოვეს სინქრონული ბორცვები არ ჩანს. მაგალითად ანაკლია I და ანაკლია II შორის მანძილი დაახლოებით 2 კმ-ს აღწევს, ფიჩორის ცენტრალურ ბორცვსა და ნაკარღალის გუძუბას შორის 4 კმ-ია. ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები ერთმანეთისაგან თითქოს მოწყვეტილია და მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა ჯგუფის, შესაძლოა გვარის კუთვნილებაა. დროთა განმავლობაში ამ ცენტრალური ბორცვის ირგვლივ თავს იყრიან ე.ნ. თანამგზავრი ბორცვები, რომლებიც მოსახლეობის მოჭარბების შედეგად განსაკუთრებით დიდ ფართობებს მოიცავენ. მაგ. ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის ირგვლივ ორ რიგად, წრიულად განლაგებულია კიდევ II შემაღლება, რომელთა საერთო ფართობი 7 ჰა-ს შეადგენს. ყველა ეს შემაღლება შემოწმებულია სადაზვერვო თხრილებით და თითქმის ყველგან (№6 ბორცვის გარდა) ერთგვაროვანი სურათი ჩანს. ეს ბორცვები არსებობას იწყებენ ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის პერიოდში, ე.ი. ხდება რაღაც დემოგრაფიული აფეთქება, როდესაც მოსახლეობა გადადის ცენტრალური ბორცვის გარეთ და იკავებს უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიას. ამ ბორცვებზე ცხოვრება გრძელდება ძვ.წ. III ს. დასაწყისამდე. ე.ი. ნამოსახლარზე ცხოვრების სრულ შეწყვეტამდე.[136] საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ფიჩორის ბორცვების სისტემის გარეთ, სრულიად ვაკე ადგილზე გავლებულმა სადაზვერვო თხრილებმა გვიჩვენა ადრეანტიკური ელინისტური ხანის მძლავრი დანანევრების არსებობა. აშკარაა, რომ აქ კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში ხდება მოსახლეობის განსახლება და ამ პერიოდისთვის ფიჩორის ნასახლარი დაახლოებით 10 ჰა. ფართობს მოიცავდა. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ე.ნ. პროტოურბანისტულ დასახლებასთან, რომელსაც ბუნებრივი კატაკლიზმების გამო არ დასცალდა ქალაქად ჩამოყალიბება. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესის დასრულებისთვის ნამოსახლარის ზედა (ელინისტური ხანის) ფენებში თითქოს ქალაქად ჩამოყალიბების ზოგიერთი ნიშანი შეინიშნება. ესაა ნამოსახლარის მასშტაბურობა, ერთიანი გამაგრების სისტემა არხების სახით (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი), იმპორტული მასალის (წითელ-კეციანი მცირეაზიური კერამიკა, სინოპური ამფორები და კრამიტი) გამოჩენა და სხვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, სინოპური კრამიტების აღმოჩენის ფაქტი, რაც მიჩნეულია ქალაქური ტიპის დასახლებათა არსებობის ერთ-ერთ ნიშნად.[137]

ამგვარად აშკარაა, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან მოყოლებული, ვიდრე ელინისტური ხანის ჩათვლით ნასახლარზე უწყვეტი ცხოვრების ნიშნები დასტურდება, რაც აშკარად გვიჩვენებს კოლხეთის დემოგრაფიული სურათის უცვლელობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ადრეული ერთი ბორცვიდან ბორცვების მთელ სისტემაზე და შემდგომ მის გარეთაც ადამიანის განსახლების პროცესზე.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ განსახლების ამგვარი სურათი შეინიშნება კოლხეთის რიგ ბორცვებზეც. მაგ. ნამჭედური III ე.ი. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ბოლო პერიოდიდან.[138] ანალოგიური სურათი ჩანს აბედათის დიხა-გუძუბას ირგვლივაც, სადაც ბორცვიდან განსახლება ძვ.წ. VII ს. უადრესი ჩანს.[139] მსგავსი სურათია ნაკარღალის ბორცვზეც. თითქოს ანალოგიური სურათი შეინიშნება მზიურის ბორცვების ჯგუფშიც.[140] საინტერესო სურათს გვაძლევს ნამარნუს

136. თუ რასთან არის დაკავშირებული ასეთი დიდი და მძლავრი ნამოსახლარის ცხოვრების შეწყვეტა, ეს საკითხის ერთი მხარეა. გარეშე ძალის მიერ ნასახლარის განადგურება სრულიად გამორიცხულია. ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვქონდეს ბუნებრივ მოვლენებთან, კერძოდ, შავი ზღვის დონის მკვეთრ ანევასთან, ახალ შავზღვურ ტრანსგრესიასთან. მართალია ამ პროცესს გეოლოგები რამდენადმე ადრე ვარაუდობენ (თ. ჯანელიძე) და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით განსაზღვრავენ, მაგრამ არქეოლოგიური მასალების გათვალისწინება რამდენადმე აკონკრეტებს ამ თარიღს. ყოველ შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნაწილში (დღეევანდელი გალი – ოჩამჩირის რაიონებში) ადრეელინისტურ ხანაში მოსახლეობა, თითქოს ტოვებს ამ ტერიტორიას და მთისწინა ზოლში ინაცვლებს.

137. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში.

138. **Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 20.

139. ფხაკაძე გ., აბედათის დიხა გუძუბა, მსკა, VI, ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.

140. მზიურის ბორცვების ჯგუფი 5 შემაღლებისაა წარმოდგენილი. მის ცენტრალურ ბორცვზე დაფიქსირებულია ელინისტურ – ადრე რეინის ხანის ფენები (სამწუხაროდ, თხრილის დაყვანა ბოლომდე ვერ მოხერხდა და ფენები სიღრმეში

ნამოსახლარის ბორცვების სისტემა, სადაც ცენტრალური ბორცვის ფენების სინქრონულობა გარეშე მიმდებარე ბორცვების მასალებთან ჯერჯერობით, თითქოს, არ დასტურდება.[141] ამასთან დაკავშირებით კოლხეთის სინამდვილეში საყურადღებოა აღვნიშნოთ, ამ ძეგლის ზედაპირული დაზვერვის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცენტრალური ბორცვი შეიცავდა უფრო ადრეულ ფენებს და მიმდებარე ბორცვები კი რამდენადმე გვიან არის წარმოქმნილი.[142] გამთხრელი აქედანვე წინასწარულად ვარაუდობს, რომ ნამარნუს ბორცვებიც სხვადასხვა დროს უნდა იყოს წარმოშობილი.[143]

ცენტრალური ბორცვიდან მიმდებარე ტერიტორიაზე განსახლების სურათი კარგად ჩანს ნოსირის ნასახლარის მაგალითზე, სადაც მდინარისპირა ტერასაზე წარმოდგენილია ძვ.წ. I ათასწლეულის, ხოლო თვით ბორცვზე მისი შესატყვისი და არქაული ფენები.[144]

რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა საგვიჩიოს ბორცვების წყება, მდ. ფიჩორის ნაპირზე, რომელიც დაზვერილი და ნაწილობრივ სადაზვერვო თხრილებით იქნა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო ექსპედიციის (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) მიერ 1966 წელს. სისტემის ცენტრში არის აღმართული ბორცვი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პატარა კონძას" უწოდებს. მის ირგვლივ კიდევ რამდენიმე შემაღლებაა, რომელთა შორის გამოირჩევა ერთი 3,5 მ. სიმაღლის „დიდი კონძა". თავდაპირველად სწორედ იგი იქნა მიჩნეული ცენტრალურ გუძუბად. გაირკვა, რომ მასზე მხოლოდ ელინისტური და ნაწილობრივ ადრეანტიკური ხანის ფენებია წარმოდგენილი. ამავე პერიოდის მასალა ჩანს სხვა ბორცვებზეც და მდ. ფიჩორის ფლატეში და თვით მდინარის თანამედროვე კალაპოტში. განსხვავებული აღმოჩნდა მხოლოდ „პატარა კონძა". მასზე ზემოთ აღნიშნული პერიოდების გარდა დადასტურდა უფრო არქაული მასალაც, ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც მოყოლებული.[145] ამგვარად აშკარაა, რომ კოლხეთის სინამდვილეში არ არის აუცილებელი ცენტრალურ ბორცვად ყოველთვის ყველაზე მაღალი ბორცვი იქნას მიჩნეული. საგვიჩიოს მიხედვით არის შემთხვევები ამგვარ ცენტრად უფრო პატარა ნამოსახლარებიც ვიგულისხმოთ. ერთი რამ კი აქაც აშკარაა – ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დემოგრაფიული აფეთქების კვალი.

...ამგვარად, კოლხეთის ნამოსახლართა მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ამ ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისისათვის ხდება მოსახლეობის მოჭარბება. იგი იკავებს ფართო ტერიტორიას, ქმნის ერთიან სამოსახლო სისტემას ერთიანი გამაგრებით. წარმოიქმნება პროტოურბანისტული დასახლებანი, რაც ყოველმხრივ ამზადებს საფუძველს ურბანისტული ცივილიზაციისა და აქედან გამომდინარე კლასობრივი საზოგადოების საბოლოო გაფორმებისათვის.

საინტერესოდ დგება საკითხი კოლხურ ნამოსახლართა საარხო სისტემების გამაგრების შესახებ. სადღეისო მონაცემებით შეძლება ითქვას, რომ კოლხეთის ყველა ხელოვნურ ბორცვს ირგვლივ უვლიდა თხრილი, თუმცა ხშირ შემთხვევაში დღეს ამგვარი თხრილები ან ამოვსებულია, ან დაჭაობებული და თითქმის არ გამოირჩევა გარემოსაგან. ასეთ შემთხვევაში ხშირად თხრილების არსებობის დამადასტურებლად გვევლინება მწვანე მცენარეული საფარი, რომელიც ამ ადგილებში განსაკუთრებული ინტენსივობით და ხასხასა მწვანე ფერით ხასიათდება. ეს გარემოება მონაკვეთის განსაკუთრებული ტენიანობით უნდა აიხსნას. ანალოგიური სურათი შეინიშნება მაგ. ტამიშის და მზიურის ნამოსახლარებზე. არის შემთხვევები, რომ მინის სამეურნეო დამუშავების დროს თხრილი სრულად არის მინით შევსებული და არაფრით არ გამოირჩევა თანამედროვე ზედაპირისაგან. ამგვარ ბორცვთა რიცხვს მიეკუთვნება განმუხურის გუძუბა, აბედათის დიხა-გუძუბა, ნაკარღალის ბორცვი და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ნაკარღალის ბორცვი, რომელიც დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან არაფრით გამოიყოფა გარემოსაგან. ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილი ჩამოჭრილია „კოლხიდმშენის" მიერ წარმოებული სადრენაჟო სამუშაოების დროს. მხოლოდ სამხრეთის მხრიდან ბორცვს შემორჩენილი აქვს დაახლოებით 4-5 მ. სიფართის არხი. აშკარაა, რომ იგი ირგვლივ უვლიდა მთელ ნასახლარს.

გრძელდება) მიმდებარე ბორცვებზე კი მხოლოდ ძვ.წ. I ათასწლეულის მასალა ჩანს. გათხრებს ანარმოებდა აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმი ი. ნენინარიას ხელმძღვანელობით. სამუშაო შეწყდა აფხაზეთის ასსრ პოლიტიკური სიტუაციის გამო.

141. Микеладзе Т. К., დასახ. ნაშრომი, გვ.12

142. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., ... დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი.

143. Микеладзе Т. К., დასახ. ნაშრომი, გვ.19.

144. ბარამიძე მ., გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ხელნაწერი, თბ., 1968; გოგაძე ე., დასახ. ნაშრომი.

145. ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი.

საბედნიეროდ არის მთელი რიგი ძეგლები, სადაც ეს საარხო სისტემები შედარებით კარგად არის დაცული. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს ფიჩორის ნასახლარი, სადაც თითოეულ ბორცვს და ბორცვების მთელ სისტემას ირგვლივ უვლის ფართო, 3-10 მ. სიგანის თხრილი. კარგად ჩანს იგი მზიურის და ნამარნუს ნამოსახლარებზეც და სხვა. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ფიჩორის ნასახლარიდან არხის კვალი მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით, სადაც 4 კმ. მანძილზე ტრასაზე ორი ნამოსახლარი კომპლექსი ფიქსირდება (2 კმ. მანძილზე „ჯვარალები" 4 კმ. – ნაკარლალი). სავარაუდოა, რომ ამ არხის ერთი შტო უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და დაახლოებით 3 კმ. მანძილზე მიადგება განმუხურის ნასახლარს. სამხრეთით ეს საარხო სისტემა მიემართება ზღვის მიმართულებით. ამგვარად გვაქვს მთელი სისტემა ხელოვნური არხებით ნამოსახლართა დაკავშირების. მსგავსი სურათი ჩანს მზიურის და შუშელეთის ნასახლარებზე. ეს უკანასკნელი იმით გამოირჩევა დანარჩენებისგან, რომ ნასახლარის ჩრდილოეთ ნაწილში გამდინარე წყალიც კი მიედინება. ამგვარი სისტემები ჩანს აბაშა-სენაკის რაიონებშიც, სადაც ერთ საწყალოსნო არტერიაზე ეხვდებით წყემი, ძიგურა, კეთილარის ერთი მხრივ და საგვიჩიოს ბორცვების ჯგუფების განლაგებას. აშკარაა, რომ სახეზე გვაქვს ერთიანი საწყალოსნო არტერიები, რომელზეც რამდენიმე სოფელი (ხუტორი) არის განლაგებული.[146] არქეოლოგიურად დადასტურებული ეს ფაქტი პირდაპირ ეხმაურება ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის ჰიპოკრატეს ცნობას, რომელიც ამბობს: „მათი სახლები გაკეთებულია წყალზე და მასალად გამოყენებულია ხეები ან ლერწამი. ისინი ცოტას დადიან ფეხით და ისიც მხოლოდ ქალაქში ან ბაზარში. ჩვეულებრივ მოგზაურობენ ნავებით, რომლებითაც ზემოთ და ქვემოთ მიუყვებიან არხებს. არხები კი ბევრია."[147] ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო ექსპედიციის მიერ საგვიჩიოს ტერიტორიაზე, არხის ფსკერზე ადრეანტიკურ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ხის ნიჩაბის ნაწილი, პირდაპირი საბუთი კოლხეთში სანაოსნო ტრანსპორტის განვითარების შესახებ.

ამგვარად აშკარაა, რომ კოლხეთის არხების სისტემები ძირითადად სამიმოსვლო არტერიებია. პარალელურად, და შესაძლოა უპირატესადაც, ისინი ასრულებენ სადრენაჟო ფუნქციებს. ის გარემოება, რომ ფიჩორში და მზიურში თითოეულ ბორცვს და შემდგომ ბორცვების მთელ სისტემას ირგვლივ შემოუყვება თხრილი – არხი თითქოს იმისკენაც მიგვანიშნებს, რომ მათ თავდაცვის ფუნქციაც ქონდათ მინიჭებული; არ არის გამორიცხული სამეურნეო თვალსაზრისით (წყლის მოპოვება, თევზჭერა) მათი გამოყენებაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ კოლხეთის არხები მრავალმხრივი ფუნქციის მატარებელი მელიორაციული ნაგებობებია.

საყურადღებოდ დგას საკითხი ამ არხების დათარიღების შესახებ. პირდაპირი საბუთი მათი ასაკის გასარკვევად არ მოგვეპოვება. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რამდენიმე ადგილზე გადაჭრა იგი, თუმცა ყოველგვარი წარმატების გარეშე. ამდენად, გაურკვეველია კოლხურ უძველეს ნამოსახლარებს ამგვარი რამ ჰქონდათ თუ არა. ყოველშემთხვევაში ერთი რამ მაინც ცხადია: წყემი – ძიგურა – კეთილარის სისტემაში შემავალი ბორცვები ძირითადად ერთი პერიოდისაა – გვიანი ბრინჯაოს ხანის. სადაზვერვო შურფებით ირკვევა, რომ წყემში შუა ბრინჯაოს დასასრულიდან ძვ.წ. I ათასწლეულის სანყისამდის ოთხი კულტურული ფენაა წარმოდგენილი.[148] ძიგურას ბორცვზე მხოლოდ ერთი ფენა ჩანს, რომელზეც ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალები იქნა აკრეფილი (სადაზვერვო თხრილი გავლებული არ ყოფილა). კეთილარის ბორცვზე დაფიქსირებულ იქნა მძლავრი ბათქაშოვანი ფენა, რომელიც შეიცავს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და II-I ათასწლეულების მიჯნის კერამიკას.[149] ამგვარად აშკარაა, რომ ერთ საწყალოსნო არტერიაზე განლაგებული სამი ნამოსახლარი ერთმანეთის სინქრონული უნდა იყოს, რაც გარკვეულ საბუთს იძლევა არხების დასათარიღებლადაც. როგორც ჩანს რთული საარხო სისტემები ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნის მოგვიანო მაინც არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე სრულიად ლოგიკური გვეჩვენება დასკვნა – ბორცვის ირგვლივ არსებული თხრილების თარიღი მასზე უფრო ადრეულად იქნას მიჩნეული. თუ კონკრეტულად რომელ პერიოდს მივაკუთვნოთ მათი გამართვა ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

---

146. დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წელს მიკვლეული იქნა წყემის ნამოსახლარი კომპლექსი შემდგარი 3 ბორცვისაგან. შემჩნეული იქნა, რომ თითოეულს ირგვლივ უვლის არხი და შემდეგ იგი მიემართება სამხრეთ-დასაელეთით. სწორედ ამ არხის გაყოლებაზე ექსპედიციამ დააფიქსირა ძიგურიას და შემდგომ კეთილარის ბორცვები. მანძილი პირველ და ბოლო პუნქტს შორის 6 კმ.

147. Латышев В. В., Известия древных писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, Петербург, 1895, გვ. 58.

148. მიქელაძე თ., ბარამიძე მ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის ანგარიში.

149. მიქელაძე თ., ბარამიძე მ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის ანგარიში. ხელნაწერი.

თავი II
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი შუა ბრინჯაოს ხანაში

შუა ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ შესწავლილი პერიოდია. რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი ძნელი სათქმელია. შესასწავლ ძეგლთა სიმცირე მკვლევარს სიძნელეთა წინაშე აყენებს, თუმცა უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება. კოლხეთის ტერიტორიაზე უკანასკნელ ათწლეულში გაშლილმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა შესაძლებობა მოგვცა დღემდის არსებული მთელი რიგი მასალა (ძირითადად შემთხვევითი აღმოჩენებით ცნობილი) სისტემატიზაციაში ყოფილიყო მოყვანილი. ამ პერიოდის მკვლევართა წინაშე მდგარი ძირითადი სიძნელე იმაშია, რომ ჩვენ არ გვქონდა შესწავლილი ნამოსახლარები, რომლებზეც ამ პერიოდის ფენები იქნებოდა გამოვლენილი. თითქმის უკანასკნელ დრომდე ეს მასალა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ანაკლიის დიხა-გუძუბა I მონაპოვარით, რომელმაც სათანადო ასახვა პოვა პროფ. ბ. კუფტინის ცნობილ მონოგრაფიაში.[150] სამწუხაროდ თვით ავტორს ეს ძეგლი არ გაუთხრია და მხოლოდ გამთხრელთა ინფორმაციით და სამუზეუმო მასალების შესწავლით შექმნილი ქრონოლოგიური შკალა არასრულია და დაზუსტებას საჭიროებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სადღეისოდ ეს პირველხარისხოვანი მასალა ძალზე არეულია და მისი გამოყენება საყრდენ ძეგლად თითქმის შეუძლებელია. უკანასკნელად ამ ძეგლების სისტემატიზაციაში მოყვანა იკისრეს ე. გოგაძემ და ლ. ფანცხავამ, რაც იმედს გვიქმნის, რომ უახლეს ხანებში დიხა-გუძუბას მონაპოვარი სათანადო ადგილს დაიკავებს დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის ძეგლთა შორის.

საბედნიეროდ, უკანასკნელ ხანებში ფართოდ გაშლილი კოლხური მრავალფენიანი ძეგლების შესწავლამ გამოავლინა მთელი რიგი ნამოსახლარები (დიხა-გუძუბა II, მაჭარა, ნამჭედური, ფიჩორი), სადაც სტრატიგრაფიულ ჭრილში დასტურდება შუა ბრინჯაოს ხანის ფენების არსებობა. აღნიშნული გარემოება უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო. ამ ძეგლების მონაპოვარის შედარებამ უკვე ცნობილ ლითონის ნაწარმად შესაძლებლობა შექმნა გამოყოფილიყო ე.წ. პროტოკოლხური ეტაპი, რომლის გარკვეული ნაწილი შუა ბრინჯაოს ხანასაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია პროფ. თ. მიქელაძის დამსახურება, რომელმაც ფაქტობრივად პირველმა დიხა-გუძუბა I და II მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთა პროტოკოლხური ეტაპის (ე.ი. ადრე და შუა ბრინჯაოს ხანების) გამოყოფის აუცილებლობა დასავლეთ საქართველოს მასალებში.[151]

ამ კულტურის რაობის გარკვევის საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ნოსირი I და განსაკუთრებით ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების გამოვლენამ. სწორედ ამ უკანასკნელზე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაფიქსირდა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედიდან ვიდრე ძვ.წ. III ს. დასაწყისამდის კულტურის განვითარების სურათი. სტრატიგრაფიულ ჭრილში განლაგებული რვა ფენიდან VI-IV ფენები. შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ამგვარმა სრულიად უნიკალურმა შემთხვევამ კი შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად ყოფილიყო გააზრებული შუა ბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოს კულტურა.

ასე რომ, სადღეისოდ ჩვენს ხელთ არის შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა მონაპოვარი, განძები და სამარხეული მასალა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ კოლხეთში ადრეული პერიოდის სამაროვნები ძალზე მცირერიცხოვანი და ნაკლებ შესწავლილი. საკვლევი პერიოდისთვის ჩვენს ხელთ არის მხოლოდ დოლმენების შესატყვისი ფენის მონაპოვარი და ბრილის სამაროვნის რამდენიმე სამარხეული კომპლექსი. სწორედ მთელი ამ მასალის თავმოყრა და ერთიან სისტემაში მოყვანა წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს.

კერამიკული ნაწარმი

არქეოლოგიურ კომპონენტთაგან ყველაზე მასიური და ალბათ, განმსაზღვრელიც, კერამიკული ნაწარმია, რომლის სიმრავლე, ფორმათა და ორნამენტის ნაირგვარობა ბევრ სიძნელეს აყენებს მკვლევარის წინაშე. მისი სწორი კულტურ-ქრონოლოგიური განსაზღვრა ნათელს ფენს ბევრ სადავო საკითხს. სადღეისოდ ბრინჯაოს ხანის კერამიკის შესწავლის საქმეში ბევრი რამ გაკეთებულია[152]

150. Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб.,1950, გვ. 238-248.
151. თ. მიქელაძე, ძიებანი... გვ. 41.
152. თ. მიქელაძე, ძიებანი... მ. ბარამიძე, თ. ჩიგოშვილი, ბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმი (ხელნაწერი).

და შეიძლება ითქვას სახეზე გვაქვს თიხის ნაწარმის განვითარების ზოგადი სქემა, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს პრობლემის არსს. მაგრამ ახალი სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ამ არსებული სქემების დეტალიზება, სადავო საკითხთა დაკონკრეტება. თუ მოხერხდება კერამიკის განვითარების ერთიანი ქრონოლოგიური, ყველასათვის მისაღები სქემის შემუშავება, ეს ბევრად გააადვილებდა ისტორიის უძველესი პერიოდების სწორ გაანალიზებას ქრონოლოგიურ ასპექტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფიჩორის მრავალფენიანი ნასახლარის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა კოლხეთის საკვლევი პერიოდის კერამიკული ნაწარმის თ. მიქელაძისეული სქემის, ერთგვარი დაზუსტებული სურათი. ეს აუცილებელი გახდა იმ გარემოებითაც, რომ გამოიყო გარდამავალი საფეხური შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის. ამან კი აუცილებელი გახადა აღნიშნული სქემის კორელირება. ამასთანავე გამოვლინდა მთელი რიგი ახალი ნიშნები, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ პერიოდებს და გარკვეულად საყრდენი ქრონოლოგიური ელემენტის მნიშვნელობა აქვს.

კოლხეთის კერამიკული ნაწარმი ქრონოლოგიურად იქნა დაჯგუფებული და განხილულია ქვემოთ. თუ რამდენად სწორედ არის აქ საკითხები დასმული და გადაწყვეტილი მკითხველის შესაფასებელია.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შუა ბრინჯაოს ხანის მასალებში, ბუნებრივია ყველაზე მრავალრიცხოვანი კერამიკაა. ამ ტერიტორიაზე ძირითადად ერთგვაროვანი თიხის ნაწარმია წარმოდგენილი, რომლებიც მომდინარეობენ ცნობილი ძეგლებიდან. ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის (VI-IV ფენები), ბორცვი №6, ნაკარღალი, ისპანი, ანაკლია II, ანაკლია I (მეორე და მესამე ფენები), ნოსირის პირველი და მეორე ფენები, თუმცა აღსანიშნავია რომ, სადღეისოდ მათ შორის შეიძლება გამოიყოს შედარებით ადრეული და მოგვიანო ძეგლები. ამ თვალსაზრისით ყველაზე გადამწყვეტი არგუმენტი კერამიკაა, როგორც მასიური და მრავალფეროვანი.

პროფ. თ. მიქელაძე ანაკლია II მასალებში გამოყოფს სამი ჯგუფის ნაწარმს. გარკვეულად ეს დაჯგუფება ვრცელდება საერთოდ კოლხეთის კერამიკაზე. მისი აზრით, პირველ ჯგუფში ერთიანდება შავპრიალა კერამიკა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მოზრდილი, სქელკედლიანი, ისე საშუალო და მომცრო თხელკედლიანი, კარგად დამუშავებული ეგზემპლიარები. მისი აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია კვერცხისებური ტანის მოყვანილობის მქონე ჭურჭლები ლენტისებური ყურით, ზოგჯერ ორნამენტი, თუმცა თხელკედლიანი ნაწარმის უმრავლესობა, გამსაკუთრებით ყურები შემკულია ჭრილი გეომეტრიული, ტალღოვანი ან ზიგზაგისებური ხაზებით. პროფ. თ. მიქელაძის აზრით, ეს კერამიკა გარკვეულად უკავშირდება წინარე პერიოდის მასალებს ისპანიდან და ფიჩორის ცენტრალური ბორცვიდან. მისი აზრით ეს მასალები ფაქტურით და ორნამენტით გარკვეულად უკავშირდება თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანების და ე. წ. ბედენური ჯგუფის ნაწარმს.[153]

აღნიშნული ჯგუფის ნაწარმი, (ტაბ. XX – XXI) გარკვეულად გავრცელებული ჩანს თითქმის მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. მისი უადრესი ეგზემპლიარები აღმოჩენილია ისპანისა და ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე; აქედან ისპანის ნასახლარის ქვედა ფენა ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებს განეკუთვნება.[154] ფიჩორი კი ძვ.წ. III ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედს (ძვ.წ. XXIII – XXII ს.ს.) ამ ორივე პუნქტში შავპრიალა ნაწარმი მასიურ, უხეშ კერამიკასთან შედარებით ერთეულებია.[155] ასეთივე სურათი ჩანს ფიჩორის №6 ბორცვზე. ნოსირში, ოჩამჩირეში და სხვა. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ეს უკანასკნელი, სადაც გამთხრელის მიერ ამ რიგის რამდენიმე ნატეხია მოხსენიებული და გამოქვეყნებულ ტაბულაზე მითითებულიც არის.[156] აფხაზეთის სახ. მუზეუმის ფონდებში ამჟამად ეს კერამიკა არ ჩანს. ოჩამჩირის მთელი მასალა მხოლოდ ადგილობრივი, უხეში ნაწარმით არის წარმოდგენილი.

შავპრიალა და კიდევ უფრო მცირე რაოდენობით ყავისფერპრიალა ნაწარმი არის ანაკლია I-ზე, თუმცა აქაც მათი რაოდენობა ერთეულებით არის განსაზღვრული. ჩვენ სპეციალურად დავათვალიერეთ ანაკლიის დიხა-გუძუბას მონაპოვარი (ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები) და ამ რიგის ნაწარმი იქაც საერთო რაოდენობის 1%-ს არ აღემატება.

---

153. **Микеладзе Т.**, К археологии Колхиды, გვ. 90.

154. ჩვენ არ ვიზიარებთ ძეგლის თარიღის განსაზღვრისათვის კალიბრირებულ მეთოდს, რომლის მიხედვით ისპანის ქვედა ფენა ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოზე მოდის. უფრო მისაღები ჩანს არაკალიბრირებული მეთოდით მიღებული თარიღი, III ათასწლეულის შუა ხანები. **დ. ხახუტაიშვილი**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ... სდსძ VIII.

155. ჩვენთვის გაუგებარია რით ხელმძღვანელობდა პროფ. თ. მიქელაძე, როდესაც აღნიშნავს, რომ ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე ეს ჯგუფი თითქმის იგივე რაოდენობითაა აღმოჩენილი, როგორც უბრალო ნაწარმი. კოლხეთის სხვა ძეგლებთან შედარებით შავ და ყავისფერპრიალა კერამიკა მართლაც მეტია, თუმცა საერთო რაოდენობის 1%-ს არ აღემატება. სხვა ძეგლებზე ისინი კიდევ უფრო მცირეა.

156. **Л. Соловьев**, დასახ. ნაშრომი.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ჯგუფი არ არის აღმოჩენილი ანაკლია II-ზეც. იქაც მათი რაოდენობა მხოლოდ ერთეულებით განისაზღვრება, რაც ჩანს პროფ. თ. მიქელაძის მიერ გამოქვეყნებულ ტაბულაზეც. აქვე გვინდა მივუთითოთ, ჩვენი აზრით, კიდევ ერთ უზუსტობაზე – პროფ. თ. მიქელაძე ამ ჯგუფის კერამიკის განხილვის დროს იხსენიებს ჰორიზონტალურყურიან ფრაგმენტებს ანაკლიიდან და აღნიშნავს, რომ მსგავსი ყურები დაფიქსირებულია ისპანის ზედა ჰორიზონტის მასალებში.[157] რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია არც ფიჩორში, არც ანაკლია I და არც ისპანში ჰორიზონტალურყურიანი შაე ან ყავისფერპრიალა ნაწარმი არ ყოფილა აღმოჩენილი. ამ რიგის ყურები მხოლოდ უხეშ (ადგილობრივ) ნაწერზე ფიქსირებული პარალელად მოტანილი ისპანის ყური ზუსტად ადგილობრივ ნაწარმზე ჩანს დატანილი.[158] ანაკლიის ყურიც ასევე უხეშკეციან ჭურჭელზეა დაფიქსირებული.[159] ამგვარად თითქმის არ გვაქვს საფუძველი იმ რიგის ნაწარმის ურთიერთდაკავშირებისათვის. ყოველი შემთხვევისთვის, ფიჩორის, ისპანის, ანაკლია I, ნოსირის მასალები ამის საფუძველს არ იძლევა.

საინტერესოდ დგას საკითხი ამ რიგის კერამიკული ნაწარმის წარმომავლობის შესახებ.

შავ და ყავისფერპრიალა კერამიკის წარმომავლობის შესახებ ძირითადად ორი აზრია გამოთქმული. მკვლევართა ერთ ნაწილს ეს კერამიკა ადგილობრივ ნაწარმად აქვს მიჩნეული (თ. მიქელაძე), მეორე ნაწილი კი მათ შემოტანილ ნაკეთობად მიიჩნევს (ლ. სოლოვიოვი, ბ. კუფტინი, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე და სხვა). ჩვენი აზრით, შავპრიალა კერამიკის ადგილობრივი წარმოშობის საკითხს რამდენიმე გარემოება უშლის ხელს. უპირველეს ყოვლისა, მათი რაოდენობა ძალზე მცირეა და როგორც აღვნიშნეთ, 1% არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ რიგის ნაწარმი არ არის ყოველდღიური სახმარი და მხოლოდ ფუფუნების თუ სარიტუალო პროდუქტს წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანი, რომელიც ამზადებს ასეთ მაღალხარისხოვან ნაწარმს, ბუნებრივია, შეეცდება ასეთივე იყოს მთელი მასიური მასალა. სურათი კი სრულიად სხვაგვარია. ის გარემოება, რომ შუა ბრინჯაოს ხანის შავპრიალა კერამიკა გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია წინარეპერიოდის (ფიჩორის, ისპანი) მასალასთან აშკარაა[160] და უნდა აიხსნას ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლოსათვის ამ რიგის ნაწარმის სხვა რეგიონებიდან შემოსვლით (შემოტანით). რომელი რეგიონები უნდა იყოს მხედველობაში მისაღები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა ნაწილი კოლხეთის შავპრიალა კერამიკის წარმოშობას უფრო ჩრდილოეთით (მაიკოპის კულტურა) ვარაუდობს.[161] მართალია, მაიკოპის კულტურისათვის დამახასიათებელი ჩანს შავპრიალა ნაწარმი, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება კოლხური კერამიკისაგან. ჯერ ერთი, მაიკოპის ნიმუშებზე სრულიად არ ჩანს კოლხეთისათვის ტიპიური ორნამენტი (ჭრილი გეომეტრიული სახეები). იქ უფრო რელიეფური კოპები და «მარგალიტისებური» ორნამენტია ფიქსირებული, რაც უცნობია კოლხეთში. ამასთანავე მაიკოპის შავპრიალა ნაწარმი კეცის მიხედვით აშკარად მდარეა, არ ჩანს მეტალური ბრწყინვალება, რაც ახასიათებს კოლხეთის ნაწარმს. ხშირად კეცი წვრილმინარევიანია, ქარსის შემცველი, რაც სრულიად უცნობია კოლხეთისათვის. ამასთანავე ფორმები, რომლებიც გამოიყოფა ცალკეული პროფილების მიხედვით, სრულიად განსხვავებულია ამ ორ რეგიონში. არ ჩანს მაიკოპის კულტურაში გრძელი ლენტური ყურები, ვაზისებური სასმისები და სხვა. ამგვარად აშკარაა, რომ კოლხეთის შავპრიალა კერამიკის სამშობლოდ მაიკოპის (და ნოვოსვობოდნაიას) კულტურის გავრცელების რეგიონის მიჩნევა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

მკვლევართა მეორე ნაწილი (ლ. სოლოვიოვი, ი. ვორონოვი) შავპრიალა კერამიკის სათავეებს წინა აზია-ანატოლიაში ხედავს. აქ, ჩვენი აზრით, დაშვებულია მეორე უზუსტობა და არ არის მხედველობაში მიღებული თვით ეს ნაწარმი. საქმე იმაშია, რომ საკვლევი პერიოდის ანატოლიის ძეგლებზე შავპრიალა ნაწარმი ძალზე მცირეა და პრიალა კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად ყავისფერპრიალა ნატეხებით. ამგვარად თუ კოლხეთის ამ რიგის ნაწარმის სამშობლოდ წინაზია-ანატოლიას მივიჩნევთ, მაშინ ლოგიკურია აქ ძირითადად ყავისფერპრიალა ნაწარმი გექონდეს წარმოდგენილი. ამ დროს კი კოლხეთის თავისთავად მცირე პრიალა ნაწარმში ყავისფერპრიალა კიდევ უფრო ცოტაა და მხოლოდ ერთეულებითაა წარმოდგენილი. უკანასკნელ ხანებში ეს მოსაზრება გაიზიარა არქეოლოგმა ჯ. აფაქიძემ (მოხსენება სიღნაღის საერთაშორისო სიმპოზიუმზე), სადაც მის მიერ ნაჩვენები იყო

157. Микеладзе Т., К археологии Колхиды, გვ. 20-21.
158. იქვე, ტაბ. VII.
159. იქვე, ტაბ. IIII1; რაც შეეხება ტაბ. VI მასზე ფოტოს მიხედვით მსჯელობა ძნელია, თუმცა იერი კი აშკარად უხეში კეცის ჩანს.
160. Т. Микеладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 20; მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი.
161. И. Цивария, Новые памятники дольменной культуры Абхазии Тб. 1990 გვ. 66. В. В. Бжания, Мачарское поселение...

მასალები ძირითადად ტროას გათხრებიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაქტობრივად ყველა დამსწრემ მათ ფორმებსა და ორნამენტში კოლხურთან მსგავსება ვერ დაინახა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ როგორც პირველ შემთხვევაში, არც აქ გვაქვს მაინცდამაინც მსგავსი პროფილები, ორნამენტალური მოტივი, მეტალური ბზინვის მქონე ფრაგმენტები. ამდენად აშკარაა, რომ ეს რეგიონიც კოლხეთის კერამიკის წარმომავლობის თვალსაზრისით არაფერს არ იძლევა.

კოლხური შავპრიალა კერამიკის წარმომავლობის თვალსაზრისით ყველაზე რეალური გზები ისახება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ანაკლია II შავპრიალა ნანარმის შესწავლის დროს თ. მიქელაძემ და მ. ბარამიძემ ყურადღება მიაქციეს ამ ნანარმის მსგავსებას თრიალეთის ყორღანების ადრეული ჯგუფის მასალასთან.[162] შემდგომში თ. მიქელაძემ რამდენადმე შეიცვალა თავისი შეხედულება, თუმცა აღიარებს რაღაც კავშირებს ე.წ. ბედენური იერის მასალებთან, განსაკუთრებით ბერიკლდეებიდან. პირველი ვინც მკვეთრად დააკავშირა კოლხეთის შავპრიალა ნანარმი ე.წ. ბედენურ კერამიკასთან იყო აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. მ. ბარამიძემ მიაქცია რა ყურადღება დიდ მსგავსებას ამ მასალების კეცში და ორნამენტაციაში დასვა საკითხი ამ რიგის ნანარმის ერთი კერიდან მომდინარეობის შესახებ. მისი ეს მოსაზრება საჭიროებდა მეტ ფაქტობრივ დასაბუთებას, რადგან არ ჩანდა ფორმათა იდენტურობა ამ ორი რეგიონის მასალებს შორის. უკანასკნელ ხანებში ეს ხარეზიც თითქოს შეივსო. ფიჩორის ნასახლარზე აღმოჩენილი შავპრიალა მრგვალბაკოიანი, ბაკოგადმოკეცილი ჯამები, მაღალქუსლიანი ვაზისებური სასმისები, ზიარი ჭურჭელი, ლენტისებური ყურები შეიძლება ითქვას იმეორებს ე.წ. ბედენური კერამიკის ფორმებს. აქედან გამომდინარე, ფორმათა მსგავსება, კეცის იდენტურობა, ორნამენტაცია, თითქოს იძლევა იმის საფუძველს, რომ კოლხეთის შავპრიალა კერამიკის წარმოშობის საფუძველი ვეძებოთ აღმოსავლეთი საქართველოს, შესაძლოა შიდა ქართლის დასავლეთ რაიონების ტერიტორიაზე. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ კოლხეთში შავპრიალა კერამიკის გაჩენა ქრონოლოგიურად გარკვეულად ემთხვევა ბედენური კულტურის აყვავების ეტაპს (ისპანი, ფიჩორი VIII ფენა). აქვე თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებულ და მძლავრ ერთობას, რომელიც შორს გასცდა თავის თავდაპირველ გეოგრაფიულ არეალს და მოიცვა ანატოლიიდან ჩრდილოეთ კავკასიამდე ტერიტორია. ბუნებრივია ასეთ დროს დადგეს საკითხი, რით აიხსნება ის გარემოება, რომ მტკვარ-არაქსი არ გავრცელდა დასავლეთით. ყოველ შემთხვევაში დაბლაგომის დასავლეთით ეს კულტურა არ ჩანს. აქ ჩვენი აზრით, მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორია გეოგრაფიულად აღმოსავლეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ რეგიონს წარმოადგენს და ამდენად აქ მტკვარ-არაქსის კულტურის გაუვრცელებლობა მხოლოდ მეურნეობის განსხვავებული ხასიათით უნდა აიხსნას. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე თითქმის ყოველთვის უპირატესად მინათმოქმედი, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი კი მესაქონლე. ეს გარემოება ჩვენი აზრით ხსნის იმ ფაქტს თუ რატომ, ასეთი მძლავრი კულტურა ვერ გავრცელდა მეზობელ ტერიტორიაზე, მაშინ, როდესაც გეოგრაფიულად ასეთი დაშორებული რეგიონები მოიცვა. ის გარემოება, რომ დასავლეთი ამიერკავკასიის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებში ვხვდებით ცალკეულ ნიმუშებს ან იმპულსებს, რაც მტკვარ-არაქსთან კავშირის შედეგადაა მიღებული ეს საკითხის მეორე მხარეა. ეს კონტაქტები ბუნებრივია იყო და მკვლევართა აზრით, სწორედ, ამგვარი კონტაქტების შედეგად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, ჩანს მოხვედრილი კოლხეთში შავპრიალა, ე.წ. ბედენური იერისკერამიკა.[163] ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გამოვრიცხავთ ამ პროცესს, თუმცა მიგვაჩნია, რომ არის საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი შესაძლებლობა. არ უნდა გამოირიცხოს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან კოლხეთში გარკვეული, შესაძლოა პატარა, ეთნიკური ნაკადის მოხვედრა. ეს საკითხი საკმაოდ რთულია და საკამათო. მატერიალური კულტურის ერთ-ერთი, თუნდაც განმსაზღვრელი კომპონენტის მიხედვით საკითხის დასმაც კი რთულია, მით უფრო, რომ ჯერჯერობით მონაპოვარი მასალის სხვა ჯგუფები ამის არავითარ საბუთს არ იძლევა. სრულიად არ გვაქვს ანთროპოლოგიური მონაცემებიც, მაგრამ მაინც გარკვეული სიფრთხილით საკითხის ამგვარი დასმა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია. ზემოხსენებული მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე და მისი გარკვეული ლოკალიზება კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რეგიონში, თითქოს იძლევა საფუძველს საკითხის ამგვარი დასმისათვის. ის გარემოება, რომ შავპრიალა ნანარმი ასეთი რაოდენობითაა წარმოდგენილი

162. **Микеладзе Т. К., Барамидзе М. В.** დასახ. ნაშრომი.

163. ლ. ჯიბლაძე, ირ. მუხიგულაშვილი, კოლხეთის დაბლობის შავპრიალა ნანარმის წარმომავლობისათვის.

ფიჩორის ნამოსახლარზე და ერთეულების სახით ყველა სხვა ძეგლზე, თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ იგი გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიერ არის აქ მოტანილი. ის გარემოება, რომ არ ჩანს საშუალედო რეგიონი ამ კერამიკის გავრცელებისათვის დღევანდელი იმერეთის ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, იმით უნდა ავხსნათ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ გვაქვს ცნობილი. რაც შეეხება ადრე ბრინჯაოს ხანას, უფრო ზუსტად მის ბოლო საფეხურს ამ პერიოდში იმერეთის ზეგანი აშკარად მტკვარ-არაქსის კულტურის შემადგენელი ნაწილია. ჯერჯერობით არ ჩანს იმერეთში ე.წ. ბედენური კულტურის ძეგლები, თუმცა ქრონოლოგიურად მისი სინქრონულია საჩხერის ადრეული ყორლანების ერთი ჯგუფი. (მაგ. პასიეთის ყორლანი) აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ე.წ. ბედენური კულტურის გავრცელების არეალის განსაზღვრისათვის, ჯერჯერობით მაინც, იმერეთში მათი არარსებობა ხელშემშლელი შესაძლოა ვერ გამოდგეს.

არის კიდევ ერთი არაპირდაპირი საბუთი, რომელიც თითქოს მხარს უჭერს შავპრიალა ნაწარმის გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიერ კოლხეთში შემოტანას. ფიჩორის ნასახლარის მიხედვით აშკარაა, რომ ამ რიგის ნაწარმის გამოჩენა ხდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის მაინც (ფენები VIII-VII). ამ პერიოდში ადგილობრივ, უხეშ კერამიკასა და შავპრიალას შორის არ ჩანს არავითარი კავშირი არც ფორმებში, არც ორნამენტაციასა და არც კეცში. ფიჩორის VI ფენიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი V და IV ფენებში ხშირია შავპრიალა ჭურჭლის მინაბაძები დამზადებული უხეში კეცით. (ლენტური და ჰორიზონტალური ყურები, ჭრილი გეომეტრიული ორნამენტი და სხვა). ამ ფაქტიდან აშკარაა, რომ თუ შავპრიალა ჩაითვლება ადგილობრივ, კოლხურ ნაწარმად, მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ფიჩორის ქვედა ფენებში უნდა ყოფილიყო მსგავსი ფორმები დამზადებული სხვადასხვა კეცით. ამგვარ სურათთან კი საქმე არა გვაქვს. ის გარემოება, რომ ნასახლარის არსებობის მომდევნო საფეხურზე ჩნდება შავპრიალას ადგილობრივი მინაბაძებ, ჩვენი აზრით, უფრო იმ მოსაზრების შესამაგრებლად მეტყველებს, რომ ეს ნაწარმი შემოტანილია გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიერ. ამით აიხსნება მათი შედარებითი სიმცირე და გარკვეული ტიპოლოგიური გავლენა ადგილობრივ თიხის ნაწარმზე.

უკანასკნელ ხანებში შავპრიალა ჭურჭლის წარმომავლობის საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა ე. გოგაძემ. მისი აზრით, კოლხეთის მატერიალურ კულტურაში შეინიშნება გარკვეული ერთიანობა და თანდათანობით განვითარების სურათი. ავტორი კერამიკის მიხედვით ადრელითონების ხანისათვის გამოყოფს „დასავლურკოლხურ კულტურას" (რომელიც ფაქტობრივად ემთხვევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიას) და მიაჩნია რომ იგი ლოკალიზებულია კოლხეთის სამხრეთ და ცენტრალურ შავიზღვისპირეთის ნაწილში.[164] თუმცა, თვით მის მიერ ამ კულტურის წრეში სავსებით სამართლიანად ფიჩორის, ოჩამჩირის და მაჭარის ნასახლართა შეყვანა ფაქტობრივად უფრო აფართოვებს კულტურის გავრცელების რეგიონს და სავსებით ემთხვევა გ. ფხაკაძის მიერ გამოყოფილ „ადრე ბრინჯაოს ხანის კოლხეთის დაბლობის კულტურას".[165] ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ამ უკანასკნელის ტრადიციები ვრცელდება სანაპირო ზოლში და მოიცავს უფრო ფართო ტერიტორიას, თვით „დოლმენური კულტურის" ჩათვლით.[166] ავტორის ეს მსჯელობა, ჩვენი აზრით, რამდენადმე დაუსაბუთებელია და საქმე სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს, რაზეც გარდამავალი ეტაპის მასალებთან დაკავშირებით გვექნება საუბარი.

ასევე ნაკლებ დამაჯერებელი გვეჩვენება ავტორისეული მსჯელობა მტკვარ-არაქსული და ბედენურ-თრიალეთური კულტურების დიდი გავლენის შესახებ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე, რაც თითქოს გამოხატულია ცალკეულ ფორმებში, ტექნოლოგიასა და სხვა. თავისთავად სავსებით მისაღები ეს მოსაზრება ვერ არის ჯეროვნად შემაგრებული მასალით. ჩვენი აზრით, სავსებით სწორედ იყო შენიშნული, რომ მტკვარ-არაქსი არ ვრცელდება მთელი კოლხეთის დაბლობზე და დაბლაგომის დასავლეთით ფაქტობრივად იგი არც გვხვდება[167]. ის ფორმები, კეცი, ორნამენტი, რომელიც მოტანილია პარალელებად ფაქტობრივად მტკვარ-არაქსულ ელემენტებს არ შეიცავს. თითო-ოროლა ელემენტი, რაც შესაძლოა დადასტურებული იქნას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, უფრო სპორადულ და შემთხვევით ხასიათს ავლენს, ვიდრე კულტურულ გავლენას. რაც შეეხება ბედენურ-ადრეულ ყორლანების ჯგუფის ნაწარმის გაჩენას საკვლევ რეგიონში, ეს უფრო მკვეთრად და რეალურად ისახება, თუმცა ზოგიერთ ფორმათა მსგავსება ჩვენ მაინც ხელოვნური

164. ე. გოგაძე კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ, კრ. გურია II 1997, გვ. 33-56.
165. გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.
166. ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55.
167. გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82 და შმდ.

გვეჩვენება[168]. ბედენური კერამიკის გაჩენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნასახლარებზე აშკარაა, მხოლოდ მას არა აქვს ისეთი დიდი მასშტაბები, როგორც ზემოხსენებულ ნაშრომშია ნარმოდგენილი.

ასევე რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა არის დაშვებული ლ. ჯიბლაძის მიერ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ წერილში[169]. კერძოდ ისპანის, ჭოლიპას და შემოქმედის მონაპოვარზე იგი მტკვარ-არაქსულ გავლენას ხედავს და ფაქტობრივად იქიდან შემოსულად მიაჩნია. ისპანის მასალებში ტიპიური მტკვარ-არაქსული მასალა საერთოდ უცნობია და ჩვენი აზრით სამეცნიერო ლიტერატურაში გაპარულია შეცდომა ამ მიმართულებით. აქაური შავპრიალა, ისევე როგორც კოლოტაურის, სრულიად სხვა იერის და ფორმისაა, ვიდრე მტკვარ-არაქსული ნაწარმი. შეიძლება ვილაპარაკოთ, რაღაც ტექნოლოგიურ გავლენაზე, მაგრამ არაეითარ შემთხვევაში წარმომავლობაზე. ასევე საეჭვოა ჭოლიპას და შემოქმედის მასალების მტკვარ-არაქსულ ნაწარმად მიჩნევა. თვით ძეგლის შემსწავლელი ბ. მურვანიძე ამ ნატეხებს (უფრო ზუსტად ერთ ყურს) მტკვარ-არაქსულ იერისად მიიჩნევს[170], ისე რომ მტკვარ-არაქსის გავრცელება დასავლეთით ჯერჯერობით მასალის მიხედვით არ დასტურდება, თუმცა ცალკეული იმპულსები და ერთეული ელემენტების გამოჩენა მოულოდნელი არც უნდა იყოს.

პროტოკოლხური კერამიკის მეორე ჯგუფში ფაქტობრივად ეაერთიანებთ საკვლევი პერიოდის მთელ ნაწარმს (ტაბ. XIV-XIX). იგი ხელით ნაძერნია კვარცისა და ქარსის მინარევებით. გამომწვარია რუხ, მონაცრისფრო და ყავისფრად, იშვიათად შავად. არც ერთ მათგანზე არ ჩანს მოპრიალების კვალი, ნარმოდგენილია ძირითადად ფრაგმენტალური სახით. ცალკეული პროფილების მიხედვით აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სამზარეულო ჭურჭელთან. ფორმებიდან აღსანიშნავია მოზრდილი დერგები, რომელთა ნაწილი ჰორიზონტალური ყურებითაა შემკული. ჩვეულებრივ ტანის ზედა ნაწილში დაუყვება რელიეფური სარტყელი, რომელიც შემკულია თითისეული ან ჭრილი, კბილისებრი ღრმულებით. ამ ჯგუფის ჭურჭელი ზოგჯერ შემკულია რელიეფური „ჯიბისებრი" ორნამენტით, რაც დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძეგლებისათვის[171].

კერამიკის დიდ ჯგუფს ნარმოადგენს ქოთნები. მათთვის დამახასიათებელია დაბალი ყელი და მსუბუქად გაშლილი პირი; ტანი ჩვეულებრივ სფერული ფორმისაა, ზედაპირი ხაოიანია და ზოგჯერ ნაფოტით მოსწორებული. აღსანიშნავია, რომ „ჯიბისებრი" ორნამენტი დატანილია ამ რიგის ნაწარმზეც. ფორმით ამ ქოთნებთან ახლოს დგას ერთი ტიპის ნაწარმი, რომლებსაც ტანის ზედა ნაწილში ვერტიკალურშვერილიანი ნახვრეტი აქვთ დატანილი. აღნიშნული ფორმები უფრო შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მასალებისთვის ჩანს დამახასიათებელი. ფორმით ისინი ზუსტად იმეორებენ ზემოაღნიშნულ ქოთნებს, მხოლოდ მათგან განსხვავებით ყელზე სასულე ნახვრეტი აქვთ დატანილი.

ამ ჯგუფთან ერთად უნდა განვიხილოთ კიდევ ქოთნების ერთი გარკვეული, თუმცა მცირერიცხოვანი ჯგუფი. საქმე ეხება ე.წ. სამყურა ჭურჭელს, რომლებიც გეხედებიან როგორც პატარა ზომის, (შესაძლოა საკულტო), ისე მოზრდილი. ანალოგიური ნაწარმი გავრცელებული ჩანს თითქმის მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში.

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ჯამები, რომლებიც ზოგჯერ შემკულია ვერტიკალური, გახვრეტილი შვერილით ან ძუძუსებრი კოპით. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნაწარმი უფრო შუა ბრინჯაოს ხანის საფეხურზე ჩანს გავრცელებული.

შემდეგ დიდ ჯგუფს ნარმოადგენს ქილები, რომლებსაც ახასიათებს ცილინდრული ტანი, უყელო, სნორი, მსუბუქად გაშლილი პირი. შემკულია ვერტიკალური, ზოგჯერ დუბლირებული (წყვილადი) ყურებით. ყურები ზედა ნაწილში შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. საყურადღებოა, რომ ყურის ამგვარი შეკობა არ ჩანს შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე. სამაგიეროდ მოგვიანო საფეხურზე უკვე აღარ ეხვდებით ადრე ბრინჯაოს ხანასა და შუა ბრინჯაოს სანყისში გავრცელებულ ყურის კორპუსში დამაგრების წესს, ქიმისებრი შვერილით და მოქლონვით.

ცალკე ჯგუფს ქმნის ხელადის ფორმის ნაწარმი, თუმცა ისინი ძალზე მცირერიცხოვანია. ახასიათებთ დაბალი ყელი, გაშლილი პირი, ძირითადად სფერული ტანი. ფორმით თითქმის იმეორებენ

---

168. შდრ. მაგ. ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII8, 41, 60, 65; XIII4, 14; XIII11 და სხვა. არ ჩანს კოლხეთის შავპრიალა ნანარმში. ერთადერთი, რაც შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ კრატერისებურად გაშლილძირიანი მოზრდილი ჭურჭელია, მაგრამ ისიც მხოლოდ ადგილობრივი ფორმის და კეცის ჭურჭელია ნარმოდგენილი.

169. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ჯგუფის ნარმომავლობისათვის, თბ., 1998, გვ. 6.

170. ბ. მურვანიძე, ჭოლიპას ნასახლარზე მოპოვებული თიხის ნანარმი, კრ. „გურია" I, თბ., 1998, გვ. 74-75; ე. სადრაძე, და სხვ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1991-1994 წ.წ., კრ. „გურია" I, გვ. 24-25.

171. Мгкеладзе Т., დასახ. ნაშრომი, გვ.20; ფხაკაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104-105; ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ფიჩორის ნასახლარი, მაცნე №4, 1989; Джибладзе Л. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 72-75.

ქოთნებს, თუმცა მათგან განსხვავებით უფრო თხელკედლიანებია. რაოდენობრივად უფრო მეტია შუა ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის მასალებში.

კერამიკის შესახებ ჩვენი საუბარი არ იქნება სრული თუ არ მოვიხსენიებთ ამ რიგის კიდევ ერთ ჯგუფს. საქმე ეხება ჭურჭლის ძირებს. ძირები წარმოდგენილია ძირითადად ორი ტიპის – ბრტყელი, ტანზე კუთხოვანი გადასვლით და ქუსლიანი. ბრტყელი ძირები ხშირად შემკულია ჭილოფის ანაბეჭდებით, თუმცა შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებში მათი რაოდენობა რამდენადმე ნაკლებია და ძირითადად გავრცელებული ჩანს მცენარის ანაბეჭდიანი მასიური ძირები, რაც უფრო ადრეული, ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულის ეტაპიდან მომდინარეობს. რაც შეეხება ქუსლიან ძირებს ისინი ჩნდებიან შუა ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის ძეგლებზე, გარდამავალ პერიოდში მათი რაოდენობა მკვეთრად იკლებს, ხოლო გვიანი ბრინჯაოს ხანისთვის კი საერთოდ ქრება.

შუა ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის მასალებში (ფიჩორის V ფენა, ბორცვი №6) თავს იჩენს მასიური რქისებური სადგრები. ისინი არაა ფართოდ გავრცელებული, თუმცა ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას, რქისებური სადგრები ჩნდებიან ადრე ბრინჯაოს ხანაში (გუანდრა[172], ჩაქვი[173]) და განსაკუთრებით გავრცელებული არიან შავიზღვისპირეთის ე.წ. დიუნურ ნასახლარებზე წინარეანტიკურ ხანაში. ერთეულების სახით გვხვდება ისინი გვიანი ბრინჯაოს ხანის სააწყის ძეგლებზეც (გუმისთა II). შუა ბრინჯაოს ძეგლებზე მათი ტიპოლოგიური მსგავსი ნაკეთობების აღმოჩენა შესაძლებლობას იძლევა მათ შორის გარკვეული გენეტიკური კავშირი იქნას დანახული.

შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის მესამე ჯგუფში პროფ. თ. მიქელაძე გამოყოფს მოშავო ფერის, ხშირად ნაპრიალებ, საშუალო ზომის ბადიისებურ ჭურჭელს. აღნიშნული კერამიკა შემკულია კოპის ან პატარა ცრუ ყურის ირგვლივ დატანილი კონცენტრირებული წრეებით ან ნახევარრკალებით. ამგვარი სახეებით შემკული ორნამენტი ფორმასთან ერთად, როგორც ამას ჯერ კიდევ პროფ. ბ. კუფტინი შენიშნავდა, ბევრ საერთოს პოულობს მდ. პოს, სარდინიის და დუნაისპირა აუზის ტერამარების კულტურაში[174]. მართლაც, ძნელია არ დაინახო კოლხური კერამიკის ამ ჯგუფის ნაწარმის მსგავსება ტერამარების A I–II ჯგუფების ნაწარმთან, რომლებიც 2000-1600 წ.წ. ფარგლებში ექცევიან[175]. რომ ეს მსგაესება შემთხვევითი არ არის და შესაძლოა გარკვეულ კულტურულ შეხვედრებზე მიგვითითებდეს იქიდანაც ჩანს, რომ კოლხეთის მოგვიანო კერამიკაზე (ძვ.წ. VII-VI ს.ს.) ასევე შეინიშნება აღმოსავლეთ ევროპული ნაკადის გავლენა. მხედველობაში გვაქვს კერამიკა მომდინარე ადრე თრაკიული ხანის ბულგარეთის ნამოსახლარებიდან[176]. ამგვარად აშკარაა, რომ აღმოსავლეთ ევროპას პერიოდულად საკმაოდ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა აქვს კოლხეთთან. ამგვარი კონტაქტები ყველაზე მკაფიოდ მატერიალურ კულტურაში, ამ შემთხვევაში, კერამიკაშია ასახული.

ამგვარად, კოლხური შუა ბრინჯაოს ხანის მესამე ჯგუფის კერამიკა პროფ. თ. მიქელაძის აზრით ამ პერიოდის ნაწარმს წარმოადგენს, რაც შესამაგრებელია ტერამარების ზემომოყვანილი თარიღით. აღსანიშნავია, რომ იგი ამ ჯგუფის კერამიკას მაინც მოგვიანო ხანის ნაწარმად მიიჩნევს, თუმცა არ ჩანს შუა ბრინჯაოს ხანის რომელ საფეხურს უნდა დაუკავშირდეს[177].

ჩვენ მთლიანად ვერ გავიზიარებთ პროფ. თ. მიქელაძის ამ მოსაზრებას და შევეცდებით ჩვენი პოზიცია გამოვთქვათ ზემომოყვანილ ჯგუფთან დაკავშირებით. მართალია პროფ. მიქელაძე როდესაც აღნიშნავს, რომ მსგავსი ნაწარმი არ არის ისპანის ნასახლარზე და ერთეული ნიმუშები ჩნდება ანაკლია II ზედა, ნასახლარის არსებობის ბოლო ეტაპის ფენებში. იგი გაბატონებულია ანაკლია I (II-III ფენები), ნოსირი I-II ფენები, „კეკელური ზუგა" (I-II) ფენები, „ნაჭვის ზუგას" მასალებში. ეს გარემოება აფიქრებინებს ავტორს, რომ ეს ძეგლები რამდენადმე მოგვიანოა ვიდრე ანაკლია II და გარკვეულად უახლოვდება მომდევნო გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (ძვ. კ. I) ძეგლებს, რომლებშიც ვხვდებით მსგავსი ორნამენტით შემკულ ფრაგმენტებს[178]. ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ პროფ. თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებულ ძეგლთა ამგვარ ურთიერთმიმართებას, თუმცა ზოგიერთი დაზუსტებით. ფიჩორის ნასახლარის ცენტრალურმა ბორცვმა მოგვცა სრულიად უნიკალური სტრატიგრაფიული სურათი, რომლის გაუთვალისწინებლობა არაფრით არ შეიძლება

172. **Цвинария И. И.**, Гуандрюе поселение, გვ. 17.
173. **Григолия Г. К., Мирцхулава Г. И.**, Результаты работ...., ПАИ-74, Тб., 1974.
174. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრომი, ტ. II გვ.237, 240, სურ. 63; **Микеладзе Т.** დასახ. ნაშრომი, გვ.21
175. **Saflund G.**, Le terramare dalle proovincie de Modena, Reggio Emilia, Parma, Piacenra, Leipzig, 1939; ტაბ. 7, 10, გვ.11
176. **Cicikova M.**, Fruthrarische Siedlungen in Bulgarien. Simposium zu Problemen der jungeren Hallstattreit in Mitteleuropa, Bratislava, 1979.
177. **Микеладзе Т.** დასახ. ნაშრომი, გვ.21 და შმდ.
178. იქვე:

საკვლევი პერიოდის მასალების განხილვისას. ბორცვზე მესამე ჯგუფის კერამიკა არ აღმოჩენილა არამარტო ადრეულ (ისპანის და ოჩამჩირის ნაწილობრივ სინქრონულ) VIII-VII ფენებში, არამედ, აშკარად შუა ბრინჯაოს ხანის VI-V ფენებში. არ ჩანს ისინი არც V ფენის სინქრონულ №6 ბორცვის მასალებში და ნაკარღალის ბორცვზე. ამგვარი ღარული ორნამენტით შემკული ნაწარმი პირველად ჩნდება მხოლოდ ცენტრალური ბორცვის IV ფენაში, სადაც გვაქვს თანხვედრა ადრეული (ადრე და შუა ბრინჯაოს ხანა) და მოგვიანო (გვიანი ბრინჯაოს სანყისი) მასალების[179]. აქედან ადრეულს განეკუთვნება ადგილობრივი უხეში კერამიკა რელიეფურ-ჭდეული ორნამენტით და მასიური ჰორიზონტალური ყურებით, მოგვიანოს კი ფრინველისმკერდისებური და ორფერდა პირთან მიერთებული ყურები, ზემოთხსენებული ღარულორნამენტიანი ფრაგმენტები. ამგვარად აშკარაა, რომ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა შეიცავს ნარევ მასალას, სადაც არის თანხვედრა ორი მომიჯნავე ეპოქის ნაწარმის. ამდენად, აქ აღმოჩენილი მასალა ერთგვარად გარდამავალი ხასიათისაა და იგი შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურად უნდა გამოიყოს. ფიჩორის ამ მასალებზე დაყრდნობით აშკარა ხდება, რომ მსგავსი გარდამავალი ფენის გამოყოფა უნდა მოხდეს სხვა ძეგლებზეც. ჩვენ ასეთებად მიგვაჩნია ნამჭდეურის ქვედა (VI) ფენა, ანაკლია I-III ფენები. ყველა ამ ძეგლს პრინციპში ერთგვაროვანი ხასიათი აქვს და მათი ფენებიც ანალოგიურ ნარევ მასალას შეიცავს. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ქრონოლოგიურადაც ეს ძეგლები ერთი პერიოდისად ჩანან, რაც აბსოლუტურ დათარიღებაში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანით უნდა განისაზღვროს. ეს პერიოდი კი შუა ბრინჯაოს დასასრულია და გვიანის სანყისი. აქედან გამომდინარე ამ ძეგლების კერამიკის მიკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანისადმი, ჩვენი აზრით, საკამათოა და უფრო ზუსტი ეიქნებით თუ პროფ. თ. მიქელაძის მიერ გამოყოფილ მესამე ჯგუფის თიხის ნაწარმს გარდამავალ საფეხურში მოვაქცევთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთ აკადემიურ გამოცემაში უკვე გაჩნდა ამ რიგის ნაწარმის შუა ბრინჯაოს ხანის მასალად ჩვენების ცდა[180], მაშინ, როდესაც არაეითარი საბუთი საკუთრივ შუა ბრინჯაოს ხანაში მსგავსი ნაწარმის კოლხეთში გავრცელების შესახებ არ გვაქვს. სხვა საკითხია თუ საიდან მოდის თიხის ჭურჭლის ეს ფორმები და ორნამენტალური სახეები. რომ იგი ადგილობრივ არ უნდა იყოს აღმოცენებული თითქოს აშკარაა, ვინაიდან შემკობის თითოეულ სახეს არ ეძებნება გენეტიკური წინამორბედი. სრულიად გამორიცხული ჩანს ჩრდილოური (ყუბანისპირეთის) რეგიონი, სადაც ამ პერიოდის მასალების სიმცირის მიუხედავად მსგავსი კერამიკა სრულიად უცნობია. პირიქით, შუა ბრინჯაოს მიწურულსა და გვიანის სანყისში, ისევე როგორც რამდენადმე ადრე, აქ განსხვავებული კერამიკის შემცველი ძეგლებია გამოვლენილი[181]. აქვე არ ჩანს რაიმე გავლენა სამხრეთის, მცირე აზრიის მხრიდან. საერთოდ შუა ბრინჯაოს ხანა კოლხეთში იმითაც ხასიათდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ეს კონტაქტები სამხრეთთან სრულიად შეწყვეტილია. ასევე გარკვეულად შესუსტებული ჩანს ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონთაან. რით ავხსნათ ეს მოვლენა, ცოტა ძნელი სათქმელია. აღმოსავლეთ საქართველოს ბარი ამ პერიოდში შედარებით ნაკლებადაა დასაქმებული, მაშინ როდესაც კოლხეთის ბარში, როგორც ვხედავთ, უწყვეტი, ინტენსიური ცხოვრება გრძელდება. კონტაქტები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებს შორის კვლავ ინტენსიური ხდება მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან, რაც კერამიკაშიც პოვებს ასახვას. მკვლევართა ნაწილი (რ. აბრამიშვილი, ბ. ჩოლოყაშვილი)[182] ამის დასაბუთებას ხედავს ე.წ. ზოომორფულყურიანი ჭურჭლის გავრცელებაში, რომლებიც როგორც ჩანს დასავლეთში აღმოსავლეთ საქართველოს, შესაძლოა მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიიდან ერცელდება, სადაც ზველის ყორლანებში[183] ვხვდებით ამ რიგის უადრეს ნაწარმს.

ისტორიული მხარეების ამგვარი მოკლე მიმოხილვაც გვიჩვენებს, რომ ე. წ. კოლხური მესამე ჯგუფის კერამიკა მიმდებარე რეგიონებიდან არაა გავრცელებული. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს ანგარიშგასაწევია ზემომოყვანილ მკვლევართა მოსაზრება მისი ტერამარების თუ დუნაისპირა ქვეყნების მასალებთან გენეტიკური კავშირების შესახებ. შესაძლოა რომ ამ პერიოდში მთელი დასავლეთ ამიერკავკასია ჯერ კიდევ ჩართულია ე.წ. ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის

179. იხ. ჩვენი ნაშრომის ტაბ. XIII

180. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1991, გვ. 195-196. სურ. 62

181. მ. ბარამიძე, ყუბანისპირეთისა და კოლხეთის კულტურულ-ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხები, ხელნაწერი. იხ. ჩვენი ნაშრომის IV თავი.

182. გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილების სხდომებზე ზემოთხსენებულმა მკვლევარებმა არაერთგზის დააფიქსირეს თავისი პოზიცია ზოომორფულყურიანი ჭურჭლების აღმოსავლეთიდან დასავლეთით გავრცელების შესახებ. მიუხედავად რიგი პრინციპული ხასიათის განსხვავებისა მათი მოსაზრება ძირითადში ერთმანეთს ემთხვევა.

183. ო. ლომბაშიძე, ირ. ლომბაშიძე, მესხეთ-ჯავახეთი არქეოლოგიური ექსპედიციის 1987 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.

სფეროში და შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის გარკვეული ურთიერთობა ისევ გრძელდება. სადღეისოდ ძნელია განსაზღვრო რა ხასიათისაა ეს კავშირი, მაგრამ რომ გვაქვს დასავლეთიდან რაღაც იმპულსები, ეს აშკარაა. გასარკვევია მხოლოდ როდიდან შეინიშნება ეს იმპულსები. ფიჩორის ნასახლარის IV ფენა შესაძლებლობას იძლევა ყველაზე ადრეული ამგვარი შეხვედრა დათარიღდეს ძვ. ნ. XV-ს-ით. პრინციპში ამავე თარიღს მხარს უჭერს გარდამავალ პერიოდში გაერთიანებულ ზემომოყვანილ ძეგლთა ქრონოლოგიაც. ამგვარად აშკარაა, რომ დუნაისპირა ქვეყნებისა და დასავლეთ საქართველოს კონტაქტები შუა ბრინჯაოს ხანაში ამ პერიოდით უნდა იქნას ახსნილი.

სხვა საკითხია საიდან მოდის ეს კონტაქტები? კოლხეთიდან დასავლეთით თუ პირიქით. აქ ჩვენი აზრით მხოლოდ ერთი ახსნაა მისაღები – კოლხური ამ რიგის ნაწარმი ვერ ნახულობს გენეტიკურ წინამორბედს და ამდენად ადგილობრივ ჩამოყალიბებულ ნაკეთობად ვერ ჩაითვლებაა. ის გარემოება, რომ დუნაისპირა ქვეყნებში მათი გავრცელების დიაპაზონი საკმაოდ დიდია და განისაზღვრება 2000-1600 ნ.ნ. ძვ. ნ. ამ კონტაქტების წყაროს სწორედ ამ რეგიონს გვავარაუდებინებს. ვინაიდან კოლხეთში მათი გამოჩენა ძვ. ნ. II ათასწლეულის შუა ხანებზე უადრეს არ ხდება, აშკარაა, რომ ამ რიგის ნაწარმი კოლხეთში გავრცელებას იწყებს მაშინ, როდესაც თავდაპირველ სამშობლოში ფაქტობრივად ამთავრებს არსებობას. ამ რიგის ნაწარმის ერთდროული გამოჩენა საკვლევი პერიოდის დასასრულის ყველა ძეგლზე თითქოს იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მათი გავრცელება გარკვეული ეთნიკური ჯგუფის დასავლეთიდან აღმოსავლეთით მოძრაობას დავუკავშიროთ და არა მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს. სამწუხაროდ, ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია. შესაძლოა რამდენადმე ამაგრებდეს მას შავიზღვისპირეთის რეგიონში ფაქტობრივად მომდევნო ხანიდან ე.წ. სუბმიკენური ფიბულების გავრცელება.[184] თუ ყოველივე ზემოთქმული სწორია, მას კი აქვს გარკვეული, მატერიალური საფუძველი, შესაძლოდ გვეჩვენება კოლხეთისა და დასავლეთევროპული კულტურების შეხვედრის თავდაპირველი ასაკი 2-3 საუკუნეებით უფრო ადრეული ხანით განისაზღვროს ვიდრე ეს დღემდე იყო მიღებული.

სხვა რეგიონებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, გარკვეულ მასალას გვაძლევს ზემოგანხილული შუა ბრინჯაოს ხანის დანარჩენი კერამიკაც. როგორც აღვნიშნეთ კოლხური ადგილობრივი ნანარმის ყველაზე სპეციფიურ ორნამენტს წარმოადგენს რელიეფურ-ჭრილი დეკორი. ჭრილი დეკორი ხან თითების ანაბეჭდით, ხან კი ღრმა ირიბი ჭდეებითაა გადმოცემული. მსგავსი ორნამენტი გავრცელებული ჩანს კოლხეთში უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან და მათი ტიპოლოგიური ცვლილება არ ხდება. ქრონოლოგიური ჩარჩოებიც საკმაოდ მყარად ჯდება ძვ. ნ. III ათასწლეულის და II ათასწლეულის შუა ხანებს შორის. უდაოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსგავსი დეკორი გავრცელებული ჩანს მომდევნო ხანაშიც[185], სადაც ძირითადად სამნახნაგა რელიეფური ზოლი და მასზე მოკლე ირიბი ჭდეებია დატანილი. ზოგჯერ ჭდეები გრეხილი, ბაწრისებური დეკორითაა შეცვლილი. ერთი სიტყვით რელიეფური სარტყელი არის ის ერთ-ერთი ელემენტი, რომლითაც შესაძლოა შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკას შორის გენეტიკური კავშირის არსებობის შესაძლებლობა დავსახოთ. ჩვენი ყურადღება მიიქცია მხოლოდ ამ რიგის ორნამენტის გავრცელების ფართო გეოგრაფიულმა არეალმა. კერძოდ, რელიეფურ-ჭრილსახოვანი ორნამენტი ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილო კავკასიის კულტურებში. ქვემოთ ჩვენ შეეცდებით ვაჩვენოთ და აეხსნათ ამ უადრესი ნიმუშების წარმომავლობის საკითხი[186].

პროტოკოლხური კერამიკა თავისი განვითარების ორივე საფეხურზე – ადრე და შუა ბრინჯაოს ხანა, ფაქტობრივად ერთგვაროვანი მასალებითაა წარმოდგენილი და მისი განვითარების ხაზი ცალკეული ელემენტების ცვლილებაში აისახება. ამდენად, შესაძლებელია მთელი რიგი პარალელები ქრონოლოგიურად ძალზე განსხვავებულ ძეგლებზეც კი იქნას ფიქსირებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება საერთოდ შავიზღვისპირეთში გავრცელებული ანალოგიური კერამიკის მიმოხილვის მოკლე სურათი. როგორც ცნობილია, ძვ. ნ. III ათასწლეულისთვის უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინცია, რომელიც ხასიათდება ერთგვაროვანი მეტალურგიული ტრადიციებით, სოციალური მოვლენებით და საერთოდ ისტორიული

184. Б. В. Техов, О появлении кавказской дугообразной фибулы. Кавказ и Восточная Европа в древности, М. 1973.

185. ბ. ბარამიძე და სხვა, ტამიშის ნასახლარი. ანალოგიური ორნამენტი ჩანს ფიჩორი I, II-III ფენებშიც. განსაკუთრებით კარგად ეს შემკულობა შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარებზე ძვ.ნ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ე.ი. იმ რეგიონში, სადაც პროტოკოლხური კერამიკა ცენტრალურ კოლხეთთან შედარებით რამდენადმე გვიან ხანამდე არის შემორჩენილი.

186. იხ. ჩვენი ნაშრომის V თავი, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხები კერამიკის მიხედვით.

განვითარების პროცესით.[187] ამ ურთიერთობების საფუძველი მესაქონლე ტომთა მიერ საწარმოო ჩვევების უფრო მობილურ და სწრაფ გადაცემაში გამოიხატა. კავშირი და კონტაქტი არ გულისხმობს გავლენების ან იმპულსების გავრცელებას ერთი მიმართულებით, ერთი რომელიმე ცენტრიდან, არამედ ურთიერთობების ხანგრძლივ პროცესს, მრავალფეროვნებას (კულტურათა დიფუზია, ინფილტრაცია, ცალკეულ ეთნიკურ ერთეულთა გადაადგილება და სხვა). სწორედ ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აქტიურად ჩანს ჩართული ამ ისტორიულ პროცესში, რაც განსაკუთრებით კარგად კერამიკულ ნაწარმშია ასახული.

ანატოლიაში, ქებანის წყალსაცავის მშენებლობის ზონაში მრავალი ჩვენთვის საყურადღებო ძეგლი იქნა გამოვლენილი. მაგალითად, ამუქის A-B ფაზებში (ჩრდ. სირია), ადრენეოლითით დათარიღებულ ფენებში აღმოჩენილია შავი ფერის ზედაპირმოგლუვებული ნაწარმი, ორნამენტირებული რელიეფური სარტყლებით და ნახევარწრეებით წინვოვანი სახეებით, კოპებით, ნერტილ-ფოსოებით[188]. ალტინოვოს ველზე თეფეჯიკის ენელითურ ფენებში (V ათასწლეული) მაღალხარისხოვანი კერამიკის გვერდით ვხვდებით უხეშად ნაძერწ ზედაპირმოგლუვებულ ფრაგმენტებს ქიმისებრი შვერილებით, მარცელის, თითის ან ირიბი ჭდეებით დაფარულ რელიეფურ სარტყლებს. ამ მასალას თვით გამთხრელი სავარაუდოდ ჩრდილოეთ სირიის, მესოპოტამიის, აღმოსავლეთ ანატოლიის და კავკასიის ძვლებთან კავშირურთიერთობის საჩვენებლად იყენებს[189].

კუმუთეფეს ნასახლარზე ადრე ხალკოლითიდან მოყოლებული ადრე ბრინჯაო II-მდის (2700-2300 წ.წ.) არსებობს ანალოგიური ჭურჭელი რელიეფური სარტყლებით თითის ან თავთავისებური ანაბეჭდებით შემკული[190].

ანალოგიური მასალები ჩანს ტიულინ-თეფეზე და საერთოდ ქებანის წყალსაცავის მთელ არეალში[191]. როგორც ჩანს მთელი ეს ორნამენტალური მოტივები გარკვეულ კავშირშია კოლხეთის მასალებთან. შეძლება ანალოგად პროტოკოლხური მასალებისათვის დასახელებული იყოს ისეთი ძეგლები, როგორიცაა ალაჯა-ჰუიკი[192] ბუიუკ-გულუჯეკი[193], ხაზარლი, ბოღაზკეი, მალთეფე, ესკიაპარი[194] და სხვა. უდაოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უხეშ კერამიკასთან ერთად რიგ ძეგლებზე ვხვდებით ზედაპირნაპრიალებ, იმავე ფორმის და შემკულობის ნაწარმს[195], რომელიც გარკვეულწილად ეხმაურება კოლხეთის შავპრიალა კერამიკას. ამ მიმართებით აღსანიშნავია ალაჯას და დიუნდართეფეს (ადრე ბრინჯაო III) ჭურჭლები (ბოკალისებური ჭურჭელი და „ხილის ვაზები"). მსგავსი ფორმები დადასტურებულია ალიშარის[196], ჰოროზთეფეს და არსლანთეფეს მასალებშიც და შესაძლოა დასავლეთ ანატოლიის გზით ისინი ვრცელდება ეგეოსის ზღვის სანაპიროზე და ბალკანეთზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს თრაკიის ველზე, მაკედონიაში შესწავლილი ეზეროს ნასახლარი[197], სადაც დადასტურდა კერამიკული ნაწარმი, რომელიც თითქმის უმცირეს დეტალებშიც კი იმეორებს პროტოკოლხურ მასალას. (რელიეფური ნაჭდევი ზოლები, შვერილები, მარყუჟისებრი ყურები, უსისტემო ღარები, ნერტილფოსოები). საყურადღებოა ისიც, რომ პრიალა ნაწარმზე ვხვდებით ჩვენი ძეგლებისათვის ტიპიურ ჭრილ, გეომეტრიულ სახეებს.

უკანასკნელ ხანებში აღნიშნული ადრე ბრინჯაოს ხანის მასალების შესწავლას მიეძღვნა გ. ფხაკაძის სპეციალური ნაშრომი, რომელშიც მოტანილია კოლხეთის, მაკედონიის და ანატოლიის ყველა ცნობილი ძეგლის ანალოგიური მასალები და განხილულია ისინი როგორც ცირკუმპონტის პროვინციის დამახასიათებელი ერთ-ერთი კომპონენტი.[198]

ეს მასალები რომ გააზრებული უნდა იქნას ერთიან შავიზღვისპირა სივრცეში იქიდანაც ჩანს – ზუსტად ანალოგიური რელიეფურ-ჭრილი ორნამენტიანი ფრაგმენტები ცნობილია მოლდოვის და

---

187. Е. Н. Черных, культурные контакты в Циркумпонтийской области, _ Кавказ в системе полиметаллических культур Евразии, Тб. 1987. стр. 101. Н. Я. Мерперт, Циркумпонтийская зона в раннебронзовом веке _ вопросы культурных контактов, იქვე გვ. 93
188. R. Braidwood, L. Braidwood, The Excavations in the plain to Antioch, The earlier assamblage, Chicago, 1960.
189. V. Esin, Tepecik excavations Keban project 1970-1980, გვ. 149-161.
190. Maurise vab Loon, Kumtepe, Keban project, Ankara, 1982, გვ. 82.
191. Q. Arsebuk, Tulitepe, some asoects of Prehistorie village, Keban project, 1974, pl. 98
192. H. Rjsey, Ausgrabungen von Alaca Huguk, Ankara, 1944, გვ. 180
193. Bahadir Alkim, Anatolia I, London, 1969, გვ. 81
194. W. Orthman, Beobachtung am der Huguk in Esciapar, Istambul, 1962. ტაბ. 52, 59, 66, 70. გვ. 1-13
195. იქვე. გვ. 95
196. von der Osten, The Alishar Huguk, part I, Chicago, 1936, გვ. 21
197. Г. Георгиев, Н. Мерперт, Р. Катничаров, Д. Димитриев, Эзеро, раннебронзовое селища, София, 1979. გვ. 134-140, სურ. 39, 229-230
198. G. Pchakadze, Das ostschwarzmeergebiet im 3. Jahrtausend und die Aubezlehungen, იბეჭდება კრებულში ევრაზია-ანტიკა.

რუმინეთის III ათასწლეულის მასალებში[199], რაც კიდევ ერთ დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ცირკუმპონტის სანარმოო პროვინციის გამოყოფის მართებულობის თვალსაზრისით. მსგავსი კერამიკა ჩანს მაგურა-კოცოფენის კულტურაში (კარანოვო VII – ბულგარეთი), ბუბანი-ხუმ II (სერბია), თუმცა ჭრილი ორნამენტი აქ ხშირად თეთრი მასითაა ინკრუსტირებული[200]. ჩანს ანალოგიური მასალები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ძეგლებზეც.[201]

პროტოკოლხური კულტურის კერამიკის დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ კოლხეთში მისი გაჩენა ნანილობრივ სინქრონულია ანატოლიის მასალების, თუმცა აშკარაა ამ უკანასკნელში მისი ადრეული გამოჩენა. ამგვარად თითქოს იქმნება საფუძველი პროტოკოლხური კულტურის ეს ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტი სწორედ ანატოლიის ტერიტორიიდან შემოსულად იყოს მიჩნეული. მაგრამ აქ ვაწყდებით საკმაოდ თვალშისაცემ წინააღმდეგობას. პროტოკოლხური კულტურის ბაზაზე და მათ შორის გენეტიკური კავშირი თითქოს საკამათო არ უნდა იყოს[202]. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია ერთგვაროვანი ორნამენტალური მოტივების არსებობა ახსნილ იქნას, როგორც სანარმოო ჩვევათა სწრაფი და მობილური გადაცემა ერთი რეგიონიდან მეორეში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება წინააზია-ანატოლიის რიგ ძეგლებზე კოლხეთის შაპრიალა ნაწარმის ზოგიერთი ნიმუშის უშუალო პარალელური მასალის არსებობის ფაქტი. მაგრამ მათ შორის საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური ხარვეზია არსებული და უშუალოდ წარმომავლობისათვის რეალურ საფუძველს იძლევა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თვით დამზადების ტექნოლოგია, ორნამენტის ზოგიერთი სახე და ფორმა თავს იჩენს ადრეული ყორღანების და ბედენური ეტაპის მასალებში და მხოლოდ შემდგომ ეტაპზე აქედან ვრცელდება ისინი პროტოკოლხურ კულტურაში. არსებული ქრონოლოგიის მიხედვით სხვანაირი ახსნა ამ მოვლენას არ ეძებნება.

საინტერესოა რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში პროტოკოლხური კერამიკა უფრო გვიანამდე ინახავს თავს ვიდრე შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებში. ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელში პროტოკოლხური იერის კერამიკა აღარ ჩანს ძვ. ნ. III ათასწლეულის შემდგომ, მაშინ როდესაც კოლხეთში იგი საკმაოდ გვანამდე ინახავს თავს, რაც ზემოთ იყო ნაჩვენები. რით ავხსნათ ეს გარემოება ძნელი სათქმელია. შესაძლოა ამის მიზეზი ძვ. ნ. II ათასწლეულის წინააზიურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობის რამდენადმე შესუსტება იყოს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

სპეციალურად უნდა შეეეხოთ შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის გავრცელების არეალს. როგორც ზემოთ, ძეგლთა აღწერიდანაც დავინახეთ ამ პერიოდის ძეგლები სულ რამდენიმე ნამოსახლარითაა წარმოდგენილი. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლხური კერამიკის ე.წ. ადგილობრივი ჯგუფი ფაქტობრივად გავრცელებული ჩანს მთელი კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე. რა სურათი გვაქვს კოლხეთის მთის ან თუნდაც მთისწინა ზოლში ჩვენთვის უცნობია, რადგან არაა გამოვლენილი ამ პერიოდის ნამოსახლარები და თუ რამე არის, ისიც მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენებითაა ცნობილი. არ ჩანს ამ პერიოდის ნამოსახლარები იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიებზე, თუმცა ცალკეული შემთხვევები მაინც არის ცნობილი და აშკარაა, რომ ამ პერიოდში მხარე დაუსახლებელი არ ყოფილა. ის რამდენიმე სამაროვანიც, რომელიც კავკასიონის მთიანეთშია დაფიქსირებული (ბრილი, თლი) კერამიკას თითქმის არ შეიცავს, რაც აძნელებს მათ შესახებ მსჯელობას. ამდენად კოლხური ადგილობრივი შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის გავრცელების ძირითად რეგიონად ჯერჯერობით მაინც მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ტერიტორია და მისი უშუალო მიმდებარე მთისწინა ზოლი უნდა მივიჩნიოთ. სადღეისო მასალების მიხედვით თითქოს ხერხდება ამ ტერიტორიის რამდენადმე დაკონკრეტება. საკითხი ეხება ამ ნაწარმის გავრცელების ჩრდილოეთ საზღვარს.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ ტერიტორიაზე ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნასახლართა კვლევა-ძიება ფაქტობრივად არ წარმოებს და მსჯელობა გვიხდება მხოლოდ შემთხვევით მონაპოვარი მასალების მიხედვით. ერთადერთი, ნამოსახლარი რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ითხრება კისტრიკის ნამოსახლარია, მაგრამ აქ ჩვენთვის ამჟამად საყურადღებო პერიოდის მასალები არ არის გამოვლენილი. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ეს რეგიონი ძვ. ნ. III-II ათასწლეულებში და მის შემდგომ ერთგვარი ლოკალური

199. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა აღნიშნულ მასალას გავცნობოდით კიშინიოვის და ბუქარესტის სახელმწიფო მუზეუმებში. (მასალა გამოუქვეყნებელია).

200. **Г. Георгиев, Н. Мерперт**, დასახ. ნაშრომი, გვ. 225, სურ. 135-136

201. იქვე.

202. **გ. ფხაკაძე**, დასავლეთ ამიერკავკასია გვ. 31 და შმდ. ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ. 1986.

თავისებურების მატარებელია და ტიპიური პროტოკოლხური ნანარმი აქ ერთგვარად სახეცვლილია. ამდენად სადღეისოდ პროტოკოლხური კულტურის გავრცელების ჩრდილოეთ საზღვარი დაახლოებით მდ. გუმისთის ოდნავ ჩრდილოეთით (გუანდრის ნასახლარი) უნდა გადიოდეს.

ასევე ბოლომდე არ არის გარკვეული ამ კერამიკის გავრცელების სამხრეთ საზღვარი. როგორც ჩანს იგი მთლიანად მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და გურიის[203] რეგიონებს. რა სურათი გვაქვს მისი სამხრეთით, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ფაქტობრივად უცნობია. პროტოკოლხური კერამიკის მსგავსი ორნამენტის (იშვიათად ფორმების) არსებობა ზემოაღნიშნულ ძეგლებზე თითქოს იმის მანიშნებელია რომ თურქეთის დღევანდელი ტერიტორია ასევე მოქცეულია ამ კულტურის გავრცელების არეალში. თუმცა სათუო კიდევ ბევრი რამ არის. მაგ.: ტრაპიზონის მუზეუმის ფონდებში ამ პერიოდის მასალების მოძიება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა არის გარკვეული მინიშნება ამავე მასალების დაცულობის შესახებ.

უფრო ზუსტად შეიძლება მოიხაზოს ამ კერამიკის გავრცელების აღმოსავლეთ საზღვარი. ყოველ შემთხვევაში არგვეთის ნასახლარის ზედა ფენაში პროტოკოლხური კერამიკის არსებობა მტკვარ-არაქსულ ნანარმთან ერთად საყურადღებოა ამ კულტურათა სინქრონიზაციის საკითხების კვლევისა და გეოგრაფიული გავრცელების საზღვრების დადგენისათვის[204].

ამგვარად აშკარაა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოდან მაინც პროტოკოლხური კერამიკა გავრცელებულია ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ძეგლთა შესწავლილობის დღევანდელი სურათი არ გვაძლევს საშუალებას კერამიკული ნანარმის მიხედვით კულტურის ცალკეული ლოკალური ვარიანტების ნარმოსაჩენად.

ამგვარად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შუა ბრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური II) კერამიკის განხილვა აშკარად გვიჩვენებს, რომ ეს კულტურა ჩამოყალიბებულია და ფაქტობრივად აგრძელებს პროტოკოლხური I-ადრე ბრინჯაოს ხანას და გვევლინება როგორც თვითმყოფადი, უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიური პერიოდი. ქრონოლოგიურად მეტნაკლები სიზუსტით იგი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. XX-ს. (შესაძლოა მისი მეორე ნახევრიდან) ძვ. წწ. XVI ს ჩათვლით (ან ძვ.წ. XVI ს. შუა ხანებამდე). თითქმის მთელი ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში პროტოკოლხური კერამიკა ინარჩუნებს თავის სახეს და იერს და ხშირ შემთხვევაში განსხვავება ერთი ეტაპის შიგნით ცალკეულ ფორმებსა თუ ორნამენტში ნაკლებ შესამჩნევია. მაგრამ ფიჩორის I სტრატიგრაფიულ ჭრილის მონაცემებზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელი ხდება ამ ერთი ეტაპის შიგნით გამოყოფილ იქნას 2 საფეხურის ნანარმი, რომლებსაც ჩვენ პირობითად პროტოკოლხურ IIa და IIb ვუწოდეთ.

პროტოკოლხურ IIa ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ძვ. წ. XX ს. მეორე ნახევრიდან XVIII ს. ჩათვლით და წარმოდგენილია ფიჩორი I-IV კულტურული ფენის და მის სინქრონული შემდეგი ძეგლებით. (მაჭარა III ფენა, გუმისთა I, გუანდრა, ზედა ფენა, ახრა კაპში და პალის გამოქვაბული). ამ პერიოდის განმსაზღვრელად გვევლინება გრძელი ლენტური ყურები შავპრიალა ნანარმზე რაც სათავეს უფრო ადრინდელ VII-VIII ფენებში იღებს და აღარ გვხვდება V ფენაში, ასევე ადრეულ მასალებს უკავშირდება მასიურქუსლიანი მცენარეული ანაბეჭდით ძირები, ჭიპისებრი ნაძერნები, ვერტიკალურხვრელიანი ქოთნები, სადღვებლები ყელზე სასულე ნახვრეტით, მოქლონვილი ყურები და სხვაა. ამასთანავე არის მასალები რომლებიც არ გაირჩევა არც ადრეული (ადრე ბრინჯაოს ხანა) და არც მოგვიანო (V ფენის) მასალებისაგან.

პროტოკოლხურ IIb ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ძვ. წ. XVII ს-დან XVI ს. ბოლომდე, შესაძლოა მის შუა ხანებამდე. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩანს ჭილოფისანაბეჭდიანი და ღრუქუსლიანი ძირები, ჰორიზონტალური, წყვილადი და ზემოდან დაეჭნილი ყურები, ვერტიკალურხვრელიანი ან ძუძუსებრი კოპით შემკული ჯამები, რქისებური სადგრები, შავპრიალა კერამიკის მიბაძვით შესრულებული ადგილობრივი ნანარმი (ლენტური ყურები, ჭრილხაზოვანი ორნამენტი). გრძელი ლენტური ყურები სიგრძეში იკლებს და ოდნავ ფართოვდება. არსებობას აგრძელებს ადრეული იერის ნანარმიც, თუმცა ახალი ნიშნების გაჩენა ერთგვარ ქრონოლოგიურ მომენტად მიგვაჩნია, რასაც ნაკეთობათა ტიპოლოგიასთან ერთად ფიჩორი I სტრატიფრაფიაც იძლევა. ამ ეტაპის კერამიკული ნანარმი წარმოდგენილია ფიჩორი №6, ნაკარღალი IV-VI ფენები, ანაკლია II, ანაკლია I (I ფენა) ნასახლარების მასალებში.

---

203. მხედველობაში გვაქვს გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელი მონაპოვარი.

204. გ. ფხაკაძე, არგვეთი – მტკვარ-არაქსის ნასახლარი დასავლეთ საქართველოში, კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბ. 1997, გვ. 45-46;

ამგვარად აშკარაა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის პროტოკოლხური კერამიკა ფაქტობრივად 2 საფეხურის კუთვნილ ნაკეთობებს წარმოადგენს და შემდგომში განხილულ უნდა იქნან როგორც ერთი ეტაპის 2 სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხური. ამგვარ გამოყოფის სისწორეს ადასტურებს ლითონის იარაღიც.

იარაღ - საჭურველი

შუა ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული მატერიალური კულტურის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენენ ცულები. ისინი დამზადებულია როგორც ლითონისაგან, ისე ქვისაგან. ამ უკანასკნელთა რაოდენობა არ არის მრავალრიცხოვანი, გავრცელებულია დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში რაც მათ ტიპოლოგიური შესწავლის საქმეს ართულებს. ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები. საერთოდ მილიანი ცულები დამახასიათებელი ჩანს წინააზია, მესოპოტამია, ელამისათვის უკვე ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე[205]. მაგ. ურის ადრეულ სამარხებში რამდენიმე ყუამილიანი ცულია აღმოჩენილი[206]. გვხვდება ისინი ლურისტანშიც[207]. საყურადღებოა, რომ მილიანი ცულების რამდენიმე ვარიანტი დამახასიათებელი ჩანს აღმოსავლეთ ევროპის კულტურებისათვის (ფატიანოეო, სეიმინო-ტერბინო და სხვა)[208] დუნაისპირა ქვეყნებში[209]. სრულიად არა ჩანს ყუამილიანი ცულები მცირე აზიასა და ბალკანეთში[210], რის გამოც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კავკასია ოდითგანვე წარმოადგენდა იმ გზაჯვარედინს, რომელზეც გადიოდა ამ ცულების (ისევე როგორც რიგი სხვა ნაწარმის) გავრცელების გზა წინააზია მესოპოტამიიდან აღმოსავლეთით ევროპისაკენ[211]. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, თუმცა უნდა ითქვას ერთი რამ – ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალი დონის გამო კავკასიაში არ ხდება წინაზიური ფორმების უბრალო ათვისება, კოპირება. ამ შემთხვევაში აღებულია პრინციპი მილიანი ცულების, როგორც უფრო პროგრესული და ტექნიკურად სრულყოფილი და არა თვით იარაღი. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ კავკასიური ყუამილიანი ცულები გენეტიკურად შეიძლება კავშირშია ძველ შუმერულ ფორმებთან, მაგრამ აქ იქმნება იმდენი დამოუკიდებელი ვარიანტი, რომ აშკარაა მათი დამოუკიდებელ კავკასიურ ვარიანტებად ჩამოყალიბება[212]. სადღეისოდ დასავლეთ ამიერკავკასიის რეგიონში ამ ტიპის ორი სახეობის ცული მაინც არის საგულისხმებელი. პირველ ვარიანტში უნდა გაერთიანდეს ე.წ. საჩხერული ცულები, რომლებსაც ახასიათებს მორკალული, ნამგლისებური ვიწრო ტანი. პატარა და ვიწრო პირი, მოგრძო მილისებრი სატარე. ტიპოლოგიურად ისინი შესაძლოა წარმოადგენდეს უფრო არქაული ყუადაქანებული ცულების განვითარების შემდგომ საფეხურს. „საჩხერული" ვარიანტის ცულების გამოჩენის თარიღს მკვლევარები ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით, ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურით განსაზღვრავენ[213]. აღსანიშნავია რომ შეინიშნება ამ ვარიანტის ცულების ფართო გავრცელება კავკასიაში[214] და მხოლოდ იმერეთის მთიანი რეგიონისათვის არ ჩანს დამახასიათებელი. ანალოგები აღმოჩენილია ლენტეხში, იფარში. ერთი ცული დაცულია ქუთაისის, ერთიც ცაგერის მუზეუმში, აღმოჩენილია I ც. ჭიათურაში; არის მსგავსი ცულები სომხეთში – ყარსთან, სევანის ტბასა და ლენინაკანში[215]. ერთი ხის ამ ტიპის იარაღის მოდელი აღმოჩენილია აჭარაში, ისპანის

205. **В. А. Городцов**, культуре бронзовой эпохи в Средней России, Отчет исторического Музея 1914г, М 1916 г, გვ. 149
Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სსმმ-XII, თბ. 1944, გვ.237. მისივე, Археологическая Маршрутная экспедиция გვ. 71. ო. ჯაფარიძე, ლითონის ნარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ. 1955, გვ. 82-84
206. **Woolley G.** Ur Excavations.
207. **Godard A.** les bronres du Luristan, Psris, 1931, Ud. 46
208. **Tallgren A.** Die Kupfer _ und Bronzezeit in Nord-und Ostrusslad გვ. 56; **В. Городцов**, დასახ. ნაშრომი, გვ. 145, 197
209. **В. Городцов** დასახ. ნაშრომი, გვ. 148; **Г. Чаилд**, У истоков Европейской цивилизации, М. 1952, გვ. 162. **Куфтин Б. А.** დასახ. ნაშრომი, გვ. 249
210. იქვე
211. **В. Городцов** დასახ. ნაშრომი, გვ. 149. ო. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 84
212. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე კარგად ჩანს ყუამილიანი ცულების რამდენიმე ვარიანტის არსებობა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მათი მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია აღმოჩენილი და ისინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის სპეციფიკურ ნაკეთობად. იხ. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის ნარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961. გვ. 148; **А. Мартиросян**, დასახ. ნაშრომი. გვ. 40
213. ო. ჯაფარიძე, ლითონის ნარმოების... **Микеладзе Т.**, დასახ. ნაშრომი. გვ. 27
214. **А. А. Исеев**, К хронологии больших кубанских курганов СА, XII, М-Л. გვ. 95
215. **Куфтин Б. А.**, Археологические раскопки в Триалети, გვ. 15; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82

ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტში,[216] რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ ე.წ. საჩხერული ვარიანტის ყუამილიანი ცულები ფართო ტერიტორიაზე ყოფილა გავრცელებული. ცულის პროპორციები, ძალზე ვინრო ტანი აშკარად მიუთითებს, რომ მათ პრაქტიკული დანიშნულება ვერ ექნებოდათ და უფრო პარადულ, სარიტუალო ცულების კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის ჩნდება ყუამილიანი ცულების კიდევ ერთი ჯგუფი. ტიპოლოგიურად ისინი ახლოს დგანან „საჩხერულ" ვარიანტთან, თუმცა მათ ახასიათებთ შედარებით მოკლე მილისებური ყუა, მოხრილი, მაგრამ საკმაოდ მასიური ტანი და ოდნავ გაფართოებული პირი. მხედველობაში გვაქვს ცულები აფხაზეთის დოლმენებიდან და თრიალეთის ადრეული ყორღანული სამარხებიდან[217]. მათი მასიურობის გამო არ არის გამორიცხული ამ ცულების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. ტიპოლოგიურად ცულების ეს ჯგუფი გარკვეულად უკავშირდება „საჩხერულ" ვარიანტს, თუმცა ქრონოლოგიურად ერთდროულად ჩანან გავრცელებული და გენეტიკურ წინაპრად ალბათ ასევე ერთი ტიპის ყუადაქანებული ცულები უნდა ვიგულისხმოთ[218].

საყურადღებოა აღვნიშნოთ, კიდევ ერთი საკითხი – „საჩხერული" ვარიანტის ყუამილიანი ცულების პარალელების განლაგება აღმოჩენათა ადგილის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის იარაღი ძირითადად გავრცელებულია კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ძირითადად მთის, ნაწილობრივ მთისწინა ზოლში. გამონაკლისი არის მხოლოდ ისპანის ხის ყუამილიანი ცულის მოდელი, ამდენად იგი მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული. აქედან გამომდინარე ჩვენი აზრით, ყუამილიანი ცულების გავრცელების მიხედვით კოლხეთის ჩრდილოეთ რეგიონში ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლოსათვის შექმნილია ერთიანი მეტალურგიული კერა, რომელიც დასპეციალიზებულია გარკვეული ტიპის იარაღის წარმოებაში. ამგვარად თითქოს აშკარაა ამგვარი მეტალურგიული კერის გამოყოფის აუცილებლობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მასალების სიმცირე ქმნის ერთგვარ ლაკუნას ამ მოსაზრების შესამაგრებლად. ამ მიმართებით თითქოს გარკვეული პერსპექტივა ისახება უკანასკნელი ხანების აღმოჩენათა მიხედვით რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულის ყუამილიანი ცულების ტიპოლოგიურ სქემაში ცალკე ვარიანტს იძლევა სოფ. ფიჩორში აღმოჩენილი ამ იარაღის ჩამოსასხმელი ყალიბების განხილვა (ტაბ. XXIII). სადღეისო მონაცემებით მათი რაოდენობა 4 ათეულს აღწევს. ახასიათებს სწორი, ძირითადად ექვსწახნაგა ტანი, მოკლე მილისებური ზემოდან რელიეფური ზოლებით შემკული სატარე, მომრგვალებული პირი. სიმაღლე 14-15 სმ. შორის მერყეობს. ამ ჯგუფში უნდა მოვიხსენიოთ აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 ცულის ფრაგმენტი, თუმცა მთლიანად ცული აღმოჩენილი არ ყოფილა. ფიჩორის ყალიბები იმდენად თავისებურ და განსხვავებულ ფორმის იარაღს განეკუთვნება, რომ ჩვენ შესაძლოდ ვცანით აღმოჩენის ადგილის მიხედვით მისთვის „ყუამილიანი ცულების ფიჩორული ვარიანტი" გვეწოდებინა. ამ ტიპის იარაღის ზუსტი ანალოგი სამეცნიერო ლიტერატურაში და საამუზეუმო ფონდებში ცნობილი არ არის. მათთან ყველაზე ახლო მსგავსებას ავლენს კრასნოდარის მუზეუმში დაცული ერთი უპასპორტო ცული. იგი ოდნავ უფრო მასიურია ვიდრე ფიჩორის საკარაუდო ეგზემპლიარები. გარკვეულ მსგავსებას მათთან ავლენენ განთიადის და სვანეთის ცულები, თუმცა ამ უკანასკნელებს არა აქვთ მკვეთრად გამოსახული დანახნაგებული ტანი. ამასთანავე სვანეთის ეგზემპლიარის სატარე შუბლის მხრიდან ირიბად ნაკვეთილია.

ფიჩორის ყალიბები ძირითადად აღმოჩენილია ცენტრალური ბორცვის ქვედა VIII ფენაში, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით (ძვ. წ. XXIII-XXII ს.ს.) თარიღდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გაპარულია პატარა შეცდომა, რომ ეს ყალიბები მხოლოდ VIII ფენაშია ფიქსირებული[219]. სინამდვილეში 1 ყალიბი აღმოჩენილია ბორცვის პირველი ფენის ქვეშ არსებულ მონაზვინში ბრინჯაოს „ურეკული" ტიპის თოხიან და საერთოდ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მასალასთან ერთად. აშკარაა, რომ ბორცვის მოზვინვაში გამოყენებულია სადღაც იქვე მოჭრილი მიწა, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის მასალას შეიცავს.

ტიპოლოგიურად VIII ფენის ყალიბები და მონაზვინი ფენის ანალოგიური ნაკეთობა აბსოლუტურად იდენტურია. განსხვავება, მხოლოდ ყალიბის ფერშია. მონაზვინის ყალიბი მონითალოა და შესაძლოა ცეცხლში ნამყოფი. ამგვარად აშკარაა, რომ ე.წ. „ფიჩორული" ვარიანტის ყუამილიანი ცულები გავრცელებული უნდა ყოფილიყო შუა ბრინჯაოს ხანაშიც. შესაძლოა გარკვეულად ამასვე

216. **Микеладзе Т., М. Барамидзе...** დასახ. ნაშრომი.
217. **Куфтин Б. А.**, Материалы к археологии колхиды, გვ. 269, ტაბ. V; ო.ჯაფარიძე, ლითონის ნარმოების... გვ. 84
218. **Микеладзе Т.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 27
219. **Джибладзе Л. В.** დასახ. ნაშრომი, გვ. 15. **Микеладзе Т.** დასახ. ნაშრომი, გვ. 27

უნდა მიუთითებდეს პარალელებად მოყვანილი ზემოხსენებული განთიადის და სვანეთის ცულების სავარაუდო თარიღი, შუა ბრინჯაოს ხანა. ამგვარად აშკარაა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ე.ნ. „ფიჩორული" ვარიანტის ცულები.

აქვე უნდა დავსვათ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენი აზრით ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება განხილული ვარიანტის ცულებს. როგორც ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიაში სტ. ურუპსა და ფასკაუს სამაროვნებზე აღმოჩენილია ორი ყუამილიანი ცული. ურუპის ცულის მსგავსება სვანეთის ეგზემპლიართან განსაკუთრებით სწორი ტანის და მორკალული პირის მოყვანილობაშია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სვანეთის ცულის სატარე მილის ბოლო რელიეფური სალტითაა გამოსახული. რაც შეეხება ფასკაუში აღმოჩენილ ცულს მისი ზუსტი ანალოგი ბრილის სამაროვანზეა დადასტურებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამ იარაღების სამხრეთული წარმომავლობის შესახებ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. მათ სავარაუდო საწყის ფორმად რაჭის და სვანეთის ცულებია მიჩნეული[220].[71] აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო-კავკასიაში აღმოჩენილი ცულები ტიპოლოგიურად ბევრად უფრო ახლოს დგას ე.ნ. ფიჩორული ვარიანტის ცულებთან ვიდრე რაჭა-სვანეთის მითითებულ ეგზემპლარებთან. მსგავსება ამ უკანასკნელებთან ჩვენ საკმაოდ ხელოვნური გვეჩვენება. ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მათი სამრეწველო წარმომავლობის შესახებ უბრალოდ იმით აიხსნება, რომ მსგავსი ცულები უცხოა ჩრდილო კავკასიური გარემოსათვის და აშკარად შემოტანილი ჩანს. იმ პერიოდისათვის სხვა სავარაუდო ტიპოლოგიურად მსგავსი მასალა კავკასიონის სამხრეთ კალთების ტერიტორიაზე არ ჩანდა და მხოლოდ ფიჩორის აღმოჩენებმა შესაძლებლობა მოგვცა რამდენადმე დაგვეკონკრეტებინა მათი გენეტიკური (და არა ტერიტორიული) წარმომავლობა ე.ნ. ფიჩორული ვარიანტის ყუამილიანი ცულებიდან.

კოლხეთში შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ჩანს კიდევ ერთი ტიპის ყუამილიანი ცულები. „ფიჩორული" ვარიანტის ცულებიდან განსხვავებით მათ მეტ-ნაკლებად მოხრილი ტანი, ზოგჯერ დანახნაგებული კორპუსი და სატარე ახასიათებთ. მსგავსი ცულები ცნობილია სვანეთიდან, ერგედან, მელექედურიდან, ურეკის და ქვიშარის განძებიდან და სხვა. ქრონოლოგიურად ისინი ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუა ხანების ფარგლებში ექცევა, თუმცა ტიპოლოგიურად შესაძლებელი ხდება ზოგიერთი მათგანის ასაკის რამდენადმე დაკონკრეტება. მაგ. აშკარაა, რომ ქვიშარის ცულები რამდენადმე არქაულია ურეკის ცულებთან შედარებით. ტიპოლოგიურად ადრეული ჩანს ამ ჯგუფში მოქცეული სვანეთის ცულებიც. სადღეისოდ ამ ცულების აღმოჩენების შემთხვევითი ხასიათის გამო ძნელია რაიმე გენეტიკური კავშირი დაინახო ადრეულ და გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხურ ცულებს შორის საშუალედო რგოლების სიმცირის გამო. ერთადერთი რაც თითქოს ტიპოლოგიურად შესაძლებელია გაირკვეს არის ის, რომ ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ხდება მილისებური სატარე ხვრელის თანდათანობითი დამოკლება და ბოლოს გაქრობა. ამ ნიშნის მიხედვით თუ დავალაგებთ ზემოხსენებულ ცულებს აშკარა ხდება, რომ ყველაზე არქაული უნდა იყოს „საჩხერული" ყუამილიანი ცულები. მათ მოყვება ქრონოლოგიურად „ფიჩორული" ვარიანტის ცულები. ეს უკანასკნელები არსებობენ დროის ყველაზე დიდი მონაკვეთის განმავლობაში (ძვ. წ. XXIII-XV ს.ს. ფარგლებში). ტიპოლოგიურად მათი წარმომავლობა „საჩხერული" ცულებისაგან ძალზე პრობლემატურია და ჩვენი აზრით, ისინი ამ რიგის იარაღის ორ დამოუკიდებელ შტოს უნდა წარმოადგენდნენ. ტიპოლოგიურად მეტი საერთო ჩანს საჩხერული ცულებისა და შუა ბრინჯაოს ხანის მეორე ვარიანტის (მოხრილტანიანი) იარაღებს შორის. მათი გენეტიკური კავშირი თითქოს უფრო მისაღებია და საფუძვლიანი. ამ მეორე ვარიანტის ცულებს შორის ყველაზე ადრეული ჩანს სვანეთის ცულები, რომელთა ასაკი ალბათ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის საწყისს უნდა მიეკუთვნებოდნენ[221], ასევე ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისს ალბათ უნდა დაუკავშირდეს ქვიშარის განძის ცულები, რომლებსაც მართალია სატარე მილი თითქმის გამქრალი აქვს, მაგრამ ტანის ფორმირება სრულად პრიმიტიულია და კარგად უკავშირდება იმ ტიპის იარაღს, რომელიც ეშერისა და ხუაბის დოლმენებშია[222] ნაპოვნი. ამ უკანასკნელებს სატარე ხვრელი უშუალოდ ტანში აქვს ჩართული და ამდენად გენეტიკურად ისინი უფრო ახლოს დგანან ქვიშარის ცულებთან. ამდენად გვექმნება კიდევ ერთი ხაზი შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულების განვითარებაში.

---

220. **А. А. Иессен**, Прикубанский очаг... გვ. 85-86, სურ. 8; **В. И. Маркович**, Культура племен Северного кавказа в эпоху бронзы (II тысяч, до н. э.) М. 1960, გვ.44-45, სურ. 13$_{III}$ **Микеладзе Т.** დასახ. ნაშრომი, გვ. 29

221. **Შ. ჩარკოლანი**, ძვ. სვანეთი, ტაბ. XIII

222. **Цвинария И.** დასახ. ნაშრომი

ყუამილიანი ცულების განვითარებაში ბოლო საფეხური, ჩვენი ზრით, წარმოდგენილი უნდა იყოს ურეკის განძის იმ ცულებით, რომლებზეც ჯერ კიდევ ფიგურირებს მოკლე სატარე, ტანი დაწახნაგებულია, სატარეზე ჩნდება რელიეფური ნიბოები. ეს ნიშნები ჩანს უკვე ფიჩორის ტიპის ცულებზეც, მაგრამ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემით მათ შორის კავშირი თითქოს არ ჩანს და „ურეკული" ცულების განვითარების ხაზი დამოუკიდებელია და არ არის დაკავშირებული „ფიჩორულ" ცულებთან.

გენეტიკურად ურეკის განძისეული ყუამილიანი ცულები კარგად უკავშირდებიან ე.წ. კოლხური ცულების პროტოტიპებს (ბიჭვინთა, გაგრა, პილენკოვო, იფარი, სოხუმისა და გალის განძები) და სხვა,[223] ყველა მათგანს მილიანი სატარე სრულიად გამქრალი აქვს. მათში შეიძლება გამოიყოს სწორტანიანი და მსუბუქად მორკალული, ზოგჯერ ყუაკვერიანი ეგზემპლარები. აშკარაა, რომ პირველი ვარიანტი, სწორტანიანი ცულები (სოხუმის განძი, ღეედი, ორდუ, ბოლაზკეი) პირდაპირ უკავშირდება ე.წ. ფიჩორული ვარიანტის ცულებს და მათი უშუალო განვითარების შედეგი უნდა იყოს. რამდენადმე მორკალულტანიანი ვარიანტები კი (ბიჭვინთა, გაგრის, პილენკოვო, სოხუმის განძი, ერგე, მელექედური, იფარი) ე.წ. „ურეკული" ტიპის ყუამილიანი ცულების განვითარების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ამგვარად, ე.წ. „ურეკული" ცულების და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი კოლხური ცულების პროტოტიპები, ჩვენ მიგვაჩნია შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანის გარდამავალი ეტაპის ნანარმად. ამის საფუძველს იძლევა რამდენიმე გარემოება.

კოლხური ცული ძირითადად გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაწარმია და მისი უფრო ადრეული ეპოქისათვის მიკუთვნება გაუმართლებელია. ამდენად მათი უშუალო გენეტიკური წინაპარი პროტოტიპების სახით წინარე პერიოდის ნაკეთობად უნდა იქნას მიჩნეული. კოლხური ცულების პროტოტიპები რამდენიმე შემთხვევაში შემთხვევით კომპლექსებშია აღმოჩენილი. (ურეკის, გალის და სოხუმის მთის განძები). მათი შესწავლა შესაძლებლობას იძლევა პირველი ორის ასაკი შედარებით ზუსტად ძვ. ნ. XV ს. იქნას განსაზღვრული, ხოლო სოხუმის მთის განძისა კი XV ს. მიწურულით და XIV ს. საწყისით.[224] ეს აბსოლუტური თარიღი სწორედ შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ საფეხურს შეესატყვისება. აღნიშნულ თარიღს რამდენადმე ამაგრებს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენის თარიღი მიღებული რადიონახშირბადისა და თერმოლუმინისცენციის მეთოდებით და რომელიც ჩვენს მიერ გარდამავალ ეტაპად არის გამოყოფილი.

შემოთავაზებული ყუამილიანი ცულების განვითარების სქემაში გარკვეულად გვერდზე რჩება ყუამილიანი ცულები ბრილის სამაროვნიდან. ისინი გ. გობეჯიშვილის მიერ საკულტო-სარიტუალო ეგზემპლიარებადაა მიჩნეული და შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულითაა დათარიღებული.[225] მათი ორგზის მოხრილი ტანი, მორკალური პირი, განივად გვერდზე გატანილი მილისებრი სატარე, რომელიც ზემოდან რელიეფური სახეებით არის შემკული. ზოგჯერ მილში შემორჩენილია მასრა. აღნიშნული ცულები ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება მინიატურულ ყუამილიან ცულებს, რომლებიც აღმოჩენილია ბრილის აკლდამაში, ეშერის დოლმენებში და საჩხერეში[226] თუ ამ იარაღებს შეუდარებთ ზემოთმოყვანილ სქემაში მოქცეულ ნაკეთობებს ცხადი ხდება რომ ისინი ამ სქემაში ვერ ექცევიან, რაც მათი სპეციფიკური დანიშნულებით უნდა აიხსნას. საყურადღებოა, რომ ბრილის ცულებს უჩანს თავისი გენეტიკური წინაპარი სვანეთში აღმოჩენილი ერთი ცულის სახით[227], ერთი მსგავსი ცული ნაპოვნია ფასკაუს სამაროვანზე და სავსებით სამართლიანად მიჩნეულია სამხრეთიდან ყობანის კულტურის გავრცელების რეგიონში შეტანილ ნაკეთობად.[228] საინტერესოა აღვნიშნოთ რომ ურუპის და ფასკაუს ცულები მკვლევართა მიერ დათარიღებულია ძვ. ნ. II ათასწლეულის შუა ხანებით[229] ან მომდევნო ხანით[230]. საყურადღებოა ისიც, რომ ეს თარიღები ძალზე ზოგადია და კომპლექსური მასალებით (გარდა ყუამილიანი ცულის იმიტაცია ზემო რუთხა №16 სამარხიდან)

---

223. **М. Барамидзе**, Хронология _ периодизация памятников эпохи поздной бронзы раннего железа, მოხსენება ნაკითხული სიღნაღის საკავშირო სიმპოზიუმზე 1979 წ.

224. **М. Барамидзе**, დასახ. ნაშრომი. უკანასკნელ ხანებში I ც კოლხური ცულის პროტოტიპი აღმოჩნდა სამეგრელოში, ხობში, ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

225. **გ. გობეჯიშვილი**, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში.

226. **მ. ბარამიძე**, ბრილის აკლდამა.

227. **ბ. ჩარდაღლანი**, ძველი სვანეთი, თბ. 1996, გვ. 69-71, სურ. 7, ტაბ. XVII

228. **А. А. Иессен**, Прикубанский очаг,... გვ. 85-86, სურ 8; **В. И. Маркович**, დასახ. ნაშრომი, გვ. 44-45, სურ. 13

229. **А. А. Иессен** დასახ. ნაშრომი, გვ. 85

230. **В. И. Маркович**, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

ნაკლებ შემაგრებული. არის, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც რამდენადმე ამაგრებს ამ თარიღებს. გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმის განხილვა გვიჩვენებს, რომ ყობანური კულტურის გავრცელების რეგიონში შეინიშნება სამხრეთული, კოლხური, კერამიკის ორნამენტაციის გავრცელების რამდენიმე ნაკადის შეღწევა. პირველი ტალღა სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს და მესამე მეოთხედს უკავშირდება და წარმოდგენილია ჩრდილოეთ კავკასიაში რელიეფური ჭრილი ორნამენტის გაჩენით. (იხ. ქვემოთ) შესაძლოა სწორედ ამ ნაკადის მიერ არის ჩრდილოეთში შეტანილი ტიპიური სამხრეთული იარაღი ზემოხსენებული ცულების სახით. თუ ეს სწორია, მაშინ ე.წ. ყობანურ ცულებსაც ექმნებათ საფუძველი სამხრეთული წარმომავლობის ნივთად იქნან მიჩნეული. როგორც ცნობილია ე.წ. ყობანური კულტურის გავრცელების რეგიონში ამ ცულების პროტოტიპები სრულიად უცნობია. უფრო ადრეული ხანის ცულები ტიპოლოგიურად სრულად განსხვავებულია[231] და გენეტიკურად ვერ უკავშირდება ყობანურ ნაკეთობებს. თუმცა არის მათი ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობაც.[232] აქედან გამომდინარე ჩვენ სრულიად ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც აღიარებენ ყობანურ კულტურაში სამხრეთულ იმპულსებს და გავლენას[233]. კიდევ მეტი, ჩვენ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია რაჭა-დიგორიის რეგიონების ერთ ლოკალურ კულტურაში მოქცევა[234], რაზეც შესაძლოა ზემოხსენებული ბრილის და ფასკაუს ყუამილიანი ცულებიც უნდა მიუთითებდნენ.

ბრილურ ცულებთან დაკავშირებით დგება, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საკითხი. ამ ცულების ტიპოლოგიური დაკავშირება „ყობანურ" ორგზის მოხრილ კორპუსიან ცულებთან. თუკი შეიძლება ვილაპარაკოთ საერთოდ ცულების გენეზისზე, ეს შესაძლოა ამ იარაღის მიხედვითაც. თუ მოვაცილებთ ბრილის ცულებს სარიტუალო ატრიბუტიკას (ყურის დამატებითი გაფორმება) მივიღებთ ფაქტობრივად ორგზის მოხრილ კორპუსს, რომელიც აშკარაა კოლხური ცულების ამ ტიპისათვის გენეტიკური წინაპარი გახდება.

ამდენად ყუამილიანი ცულების განხილვა აშკარად გვიჩვენებს იმ ზოგად განვითარების ხაზს, რაც ამ ტიპის ორმა სხვადასხვა ვარიანტმა განვლო თითქმის მთელი ათასწლეულის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში აღმოჩენათა შედარებითი სიმცირის გამო ძნელდება ამ ერთიანი ხაზის სურათის დაჭერა და მათ შორის წყვეტილი აშკარაა, მაგრამ სადღეისო მონაცემების მიხედვით მაინც წარმოდგენილი სქემა ყველაზე მისაღები გვეჩვენება. აქვე ამ ტიპოლოგიის მიხედვით აშკარად ჩანს განვითარების ის გზა, რაც განვლო ამ იარაღმა კოლხური კლასიკური ფორმის ცულის ჩამოყალიბებამდე.

ქვის ცულები

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნამოსახლარზე პროტოკოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ჩანს ძალზე საინტერესო ფორმის ქვის ცულები. ისინი ფაქტობრივად ყველა ერთი ტიპისაა. ახასიათებთ მოგრძო, ცილინდრული ფორმა, მომრგვალებული ყუა და სოლისებური ფართო პირი. შუა ნაწილში აქვთ მრგვალი ფორმის სატარე ხვრელი, შესრულებული ორმხრივი ან ცალმხრივი ხეხვით. აღსანიშნავია, რომ მათი გავრცელება არ არის მაინცდამაინც ფართო. ფიჩორი I, V ფენაში და №6 ბორცვზე ამ ტიპის რამდენიმე იარაღია ნაპოვნი. I ც. ქვის ცული ნაპოვნია ფიჩორის №8 და განმუხურის ნამოსახლარზე (ტაბ. XXXVIII), მაგრამ აქ ისინი წინარეანტიკურ ფენაში როგორც ჩანს შემთხვევითაა მოხვედრილი. რამდენიმე ცული ნაპოვნია ახალ ათონში, ივერიის მთის დასავლეთ ფერდზე. საინტერესოა, რომ ტიპიურ ქვის ცულებთან ერთად აქ ვხვდებით მოგრძო და ვიწრო ფორმებსაც, რაც შესაძლოა კოლექციას რამდენადმე არქაულ იერსაც აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლექცია აღმოჩენილია შემთხვევით და განძის იერი აქვს. მის სიახლოვეს ქვის მასალის გარდა არაფერი ფენისეული არ შეინიშნება[235].

ქვის გახვრეტილი ცულები საერთოდ არაა ტიპიური იარაღი ამიერკავკასიისათვის და წინა აზია-ანატოლიის მსგავსად არ ჩანს იგი ფართოდ გამოყენებული[236].

---

231. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа.
232. Козенкова
233. გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით... დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი.
234. გ. გობეჯიშვილი, საქართველოს არქეოლოგია.
235. მასალა დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ახალი ათონის ფილიალში, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.
236. ო. ჯაფარიძე, ლითონის ნარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ. 1955, გვ. 91

დაახლოებით მსგავსი ფორმები ცნობილია საჩხერეში, შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში[237], განსაკუთრებით ფართოდ ქვის ცულები გავრცელებული ჩანს ჩრდილო-კავკასიურ კულტურებში[238] და მის ერთ-ერთ სპეციფიკურ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს. უდაოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ცულები ტიპოლოგიურად ვერავითარ შემთხვევაში ვერ უკავშირდებიან მომდევნო ხანაში გავრცელებულ ბრინჯაოს იარაღს და ამ უკანასკნელის გენეტიკურ წინაპრად მათი მიჩნევა ძალზე სათუოა.

ამგვარად, აშკარად ჩანს, რომ ქვის ცულები დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენას იწყებენ ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის, თუმცა უფრო ფართოდ გავრცელდებიან შუა ბრინჯაოს ხანის II საფეხურიდან. მაგრამ მათ გავრცელებას არა აქვს ფართო ხასიათი, თუმცა შესაძლებელია მათი უფრო ფართო გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისთვის იყოს სპეციფიკური. ამასთან დაკავშირებით უდაოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ რეგიონში ქვის ინდუსტრია ცენტრალური კოლხეთისაგან განსხვავებით რამდენადმე უფრო გვიანამდე ინახავს თავს.

სატევრისპირი

შუა ბრინჯაოს ხანის იარაღიდან ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ გავრცელებულ იარაღს სატევრისპირი წარმოადგენს. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გვაქვს სულ რამდენიმე სატევრისპირი საჩხერიდან, აფხაზეთის დოლმენებიდან და ფიჩორის ნასახლარიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჩორის აღმოჩენა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კომპლექსური მასალის გათვალისწინებით ზოგიერთი დასკვნის გამოტანისათვის. სატევრისპირები პატარა ზომისაა, დაფნისფოთლისებრი პირით, მოკლე სატარე ყუნწით. შეიმჩნევა სიგრძივი მსუბუქად გამოხატული ქედი. აღმოჩენილია VI ფენაში, რომელიც ჩვენ მიერ ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისითაა დათარიღებული და მიკუთვნებულია შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს (ტაბ. XVIII). ბრტყელი პატარა სატევრისპირები ცნობილია უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან.[239]

თითქმის მთელს ამიერკავკასიაში შეინიშნება მათ შორის ფორმათა ნაირგვარობა, თუმცა მსგავსი სატევრები შედარებით მცირეა. იგი გვხვდება მარტყოფის თითქმის ყველა ადრეულ ყორღანში,[240] ასევე საჩხერეში, რამდენიმე ცალი, ქვემო ქართლში, ქვაცხელაზე და სხვა ერთი ზუსტად ანალოგიური იარაღი ცნობილია ქარაზიდან[241] და როგორც ჩანს იარაღის ეს ფორმა ძირითადად ადრე ბრინჯაოს ხანაშია გავრცელებული, თუმცა გვხვდება შუა ბრინჯაოს საწყის საფეხურზეც. ტიპოლოგიურად მათ კარგად უკავშირდება ანალოგიური იარაღი ჩრდილო კავკასიიდან, სადაც ისინი გამოჩენას იწყებენ რამდენადმე გვიან, შუა ბრინჯაოს ხანაში.[242] ჩვენი აზრით ამგვარი სატევრის აღმოჩენა ფიჩორის VI ფენაში ქმნის საფუძველს ფენის სინქრონული ძეგლების შუა ბრინჯაოს ადრეული საფეხურისადმი მიკუთვნების და ამ ეტაპის შედარებით არქაული მასალით გამოყოფის საკითხებში.

სატევრისპირების შესახებ მსჯელობის დროს საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ნივთი, რომელიც ფიჩორის I, VIII ფენაში, აღმოჩენილი 4 საგდულიანი ყალიბი, რომლის ერთ-ერთ ნახნაგზე ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის, ბრტყელი სატევრისპირის ფორმაა ამოკვეთილი. მსგავსი სატევრისპირები არაა ცნობილი პროტოკოლხური კულტურის არცერთ ძეგლზე. ტიპოლოგიურად იგი უფრო მოგვიანო იერის იარაღთა კატეგორიას უკავშირდება. მაგრამ აღმოჩენის ვითარება ეჭვს არ იწვევს ძვ. წ. III ათწლეულის დასასრულისათვის მაინც ამ ტიპის იარაღის არსებობის შესაძლებლობაში. ყალიბის მიხედვით ძნელია გავარკვიოთ ჰქონდა თუ არა მას ყუნწი. მისი არსებობის შემთხვევაში იარაღის ამ ფორმის დაკავშირება კარგად მოხერხდებოდა საჩხერედან და სომხეთიდან ცნობილ იარაღებთან.[243] პირის მიხედვით ისინი ფაქტობრივად იდენტურები არიან. ყალიბის მიხედვით სატევარს თითქოს ყუნწი არ უნდა ჰქონდეს, რაც სწორედ განასხვავებს მას საჩხერული ვარიანტის იარაღისაგან. ერთადერთი მეტნაკლებად მსგავსი უყუნწო სატევარი ცნობილია სომხეთიდან, მაგრამ

237. იქვე, ტაბ. VIII, XVII, XV; **Куфтин Б.**, Археологическая маршрутная экспедиция... Тб. 1949, გვ. 70-71, ტაბ. IV, XXI
238. **В. И. Марковин**, культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы. М. 1960, სურ. 5
239. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდნენ სატევრისპირები საჩხერედან და ეშერის დოლმენებიდან, რის გამოც აქ მათზე არ ვჩერდებით.
240. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია.
241. **R. Z. Kosay, K. Turfan**, Erreruin _ Karaz Kazisi raporu, Belleten, XXIII, Ankara, 1959, გვ. 349
242. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141
243. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ. 1976, სურ. 57, 62

მას თავი წაკვეთილი აქვს და არა მომრგვალებული,[244] როგორც ეს ფიჩორის ყალიბზეა მოცემული. ეს გარემოება თითქოს იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ყუნწიანი სატევრისპირების პარალელურად არსებობდა ამ იარაღის მეორე განსხვავებული ვარიანტიც.

სამეურნეო იარაღი

შუა ბრინჯაოს ხანის სამეურნეო იარაღი ძირითადად წარმოდგენილია თოხებით. ისინი დამზადებულია, როგორც ქვისგან, ისე ლითონისგან. ლითონის თოხებში ვაერთიანებთ ამ ნივთების ჩამოსასხმელ ყალიბებსაც.

უკანასკნელი დროის აღმოჩენებამდე დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ რიგის უძველეს იარაღად ითვლებოდა ურეკის განძში შემავალი სამკუთხა თოხი, რომელიც ასევე მიჩნეული იყო გვიანბრინჯაოს ხანაში ფართოდ გავრცელებულ პირფართო თოხების ერთ-ერთ წინამორბედად[245]. მაგრამ როგორც ჩანს სწორი იყო პროფ. ბ. კუფტინი და შემდგომ თ. მიქელაძე, რომლებმაც ურეკის თოხი ჩათვალეს არა ამ იარაღის უადრეს ფორმად, არამედ ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ერთ-ერთ ვარიანტად,[246] რაც უკანასკნელ ხანებში დადასტურდა კიდეც ანაკლია II და ფიჩორის ცენტრალური ბორცვის აღმოჩენების მიხედვით. მართალია სადღეისოდ ლითონის თოხები სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი, მაგრამ ჩვენს ხელთ არის ამ იარაღის ჩამოსასხმელი ყალიბებიც, რაც გვიქმნის საფუძველს ვილაპარაკოთ ამ იარაღის გავრცელების შესახებ.

სადღეისო მონაცემების მიხედვით ყველაზე ადრეულად ჩანს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII ფენაში აღმოჩენილი თოხები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები. სულ სამი თოხი და 10-მდე ყალიბია აღმოჩენილი. ისინი ორ ვარიანტად უნდა დაიყოს. პირველს ახასიათებს სწორი მხარი, მორკალული მოკლე მილისებრი სატარე და ნაწვეტებული პირი. ტანის ფორმირებით ისინი კარგად უკავშირდებიან ე.წ. „ურეკული ვარიანტის" თოხებს, რომლებიც ურეკის განძის გარდა აღმოჩენილია ფიჩორის ნამოსახლარზეც, ცენტრალური ბორცვის მოზვინვაში (ზემოდან I მოზვინვა) ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მასალასთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ ურეკის განძის სავარაუდო თარიღს,[247]მაშინ აშკარაა, რომ სამკუთხა თოხები ჩამოყალიბებული სახით სწორედ ამ პერიოდშია გავრცელებული, ხოლო მათ პროტოტიპს ფიჩორული პირველი ვარიანტის თოხები უნდა წარმოადგენდნენ.

ფიჩორის მასალების მიხედვით მეორე ვარიანტის თოხებს დაშვებული მხარი, მოგრძო ოვალური ტანი და მოკლე მილისებრი სატარე აქვთ. მსგავსი თოხი ნაპოვნია მახუნცეტსა და მელექედურის განძში. ტიპოლოგიურად ისინი რამდენადმე განსხვავებულია (განსაკუთრებით მხარის მოყვანილობით) და რამდენადმე არქაული იერის მატარებელია. ფიჩორის მიხედვით მათი გაჩენა ძვ. წ. III ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედშია სავარაუდებელი და შემდგომ აგრძელებს არსებობას შუა ბრინჯაოს ხანაშიც. აქვე უდაოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფიჩორში აღმოჩენილი ამ ვარიანტის ერთ-ერთი თოხი, ზუსტად ჯდება აქვე აღმოჩენილ ყალიბში და აშკარაა, რომ ადგილობრივ არის დამზადებული. ეს არის პირდაპირი საბუთი კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალი საფეხურის შესახებ.

მესამე ვარიანტის თოხები წარმოდგენილია ანაკლია II-ში აღმოჩენილი ორი ყალიბით. მათ ახასიათებთ სწორი მხარი, მოგრძო ოთხკუთხა ტანი, მომრგვალებული პირი, მოკლე მილისებრი სატარე. ტიპოლოგიურად ახლოს დგას პირველი ვარიანტის თოხებთან, განსაკუთრებით მხარის მიხედვით, მაგრამ ტანის ფორმა (მოგრძო ოთხკუთხედი) საფუძველს გვაძლევს იგი ცალკე ვარიანტად იყოს გამოყოფილი.

შესაძლოა მეოთხე ვარიანტად იყოს გამოყოფილი ე.წ. „ურეკული" სამკუთხა თოხები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება პირველი ვარიანტის თოხებს. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის იარაღი სადღეისოდ აღმოჩენილია სულ 3 პუნქტში: ურეკი, ზენითი და ფიჩორის VIII ფენა. აქედან მხოლოდ ფიჩორია მეცნიერულად გათხრილი და შესწავლილი. ურეკში ამ ტიპის რამდენიმე თოხია ნაპოვნი და როგორც ჩანს სხვადასხვა ადგილებიდან. ურეკის ამ იარაღის ერთ-ერთი პირველი შემსწავლელი ნ. ხოშტარია მიიჩნევდა, რომ ისინი გავრცელებულია კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან (ურეკის განძი) ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისამდე და ზღვისპირა ზოლში მათი აღმოჩენის გამო ურეკული თოხების

244. იქვე, სურ. 62ε
245. Н. З. Хоштария, Археологические исследования в Уреки, მსკა I თბ. 1955, გვ. 48-50
246. Микеладзе Т., К археологии Колхиды, გვ. 30; Куфтин Б., К вопросу გვ. 317
247. М. Барамидзе, Хронология _ периодизация... Микеладзе Т., დასახ. ნაშრომი, გვ. 43

აქ გავრცელებულ ქვიშებში კვალის გამტარებელ იარაღად თვლიდა. მისი აზრით, აქვე ითესებოდა ბრინჯი, როგორც ამ პერიოდის ადამიანის მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტი.[248] სადღეისოდ ძნელია რამე ითქვას ბრინჯის კულტურის არსებობის შესახებ კოლხეთში. ყოველ შემთხვევაში კოლხეთის არცერთ ნამოსახლარზე, მათ შორის ფიჩორზეც. ბრინჯის კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა, მაშინ როდესაც სხვა მარცვლეულის ნაშთები მრავლადაა ფიქსირებული. რაც შეეხება სამკუთხა თოხების გავრცელების ასაკს, იგი ჩვენი აზრით სრულიად მიუღებელია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის თოხები აღმოჩენილია მხოლოდ სამ პუნქტში. გვიანი ბრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვან ძეგლებზე და განძებში სრულიად სხვა ტიპის თოხებია დადასტურებული და მათ არავითარი საერთო არ აქვთ „ურეკულ" თოხებთან. აშკარაა, რომ მათი ასაკი შუა ბრინჯაოს ხანის მინურულს აქვთ არ გადმოდის.

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის თოხებთან დაკავშირებით დგება კიდევ ერთი საკითხი. ამ რიგის იარაღის გენეზისი და მისი კავშირი მომდევნო გვიანი ბრინჯაოს ხანის თოხებთან. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი შეეხო გვიანი ბრინჯაოს ხანის თოხების შესწავლას, გაკვრით, საკმაოდ ყრუდაც კი, მათ უკავშირებს წინამორბედ „ურეკულ" თოხებს[249]. თუმცა ხშირად არც კი არის აღნიშნული თუ რაში გამოიხატა ეს გენეტიკური კავშირი. ჩვენი აზრით, კოლხურ გვიანბრინჯაოს ხანის და პროტოკოლხურ თოხებს შორის გენეტიკური კავშირი სრულიადაც არ შეინიშნება. პირიქით, მათ შორის საერთო თითქმის არაფერია; სრულიად ნაირგვარია მხარის, ტანის, პირის მოყვანილობა. მსგავსი რჩება მხოლოდ ტანში სატარე მილის ჩართვა, რაც არ არის საკმარისი მათ გენეტიკურ კავშირზე სალაპარაკოდ. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს არა გენეტიკურ, არამედ ფუნქციონალურ მსგავსება-დანიშნულებასთან. ამ თვალსაზრისით უდავოდ თვალშისაცემია ის ტიპოლოგიური მსგავსება რაც შეინიშნება ბრინჯაოს და ქვის თოხებს შორის. როგორც ცნობილია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ჩანს ქვის თოხების ორი ვარიანტი – „სოჭი-ადლერის" და „სოხუმის" ტიპები. (იხ. ქვემოთ). აქედან ე.წ. „სოხუმური" ვარიანტის ქვის თოხები ძალზე ლოკალურია და როგორც ჩანს ახასიათებს მხოლოდ ადრე ბრინჯაოს ხანას, რაც შეეხება „სოჭი-ადლერის" ტიპის თოხებს, მათ ახასიათებთ მოგრძო სატარე ყუნწი, ზოგჯერ სწორი, გაშლილი მხრები და გორდა პირი. ფაქტობრივად, ეს არის ის ფორმა, რასაც ვხედავთ კოლხურ გვიანბრინჯაოს ხანის თოხებში. განსხვავება მხოლოდ მილისებრი სატარე ხვრელის არარსებობაშია. მაგრამ აქ ჩნდება რამდენიმე ხელისშემშლელი გარემოება. „სოჭი-ადლერის" ტიპის თოხები გავრცელებულია ძირითადად გუმისთის ჩრდილოეთით.[250] მის სამხრეთით ამ ტიპის იარაღი თითქმის არ გვხვდება. ქვის თოხები არაა ტიპიური ცენტრალური კოლხეთისათვის და წარმოადგენს ერთ-ერთ ნიშანს ჩვენ მიერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოხაზული ე.წ. ჩრდილოური ლოკალური ვარიანტის გამორჩევისათვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის თოხები ამ რეგიონში ფაქტობრივად არაა გავრცელებული[251]. შეიძლება დასახელდეს ამ რიგის იარაღის აღმოჩენის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი. გალის II და III განძი, ფიჩორი, წებელდა (?). ასეთ შემთხვევაში ძნელია კოლხური ბრინჯაოს ხანის თოხების უშუალო გენეტიკურ წინაპრად მივიჩნიოთ ქვის თოხები. თუ ამგვარ კავშირს ვაღიარებთ, მაშინ ძნელი ასახსნელია თუ რატომ არ ჩანს ამ ტიპის ბრინჯაოს იარაღი ქვის თოხების გავრცელების ძირითად რეგიონში ან პირიქით, რატომ არ არის ქვის თოხები ცენტრალურ კოლხეთში. ამდენად გენეტიკური კავშირი შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის თოხებს შორის ჯერჯერობით მაინც პრობლემატური საკითხია და მომავალ კვლევას და ახალ მატერიალურ დასაბუთებას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის თოხების გენეზისის საკითხში გარკვეულ პერსპექტივებს სახავს მესამე ვარიანტში გაერთიანებული ანაკლია II აღმოჩენილი ყალიბები. ამ ფორმისაგან გვიანბრინჯაოს პირფართო თოხების მიღება გარკვეულად მისაღები გვეჩვენება. ფაქტობრივად ხდება მხოლოდ სატარე ნაწილის დაგრძელება სიმაღლეში, რაც ინვევს თოხის მხარის გამოყოფას. ფორმის ასეთი ევოლუცია სავსებით ლოგიკური ჩანს, თუმცა საჭიროებს მომავალში მეტი რაოდენობით მასალებით შემაგრებას.

---

248. **Н. В. Хоштария**, Археологические исследование Уреки გვ. 48-50; სურ. 12

249. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. დ. ქორნიძე, დასახ. ნაშრომი, ალ. რამიშვილი; **Микеладзе Т.**, დასახ. ნაშრომი და სხვა.

250. **Ю. И. Воронов**, Археологическая карта... მისივე, Древности Сочи и его окрестностей. გ. ფხაკაძე დასახ. ნაშრომი

251. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს თოხები აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული არ არის. ქორნიძე დ., დასახ.ნაშრომი, გვ. 74-76. ამ მოსაზრებას ფაქტობრივად იმეორებს ყველა შემდგომი მკვლევარი (თ. მიქელაძე, ლ. სახაროვა, ალ. რამიშვილი და სხვა). მაშინ როდესაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამ რეგიონში რამდენიმე ამ ტიპის იარაღი იქნა ნაპოვნი. იხ. ჩვენი... Хронология-периодизация. ირკვევა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ბრინჯაოს კოლხური თოხები გავრცელებულია რეგიონის სამხრეთ ნაწილში ქ. სოხუმის ჩათვლით, მისი ჩრდილოეთით კი გვიანი ბრინჯაოს ხანის თოხები თითქოს არ გვაქვს.

დასავლეთ ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ლითონის თოხების პარალელურად ვხედებით ქვისაგან დამზადებულ თოხებსაც. ისინი ძირითადად ორი ტიპით არიან წარმოდგენილი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „სოჭი-ადლერის" და „სოხუმის" ტიპების სახელითაა ცნობილი.

ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ე. წ. „სოჭი-ადლერის" ტიპის თოხი აღმოჩენილია მხოლოდ ნოსირის ნამოსახლარის II ფენაში.[252] მას ახასიათებს მომრგვალებული და მოგრძო სატარე ყუნწი. ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ე. წ. სეგმენტურ იარაღებს, თუმცა მათ შორის გენეტიკური კავშირი არა ჩანს. ჯერ ერთი შეინიშნება წყვეტილი ქვის ამ ტიპის თოხებისა და სეგმენტების გავრცელების დროის მიხედვით და მეორეც, ორივე ეს ფორმა თავისი გავრცელების სხვადასხვა არეალს ხაზავს, რაც ბუნებრივია არ იქნებოდა შესამჩნევი მათ შორის გენეტიკური კავშირის არსებობის შემთხვევაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სოჭი-ადლერის" ტიპის თოხები დამახასიათებელია ძვ.წ. IV-III ათასწლეულების ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთისათვის,[253] თუმცა მსგავსი იარაღი გავრცელებული ჩანს წინააზიურ ადრესამინათმოქმედო კულტურებშიც.[254] ამიერკავკასიაში მათი გამოჩენა დაკავშირებული უნდა იქნას ადრე ბრინჯაოს ხანასთან, თუმცა მათი გავრცელება გარკვეულად შეინიშნება შუა ბრინჯაოს ხანაშიც. გვხვდება ისინი ფსოუში, ოჩამჩირეში, გუანდრაში, მაჭარაში, გუმისთა II-ზე[255] და სხვა. აღსანიშნავია, რომ მაჭარის ნამოსახლარზე იგი აღმოჩენილია II ფენაში, რომელსაც გამთხრელი შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს და ვარაუდობს რომ მათი ფუნქციონირება ნარმოებს გვიანბრინჯაოს ხანამდის[256] და ამდენად ჩვენთვის საინტრესო პერიოდის ფარგლებში ექცევა. როგორც ჩანს ამავე პერიოდს ეკუთვნის გუმისთა II აღმოჩენილი ეგზემპლარებიც.[257]

როგორც პარალელების განხილვა გვიჩვენებს სოჭი-ადლერის ტიპის ცულები გარკვეულად კონცენტრირებულია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთით. სოჭის მიდამოებში[258]. აღსანიშნავია, რომ მათი კომპაქტური გავრცელების სამხრეთი საზღვარი ოჩამჩირესთან მიდის. მისი სამხრეთით მხოლოდ ერთი თოხია ნაპოვნი ზემოთნახსენებ ნოსირის ნასახლარის II ფენაში. სადაზვერვო მონაცემების მიხედვითაც „სოჭი-ადლერის" ტიპის ცულთა გავრცელების ძირითადი რეგიონი მდ. გუმისთის ჩრდილოეთით იხაზება[259]. რაც შეეხება ოჩამჩირე-სოხუმის ზონას ის ჩვენი აზრით, უფრო საკონტაქტო არეალია და კოლხეთის დაბლობის და ჩრდილოური ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების შეხვედრის ან შერწყმის მომენტს ასახავს. ის გარემოება, რომ კოლხეთის დაბლობის ძეგლებზე ფაქტობრივად არ გვაქვს ამ ტიპის იარაღი იმ გარემოების მანიშნებელია, რომ ამ რეგიონში ქვის იარაღი ნაკლებად არის გამოყენებული (შედარებით ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან), რაც გამონვეული იყო ლითონის იარაღის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფორმების არსებობით.

დაახლოებით ანალოგიურ სურათს იძლევა ე. წ. „სოხუმის" ტიპის თოხებიც. მათი ფორმა ძირითადად დისკოიდალურია და დამზადებულია ნაპირების ატკეცის ტექნიკით. სოხუმის სამხრეთით ამ ტიპის თოხი სრულიად უცნობია. მისი ჩრდილოეთით კი ყველაზე მრავლად მაინც გუმისთის

252. ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 46.

253. **Формозов А.А.**, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА 102, М., 1962, გვ. 126-128; **Соловьев Л.Н.** Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы _ стоянки Воронцовской пещеры , Труды АБИЯЛИ-XXIV, Сухуми, 1958, გვ. 137.

254. **Чайлд Г.**, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1959, გვ. 168, ნ. 56; ნინააზიური თოხები ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულია. მათ აქვთ სამკუთხა ფორმა, დამზადებულია ანატკეცების ტექნიკით და როგორც ვარაუდობენ გამოიყენებოდა, როგორც თოხის სამუშაო ნეერი.

255. **Формозов А.А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 122-129; **Соловьев Л. Н.**, Энеологитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Сухуми, 1939; **Бжания В. В.**, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, Nr. 1, 1966, стр. 118-125; **Цвинария И.И.**, Поселение Гуандра, Тб., გვ. 14, XXI, ბარამიძე მ., და სხვა, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1977 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.

256. **В. Бжания**, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

257. განსაკუთრებით მრავლადაა ამ ტიპის თოხები აღმოჩენილი კისტრიკის ნასახლარზე, მაგრამ თუ რომელ ფენას უნდა მიეკუთვნოს ისინი ძეგლის ხასიათის გამო ჩვენთვის ძნელი სათქმელია, ანგარიშის მიხედვით კი ეს არ ჩანს. იხ. **В. В. Бжания**, Отчеты работ Причерноморской экспедиции за 1978-83 гг.

258. **Ю. Н. Воронов**, Древности Сочи и его окрестностей.

259. **ბ. ბარამიძე**, და სხვა. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წ. მუშაობის შედეგები.

ნასახლარზეა[260] წარმოდგენილი. რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება კისტრიკის ნასახლარზეც.[261] მაჭარაში, გუანდრაზე[262] თოხის ეს ვარიანტი უფრო დასავლეთ ამიერკავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონისათვის ჩანს ტიპიური.

თოხების განხილვის დროს არ შეიძლება გვერდი აუაროთ ერთ გარემოებას. საერთოდ მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში თვით გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩათვლით ქვის ინდუსტრია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძეგლებზე უფრო მძლავრი ჩანს, ვიდრე ცენტრალურ კოლხეთში. ქვის მასალის შეფარდება დაახლოებით 1:5 მოდის. როგორც ჩანს ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასია მეტალურგიული განვითარების დონით მაინც ჩამორჩებოდა ცენტრალურ და მის მიმდებარე კოლხეთის რეგიონებს, რის გამოც ქვის ინდუსტრიამ გვიანამდის შემოინახა თავი. ამის მკაფიო მაგალითს ქვის თოხები გვიანბრინჯაოს ხანამდის შემორჩენის ფაქტიც ადასტურებს.

ქვის იარაღი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე შეინიშნება კაჟის იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე. რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი ნამგლისჩასართებს უკავია. ძნელია დაასახელო ბრინჯაოს ხანის რომელიმე ნამოსახლარი, სადაც არ იყოს ნამგლისჩასართი ფიქსირებული. ტიპოლოგიურად მათ შორის თითქოს სხვაობა არ შეინიშნება. ფიჩორ I სტრატიგრაფიული ჭრილის შესწავლა გვიჩვენებს, რომ გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანისათვის დამახასიათებელია ფართო, სამკუთხედისებური ფორმა ცალ ან ორგვერდდაკბილული იარაღები (ტაბ. XXII2). შუა ბრინჯაოს ხანისათვის ძირითადად გავრცელებულია ცალგვერდდაკბილული, ვინროტანიანი, ზოგჯერ ზურგის მხრიდან ოდნავ მორკალური ფორმები (ტაბ. XXII25-28). გამონაკლისის სახით მსგავსი ჩასართები გვხვდება ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებში, თუმცა აქვე გავრცელებულია ძირითადად ორმხრივ თავებშეჭრილი, ცალპირდაკბილული ე. წ. ოჩამჩირული ტიპის იარაღი.

კაჟის ნამგლისჩასართი კოლხეთის ტერიტორიაზე დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაშია გავრცელებული. მათი პირველი გამოჩენა ნეოლითურ ფენებთანაა დაკავშირებული (სათაფლია, თეთრამიწა, ანასეული) და არსებობენ მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და წყვეტენ ფუნქციონირებას მხოლოდ ადრე რკინის ხანისთვის. როგორც ჩანს ამის მიზეზი ლითონის ნამგლის გამოჩენა უნდა იყოს, თუმცა ლითონმა ბოლომდე მაინც ვერ განდევნა კაჟის ნამგლისჩასართი. უფრო მეტიც კაჟის მსგავსი იარაღები სადაზვერვო მონაცემების მიხედვით თავს ინახავენ ელინისტური ხანის ნასახლარების მონაპოვარშიც. (მაგ. ნამარნუს ბორცვების სისტემა). დროის ეს ხანგრძლივი დიაპაზონი აძნელებს მათ შესახებ მსჯელობას, თუმცა ზემოთმოყვანილი ბრინჯაოს ხანის ცალკეული ეტაპების შესატყვისი ძირითადი ფორმების გამოყოფას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქრონოლოგიური კუთვნილების განსაზღვრის დროს.

ასევე ძნელდება კაჟის იარაღის კიდევ ერთი კომპონენტის, ისრისპირების ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური გამიჯვნა. ფიჩორი I სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით ირკვევა, რომ სიმეტრიულად ქუსლამოღარული, სამკუთხა ფორმის ისრისპირები ძირითადად გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ფენებისთვისაა დამახასიათებელი, (ტაბ. XXII1-3) ხოლო ასიმეტრიულად ქუსლამოღარული ფორმები გავრცელებული ჩანს პროტოკოლხური კულტურის ორივე საფეხურზე (ტაბ. XXII11-14). ძნელია დაასახელო კოლხეთის რომელიმე ნამოსახლარი, სადაც ისრისპირი არ იყოს დადასტურებული (ანაკლია I და II, ნოსირი, ნაკარღალი, ფიჩორის თითქმის ყველა ბორცვი), ნამჭედური, ნაოხვამუ და სხვა[263]. კაჟის ისრისპირების ასეთი სიმრავლე ვფიქრობთ განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ კოლხეთში ლითონის ისრისპირი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდის მაინც ფაქტობრივად უცნობია. ლითონის ისრისპირის გამოჩენა ძირითადად წინაანტიკური ხანისათვის შეინიშნება, როდესაც ზოგიერთ ძეგლზე ვხვდებით აღმოსავლურ ამიერკავკასიურ გრძელყუნწიან ისრისპირებს[264]. საკუთრივ ადრეანტიკური ხანისათვის იწყებენ გამოჩენას ე. წ. სკვითური ისრისპირები და ეს უკანასკნელები ძირითადად კოლხურ სამაროვნებზეა დადასტურებული და ისიც ერთეულების

---

260. **მ. ბარამიძე**, აფხაზეთის ექსპედიციის 1977 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.
261. **В.В. Бжания**, Отчеты работ...
262. **И. И. Цвенария**, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
263. 114 **Б. А. Куфтин**, Материалы... т. II ტაბ. 64, სურ. 48; **Т. Микеладзе**, დასახ. ნაშრომი. ტაბ. 23; **მ. ბარამიძე**, ფიჩორის ნასახლარი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები. (იბეჭდება).
264. **Б. А. Куфтин** დასახ. ნაშრომი, გვ. 75; **თ. მიქელაძე**, ძიებანი... გვ. 53.

სახით[265]. არ არის გამორიცხული რომ ლითონის ისრისპირთა ფუნქციებს ასრულებდა ბრინჯაოს ე. ნ. მასრაგახსნილი შუბისპირების იმიტაციები (ნაოხვამუ, პალური, ნითელი შუქურა, გუადუხუ, ყელანურხვა, ნიგვზიარი, ერგეტა, სოხუმის მთა), რომლებიც შესაძლოა დასავლურ ამიერკავკასიური ტიპის ისრისპირთა ცალკე ფორმად იქნას მიჩნეული[266]. თუმცა ძირითადად საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღად მაინც კაჟის ისრისპირი უნდა ჩაითვალოს.

ქვის იარაღის შესახებ საუბარი არ იქნება სრული თუ არ მოვიხსენიებთ საერთოდ ნამოსახლარებისათვის ისეთ სპეციფიკურ ნაკეთობებს, როგორიცაა ხელსაფქვავის ქვები, საბეგველ-საჩეჩქვი იარაღი, როდინი, სალესი და სხვა. აღნიშნული მასალა ფაქტობრივად ერთგვაროვანია მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და ქრონოლოგიურ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას, ეს არის სალესი ქვები, რომლებსაც განსხვავებით წინარე მასალებისაგან ძვ. წ. VI ს, თუ VII ს მეორე ნახევრიდან თავთან უჩნდებათ ნახვრეტი. საერთოდ ეს ნივთი დამახასიათებელია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების კავკასიის სამაროვნებისათვის[267] და ევრაზიის ადრე რკინის ხანის კომპლექსებისათვის[268]. აშკარაა, რომ მათი ქრონოლოგიური თუ ტერიტორიალური დაჯგუფება, ისევე როგორც, ზემოაღნიშნული, ქვის იარაღის შეუძლებელია.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ალმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მატერიალური კულტურის ძირითადი, წამყვანი ელემენტები და ფორმები. მათი შესწავლა შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ პროტოკოლხური კულტურის II ეტაპი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანას ემთხვევა, გენეტიკურად განუყოფელ კავშირშია წინარე, პროტოკოლხური I და ხშირ შემთხვევაში მათი გათიშვა შეუძლებელი ხდება. ეს განსაკუთრებით კერამიკას ეხება, თუმცა კერამიკის სპეციალურ ნაწილში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ეს საერთო თუ განმასხვავებელი ელემენტები, რომლებიც ამ ერთი კულტურის ორ სხვადასხვა საფეხურს ახასიათებს. უფრო მეტიც, შუა ბრინჯაოს ხანის ეს მცირერიცხოვანი მასალა საშუალებას იძლევა პროტოკოლხურ II-ში გამოყოფილ იქნას ორი თანმიმდევრული (ადრეული და მოგვიანო) ფაზები, რომლებიც ზემო კერამიკის ნაწილში ა და ბ ფაზებად იყო მოხსენიებული. დანარჩენი მასალის განხილვა თითქოს ადასტურებს ამ ქრონოლოგიურ დაყოფას. ბუნებრივია დროთა განმავლობაში, მონაპოვარი მასალის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ეს შკალა ერთგვარად შეივსება და დაზუსტდება კიდეც.

265. თ. მიქელაძე და სხვა. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978 წ. ანგარიში; მ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი; მისივე, პალურის „საძვლე".
266. მ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი, გვ. 48.
267. А. А. Иессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МКА-94, gv. 4-6; Е. И. Крупнов, Древная история... გვ. 287
268. М.Т. Грязнов, Так называемые оселки скифо-сарматского времени, Исследования по археологии СССР, Л. 1961, გვ. 142

თავი III

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში

(შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის გარდამავალი ეტაპის გამოყოფის პრობლემა და მისი ზოგიერთი ასპექტი).

დასავლეთ ამიერკავკასიის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურათა ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა კავკასიისმცოდნეთათვის. საკვლევი პერიოდის ძეგლთა შედარებითი სიმცირე და არასაკმარისი შესწავლილობა არ იძლევა შესაძლებლობას ამ პერიოდის ისტორიის სრულყოფილი სურათის წარმოდგენად. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება შუა და გვიანბრინჯაოს ხანების კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხს. როგორი იყო ამ კულტურათა ურთიერთკავშირი? გვაქვს თუ არა სახეზე კულტურის უწყვეტი განვითარების სურათი თუ საქმე გვაქვს ორ, თანმიმდევრულ, სხვადასხვა კულტურასთან. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე სრულყოფილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც იყო ცდა ამ პერიოდების მატერიალური კულტურის ერთმანეთთან დასაკავშირებლად[269]. თითქმის ყველა მეცნიერი ვინც კი შეეხო ამ პერიოდის მასალებს შეძლებისდაგვარად ცდილობდა ამ პრობლემის გადაჭრას. მაგრამ საკვლევი პერიოდის ძეგლთა სიმცირე და შეუსწავლელობა ბევრ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ არ იყო ძეგლი, რომელიც უშუალოდ ამ ორი პერიოდის მასალებს ერთმანეთთან დააკავშირებდა. თუ მეტალის ნაკეთობათა (იარაღ-საჭურველი, სამკაული) ტიპოლოგიური კავშირი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები[270] და მისაღებია. ამას ვერ ვიტყვით პროტო-კოლხური და კოლხურიკერამიკის შესახებ. ეს კავშირი კერამიკის მიხედვით შეინიშნებოდა მხოლოდ ზოგიერთი ელემენტის (ცალკეული პროფილები, ორნამენტის ზოგიერთი სახეობა) მიხედვით. ფაქტობრივად არ გვქონდა გამოყოფილი მთელი ეტაპი, რომელსაც გარდამავალი ხასიათი ექნებოდა შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე.

მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა 80-იანი წლების ბოლოსათვის. ფიჩორი I ნამოსახლარზე მოხერხდა გამოყოფილიყო მთელი ფენა (IV), რომელიც სწორედ ორივე ამ პერიოდის მასალებს შეიცავდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ IV ფენა ზედა, გვიანბრინჯაოს (III) ფენისაგან გამოყოფილია 0,4 მ. სისქის სტერილური შრით, ხოლო ქვემოთ უშუალოდ ეფინება V, პროტოკოლხური II ბ ფენა ე. ი. პროტოკოლხური II წიაღში აშკარად იჭრება ახალი ნაკადი, კოლხური, რომელიც IV ფენაში ილებს ერთგვარ შერეულ ხასიათს. სახეზე გვაქვს ორივე პერიოდის-პროტოკოლხური და კოლხური, მასალების შეხვედრა-შერწყმის პროცესი და ეს ქრონოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებზე მოდის.

დაახლოებით იმავე პერიოდში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი თ. მიქელაძე), ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში, „მამულიების ბორცვზე" გამოავლინა მსგავსი მასალების შემცველი IV-V კულტურული ფენა, რომლებიც მიკუთვნებულ იქნა შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანისადმი[271]. შემდგომში გამთხრელებმა გაიზიარეს ჩვენი მოსაზრება ამ ფენების გარდამავალი საფეხურისათვის მიკუთვნების აუცილებლობის შესახებ.

ერგეტის ბორცვის IV ფენაში კერამიკა ძირითადად სამზარეულო დანიშნულებისაა და წარმოდგენილია ქილებით, ქოთნებით და პატარა ჯოჭებით. შემკობაში გამოყენებულია დაკბილვა და ნათითური ფოსოებით გაფორმებული რელიეფური სარტყელი. ჭარბობს ჰორიზონტალური და ფართო ლენტური ყურები. ამ უკანასკნელებს ზურგის მხრიდან პატარა მეჭეჭები ამკობთ. მთელი ეს მასალა ტიპიური პროტოკოლხური იერისაა და მის კუთვნილებას წარმოადგენს. ამავე ფენაში თავს იჩენს მეორე ჯგუფის ნაწარმიც, რომლებიც წარმოდგენილია ფოსოებითაა და შევრონებით

---

269. ამ პრობლემის ირგვლივ იხ. ძირითადი ლიტერატურა: დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიიდან. თბ. 1965. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ. 1976; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974. Т. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб. 1990; Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, Древне колхидское поселение Намчедури, Тб. 1975. Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб. 1949; ე. გოგაძე, კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კულტურა, თბ. 1982. ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974; შ. ჩარდოლანი, ძველი სვანეთი, თბ. 1997 და სხვა.

270. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი; М. Барамидзе. Хронология-периодизация... და სხვა.

271. Т. Микеладзе и др. О работах Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1984-84 гг. Тб. 1987. გვ. 40.

შემკული შავი ფერის ნაწარმით. ძირებზე ხშირია ჭილოფისეული ანაბეჭდი. ეს ჯგუფი ტიპიურია კოლხური კერამიკისათვის[272].

ამგვარად, ფიჩორი I, IV და ერგეტის IV-V ფენების სახით შეიქმნა საფუძველი აბსოლუტურად სინქრონული ორი ძეგლის ირგვლივ გაერთიანებულიყო ანალოგიური მასალების შემცველი კოლხეთის დანარჩენი ცნობილი ძეგლებიც. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება უპირველეს ყოვლისა მიიქცია ნაკარლალის ბორცვმა, რომლის VI ფენაში 1988 წ. კვლავ დაფიქსირდა მსგავსი შერეული ხასიათის მქონე მასალები.[273]

ანალოგიური მასალები, შესწავლის შედეგად, დაფიქსირდა ანაკლია I ნამოსახლარზეც. როგორც ცნობილია ბ. კუფტინმა ანაკლიის ბორცვზე 4 კულტურული ფენის არსებობა იავარაუდა[274], თუმცა ზოგჯერ იხსენიებს 3 ფენას[275]. საქმე იმაშია, რომ ავტორი თვითონ არ მონაწილეობდა ძეგლის შესწავლაში და ინფორმაცია მის შესახებ ძირითადად ზუგდიდის მუზეუმის თანამშრომელთა და ფონდების გაცნობის შედეგად აქვს მიღებული. ამდენად, ეს ცნობები უკვე საფუძველშივე არ იყო სრული და ზოგჯერ მცდარ ინფორმაციას შეიცავს. მაგ.: ბ. კუფტინი არსად არ ახსენებს ანაკლიის დიხა-გუძუბაზე ზოომორფულშვერილიანი ყურების არსებობის ფაქტს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ზედა თარიღის განსაზღვრისათვის. უფრო მეტიც, იგი ანაკლია I თვლის იმ ძეგლად, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ნაოხვამუს და მათი სინქრონიზაციისათვის, თუნდაც გვიან საფეხურზე, არავითარი საფუძველი არ არსებობს[276], ამდენად, მისი მიხედვით ანაკლია I არსებობას იწყებს ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულში და წყვეტს გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის.[277] მეორე ადგილას იგი აღნიშნავს, რომ IV ფენის ასაკი შეიძლება გასცდეს გვიანბრინჯაოს საწყის საფეხურს[278]. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა უდაოდ იმის მაჩვენებელია, რომ ბ. კუფტინი არ იცნობდა მთელ მასალას და ანაკლია I ასაკი მისთვისაც მაინცდამაინც მყარი არ ჩანდა. სადღეისოდ ამ ძეგლის ბ. კუფტინისეული დათარიღება დაზუსტებას საჭიროებს და გასაზიარებელი არ ჩანს, რაზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჟამად კი გვაინტერესებს მხოლოდ ზედა (III-IV) ფენების ასაკის განსაზღვრა და მისი მიმართება ფიჩორი-ნაკარლალის გარდამავალი ხანის ფენებთან.

ჯერ კიდევ 60-იან წლების მეორე ნახევარში, ენგურის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დროს, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ზუგდიდის მუზეუმის ფონდებს და შეგვემუშავებინა რამდენადმე განსხვავებული შეხედულება[279]. პირველი, რაც ყველაზე ნათელად აღმოჩნდა ისაა, რომ ზედა ჰორიზონტში წარმოდგენილია ტიპიური ძვ. წ. I მასალის დიდი ჯგუფი, რომელიც აშკარად სინქრონული ჩანს ნაოხვამუს ქვედა ფენის მონაპოვრის. (ფრინველის მკერდისებრი ყურები, ყურები ვერტიკალური შვერილით, ღარული და შევრონული ორნამენტი და სხვა.) აღნიშნული მასალები საველე დავთრის მიხედვით დასტურდება 0,15-0,30 მ. სიღრმეზე, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ IV ფენა (ზედა) აშკარად გვიანბრინჯაოს ხანის საწყისისა და სინქრონული ნაოხვამუს ქვედა ფენის. ამ დონეზე სხვა არქაული იერის კერამიკა თითქოს ფიქსირებული არ ჩანს[280]. დაახლოებით 0,4-0,6 მ. სიღრმეზე ფიქსირებული ჩანს III ფენისეული მასალები. აქ ვხვდებით პროტოკოლხური იერის დერგებს, ქილებს, ქოთნებს და ძვ. წ. I ტიპურ ორნამენტიან ფრაგმენტებს (ფესტონები, შევრონები, სავარცხლისებრი, ნახევრადრკალური დანაძერწები, წიწვოვანი ორნამენტი და სხვა. ფიჩორი I, IV ფენასთან მათი შედარება საშუალებას იძლევა აქაც მსგავსი სურათი – ორი კულტურის – შეხვედრის მომენტი იქნას დაფიქსირებული. ამდენად, ანაკლია I, III ფენის სახით მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს გარდამავალი პერიოდის შემცველ კიდევ ერთ ძეგლთან.

---

272. იქვე; Т. Микеладзе, К археологии Колхиды, გვ. 24.
273. მ. ბარამიძე და სხვ. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.
274. Б.А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 246-257;
275. იქვე, გვ. 152.
276. იქვე, გვ. 249.
277. იქვე, გვ. 257.
278. იქვე, გვ. 256.
279. 1968 წ. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სესიაზე ჩვენს მიერ ნაკითხული იქნა მოხსენება ენგურის ხეობის ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესახებ. აქვე ვეხებოდით ანაკლია I ქრონოლოგიის და მასალის დაცვის საკითხებს. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში მასალა ძალზე არეულია და დოკუმენტაციას მოკლებული. მთელი მონაპოვარი ყუთებშია ჩაწყობილი ყოველგვარი დონეების დაცვის გარეშე და მათი გარჩევა ძნელდება. შემორჩენილია მხოლოდ საველე დავთარი. არ არის დღიურები, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. ანაკლია I მასალებს ამჟამად პუბლიკაციისათვის ამზადებს ე. გოგაძე და ლ. ფანცხავა, რაც იმედს გვაძლევს სამომავლოდ.
280. ფენის დათარიღებისათვის ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ აქ აღმოჩენილი ყოფილა კოლხური ცულის ფრაგმენტი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს არ ჩანს.

ძალზე საინტერესოა კიდევ ერთი ძეგლი, ნამჭედურის ნამოსახლარი, რომელზედაც 6 კულტურული ფენაა დადასტურებული. გამთხრელები ქვედა ფენებს (VI-III) გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხურს მიაკუთვნებენ, და უკანასკნელი გამოცემების მიხედვით თვლიან რომ მისი ქვედა საზღვარი გვიანბრინჯაოს ხანის სანყისი უნდა იყოს[281]. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ნამჭედური III-V ფენების ავტორისეულ დათარიღებას და ვეყრდნობით კიდევაც მას, მაგრამ VI ფენა აშკარად მათზე ადრეული ჩანს. ამ ფენაში ვხვდებით პროტოკოლხური II ტიპიურ კერამიკულ ნაწარმს – რელიეფური სარტყელი ნათითური ან დაკბილული ორნამენტით, ჰორიზონტალური და ნყვილადი ყურები, ქიმები და სხვა. ამავე დროს ფენაში ფიქსირებულია ძვ. ნ. I ტიპიური ნანარმი სხვა ძეგლებთან შედარებით რამდენადმე მცირე რაოდენობით. ამდენად, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ნამჭედურის VI ფენა გარდამავალი ხანისადმი იქნას მიკუთვნებული და მისი ასაკი ძვ. ნ. XVI-XV სს. განისაზღვროს.

როგორც ჩანს ამავე პერიოდს უნდა მივაკუთნოთ კიდევ I ძეგლი, ნოსირის დიხა-გუძუბას ქვედა ფენა. ნოსირის გუძუბა სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი ძეგლია კოლხეთში და მისი ასაკის სწორი განსაზღვრა შესაძლოა ეტალონური გამოდგეს მთელი დასავლეთ ამიერკავკასიისათვის. ძეგლის პირველი შემსწავლელი დ. ქორიძე ბორცეზე 3 კულტურული ფენის არსებობას ვარაუდობდა და მის ქვედა ფენას ძვ. ნ. II ათასწლეულის სანყისი საუკუნეებით[282], ხოლო ზედა III ფენის საზღვარს ძვ. ნ. II ათასწლეულის დასასრულით განსაზღვრავდა[283].

უკანასკნელ ხანებში ე. გოგაძემ რამდენადმე დააზუსტა ნოსირის სტრატიგრაფია – ქრონოლოგიის საკითხები. იგი ბორცვზე გამოყოფს 4 კულტურულ ფენას და მიაკუთვნებს მას შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეპოქებს[284]. ჩვენ საესებით მისაღები გვეჩვენება ნოსირის III-IV (ზედა) ფენების ავტორისეული დათარიღება, თუმცა რამდენადმე დაძველებული უნდა იყოს ძეგლის ქვედა I-II ფენების ასაკი. ამ ფენებში მართლაც დომინირებს პროტოკოლხური კერამიკა, მაგრამ არა იმ ტიპის (არქაული), რაც წარმოდგენილია VIII-VII ფენების, ისპანის და ოჩამჩირის მასალების სახით. ამგვარად აშკარაა, რომ ნოსირი I-II ფენები ადრე ბრინჯაოს ხანაში ეერ გადავა. აქ ფაქტობრივად პროტოკოლხური II იერის მასალაა წარმოდგენილი და ისიც თუ ფიჩორი I სტრატიგრაფიას გავითვალისწინებთ უფრო მოგვიანო V-IV ფენების სინქრონულია. ნოსირის პროტოკოლხური კერამიკა ამ ეტაპის დასასრულის იერს ატარებს (ყურები, ორნამენტი). ეს მით უფრო თვალშისაცემია, რომ აქვე ვხვდებით მთელ რიგ ფორმებს თუ ორნამენტს, რომელიც ნოსირის II-IV ფენებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ წერტილოვანი და სავარცხლისკბილური ორნამენტი, კომბინირებული კოპები, ძუძუსებრი შვერილები, შევრონები, ფესტონები, ნახევარრკალები, მუხლისებრი ყურები და სხვ. დამახასიათებელია ნაოხვამუს ქვედა ფენის სინქრონული ძეგლებისათვის და პროტოკოლხურ მასალასთან მისი შერევა იძლევა საფუძველს ნოსირის II ფენა ასევე გარდამავალი ეტაპის ძეგლთა რიგში იყოს გაერთიანებული. რაც შეეხება I ფენას, იგი უფრო ფიჩორის V ფენის სინქრონული ჩანს და პროტოკოლხური II ბ ფაზას უნდა შეესატყვისებოდეს.

ამგვარად, უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში ძირითადად ფიჩორი I, IV ფენის მასალებზე დაყრდნობით მოხერხდა კოლხეთის ნამოსახლარის ბორცვებზე გამოყოფილიყო მთელი პლასტი, რომელიც შეიცავს ორივე არქეოლოგიური პერიოდის (შუა და გვიანბრინჯაოს ხანებში) მასალას. ამდენად მისი მიკუთვნება გარდამავალი საფეხურისათვის საკამათო არ უნდა იყოს. ამ ეტაპის გამოყოფა კი ქმნის საფუძველს კოლხეთის არქეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პრობლემა, პროტო და კოლხური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი, სწორედ იქნას გააზრებული.

ამგვარად, კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი საფეხურის ძეგლები (ფიჩორი I-IV ფენა, ნაკარღალის VI ფენა, ერგეტას IV-V ფენები, ნამჭედურის VI ფენა, ანაკლია I, III ფენა, ნოსირის II ფენა) გარკვეულად ერთგვაროვანი ხასიათისაა. აქ მოპოვებული მასალა ორ ჯგუფად

281. Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, Древнеколхидское поселение намчелури, გვ. 14-19; ადრე გამოცემულ წერილებში ძეგლის ქვედა ფენების ასაკი შუა ბრინჯაოს ხანით იყო განსაზღვრული. იხ; ა. ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარების და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევაძიების ძირითადი შედეგები (1959-1971), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ. 1973, გვ. 23; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წ. მუშაობის შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV თბ. 1974, გვ. 77; დ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, თბ. 1979, გვ. 12. ჩვენი აზრით სახეზე გვაქვს ძეგლის ასაკის ერთი მხრივ გაახალგაზრდავების, ხოლო მეორე მხრით პირიქით დაძველების ცდასთან.

282. დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. საველე მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969. თბ. 1971, გვ. 48.

283. Д. Л. Коридзе, Э. М. Гогадзе. Результаты полевых работ... სსმმ თბ. 1971, გვ. 48.

284. ე. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, 1982, გვ. 176.

შეიძლება გაიყოს. პროტოკოლხური კულტურის მასალები წარმოდგენილია ღია მონაცრისფრო ან რუხი ფერის ფრაგმენტებით (ტაბ. X-XII). იშვიათია შავად ან აგურისფრად გამომწვარი ნატეხები. ნაძერწია ხელით წვრილმარცვლოვანი კვარც და ქარსნარევი თიხისაგან. ფორმებიდან ვხვდებით დერგებს, ქოთნებს, ქილებს, ჯამებს, სასმისებს და სხვა. ჰორიზონტალურყურიანი დერგები ძირითადად პირგაშლილია, დაბალყელიანი. ზოგიერთის ბაკო შესქელებულია. ანალოგიური პროფილები გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა გვხვდება პროტოკოლხური კულტურის I ეტაპიდან (ისპანი, ოჩამჩირე, ფიჩორი I, VIII-VII ფენები) და რაიმე არსებით ტიპოლოგიურ ცვლილებას არ ექვემდებარება. ხშირია დაბალცილინდრულყელიანი ქოთნები, ზედაპირზე ნაფოტით მოსწორების შედეგად დარჩენილი წერილი, უსწორმასწორო სხვადასხვა მიმართულების ხაზებით. ორნამენტიდან ყველაზე ტიპიურია ნათითური ფოსოებით ან დაბილული ჭდეებით შემკული რელიეფური სარტყელი, დამახასიათებელი ორნამენტი მთელი პროტოკოლხური კულტურისათვის. შეინიშნება ერთი მომენტი – ადრეული ძეგლების ეს ორნამენტი, რამდენადმე უფრო უხეშია და ტლანქი, მოგვიანო უფრო დახვეწილი. ამავე ჯგუფში უნდა აღვნიშნოთ ორყურა მინიატურული კოჭბები, ჩაღარული ყელით, გაშლილი პირით და ფართო, მრგვალი მუცლით. ზოგიერთი მათგანი ზედაპირნაპრიალეა. აღსანიშნავია, რომ ფიჩორის ერთი კოჭობის ყური პირთან არის უშუალოდ მიერთებული და ზემოდან სამკუთხისებრ, შებრტყელებულ მოედანს ქმნის. ეს ელემენტი ტიპიური ხდება კოლხური კერამიკისთვის, მომდევნო ძე. ნ. I საწყისის საფეხურისათვის.

სუფრის ჭურჭელში ჯამების რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა. რელსისებურბაკოიანი, ნახევარსფერული ტანით. ზედაპირზე დატანილია ჰორიზონტალური ფოსოების და ღარების შერწყმა ნახევარრკალურ სახეებთან. მათ შორის სივრცე შევსილია ირიბი ღარებით. მსგავსი ორნამენტი არ გვხვდება პროტოკოლხურ კერამიკაზე და გავრცელებულია მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურებიდან. (ფიჩორი I, III ფენა, ნაკარღალი III ფენა, ნაოხვამუს ქვედა ფენა, ნამჭედურის V ფენა, „კურზიას" შუა ფენა, ნოსირი III ფენა, ჭალადიდის „ზურგას" ქვედა ფენა, წყემის IV ფენა, კოდორი I ქვედა ფენა და სხვა). ჯამების ფორმის ჭურჭლიდან ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩანს ჯამები მილისებრი შვერილით და პირმოყრილი ჯამები.

გარდამავალი ეტაპის ერთ-ერთ ნიშანდობლივ ნაკეთობად ჩანს ბრტყელძირიანი ქილები, სწორი პირით და ცილინდრული ტანით. ზედაპირზე ემჩნევათ ნაფოტით მოსწორების კვალი. ზოგიერთის ძირზე ჭილოფის ფართო, ასიმეტრიული ანაბეჭდებია შემორჩენილი. მსგავსი ანაბეჭდიანი ძირები დამახასიათებელია კოლხეთის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისათვის და პროტოკოლხური კერამიკის ერთგვარ განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს. ვხვდებით მას ანაკლია I, II ფენაში, ანაკლია II, მაჭარის III-IV ფენებში, ფიჩორის I და VI-ზე, ნაკარღალში (III-VI ფენები), ერგეტაში და სხვა. ხაზგასმულია, რომ ჭილოფისანაბეჭდიანი ძირები გვხვდება ძვ. ნ. I ათასწლეულის კოლხეთის მასალებშიც[285], დიუნურ ნასახლარებზე და პალურის „საძვლესა" და ჟირ-სუკზე და წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროტოკოლხური და კოლხური კერამიკის ურთიერთდაკავშირება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ადრეული ანაბეჭდები უფრო უხეში და ასიმეტრიულია, მოგვიანო კი ჭილოფის თანაბარი ზომის, წმინდა ანაბეჭდებითაა მიღებული. დაწნევის ტექნიკით. ამგვარად, სახეზეა გენეტიკური კავშირი ორნამენტის თვალსაზრისით, თუმცა ცვლილება შეინიშნება ტექნოლოგიურ პროცესში[286].

ძირებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ღრუქუსლიანი ფრაგმენტები, რომლებიც ძირითადად პროტოკოლხური II ბ ფაზისთვისაა დამახასიათებელი (ფიჩორი I-V ფენა, ფიჩორი № 6, ნაკარღალი.). სხვა სინქრონულ ძეგლებზე ძირის ეს ფორმა ერთეულის სახითაა წარმოდგენილი და როგორც ჩანს არაა ფართოდ გავრცელებული.

საინტერესო სურათს იძლევა გარდამავალი ეტაპის ყურების განხილვა. მათში რამდენიმე ვარიანტის ყური გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ ღეროდაწახნაგებულ ყურებს, რომლებიც პირთან მიერთების ადგილას სამკუთხა შებრტყელებულ მოედანს ქმნიან. ზოგიერთ მათგანს ზურგის მხრიდან უჩნდება ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ღარები. მსგავსი ყურები კოლხეთში ჩნდება

285. მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, პალურის „საძვლე", მსკა I, 1974, გვ. 99.

286. ის გარემოება, რომ ცენტრალურ კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ და მომდევნო საფეხურზე არ ჩანს ჭილოფისანაბეჭდიანი ძირები ხელს არ უნდა უშლიდეს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ჩრდილოეთ ნანილში პროტოკოლხური კულტურა თავს ინახავს ძვ. ნ. I ათასნლეულის საწყისამდეა. კოლხური კერამიკის საყოველთაო გავრცელება გუმისთის ჩრდილოეთით მხოლოდ ამ პერიოდიდან ჩანს. ამდენად, ძვ. ნ. II ათასნლეულის მეორე ნახევარში აფხაზეთის რიგ ძეგლებზე ჭილოფისანაბეჭდიანი ძირები ჯერ კიდევ გავრცელებულია (მაგ. გუმისთა II, მაჭარა I).

პროტოკოლხური II ბ ფაზაში (ფიჩორი I, V ფენა) და აგრძელებენ არსებობას გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე. ყურების მეორე ტიპს განეკუთვნება ორფერადა, პორიზონტალურნახერეტიანი ლენტური ყურები, რომლებიც შავპრიალა ადრეული ჭურჭლების მინაბაძებს განეკუთვნება. საერთოდ შავპრიალა ჭურჭლის მინაბაძები თავს იჩენს პროტოკოლხური II ბ საფეხურზე და არსებობენ გარდამავალ ხანაშიც. მის მომდევნო ეტაპზე მინაბაძები საერთოდ ქრება. პროტოკოლხური კერამიკიდან ეხვდებით წყვილად და ღეროდაღარულ ყურებსაც.

ამგვარად აშკარაა, რომ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპის კერამიკა ფაქტობრივად ორი კულტურის (პროტოკოლხური და კოლხური) შეხვედრა – შერწყმის სურათის მაჩვენებელია. ამ პერიოდის ყველა ძეგლზე თითქმის ერთგვაროვანი სურათია. ერთი კულტურის წიაღში მეორე კულტურის თანდათანობითი შეღწევა. ამასთანავე არ ხდება ერთის ცვლა მეორით, არამედ პირველი ითვისებს მეორეს და გარკვეულად ეს მეორე შემგდომში ნთქავს პირველს. კულტურის ამგვარი სახით განვითარება, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი რამის მანიშნებელი შეიძლება იყოს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარდამავალი ეტაპის ძეგლებზე არ შეინიშნება ძალადობის გზით კულტურის ცვლის არავითარი ნიშანი, ერთი კულტურა სწრაფად ცვლის მეორეს და თვით იკავებს მის ადგილს. კულტურათა შეხვედრის დროს მნიშვნელოვანი შერწყმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს ხედება ორი, ეთნიკურად მონათესავე კულტურა. ასეთ ვითარებაში კულტურათა შერწყმის მშვიდობიანი ხასიათი თითქმის გარდაუვალია. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარ, მშვიდობიან შეხვედრა-შერწყმასთან გვაქვს საქმე გარდამავალ ეტაპზე. კოლხეთის არც ერთ ნასახლარზე აღნიშნულ პერიოდში ძალადობრივი ცვლილების კვალიც კი არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გარკვეული სიფრთხილით შევეცადეთ განგვესაზღვრა ამ კულტურათა ეთნიკური ვინაობის საკითხი. კარგად გვესმის, რომ საკითხის ამგვარად დასმაც კი უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ძალზე პრობლემატურია. მატერიალური კულტურის მონაცემების გვერდით აუცილებლად გასათვალისწინებელია ანთროპოლოგიური, ლინგვისტური თუ საერთო ისტორიული პროცესის მიმდინარეობის საკითხი. მარტო მატერიალური კულტურის მონაცემებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება და იგი სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ ვეცადეთ ეს არქეოლოგიური მონაცემები შეგვეფარდებინა მეცნიერებაში უკვე მიღებულ და აღიარებულ ფაქტებთან და აქედან გამომდინარე გარკვეული სიფრთხილით დაგვესვა საკითხი პროტო და კოლხურ კულტურათა მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის შესახებ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი შეეხო კოლხურ კულტურას, მას მეგრულ-ზანური ეთნოსის კუთვნილად მიიჩნევს[287], და ეს დებულება თითქოს საკამათო არ ჩანს. ამგვარად, თუ გავიაზრებთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას შუა და გვიანბრინჯაოს ხანის გარდამავალ ეტაპზე ორი მონათესავე კულტურის შეხვედრის შესახებ, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ პროტოკოლხური კულტურაც ასევე ქართველური ტომის კუთვნილად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ტომად კი დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მეგრულის გვერდით მხოლოდ სვანურენოვანი ეთნოსია საგულისხმებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება პროტოკოლხური კულტურის სვანურ (ჰენიოხი), ეთნიკური ჯგუფისათვის მიკუთვნების შესახებ[288]. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვამაგრებთ კიდეც. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რომ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია მრავალრიცხოვანი ტოპონიმები, რომლებიც მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით შეიძლება აიხსნას[289].

სვანი ტომების განსახლების საკითხი ამ ადრეულ ხანებში ხშირად საკამათოა. ყოველ შემთხვევაში ბერძნული წყაროების მიხედვით ისინი ძვ. წ. უკანასკნელი საუკუნეებიდან კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მთის ზონაში არიან ლოკალიზებული. სხვა ისტორიული პერიოდი როდესაც კოლხეთის ბარში სვანურენოვანი მოსახლეობა იყოს კომპაქტურად განსახლებული, არ ჩანს. ამდენად კოლხეთის სვანური ტოპონიმები არაპირდაპირი გზით ერთგვარი არგუმენტია პროტოკოლხური კულტურის სვანური მოსახლეობისათვის მიკუთვნების სასარგებლოდ.

---

287. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, თ. მიქელაძე, ძიებანი.... გვ. 20; О. Лордкипанидзе, Древняя Колхида. Тб.

288. И. А. Орбели, Город близнецов — И племя — ЖМНП, 1911. V. გვ. 213. Г. Меликишвили დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

289. 21 თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ. 1989, გვ. 211-272. ჩვენ ბევრ შემთხვევაში სადაოდ მიგვაჩნია რიგი ტოპონიმების მხოლოდ სვანური ენის საშუალებით ახსნა, თუმცა მათი დიდი ნაწილი აშკარად სვანურის გავლენითაა შექმნილი. ამჟამად ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ ერთ ტოპონიმს, რომელიც არქეოლოგიურ კულტურებთან არის დაკავშირებული. ბრინჯაოს ხანის რიგი ნამოსახლარის ტოპონიმი გადმოცემულია როგორც სვიესუკი, რაც სვანურად ამაღლებულ ადგილს ნიშნავს.

საკითხის გადასაწყვეტად ბევრს ვერაფერს გვშველის ანთროპოლოგიის მონაცემებიც. სირთულე უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მასალა ძალზე მცირე რაოდენობით არის მოპოვებული. მეორე სირთულე საკითხისადმი მიდგომით არის გამონვეული. მხედველობაში გვაქვს ერთი შეხედვით სრულიად უცნაური და აუხსნელი გარემოება. 1979 წ. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციის რაზმმა (რაზმის უფროსი ი. ნვინარია) გათხრითი სამუშაოები აწარმოა გუდაუთის რაიონის სოფ. დურიფშში. გათხრილი იქნა ადრე ბრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური იერის) ნასახლარის პატარა მონაკვეთი და იქვე მდებარე პატარა ბუნებრივი ეხი, რომელშიც უსისტემოდ ჩაყრილი იყო მიცვალებულთა 70-მდე თავის ქალა. მათი დაცულობა დამაკმაყოფილებელი იყო ანთროპოლოგიური კვლევისათვის. სხვა რაიმე მასალა ეზოში დაფიქსირებული არ ყოფილა. თავის ქალების ერთი ნაწილი გადაეცა შესასწავლად ისტორიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებას. აკადემიკოს მ. აბდუშელიშვილის აზრით[290], თავის ქალები განეკუთვნებოდა წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპის შავიზღვისპირეთის შტოს. თავის ქალების მეორე ნაწილი, ჩვენგან დამოუკიდებლად, გადაეცა საკავშირო ანთროპოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელს ლ. სმირნოვას, რომლის მოკლე დასკვნით ისინი განეკუთვნება კავკასიური ჯგუფის ჩერქეზულ-ადიღეურ შტოს[291]. ამგვარად სახეზე გვაქვს ორი ფაქტობრივად ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა, რომელთა გამოყენება შეუძლებელია.

ამდენად, კულტურული კუთვნილების საკითხის გარკვევისათვის მოტანილი მონაცემები ძალზე მცირეა და ფაქტობრივად არქეოლოგიის გარდა სხვა არსებითი საბუთი არ გვაქვს. არქეოლოგიურად კი ერთი რამ აშკარად შეინიშნება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შავპრიალა კერამიკის განხილვის დროს ჩვენ აღენიშნეთ, რომ ე. წ. ბედენური იერის (ან ადრეული ყორღანების კულტურის) გავლენა დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებზე თითქოს სახეზეა და შესაძლებლად მიგვაჩნია მათი გარკვეული ეთნიკური ჯგუფის დასავლეთით მოძრაობის შედეგად მოხვედრა. მეორე ამგვარი მოძრაობა ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის. მხედველობაში გვაქვს კოლხური კულტურის თანდათანობითი გავრცელება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და მისი შეხვედრა ადგილობრივ პროტოკოლხურ კულტურასთან[292]. რომ ამ მოძრაობას ნამდვილად ჰქონოდა ადგილი, იქიდანაც ჩანს, რომ კოლხური კერამიკა თანდათანობით ვრცელდება სამხრეთიდან ჩრდილოეთით[293]. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის ეს კერამიკა გავრცელებულია მთელი ცენტრალური სამხრეთ კოლხეთის ტერიტორიაზე. ამავე პერიოდში იგი ვრცელდება ენგურს ჩრდილოეთითაც დაახლოებით მდ. ღალიძგამდის. (ფიჩორი I და VI, ნაკარღალი). გვიანბრინჯაოს ხანის სანყის საფეხურზე ეს კერამიკა მოიცავს ღალიძგის ჩრდილოეთით ტერიტორიასაც და აღწევს მდ. გუმისთამდის. (ტამიში, მაჭარა I ფენა, სოხუმი). კოლხური კერამიკის შემდგომი გავრცელება ჩრდილოეთით უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის სანყისს ემთხვევა. ამ პერიოდის აღნიშნულ რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ჩანს პროტოკოლხური იერის კერამიკა (გუმისთა II, კისტრიკი), თუმცა ერთეული ნიმუშები ძვ. წ. I ათასწლეულში მაინც იჩენს თავს. მაგ.: კისტრიკის ნასახლარზე აღმოჩენილია ფრინველისმკერდისებური ყური, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ვერ ზემოქმედებს ადგილობრივ კულტურაზე.

ამგვარად, კოლხური კულტურის ერთ-ერთი ნამყვანი კომპონენტის, კერამიკის, თანდათანობით გავრცელება ჩრდილოეთით არქეოლოგიურად კარგად დასტურდება. აქედან გამომდინარე უნდა დაისვას საკითხი, მეგრულ-ზანური ეთნოსის ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში თანდათანობითი გავრცელების შესახებ. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ათასწლეულის სანყისიდან ეს ეთნიკური მასა ამ ტერიტორიაზე უკვე ნამყვანია და ძირითადი. ამის პარალელურად მიმდინარეობს სვანური მოსახლეობის თანდათანობითი გადანაცვლება ჩრდილოეთით. ის გარემოება, რომ კავკასიონის სამხრეთი კალთები სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არის ინტენსიურად ათვისებული, სწორედ

290. М. Абушелишвили, Антропологические особенности грузинского народа, Картвелологический симпозиум, Бюллетень N3, Тб. 1994, გვ. 16.

291. დასკვნა დაცული იყო დ. გულიას სახ. აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში.

292. კოლხური კერამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი თითქოს ადგილობრივ ნიადაგზე არ უნდა იყოს შექმნილი და შესულია უკვე მზა სახით. ყველაზე სავარაუდო ტერიტორია, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ეს კულტურა წინა აზია – ანატოლიაა. თუმცა იქაური მასალების სიმცირის გამო ამ საკითხის კატეგორიული დასმა ძალზე სათუოა და პრობლემატური. ადრეული კოლხური კერამიკის ორნამენტის განხილვა თითქოს იმაზე მიგვითითებს, რომ ძვ. წ. I კერამიკული მოტივები სათავეს დასავლეთ ევროპის, კერძოდ ტერამარების მასალებში ნახულობს. (იხ. ზემოთ.) მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ანატოლიის, თუმცა გზად გამოყენების გამორიცხვა არარეალური გვეჩვენება. სანამ ჩვენ არ გვეცოდინება კოლხური კერამიკის შესატყვისი ადრეული მასალა ამ ტერიტორიიდან, საკითხი ღიად უნდა დარჩეს.

293. იხ. ჩვენი ნაშრომის IV თავი, აგრეთვე მ. ბარამიძე, თ. ჩიგოშვილი, გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკული ნაწარმი დასავლეთ საქართველოში.

ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. მხედველობაში გვაქვს ბრილის, თლის მრავალფენიანი სამაროენების გაჩენა და სვანეთის ტერიტორიაზე ამ პერიოდის მასალის მომრავლება. ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ მთის ზოლი ამ პერიოდამდის ათვისებული არ იყო. რასაკვირველია აქ გარკვეული სპორადული მოსახლეობა არსებობდა, რაზეც ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის არაერთი შემთხვევითი მონაპოვარი მიგვითითებს[294], მაგრამ ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ამ ზოლში არ არის ფიქსირებული ადრე და შუა ბრინჯაოს ხანების რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი, გვავარაუდებინებს, რომ მთა ჯერ კიდევ არ იყო ინტენსიურად და მთლიანად ათვისებული. ეს პროცესი არქეოლოგიურად მხოლოდ ძე. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან დასტურდება, რაც ჩვენი ზემოთმოყვანილი მსჯელობის საფუძველზე სვანურენოვანი მოსახლეობის ბარიდან მთაში გადასახლებას უნდა გამოეწვია. როგორც ჩანს შუა და გვიანბრინჯაოს ხანების გარდამავალ ეტაპზე მეგრული ეთნოსის საყოველთაო გავრცელების ფონზე კოლხეთში, სვანური მოსახლეობის ნაწილი ტოვებს ბარს[295] და ინაცვლებს მთის ზოლში. ამ მოვლენას ეკონომკური ახსნაც ეძებნება. კოლხეთის დაბლობზე ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბებულია ცალკეული საწარმოო კერები, რომლებიც შემოტანილ მადანზე ფუნქციონირებს. ისინი წარმოადგენდა არა ვინრო ლოკალურ საწარმოებს, არამედ მზა ნაწარმით ამარაგებდა მეზობელ რეგიონებსაც. მაგრამ ბრინჯაოს მეტალურგიის მკვეთრმა აღმავლობამ, რაც კარგად გარდამავალ და განსაკუთრებით კი გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე ჩანს,[296] მკვეთრად გაზარდა მოთხოვნილება სპილენძის მადანზე. სწორედ ეს მომენტი არის გასათვალისწინებელი კავკასიონის კალთების ინტენსიური ათვისების საკითხის გასარკვევად. როგორც ჩანს მთაში ინაცვლებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ძირითადად მეტალურგიაშია დასაქმებული. მიუხედავად ამისა საყურადღებოა, რომ ეს ადრეული საწარმოო კერები არ წყვეტენ ფუნქციონირებას და მათი რაოდენობა უფრო მატულობს კიდეც. ეს გამოწვეული ჩანს ლითონის მადანზე და ნაწარმზე გაზრდილი მოთხოვნებით, რაზეც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

პროტოკოლხური მოსახლეობის მეორე ნაწილი, როგორც ჩანს რჩება ადგილზე და ერწყმის კოლხურ (მეგრულ-ზანურ) ნაკადს. ამგვარი შეხვედრა-შერწყმა კულტურების, თეორიულად დასაშვებია მონათესავე ტომებს შორის. პროტოკოლხური კერამიკის ერთი ნაწილი გარკვეულად აგრძელებს თავის არსებობას, ახალი, უფრო პროგრესული ნაწარმის პერიოდში. ე. ი. ის ფორმები თუ ორნამენტის სახეები, რომლებმაც თავი შემოინახა კოლხურ კერამიკაში, ამ ძველი ტრადიციების ანარეკლია. პრინციპში კი მაინც ძირითადად ვრცელდება ტექნიკურად და ესთეტიურად უფრო სრულყოფილი ნაწარი. სწორედ ამიტომ არის, რომ პროტო და კოლხურ მასალებს შორის კავშირი თითქოს არ ჩანს, მაგრამ ის ცალკეული ელემენტები, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, წარმოადგენენ იმ მყარ არგუმენტს, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ ორი კულტურის ურთიერთდაკავშირება. გენეტიკური კავშირი, ლითონის ნაწარმში უფრო მკვეთრად ჩანს, რაც ზემოთ იყო აღნიშნული და ეს ბუნებრივიცაა. პროტოკოლხური მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედებასთან ერთად მეტალურგიაც ჩანს. ბუნებრივია, რომ ამ ტრადიციებს ბარში დარჩენილი მოსახლეობა არ კარგავს და გარკვეულად ანვითარებს კიდეც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება კოლხური ცულების გენეზისის საკითხი. მათი დაკავშირება გარდამავალი პერიოდის კოლხური ცულის პროტოტიპებთან საეჭვო არ არის, მაგრამ თვით ამ პროტოტიპების წინარე სახეობა, ჩვენი აზრით, შესაძლოა იყოს, როგორც ურეკული ცულები, ისე ფიჩორული ვარიანტის ყუამილიანი ცულები. (პირის მოყვანილობა, ექვსწახნაგა ტანი) ეს სწორედ ის ნიშნებია, რომლებიც ახასიათებს კოლხურ ცულს. ფიჩორული ვარიანტის ყალიბის აღმოჩენა II ათასწლეულის შუა ხანების მასალასთან ერთად იმის მანიშნებელია, რომ ქრონოლოგიურად სავსებით შესაძლებელია ცულის ამ ორ ტიპს შორის გენეტიკური კავშირი დავინახოთ. ამდენად ეს მომენტიც პროტოკოლხური და კოლხური კულტურების გენეტიკურ კავშირზე უნდა მიგვითითებდეს.

პროტოკოლხური მოსახლეობის ერთი ნაწილის ბარში დარჩენისა და მეგრულ ეთნოსთან მათი ასიმილირების პროცესის დამადასტურებელი ერთი ფაქტიც შეიძლება იქნას მოტანილი. ახ. წ. II საუკუნის

294. ტ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში; **Б. В. Техов. Центральный Кавказ в XVI-X вв до н. э. М. 1977.** შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, ტაბ XI; XIII-XVI.

295. **მ. ბარამიძე**, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიის ძირითადი საკითხები, იუნესკო-მაბის რეგიონალური კონფერენცია „ზღვა და ადამიანი". თბ. 1995, გვ. 26-29.

296. ბრინჯაოს მეტალურგიის მკვეთრი აღმავლობის სურათი კარგად ჩანს სწორედ გარდამავალი და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მრავალრიცხოვანი განძებით, რომლებიც რაოდენობრივად ბევრად აღემატება ყველა დანარჩენ პერიოდს. შედ. **დ. ქორიძე**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის; **ალ. რამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.

მწერალი პტოლემაიოსი აფხაზეთის ტერიტორიაზე „სუანნო-კოლხებს" მოიხსენიებს. ანტიკური ტრადიციის მიხედვით კოლხების ქვეშ ჩვეულებრივი მეგრელი მოსახლეობაა გაიგივებული. ხომ არ არის ამ გაორებულ ტერმინში ასახული ზემოთხსენებული პროცესი ამ ორი მონათესავე ეთნიკური ერთეულის შეხვედრა-შერწყმის სურათი. ეფიქრობთ საკითხის ამგვარი დასმა საესებით შესაძლებელია.

ამგვარი ტერმინის გაჩენა მეორე მხრივაც არის საყურადღებო. სვანი გაიგივებულია კოლხთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ კოლხური კულტურა არაა მარტო მეგრული ეთნოსის კუთვნილი, არამედ გარკვეული გაგებით იგი ორივეს ერთობლიობაა. თუ ამ თვალსაზრისით შეეხედავთ საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ პროტოკოლხური კულტურაც იგივე კოლხების შემოქმედების ნაყოფია და ალბათ, მომავალში შესაძლებელი იქნებოდა ერთიანი კოლხური კულტურის შესახებ გვქონდეს საუბარი.

ჩვენი აზრით, ძვ. ნ. II ათასწლეულის შუა ხანებში მიმდინარე ამ ეთნიკურ ძვრებთან უნდა იყოს დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს კავკასიის მოსახლეობის უძველესი ეთნოკულტურული პროცესების გარკვევისათვის. როგორც ცნობილია კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია დოლმენური კულტურა, სპეციფიური სამარხი ნაგებობით, დაკრძალვის წესით და ინვენტარით[297]. აღსანიშნავია, რომ დოლმენი, როგორც სამარხი თავის არსებობას წყვეტს გვიანბრინჯაოს ხანის საწყისისათვის[298], თუმცა, პერიოდულად გამონაკლისის სახით მასში დაკრძალვა ხდება ადრეანტიკურ ხანაშიც[299]. არსებობს მოსაზრება გვიანბრინჯაოს ხანაში აფხაზეთის დოლმენების გამოყენების შესახებ. კერძოდ, ლ. სოლოვიოვის დღიურზე დაყრდნობით კიურ-დერეს №2 დოლმენში თითქოს ამ პერიოდის მასალებიცაა ფიქსირებული.[300] ამ მონაპოვარის განხილვა გვაჩვენებს რომ იგი პრინციპში ბრილის აკლდამის სინქრონულ მასალას შეიცავს და არ გვაქვს არავითარი საფუძველი ამ პერიოდში დოლმენის სამარხ ნაგებობად გამოყენების წესზე ვილაპარაკოთ.

გვიანბრინჯაოს ხანიდან დოლმენი აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაქტობრივად ქრება და ადგილს უთმობს სამარხის ახალ ტიპებს (კრომლეხი[301], ოსუარიუმი[302]), თუმცა შეინიშნება მათ შორის გარკვეული კავშირი სამარხეულ ინვენტარისა და დაკრძალვის რიტუალის მიხედვით. რით უნდა იყოს გამოწვეული დოლმენური კულტურის ასეთი მოულოდნელი წყვეტილი სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილი არ არის. ჩვენი აზრით, ეს მომენტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ზემონახსენები მოვლენებით, იმ ეთნოკულტურული ძვრებით, რასაც ადგილი ქონდა კოლხეთში ძვ. ნ. II ათასწლეულის შუა ხანებში. კოლხური კულტურის საყოველთაო გავრცელების ფონზე პროტოკოლხური მოსახლეობა (რომლის გარკვეული ნაწილი დოლმენური კულტურის მატარებელია) ნანილობრივ ტოვებს დაბლობ ზოლს და ინაცვლებს მთის ზოლში. არქეოლოგიურად ეს მომენტი, ჩვენი აზრით, კარგად ჩანს მთაში გამოვლენილი რიგი ძეგლების მაგალითზე. მხედველობაშია ბრილის და თლის სამაროვნები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრილის სამაროვანზე გათხრილი ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლი, ბრილის აკლდამა[303]. აკლდამა წარმოადგენს თიხა-ფიქალის ნაგლეჯი ქვებისაგან აგებულ სწორკუთხა ნაგებობას, რომელშიც რამდენიმე ათეული მიცვალებული დაკრძალულია მეორადი დაკრძალვის რიტუალით. სამარხული ინვენტარი წარმოდგენილია ძირითადად სამკაულით, რომელიც რამდენიმე-ასეულ ერთეულს ითვლის. (ტაბ. V-VIII) ვხვდებით ბრინჯაოს ფირფიტოვან, ფუყე და მასიურ თავდაფანჯრულ მძივებს, ხარის ფირფიტოვან, ნახევრადმოხრილ სკულპტურულ გამოსახულებას, ბრტყელ, ოვალურთავიან, სოკოსებრთავიან და ვერძის ჩახვეულრქების იმიტაციისთავიან საკინძებს, 5 კოპიან საკიდებს, 1,5 ხვია აგრაფებს, მამალ დუბლირებულ სპირალურთავიან დუგმებს, ცილინდრული ფორმის მილებსა და ხვიებს; განსაკუთრებით მრავლადაა გაშლილი და

297. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I; ო. ჯაფარიძე, დოლმენური კულტურა საქართველოში; მისივე, ქართველი ტომების ისტორიისთვის...; И. И. Цвинария, Новые памятники долменной культуры.

298. М. Барамидзе, Хронология -переодизация...

299. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 15. აღსანიშნავია რომ დოლმენი როგორც სამარხი ჩრდ. კავკასიის და ჩრდ. დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობას აგრძელებს ადრესარმატულ ხანამდის (ძვ. ნ. IV-III სს.) მ. ტეშეკი, ტუაფსეს დოლმენი, მოხსენება ნაკითხულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის 1987 წ. საანგარიშო სესიაზე.

300. ო. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის... გვ. 217.

301. Г. К. Шамба, эшерские кромлехи, Сухуми, 1971;

302. Б. А. Куфтин, материалы, т. I გვ. 172-191. ჩვეულებრივ ოსუარიუმები სამეცნიერო ლიტერატურაში ძვ. ნ. I ათასწლეულის I ნახევრითაა დათარიღებული. ამდენად დოლმენებთან მათი გენეტიკური კავშირი თითქოს არ ჩანს და არსებობს ქრონოლოგიური წყვეტილი მათ შორის. ოსუარიუმების მასალების განხილვა გვიჩვენებს, რომ მათი ნანილი ქრონოლოგიურად უფრო ადრეულია და ეს ხარვეზი გარკვეულად იესება. ასეთია მაგ.: დ. ბჟანიას მიერ შესნავლილი გაგრის ოსუარიუმები. იხ. ჩვენი, Хронология-переодизация.

303. მ. ბარამიძე, ბრილის აკლდამა, აღნერილობითი ნანილი იხ. ჩვენი ნაშრომის I თავში.

ოდნავ მოხრილი 5 ან 6 თითა, ვერძისთავის, მტრედის, ფრინველის, დუბლირებული ვერძის და ცხოველთა საკითხები. ამ უკანასკნელში გამოირჩევა დათვის, ხარის, ლორის (?) გამოსახულებები. არის ყუამილიანი ცულის, შტანდარტის, ბრტყელი ცულის რამდენიმე საკიდიც. ძალზე საყურადღებო ჩანს ხარშებმული ეტლის სტილიზებული გამოსახულება-საკიდი, ქვევრის და ციცხვის გამოსახულებები და სხვა. მასალის ასეთი მოკლე ჩამონათვალიც კი აშკარად გვიჩვენებს თუ რაოდენ საყურადღებო ძეგლთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბრილში კიდევ 2, მაგრამ დანგრეული, ანალოგიური აკლდამა ყოფილა დადასტურებული[304].

მთელი მონაპოვარი მასალა არაა უცხო და ფაქტობრივად ტიპიურია აფხაზეთის დოლმენების გვიანდელი ფენებისათვის. ყოველ საკიდს ეძებნება პირდაპირი პარალელი უპირველეს ყოვლისა თვით ბრილის ადრეულ კომპლექსებში (მაგ. სამარხი № 11, 1939 წ. გათხრები შეიცავს მსგავს საკინძებს, მტრედის და თითების გამოსახულებებს და სხვა) და დოლმენურ ინვენტარში. არ არის არც ერთი ნიეთი, რომლის ანალოგი არ იყოს ნაპოვნი ეშერის დოლმებში[305]. ამის გარდა, ბრილის მონაპოვარი ზუსტად უკავშირდება თლის[306], საჩხერის[307], ნულის და ღარის[308], ყობანის[309] მასალებს, რომლებიც შუა ბრინჯაოს ბოლო და გვიანის საწყისით არის დათარიღებული, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მსგავსი ნაკეთობანი ყობანის კულტურის გავრცელების რეგიონში. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ზემო რუთხას სამაროვნის №6 სამარხი[310], რომელიც თითქმის ყველა დეტალში იმეორებს ბრილის აკლდამას. მასში ვხვდებით ყუამილიანი ცულის საკიდს, დუბლირებულ ვერძს, ჩიტების გამოსახულებებს, აგრაფებს, დუბლირებულ ბრტყელთავიან საკინძებს. პასტის და ბრინჯაოს მძივებს და სხვა. ე.ი. მასალას, რომელიც წარმოდგენილია ბრილში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრილის აკლდამაში თიხის ჭურჭლის სულ რამდენიმე ფრაგმენტი იქნა ნაპოვნი. ერთი მათგანი რელიეფური, ზემოდან დაჭდეული შვერილით ზუსტად იმეორებს ზემო რუთხას ერთ-ერთი ჭურჭლის ორნამენტს[311]. აქვე დადასტურებული ბანრისებურგრეხილი რელიეფური ორნამენტი გარკვეულად უკავშირდება პროტოკოლხურ კულტურას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემო რუთხას №16 სამარხშიც მიცვალებულების ძვლები ისევე უსისტემოდ ჩანდა ჩაყრილი, როგორც ბრილში, რაც აქაც მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობას გვავარაუდებინებს[312]. ბევრი საერთო ელემენტი ჩანს თვით სამარხი ნაგებობების არქიტექტურაში. მსგავსი მშენებლობის ტექნიკა (თიხა-ფიქალის ნაგლეჯი ქვების მშრალი წყობა), სამარხის ორიენტირება დამატებით არგუმენტებს წარმოადგენს ბრილი-ზემო რუხთა №16 სამარხების ურთიერთდაკავშირებისათვის.

საინტერესოდ დგება საკითხი ამ სამარხთა დათარიღების შესახებ. ზემო რუთხას №16 სამარხის პირველი შემსწავლელი ე. კრუპნოვი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით, უფრო ზუსტად კი მეორე ნახევრის მინურულით განსაზღვრავს[313]. ამ თარიღს მხარს უჭერს თითქმის ყველა მკვლევარი ვინც კი შეეხო ყობანის სამაროვნების დათარიღების საკითხს[314]. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი მის აბსოლუტურ თარიღს ძვ. წ. XIV-XII ს. პირველი ნახევრით განსაზღვრავს[315], რაც ჩვენი აზრით, სავსებით მისაღები და გასაზიარებელია. აშკარაა, რომ ზემო რუთხას № 16 სამარხი ასაკით უფრო ადრეულია, ვიდრე ყობანის კლასიკური კომპლექსები, თუმცა მათი ქრონოლოგიური გათიშვა ხანგრძლივი არ უნდა იყოს. ამაზე, ჩვენი აზრით, მიუთითებს უპირველეს ყოვლისა სამარხში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, რომელიც წინარეყობანურ ტიპიურ ნაკეთობებს უკავშირდება და ყაბარდოს მასალებთან ერთად ერთ კულტურულ წრის არეალში ექცევა. თარიღის გარკვევის

304. გ. გობეჯიშვილი, საქართველოს არქეოლოგია.
305. შდრ. Б. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXVIII, XXX, სურ. 57.
306. Б. Техов, Центральный Евсвз...
307. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XX
308. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция... ტაბ. XVIII, XXX-XXXI.
309. МАК _ VIII В. И. Маркович, Долмены Западного Кавказа, М. 1978, სურ. 130.
310. Е. И. Крупнов, материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА 23, М. Л. 1951, გვ. 49-60.
311. იქვე, სურ. 12.
312. ძეგლის პირველი შემსწავლელი ე. კრუპნოვი დაკრძალვის რიტუალის შესახებ გარკვევით არაფერს ამბობს და მხოლოდ ზოგად სურათს იძლევა. ყობანის კულტურის მკვლევარმა ვ. კოზუნკოვამ, გაიზიარა ჩვენი ეს მოსაზრება და დაგვეთანხმა ზემო რუთხას № 16 სამარხში მეორადი რიტუალის ნესის არსებობის შესახებ. იხ. საკავშირო კონფერენციის მასალები მიძღვნილი ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებისადმი, სიღნაღი, 1979 წ.
313. Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
314. В. И. Козенкова, Культурно-исторические процессы на Северном Кавказе... М. 1966, გვ. 74-107
315. В. И. Козенкова, გვ. 91

საკითხისათვის უფრო მეტ მასალას შეიცავს ბრილის აკლდამა. უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს მისი მიმართულება თვით დოლმენებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მთელი მონაპოვარი მასალა ზედმიწევნით იმეორებს დოლმენების მეორე, ზედა ფენის ინვენტარს და ბუნებრივია დაისვას საკითხი მათი სინქრონიზაციის შესახებ, მაგრამ ბრილის აკლდამაში გვაქვს ნივთების მეორე რიგი (სათვალისებურად ჩახვეულთავიანი დუგმები, ოვალური მასიური აგრაფები, აკურულთავიანი მძივები და სხვა), რომლებიც აშკარად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან იწყებს გაჩენას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამკაულის ეს ადრეული ჯგუფი გვხვდება ბრილის და თლის შუა ბრინჯაოს ხანის სულ მიწურულით კარგად დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში[316] (ბრილი სამარხი 9, 11; თლი). ბევრი საერთო შეინიშნება ბრილის აკლდამის საკინძებსა და ღარის კოლექციის მონაპოვარს შორის, რომელიც ბ. კუფტინის მიერ სავსებით სამართლიანად შუა ბრინჯაოს დასასრულით და გვიანის საწყისით არის დათარიღებული[317]. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ იგი გარდამავალი ეტაპის ფარგლებში უნდა იქნას მოქცეული და მისი აბსოლუტური ასაკი ძვ. წ. XV ს. საწყისით განისაზღვროს.

ბრილის აკლდამას ბევრი საერთო აქვს დოლმენებთან არქიტექტურის თვალსაზრისითაც. აფხაზეთის დოლმენებისათვის დამახასიათებელია სამარხი ნაგებობის ორიენტირება ჩვეულებრივ აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით, შესასვლელი ხერელით სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან[318]. მსგავსი ორიენტაცია დასტურდება ბრილის აკლდამაშიც. განსხვავება მხოლოდ შესასვლელშია, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით არის გახსნილი. აფხაზეთის ზოგიერთი დოლმენის იატაკად ფილებია გამოყენებული[319]. ბრილის აკლდამის იატაკი თიხა ფიქალის ფილებითაა მოპირკეთებული. ეშერის № 6 დოლმენში ცენტრში ჩაჭრილია ტრაპეციის ფორმის ორმო, რომელიც მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ სისხლის საწრეტად არის მიჩნეული[320]. ანალოგიურ ორმოს ეხვდებით ბრილშიც. ეშერის დოლმენში ვხვდებით მიცვალებულის ჭირისუფლის ჩამოსაჯდომ მერხს. მსგავსი მერხი-ქვის ლოდი დასტურდება ბრილის აკლდამაშიც.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ დოლმენურ ნაგებობასთან. განსხვავება მხოლოდ მასალის ხასიათშია. აფხაზეთისათვის დამახასიათებელია მასიური ქვის ლოდებით სამარხის აგება, ბრილში კი სამარხი აკლდამა აშენებულია ხელთ არსებული ნაგლეჯი ფიქალოვანი ქვებით.

ამგვარად, მსგავსი არქიტექტურა, დაკრძალვის წესი, ინვენტარი აშკარად მიუთითებს, რომ ბრილის აკლდამის სახით საქმე გვაქვს პატარა დოლმენთან, რომელიც რამდენადმე უცხოდ გამოიყურება სამხრეთ კავკასიონის კალთებზე[321] და როგორც ჩანს შემოსულია სხვა რეგიონიდან. ქრონოლოგიური თანხვედრა მეგრულ-ლაზური ეთნიკური მასის ჩრდილოეთით მოძრაობასთან ჩვენ იმისკენ მიგვანიშნებს, რომ ბრილის აკლდამა მთიანეთში შემოტანილია იმ მოსახლეობის მიერ, რომელმაც დატოვა კოლხეთის დაბლობის ტერიტორია და განსახლდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. სავარაუდოა, რომ ხალხთა სწორედ ამ დიდი მოძრაობასთან უნდა იქნას დაკავშირებული დოლმენის, როგორც სამარხი ნაგებობის გაქრობა და ბრილში გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიერ მისი შეტანა. როგორც ჩანს ზემო რაჭიდან ეს ჯგუფი ინაცვლებს უფრო ჩრდილოეთით და აღწევს ზემო რუთხას ტერიტორიას, სადაც ასევე ამ სამხრეთული ნაკადის მიერ უნდა იყოს შეტანილი[322]. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის დიდი მსგავსება, რაც შეინიშნება ბრილის და ზემო რუთხას № 16 სამარხის, როგორც მასალებში, ისე სამარხ ნაგებობასა და დაკრძალვის წესში. თვით ის ფაქტი, რომ აქ აღმოჩენილი მასალების უდიდესი ნაწილი აშკარად სამხრეთული წარმომავლობისაა, ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. ქრონოლოგიურადაც სამხრეთული ნაკადის ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე შეჭრა კარგად თანხვდება მოცემულ თარიღებს, რაც მეტ საბუთიანობას მატებს ზემოთმოყვანილ დებულებას. ამგვარად,

316. ბ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი;

317. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция... გვ. 48-49.

318. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I გვ. 266; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225-226.

319. Е. Д. Фелицын, Западно-Кавказские дольмены. Мак, IX, М. 1904. გვ. 39-41. В.М. Сылоев, Археологическая экскурсия по закубанью в 1892 г. МАК. IX Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, სურ. 59.

320. იქვე. გვ. 267.

321. ის გარემოება, რომ ბრილში დასტურდება ორმოსამარხების არსებობა მთელი გარდამავალი და მომდევნო გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დოლმენური მასალები სამხრეთიდან, აფხაზეთის ტერიტორიიდან, არის შესული.

322. გარკვეული ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის და ზემო რაჭის კულტურებს შორის ხორციელდებოდა კავკასიონზე არსებული გადასასვლელებით. აღსანიშნავია, რომ კირტიშის გადასასვლელით ყობანამდის ჩასვლას ფეხით 8 სთ. სჭირდება, რომ ეს გადასასვლელი გამოყენებული იყო ადრიდანვე. იქიდან ჩანს, რომ 1960 წ. ზედ გადასასვლელზე აღმოჩენილ იქნება ბრინჯაოს I ტიპის კოლხური ცული. სავარაუდოდ ათვისებული იყო სხვა გადასასვლელებიც.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის პირველი სამხრეთული ნაკადის შელწევა ჩრდილო კავკასიაში არქეოლოგიურად კარგად დასტურდება. ამგვარი ნაკადი კიდევ რამდენგზის ისახება არქეოლოგიურ მასალებში, რაზეც, გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკაზე მსჯელობის დროს გვექნება საუბარი.

ამგვარად ის დიდი ეთნიკური და მიგრაციული მოძრაობანი, რაც ჩანს არქეოლოგიურ მასალებში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და განსაკუთრებით II ათასწლეულის შუა ხანებში გარკვეულად უკავშირდება გლტოქრონოლოგიური მეთოდით მიღებულ დასკვნებს ენათმეცნიერებაში ქართველურ ენებთან დაკავშირებით. ამ ჰიპოტეზით ქართველური ფუძე ენა თარიღდება ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით და ლოკალიზებულია სამხრეთ კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში. მისი დაშლა სვანურად და ქართულ-ზანურად განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისს ან III ათასწლეულის დასასრულს. პირველი ტალღა ქართველური მიგრაციისა (არქეოლოგიური მასალებით ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მეოთხედი), რომელსაც გამოეყო სვანური – მიმართული იყო კოლხეთის დაბლობისკენ. სვანური ენა აქ ეფინება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტიპის ენებს. საბოლოოდ იგი განდევნილ იქნა ცენტრალური კავკასიონის მთის ზოლისკენ მომდევნო მიგრაციული ტალღის მიერ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები) რომელიც მოდიოდა იმავე თავდაპირველი ტერიტორიიდან და რომელმაც შემდგომ კოლხურ-ზანური ანუ მეგრულ-ლაზური ენა წარმოქმნა[323]. ამგვარად თითქოს ენათმეცნიერების მონაცემები გარკვეულ შესატყვისობაში მოდის ფაქტობრივ არქეოლოგიურ მდგომარეობასთან, რაც დამატებით არგუმენტაციას იძლევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური და კულტურული მოვლენების შესახებ.

შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქებს შორის გარდამავალი საფეხურის გამოყოფის აუცილებლობის და ქრონოლოგიის გარკვევისათვის ჩვენი აზრით არსებითი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ლითონის იარაღი. სამწუხაროდ როგორც შუა, ისე გარდამავალ ეტაპზე მათი რაოდენობა არცთუ ბევრია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ არ გვაქვს ამ პერიოდების (ისევე როგორ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურების) ინდივიდუალური სამარხულო კომპლექსები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ქრონოლოგიის მეტნაკლები სიზუსტით განსაზღვრა. სამწუხაროდ, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არა გვაქვს სამთავროს სამაროვნის ტიპის სტრატიგრაფიული სამაროვანი, რომლის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდებოდა მასალების კომპლექსური და სტრატიგრაფიული შესწავლა. მაგრამ აქ ამოსავალ წერტილად, ნამოსახლართა მონაცემების პარალელურად, შესაძლოა გამოდგეს შემდეგი გარემოება. ვიღებთ რა მხედველობაში კოლხური და აღმოსავლურ-ამიერკავკასიური კულტურების მიღებულ სინქრონიზაციას, ამ უკანასკნელისთვის მიღებული თარიღები[324] შესაძლოა გამოდგეს კოლხური კულტურის ადრეული საფეხურების დათარიღების ამოსავალ წერტილად. მაგალითად, ქვემო სასიეთის განძი, გოსტიბეს, სურამის და ულიანოვკის სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ ტიპიურ კოლხურ ნაწარმს, საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევრით და XIII-XII სს-ით[325]. ამგვარად, კოლხური ნაწარმის და შესაძლოა თვით ეთნიკური მასის შემოჭრა ამ ტერიტორიაზე აღნიშნული პერიოდით უნდა დათარიღდეს. ბუნებრივია, რომ თვით კოლხეთში ამ იარაღის უადრესი ნიმუშების, მით უფრო პროტოტიპების გაჩენა მის წინარე პერიოდს უნდა განეკუთვნოს.

გარდამავალი პერიოდის დათარიღებისათვის გარკვეულ ამოსავალ წერტილს ბრინჯაოს ადრეული განძები წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ჩანს გალის პირველი განძი, (ტაბ. XXXVI) რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუამილიანი ცულების 8 წუნდებული და 10 ნატეხი, ბრტყელი იარაღის (ცულის) სახელური და ზოდები. განძი ჩადებული იყო მოყავისფრო გამომწვარ დერგში, რომელიც კეცის და ფორმიც მიხედვით პროტოკოლხური კერამიკის იერს ატარებს. ბრინჯაოს ნაწარმი ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება ურეკის განძის მასალებს[326]. ურეკის განძი თავდაპირველად პროფ. ო. ჯაფარიძემ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა[327], თუმცა

323. **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов**, Индоевропейский язык и индоевропейцы, II. Тб. 1984, გვ. 880-881.

324. **რ. აბრამიშვილი**, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი... ; მისივე, თბილისი I, თბ. 198 ნ. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ. 1973. **მ. ბარამიძე**, შიდა ქართლის სამეურნეო იარაღების დათარიღების საკითხები, თბ. 1969. (ხელნაწერი). მოხსენება ნაკითხულია არქეოლოგიის სექტორის სხდომაზე 1970 წ. მარტში.

325. მათ შორის უადრესი ჩანს ულიანოვკის კომპლექსი, რომელშიც ბრინჯაოს თოხია აღმოჩენილი და თარიღდება ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევრით. **რ. აბრამიშვილი**, დასახ. ნაშრომი, **მ. ბარამიძე**, დასახ. ნაშრომი.

326. 57 **ო. ჯაფარიძე**, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, სსმმ XVI-B 1950, გვ. 113; **Н. В. Хоштария**, Археологические исследования в Урски, მსკა, I, 1955, გვ. 47-48. **დ. ქორიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 10. ტაბ. I-III.

327. **ო. ჯაფარიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.

მოგვიანებით II ათასწლეულის შუა ხანებით მის დათარიღებას დაუჭირა მხარი[328]. გ. გობეჯიშვილი განძს შუა ბრინჯაოს დასასრულს მიაკუთვნებდა და ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებით ათარიღებდა[329]. განძის ყურმილიან ცულებზე დაყრდნობით დ. ქორიძე თავდაპირველად მას ძვ. წ. XVIII-XVII სს. ათარიღებდა[330]; შემდგომ მან რამდენადმე შეცვალა შეხედულება და განძი ძვ. წ. XVII-XVI სს. მიაკუთვნა[331]. ჩვენი აზრით, სწორედ შენიშნავდა ალ. რამიშვილი, რომ ურეკის განძის ყუამილიანი ცულები ყველაზე განვითარებული ფორმაა ამ ტიპის იარაღს შორის და განძს ძვ. წ. XVI-XV სს. ათარიღებდა[332]. კიოპრი-კეოიას პარალელებზე დაყრდნობით თ. მიქელაძემ განძი ძვ. წ. XV ს-ით დაათარიღა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნა[333]. სავსებით ვიზიარებთ პროფ. თ. მიქელაძის აბსოლუტურ თარიღს, თუმცა საეჭვოდ მიგვაჩნია ურეკის განძის მიკუთვნება გვიანბრინჯაოს ხანისადმი. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ საქართველოს მრავალრიცხოვან განძებს შორის არ არის არც ერთი შემთხვევა ყუამილიანი და კლასიკური კოლხეთური ფორმის ცულების ერთად აღმოჩენის. ამის გამო მივიჩნევთ, რომ ურეკის განძი გარდამავალი საფეხურისადმი უნდა იქნას მიკუთვნებული, როდესაც კოლხური ნანარმი ჯერ კიდევ არაა შემოსული.

შესაძლოა განძი ეტაპის რამდენადმე ადრეულ პერიოდს შეესაბამებოდეს და მისი ასაკი გარკვეულად ძვ. წ. XVI ს. დასასრულსაც მოიცავდეს.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემაგრებულ იქნას გალის № 1 განძის მიხედვითაც, რომელიც ტიპიურ ურეკულ ფორმებს შეიცავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიპოლოგიურად გალის ცულები რამდენადმე უფრო განვითარებული ფორმაა ურეკულთან შედარებით. ეს განვითარება გამოიხატება მილიანი ყუის შედარებით პატარა ზომისა და სამუშაო პირის სიმეტრიულობაში[334]. აქედან გამომდინარე ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისაკენ, რომ გალის განძი რამდენადმე უფრო მოგვიანოა ვიდრე ურეკის და ვათარიღებთ მას ძვ. წ. XV ს-ით. არაა გამორიცხული, რომ იგი რამდენადმე გამოდიოდეს ძვ. წ. XIV ს. სანყისშიც[335]. ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ გვიანი ბრინჯაოს ხანის ქვედა საზღვარად, ხოლო განძი გარდამავალი საფეხურის კუთვნილად უნდა ჩაითვალოს.

ქრონოლოგიურად, და როგორც ჩანს ეტაპობრივადაც, ამ ცულებთან ახლოს დგას მთელი რიგი ნივთები და კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ ე. წ. კოლხური ცულების პროტოტიპებს. ეს უკანასკნელები ტიპოლოგიურად ახლოს დგანან გალი-ურეკის ცულებთან და მათი გენეტიკური კავშირი საეჭვო არ უნდა იყოს. კოლხური ცულის პროტოტიპები ორ სახესხვაობას იძლევა. გაგრა, ბიჭვინთა, პილენკოვო, ლიხნი, ეშერა, ლეჩქობის (ტაბ. XXXVI) ცულებისთვის დამახასიათებელია მრგვალი სატარე ხვრელი, რაც ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ლოკალურ თავისებურებადაა მიჩნეული[336]. ტიპოლოგიურად ეს პროტოტიპები, რამდენადმე განვითარებულია გალი-ურეკის ცულებთან შედარებით, სამუშაო პირი უკვე სიმეტრიულია, მომრგვალებული. ტანსა და ყუაზე შეინიშნება ნახნაგები. ეს უკანასკნელი ახასიათებს ურეკის განძის ცულებს და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჩორული ვარიანტის ყალიბებსაც. ამგვარად, სახეზე გვაქვს ელემენტი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ამ ცულებს და მათი განვითარების გენეზისი სახეზეა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხური ცულის პროტოტიპების მერე ვარიანტი (ერგე, ურეკი, ჭოროხი) ხასიათდება ოვალური სატარით და მიჩნეულია, რომ იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონისათვისაა დამახასიათებელი[337]. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ხობის მახლობლად პროტოტიპების აღმოჩენამ[338] შესაძლოა ეს ტერიტორია უფრო გააფართოოს. ბ. კუფტინი, პროტოტიპების ამ ორ ვარიანტში ქრონოლოგიურ მომენტს ხედავდა და როგორც ტექნიკურად უფრო სრულყოფილს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცულები უფრო მოგვიანოდ მიაჩნდა[339]. მაგრამ როგორც

328. ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო სიმპოზიუმის მასალები, სიღნაღი, 1979.
329. საქართველოს არქეოლოგია, 1958, გვ. 116.
330. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
331. დ. ქორიძე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხები, სსმმ, XXV, გვ. 28.
332. ალ. რამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.
333. თ. მიქელაძე, ძიებანი... გვ. 23.
334. ეს ნიშნები დამახასიათებელია ყუამილიანი ცულების განვითარებისათვის. იხ. ზემოთ. აგრეთვე, მ. ბარამიძე, ქრონოლოგია-პერიოდიზაცია....
335. **М. Барамидзе, Хронология-периодизация...**
336. ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.
337. ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.
338. ნივთი დაცულია ხობის „დიდების" მუზეუმში.
339. **Б. Куфтин, Археологические расскопки в Триалети** , გვ. 17. მისივე, **Материалы к археологии Колхиды** გვ. 230-231, სურ. 49

შემდგომში სამართლიანად იყო ნაჩვენები პროტოტიპთა ამ ორ ვარიანტს შორის ქრონოლოგიური სხვაობა არ არის, რადგამ ბიჭვინტა – ლიხნი – ერგეს კომპლექსები შეიცავენ ერთი ტიპის კოლხურ ცულებს ოვალური სატარით[340]. ამგვარად აშკარაა, რომ კოლხური ცულის პროტოტიპების ტიპოლოგიური სახესხვაობა გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორიებისათვის უნდა იყოს ნიშანდობლივი.

პროტოტიპების შემცველი კომპლექსებიდან ცალკე უნდა განვიხილოთ ლიხნის განძი[341] (ტაბ. XXXVI) იგი აღმოჩნდა 1952 წ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში. პატარა ორმოში ჩაწყობილი იყო 40-მდე ცული, რომელთაგან შემორჩენილია 35. აქ აღმოჩენილი ცულები სამ ძირითად ჯგუფად გაიყოფა – პირველი ვარიანტი ხასიათდება ორფერდა, წანვეტებული ყუით, მრგვალი, ერთ შემთხვევაში ოვალური სატარით, მსუბუქად დანახნაგებული ზედაპირით. მეორე ჯგუფში ერთიანდება ცულები მაღალი, სწორი ტანით, მსუბუქად გაფართოებული ასიმეტრიული პირით, ჩაქუჩისებრი ყუით და მრგვალი სატარით. მესამე ჯგუფი ხასიათდება ორფერდა, ძალზე წანვეტებული ყუით, ოვალური სატარით, ექვსწახნაგა ტანით, ფართო ასიმეტრიული პირით. ცალკე დგას ერთი ცული, დაბალი, ჩაქუჩისებრი ყუით, მრგვალი სატარით, ექვსწახნაგა ტანით, სწორი კორპუსით და სოლისებრი ასიმეტრიული პირით.

პირველი ჯგუფის ცულებს მოეძებნება პირდაპირი ანალოგები, როგორც აფხაზეთის (ბიჭვინტის განძი, გაგრა, პილენკოვო, ეშერა, ლეჩკობი) ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის (ერგე, ჭოროხი, ქობულეთი) და ცენტრალური კოლხეთი (ხობი) ტერიტორიებზე და ისინი საყოველთაო აღიარებით მიჩნეულია კოლხური ცულების პროტოტიპებად. უფრო ზუსტად ეს ჯგუფი I სახეობის (დ. ქორიძის კლასიფიკაციით) კოლხური ცულების პროტოტიპებად უნდა იქნას მიჩნეული[342]. ლიხნის განძის II ჯგუფის იარაღები ანალოგიურია ბიჭვინტის განძის 2, აძიუბჟის და სოხუმის განძის ცულების. მსგავსი იარაღები ცნობილია სვანეთიდან, ლეჩხუმიდან (ლაილაშის განძი). ღეედიდან, ზუგდიდიდან და სხვა. ეს ცულები წარმოადგენენ კოლხური II სახეობის ცულების პროტოტიპებს[343]. ლიხნის განძის მესამე ჯგუფის ცულები წარმოადგენენ უკვე კოლხური ცულის I სახეობის იარაღებს და ძირითადად დამახასიათებელი ჩანან მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის.

ამგვარად აშკარაა, რომ ლიხნის განძი შეიცავს როგორც პროტოტიპებს, ისე კლასიკურ კოლხურ ცულის ფორმებს. ამგვარივე შერეული ხასიათისაა ბიჭვინტის განძიც[344]. ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ყოველი ახალი ისახება ძველის წიაღში და თუკი კულტურის უწყვეტი განვითარების ხაზთან გვაქვს საქმე, გარკვეულ პერიოდში თანაარსებობს ძველთან ერთად. ამგვარად კოლხური ცულების პროტოტიპები განხილული უნდა იქნან როგორც გარდამავალი ფორმა ფიჩორი-ურეკი-გალის განვითარების ერთი ხაზის ყუამილიანი ცულებიდან კლასიკურ კოლხურ ფორმებზე. მაგრამ ვინაიდან კოლხურ-ყობანური ცულები გვიანბრინჯაოს პროდუქტია, მისი პროტოტიპის წინარე გარდამავალი ხანის ეტაპისადმი კუთვნილება ეჭვს არ უნდა ინვევდეს.

საინტერესოდ დგება საკითხი ლიხნის განძის დათარიღების შესახებ. მისი პირველი შემსწავლელი მ. ტრაპში განძს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა და მესამე მეოთხედით ათარიღებს[345]. დ. ქორიძე განძს ძვ. წ. XVII-XV სს. აკუთვნებს, თუმცა მიაჩნია, რომ ზედა საზღვარი შეიძლება მიტანილი იქნას ძვ. წ. XIV ს. დასაწყისამდე[346]. ეს თარიღი შეიძლება დაკონკრეტდეს. ურეკის განძის ზედა თარიღი განისაზღვრა ძვ. წ. XV ს-ით[347]. რადგანაც ურეკის განძი კავშირშია ლიხნის განძთან პროტოტიპებით და ეს უკანასკნელები ტიპოლოგიურად უფრო ადრეული ჩანან ყუამილიან ცულებთან თანაარსებობის გამო, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ლიხნის განძი განვიხილოთ, როგორც ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. საწყისის კომპლექსი. როგორც ჩანს ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს ბიჭვინტის განძიც და სწორედ ამ დროით განისაზღვროს გარდამავალი ეტაპის ზედა ზღვარი.

ქრონოლოგიურად მასთან ახლოს დგას სოხუმის განძი, რომელიც უკვე აშკარად გვიანბრინჯაოს საწყისი კომპექსია და მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

გარდამავალი ეტაპის ლითონის იარაღის განხილვა და ქრონოლოგიის საკითხების გარკვევა საშუალებას იძლევა განვიხილოთ რამდენიმე საკითხი. უპირველეს ყოველისა ჩვენ შესაძლებლობა

340. ალ.რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 1000.
341. **М. М. Трапш**, Труды გვ. 174-175; დ. ქორიძე, ლიხნის განძი... გვ. 15-29.
342. იქვე.
343. იქვე.
344. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 12.
345. **М. М. Трапш**, Труды I, გვ. 183.
346. დ. ქორიძე, ლიხნის განძი ... გვ. 29.
347. **М Барамидзе**, Хронология-персодизация...

გვეძლევა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან თვალი მივადევნოთ ერთ-ერთ წამყვან იარაღს, ცულის, განვითარების სურათს. ფიჩორული ვარიანტიდან ვიდრე კლასიკურ კოლხურ ფორმამდის. თუ ეს გენეტიკური განვითარების ხაზი სნორია, რაც თითქოს საკამათო არ უნდა იყოს, მაშინ აშკარაა, რომ პროტოკოლხური კულტურის წიაღში ჩასახული ეს იარაღი წარმოადგენს კარგ საბუთს ამ კულტურათა ურთიერთკავშირის თვალსაზრისით. ეს გენეტიკური კავშირი, როგორც აღვნიშნეთ, უფრო თვალშისაცემია, ვიდრე კერამიკულ ნაწარმში.

გარდამავალი პერიოდის ძეგლთა შედარებით სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ძნელდება ლითონის დანარჩენი იარაღის მსგავსი წესით განხილვა. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს თოხები. გარდამავალ საფეხურზე გაერთიანებულ ძეგლებში ამ რიგის იარაღი თითქმის არ გვხვდება. თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს ურეკული ტიპის სამკუთხა თოხი, რომელიც ურეკის გარდა ფიჩორი I. I მონაზვინ ფენაშიც არის ნაპოვნი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მასალებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თვით ამ ტიპის გენეზისი საკმაოდ დამაჯერებლად ჩანს და მათ უკანასკნელ ხანებში გამოუჩნდათ კიდევ ერთი უადრესი პროტოტიპი ფიჩორის თოხების და მისი ყალიბების სახით. ამგვარად, ფიჩორი-მელექედური-ზენითი-ურეკის თოხების ტიპოლოგიური განვითარების სქემა სრულიად მისაღები ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამ ტიპის იარაღის პირის თანდათანობის გაფართოების გზით გვიანბრინჯაოს პირფართო თოხების მიღების შესახებ[348]. მაგრამ ჩვენი აზრით, სრულიად მართალი იყო დ. ქორიძე, რომელიც სამკუთხა თოხებიდან პირფართო თოხის მიღების შესაძლებლობას სათუოდ მიიჩნევდა[349]. მართლაც პირის გაფართოების ტენდენცია არ შეიძლება ჯერჯერობით მაინც რამეთი იყოს შემაგრებული. ზენითის თოხი, რომელსაც მიიჩნევდნენ გარდამავალ ფორმად ამ ორ იარაღს შორის, ვფიქრობთ, ვერ გამოდგება მათ დასაკავშირებლად. ჯერ ერთი თვით ზენეთის თოხის ასაკი არის სათუო და გასარკვევი და მეორეც მისი პირი მართალია ოდნავ ფართოა, მაგრამ მაინც სამკუთხედისებური მოყვანილობის. ამდენად ჯერჯერობით სამკუთხა თოხების მიჩნევა გვიანბრინჯაოს თოხების პროტოტიპებად საკამათოა და საეჭვოა.

ჩვენი აზრით, გენეზისის თვალსაზრისით გარკვეული პერსპექტივა ისახება ანაკლია II აღმოჩენილი თოხის ყალიბებისა და მომდევნო ეპოქის პირფართო თოხებს შორის. აღნიშნული ყალიბები სნორმხრიანია, მოგრძო ტანით და მომრგვალებული ფართო პირით. აშკარაა, რომ ამ თოხებისა და სამკუთხა იარაღის ფუნქციონალური დანიშნულება სხვადასხვაა. აქედან გამომდინარე ჩვენ უფრო რეალური გვეჩვენება ანაკლია ყალიბების მიჩნევა გვიანბრინჯაოს ხანის პირფართო თოხების პროტოტიპებად. ფუნქციონალური დანიშნულებით მსგავსების გარდა მათ შორის ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც აშკარაა, ვინაიდან ანაკლია II შესაბამისი ფენა სნორედ გარდამავალი საფეხურის ძეგლებს შორის გვაქვს მოქცეული. ამასთანავე, მხრის ოდნავი შევიწროებით და ფაქტობრივად სატარე ნაწილის გამოყოფით ვღებულობთ კლასიკურ კოლხურ ფორმას, რაც ტიპოლოგიურად საკმაოდ დასაშვებია. ამგვარად, კოლხური ბრინჯაოს მეორე წამყვან ელემენტსაც ეძებნება გენეტიკური პროტოტიპი გარდამავალ ან შესაძლოა რამდენადმე ადრეული ხანის მასალებში.

კოლხური ბრინჯაოს მესამე არსებითი კომპონენტის სეგმენტური იარაღის შესახებ ჩვენი მოსაზრება ზემოთ იყო მოყვანილი. ამჟამად მხოლოდ დავძენთ, რომ მათ პროტოტიპად ამ აღნიშნული იარაღის პროტოტიპად ალბათ მაინც ყველაზე უფრო ე. წ. სოჭი-ადლერის ტიპის ქვის იარაღია საგულისხმებელი. ამ ტიპის იარაღი ცენტრალურ კოლხეთში, სადაც ძირითადად გავრცელებულია სეგმენტი, თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ნოსირის ქვედა ფენაში ამ ნაკეთობის აღმოჩენა ამყარებს ჩვენს ამ მოსაზრებას.

ამგვარად, აშკარაა რომ პროტო და კოლხური კულტურების ლითონის იარაღი გენეტიკურ კავშირშია ერთმანეთთან და ძველი საწარმოო ტრადიციები ფაქტობრივად თავს ინახავს მოგვიანო ხანის მასალებში. აღნიშნული გარემოება ერთგვარად ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას პროტოკოლხური მოსახლეობის ნაწილის მოსულ, მონათესავე ეთნიკურ მასასთან შერწყმის შესახებ. ამ საკითხების კვლევისას გარდამავალი საფეხურის ძეგლთა გამოყოფა და ამ მიმართულებით ახალი მასალების გამოვლენა ბევრ პრობლემურ საკითხს გაარკვევს და დააზუსტებს.

---

348. Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корпях... გვ. 317, სურ. 15. ო. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 116-117.
349. დ. ქორიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81-83.

თავი IV

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ისტორიის ძირითადი პრობლემები

გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. არც ერთ არქეოლოგიურ პერიოდში არ შეინიშნება ძეგლთა ისეთი სიმრავლე, როგორც ეს ამ საკვლევ პერიოდს ახასიათებს. კოლხეთის არქეოლოგიურ სინამდვილეში ამ პერიოდების რამდენიმე ასეული ძეგლია დაფიქსირებული. ისინი წარმოდგენილია ნამოსახლარებით, სამაროვნებით, საწარმოო ობიექტებით, განძებით. მასალის ამგვარი სიმრავლე ერთი მხრივ აიოლებს ამ კულტურის კვლევას, ხოლო მეორე მხრივ აძნელებს კიდეც, რადგაც ყველა საკითხი, რაც წამოიჭრება მკვლევარის წინაშე ერთნაირი სისრულით ვერ იქნება გაშუქებული. მაგალითად, ძალზე რთული ხდება კოლხური კულტურის ქრონოლოგიურ ტიპოლოგიური შეალის შედგენა. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზე არ ჩანს სამაროვნები და არ გვაქვს სამარხეული კომპლექსები, რომელთა საფუძველზე ბევრად გაიოლდებოდა ქრონოლოგიის სწორი განსაზღვრა. ის რამდენიმე სამაროვანი (ბრილი, თლი), რომელიც იძლევა შუა ბრინჯაოს დასასრულის და გვიანბრინჯაოს ხანების სამარხეულ კომპლექსებს ფაქტობრივად არ შეიცავს კულტურის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს, კერამიკას. ამის გამო მონაპოვარი მასალის კომპლექსური შესწავლის შესაძლებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულის გამო იძულებულნი ვართ ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნას ნამოსახლართა სტრატიფიცირებულ მონაცემებზე. ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე, სადაც მასალების კომპლექსური კვლევის პერსპექტივები ბევრად უფრო მეტია. ამდენად, კოლხური კულტურის ადრეული პერიოდების სამაროვნების ძიება და კვლევა ქართული არქეოლოგიის უპირველესი პრობლემაა.

ბევრად უკეთესი მდგომარეობაა ადრე რკინის ხანის (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) სამაროვანთა ძიებისა და შესწავლის თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნაია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, სადაც შესწავლილია ისეთი პირველხარისხოვანი სამაროვნები, როგორიცაა წითელი შუქურა, გუადიხუ, სოხუმის მთა, ეშერა, ყულანურხვა და სხვა. უკანასკნელ ორ ათასწლეულში წარმოებულმა ფართო კვლევა-ძიებამ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი საყურადღებო სამაროვანი გამოავლინა ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე. მხედველობაში გვაქვს ე. წ. კოლხური სამაროვნები გამოვლენილი ფაქტობრივად მთელი ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (პალურის „საძვლე", ერგეტა, ურეკი, ნიგვზიანი, მერხეული, ფიჩორი და სხვა), მაგრამ სამწუხაროდ, აქაც ფაქტობრივად მოკლებული ვართ მასალის კომპლექსური შესწავლის შესაძლებლობას. საქმე იმაშია, რომ ეს სამაროვნები ძირითადად კოლექტიური სამარხებია. გამონაკლისს წარმოადგენს, მხოლოდ პალურის „საძვლე", სადაც კოლექტიური ორმო-თხრილის გვერდით ვხვდებით ინდივიდუალურ სამარხებს. ამდენად, ინდივიდუალურ სამარხთა ძიების და მათ ფონზე კულტურის გენეზისის პრობლემა ძალაში რჩება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კულტურის ეტაპობრივი შესწავლა ჩვენს ხელთ არსებული მასალების ფონზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ პერიოდის კერამიკას, როგორც ყველაზე მასიურ და გავრცელებულ მასალას.

საკვლევი პერიოდის კერამიკა ძალზე მრავალფეროვანია და საყურადღებო. ამ პერიოდის მასალები სპეციალისტების მრავალ გამოკვლევაშია ასახული[350]. მაგრამ აქ ძირითადად ცალკეულ ნამოსახლართა მასალებია განხილული. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თ. მიქელაძის ხსენებული მონოგრაფიები, რომლებშიც ამ პერიოდის კერამიკის განვითარების, გავრცელების და ქრონოლოგიის საკითხებია განხილული. ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით ამ ნაშრომებს, თუმცა უკანასკნელი ხანების აღმოჩენების საფუძველზე შესაბამისად მიგვაჩნია თ. მიქელაძისეული სქემის ერთგვარი

350. Куфтин Б. А., Материалы... II; მიქელაძე თ., ძიებანი..., გვ. 49 და შემდ; მისივე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება მდ. რიონის ქვემო ნელზე, თბ., 1978; გოგაძე ე., კოლხეთის ნამოსახლართა კულტურა ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, თბ., 1982; ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ., პალურის „საძვლე", მსკა, VI, გვ. 98-104; ბარამიძე მ., ჩიგომელი თ., ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკა, ხელნაწერი; სახაროვა ლ., გვიანი რიბნჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან, მაცნე, თბ. 1970, № 4 გვ. 87-92; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის..., გვ. 61-78, და სხვა. კოლხური კერამიკის შესწავლის საქმეში დიდია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დამსახურება, სადაც ფორმალურ-ტიპოლოგიური მეთოდით ჩატარებულია კოლხური ადრეანტიკური კერამიკის ძალზე დეტალური შესწავლა. იხ. ვანი. II, თბ., 1981.

კონკრეტიზაცია. კერძოდ, კერამიკის განვითარებაში კიდევ ორი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა, რომელიც კულტურის განვითარების ცალკეულ საფეხურებს შეეფარდება. პროფ. თ. მიქელაძეს საკვლევი პერიოდის კერამიკა, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. XV-VI სს. მოიცავს, ორ ჯგუფად აქვს გაყოფილი (ძვ. წ. I და ძვ. წ. II). ქრონოლოგიურად ძვ. წ. II ფაქტობრივად წინარეანტიკური ხანის მასალებითაა წარმოდგენილი, ხოლო ძვ. წ. I ეტაპისათვის მთელი შვიდი საუკუნეა დათმობილი. ფაქტია, რომ მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის ფორმები და ორნამენტი განვითარების მხრივ გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რაც ჩვენი აზრით, იძლევა საშუალებას გამოყოფილ იქნას კერამიკის განვითარების კიდევ ორი საფეხური. ფიჩორის ნასახლარის მონაპოვარმა საფუძველი შეგვიქმნა ამგვარი ქრონოლოგიური შკალის შესადგენად. გარკვეულწილად ვეყრდნობით ქვალონის ნაოხვამუს პროფ. ბ. კუფტინისეულ სქემას, თუმცა დათარიღების ნაწილში ჩვენ არ ვიზიარებთ არც ბ. კუფტინის და არც მიქელაძისეულ თარიღებს, რაზეც ქრონოლოგიაზე საუბრისას ვიმსჯელებთ.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კერამიკა (ძვ. წ. XIV ს–ის მეორე ნახევარი – XII ს.)

(ტაბ. VII-VIII)

ამ ეტაპის კერამიკული ნაწარმი დამზადებულია ხელით, ნვრილმარცვლოვანი, საკმაოდ მაღალხარისხოვანი თიხის ცომისაგან. ფერად უპირატესად შავი ან ნაცრისფერია, იშვიათად მოყავისფრო ან ვარდისფერი. წარმოდგენილია ძირითადად ფრაგმენტებით და ფორმათა შესახებ მსჯელობა ჭირს. ჭარბობს სამზარეულო კერამიკა, რომელშიც გამოიყოფა ქოთნების და ქილების პროფილები. იშვიათია დერგისა და ქვევრების ფრაგმენტები. სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია ხელადებით, დოქებით, ჯამებითა და სასმისებით. ფენის ერთ-ერთ სპეციფიურ ნაკეთობას სადა ტოლჩები წარმოადგენს, რომლებსაც ჩვეულებრივ რქისებურშვერილიანი ყური ამკობთ, თუმცა ხშირად შვერილი სუსტად არის გამოსახული. ყურები ჩვეულებრივ მორკალულია, ზოგჯერ ტეხილით გამოსახული, რაც ჭრილში ფრინველისმკერდისებურ პროფილს იძლევა. ეს ნაკეთობა ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიურია ამ ეტაპის ყურებს შორის. ყურების მეორე ჯგუფი ზემოთნახსენების ერთგვარი მოდიფიკაციაა. ყურების ერთ ნაწილს ქიმი სწორი და ბრტყელი აქვთ, ზოგს წანვეტებული, ზოგიერთს ემჩნევა ზემოდან უნაგირისებრი ჩაზნექილობა. ეს უკანასკნელები ამჟღავნებენ ერთგვარ ტენდენციებს ზოომორფული ყურებისაკენ, რომლების გაჩენაც შემდგომ საფეხურზე ხდება. აღსანიშნავია, რომ ზემოდან უნაგირისებურად ჩაზნექილი ყურები მომდევნო საფეხურებზეც ჩანს კოლხეთში გავრცელებული და განვითარება უფრო შვერილის მკვეთრად გამოყოფაში გამოიხატება. ყურების ერთ ნაწილზე შეინიშნება გარედან ზურგის შემკობა სავარცხლისებრილისეული ვერტიკალური ან ირიბი ხაზებით, რაც წინარე გარდამავალი პერიოდიდან მოდის.

ამ ეტაპის ქოთნები ხასიათდება უყელო ან მსუბუქად გამოყოფილი ყელის პროფილით, სფერული მუცლით. ქილები სწორპირიანია, ოდნავ გამოყოფილი, ან სადა პირით. ამავე პერიოდში ჩნდება ჯამები მილისებური გადმოსასხმელით და პატარა სასმისები ზემოდან სამკუთხედისებურად შებრტყლებულმოედნიანი ყურით. ძალზე მცირეა დიდი ზომის დერგების ფრაგმენტები. ყველა ეს ფორმა, არსებული გვიანრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზე განაგრძობს არსებობას შემდგომ ეტაპებზე. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ ორნამენტის ხასიათში.

პერიოდის გამოყოფისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ორნამენტი, რომელიც ჩვეულებრივ კომბინირებული სახეებითაა გადმოცემული. დამახასიათებელია ჭურჭლის ზედა ნაწილის შემკობა ღაროვანი და ნერტილოვანი ან დაკბილული შტამპით დატანილი ხაზებით. ხშირია ზიგზაგისებური ღარები და მათ შორის დატანილი ნერტილოვანი ან ტეხილი ხაზები, ყელიდან ღარებით გამოყოფილი მხრის შევრონებით შემკობა, რომელიც ნერტილებით, ტეხილით ან რელიეფური სიგრძივი ხაზებითაა შეესილი, ნახევარრკალისებრი ღარები და ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად განლაგებული ფოსოების შერწყმა, ღარები და ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად დატანილი თევზიფხური სახეები, მარცვლოვანი ჭდეების რიგები, პარკეტული ორნამენტი, ნახევარმთვარისებური შტამპი, კოპები და მის ირგვლივ წრიული ან ნახევარრკალური ღარები, ზოგჯერ ღარებს შორის სივრცე ირიბი ჭდეებითაა შევსებული, ისე რომ მზის სტილიზებული გამოსახულება იქმნება (გოგიაშ ნოხორუ) და სხვა[351].

351. ფიჩორი I ნამოსახლარის შესაბამის, III ფენაში, ეს ორნამენტალური მოტივები სრულიად არის ნარმოდგენილი. გამონაკლისია მხოლოდ ნახევარმთვარისებრი შტამპი. შედარებით ცოტაა ფრინველისმკერდისებრი ყურებიც. არ არის გამორიცხული ეს მომენტი მომავალში ლოკალური ნიშნების გამომხატველად იქნას მიჩნეული.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კერამიკული ფორმები და განსაკუთრებით აღნიშნული სპეციფიური ორნამენტი, გავრცელებულია თითქმის მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ისინი ერთნაირად დასახასიათებლად ჩანან ე. წ. ნაოხვამუს ქვედა ფენის პერიოდის ძეგლებისთვის. ამ ძეგლთა რიგში კი ერთიანდებიან ფიჩორი I-ის III ფენა, ნაოხვამუს ქვედა (III) ფენა, ჭალადიდის ზურგას ქვედა (I) ფენა, ნაწილობრივ ანაკლია I-ის IV ფენა, აბედათის გუძუბა, ნამჭედურის (VI-V) ფენები, წყემის IV ფენა, კოდორი I, დაზვერვების მიხედვით გოგიაშ ნოხორუ, ბანძის I გუძუბა, ვედიტკარის ქვედა ფენა და სხვა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს ამ პერიოდის კერამიკა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ამის მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი ამ პერიოდის ნასახლარები აღნიშნულ რეგიონში არ არის კვლევის ობიექტი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კისტრიკის ნასახლარი, სადაც გვიანი ბრინჯაოს ფენა იქნა დაფიქსირებული[352], მაგრამ იგი უფრო მომდევნო ხანის მასალებს შეიცავს და ადრეული ეტაპის ტიპიური კოლხური ნანარმი აქ წარმოდგენილი არ არის.

აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1977 წელს აწარმოებდა სამუშაოებს გუმისთა II ნასახლარზე, სოხუმის ჩრდილო განაპირა ნაწილში. აქ ავტოპროფილაქტორიუმისათვის ქვაბულის ამოღების დროს თითქმის მთლიანად განადგურდა უაღრესად საყურადღებო ძეგლი. გადარჩენილი 3 მ-ის სიფართის ზოლი გათხარა ექსპედიციამ და დააფიქსირა ადრე და შუა ბრინჯაოს (პროტოკოლხური), გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის და ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნისეული ფენების არსებობა. სამწუხაროდ, ეს იყო ნასახლარის პერიფერიული ნაწილი და ამდენად ძალზე მცირე არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა. ფენათა გამიჯვნა მოხერხდა მხოლოდ სტრატიგრაფიულ ჭრილზე დაკვირვებით. ზედა (I) ფენაში ჩაშვებული იყო სამარხი, რომელიც შეიცავდა ძვ. წ. IX-VIII სს. მასალებს. ამდენად, I ფენა არ შეიძლება ყოფილიყო ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე უფრო მოგვიანო. ამასთანავე აშკარა გახდა, რომ ქვედა (III) ფენა შეიცავდა ე. წ. ოჩამჩირული კერამიკის მოგვიანო ნიმუშებს და ამდენად იგი პროტოკოლხური ეტაპის დასასრულისადმი იქნა მიკუთვნებული. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ II ფენა, რომლის სიმძლავრე ამ ნაწილში 0,4 მ. აღწევდა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კუთვნილი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, მასალა ძალზე მწირი იყო და ფრაგმენტული.

ნაპოვნი იქნა სულ რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი, დამზადებული მსხვილმარცვლოვანი, ხრეშნარევი თიხისგან. ერთი ნატეხი განეკუთვნებოდა მაღალ ცილინდრულყელიან თხელკედლიან ჭურჭელს, მეორე კი ოვალურნახვრეტიან ყურს. კეცის მიხედვით ეს ფრაგმენტები მეტ სიახლოვეს იჩენენ პროტოკოლხურ კერამიკასთან და არაფერი აქვთ საერთო ძვ.წ. I ათასწლეულის მასალებთან. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მსგავსი ნატეხები ნაპოვნი ყოფილა კისტრიკის ნამოსახლარის ნაძრავ ფენაშიც[353], თუმცა ასაკის განსაზღვრა ჭირს. ეს არის ის მწირი მასალა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზეა ფიქსირებული. აქედან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ეს რეგიონი შესაძლოა ჯერ კიდევ შედის პროტოკოლხური კულტურის გავრცელების არეალში და აქ ტიპიური კოლხური კერამიკის გავრცელება მხოლოდ მე-II საფეხურიდან იწყება. ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. I ათასწლეულიდან ეს რეგიონიც კერამიკის გათვალისწინებით ერთიან კოლხურ კულტურის არეალში ექცევა.

ამავე დროს არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ეს მხარე ლითონის იარაღის გავრცელების მხრივ საერთოკოლხურ გარემოშია მოქცეული. მხედველობაში გვაქვს კოლხური ცულების პროტოტიპების და ადრეული განძების (სოხუმი, ლეჩქოფი) აღმოჩენა აღნიშნულ ტერიტორიაზე. თუ რა უნდა იყოს ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი – ლითონი თუ კერამიკა ძნელი სათქმელია. ჩვენ უპირატესობას კერამიკას ვანიჭებთ, როგორ ყველაზე მასიურს და ყოველდღიურად მოსახმარ ნაკეთობას. არ არის გამორიცხული მომავალში ამ პერიოდის ძეგლების გამოელენა ამ ტერიტორიაზე, რომელიც აღნიშნულ პრობლემას დააზუსტებს.

ამგვარად, ჯერჯერობით გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კერამიკის გავრცელების უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტად სოხუმის მიმდებარე ტერიტორიაა საგულისხმებელი (მაჭარის ნამოსახლარის ზედა ჰორიზონტი).

სამწუხაროდ, ასევე თითქმის არაფერი ვიცით კოლხური კერამიკის ადრეული ნიმუშების სამხრეთული საზღვრის შესახებ. თუმცა ზოგიერთი ანატოლიური ძეგლების მიხედვით, ამგვარ ნეკეთობათა და ორნამენტის რიგი სახეობის არსებობა თითქოს დასტურდება ტრაპეზუნტის მხარეში, მაგრამ

352. Бжания В., Отчет Причерноморской экспедиции в 1983 г. (ხელნაწერი).
353. ე. ბაანის ცნობა

თუ არ გვექნება შესაძლებლობა თურქეთის მუზეუმებში ამ მასალის გაცნობის ამ დებულებას მატერიალური საფუძველი არ ექნება. საქმეს ვერ შველის ამ ტერიტორიიდან ცნობილი მეხჩისციხის და ორდუს განძები[354], რომლებიც ტიპიურ კოლხურ ბრინჯაოს ნაწარმს შეიცავენ. პირველი მათგანი აშკარად მოგვიანოა და ამდენად ადრეული ეტაპის სასარგებლოდ არაფერს იძლევა. რაც შეეხება ორდუს განძს, იგი მართლაც ერთ-ერთი ადრეული კომპლექსია, რომელსაც სპეციალისტები ძვ.წ. XIII-XII სს. ათარიღებენ[355], თუმცა ჩვენი აზრით, მართალია პროფ. თ. მიქელაძე, რომელიც მას რამდენადმე უფრო არქაულ განძად მიიჩნევს[356]. თუ როგორ გადაწყდება ამ განძის დათარიღება, ეს საკითხის ერთი მხარეა. ჩვენ ამჟამად მისი მეორე მხარე გვაინტერესებს. თუ ორდუ და მეხჩისციხის ტერიტორიები ექცევა კოლხური კულტურის გავრცელების პერიფერიულ ნაწილში, ბუნებრივია აქ მაშინ მისი (ორდუ) სინქრონული კერამიკის არსებობაც ვივარაუდოთ. თუ კი ორდუ არ შედის ამ კულტურის გავრცელების არეალში, და ეს მასალები მოხვედრილია კულტურული კავშირურთიერთობის გზით, მაშინ მსგავსი კერამიკის ძიება ამ ტერიტორიაზე უპერსპექტივოა. ჩვენი აზრით მასალების მომავალი ძიება ამ მიმართულებით სწორედ პირველ შესაძლებლობას დაუჭერს მხარს და დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მაინც, მოქცევა კოლხური კერამიკის გავრცელების არეალში.

გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის საწყისი საუკუნეების კერამიკა

(ძვ.წ. XI-IX სს.)

(ტაბ. VI-VII სს.)

აღნიშნული პერიოდის თიხის ნაწარმის ქრონოლოგიური გამოყოფა, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული ფიჩორის და ტამიშის ნამოსახლარების სტრატიგრაფიულ მონაცემებთან და საერთოდ აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლეს აღმოჩნებთან. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ფიჩორი I-ის მე-II კულტურილი ფენის მონაცემები, რომელიც ქრონოლოგიურად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის და წინარე ანტიკური ხანის ფენებს შორის ექცევა.

ამ საფეხურის კერამიკა უპირატესად შავად, აგურისფრად ან ნაცრისფრადაა გამომწვარი. დამზადებულია წერიმარცვლოვანი, მინარევებიანი თიხის ცომისგან. ჩნდება ჩარხზე ნამზადი ჭურჭელი, რომელთა რაოდენობა მკეეთრად მატულობს საფეხურის ბოლო ეტაპისათვის (დაახლოებით ძვ. წ. IX-VIII სს.). წარმოდგენილია მნიშვნელოვანწილად სამზარეულო კერამიკა და იშვიათია დიდი ზომის სამეურნეო ჭურჭელი (დერგი, ქეევრი). ძირითად ფორმას ქოთნები წარმოადგენენ, რომლებშიც რამდენიმე ვარიაციული სახესხვაობის ფორმები გამოიყოფა. ახასიათებთ დაბალი, ჩაღარული ყელი, მეტნაკლებად გაშლილი პირი, ბირთვისებური მუცელი. გვხვდება საერთოდ უყელო ან დაბალცილინდრულყელიანი ჭურჭლებიც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროფილის ქოთნები სათავეს ჯერ კიდევ პროტოკოლხურ კერამიკაში იღებს და მათი ტიპოლოგიური განვითარების სურათი არ ჩანს. ერთადერთი, რაც ამ ფორმის ჭურჭლების შესახებ შეიძლება ითქვას ისაა, რომ საკვლევი ეტაპის ბოლო საფეხურის ზოგიერთ ნაწარმზე ჩნდება ირიბი ჭდეებით შევსილი რელიეფური სარტყლით ან პატარა ფოსოების მწკრივით შემკული ქოთნები.

ფორმით მათთან გარკვეულად ახლოს დგას უფრო მოზრდილი ზომის ჭურჭელი, რომლებიც დერგების ჯგუფშია გაერთიანებული. მათი რაოდენობა ძალზე ცოტაა და ახასიათებთ დაბალი, ჩაღარული ყელი, გადაშლილი პირი, სფერული ტანი. ზოგიერთი მათგანი რელიეფურ-ჭრილი ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ზოლებითაა შემკული და ხერხდება მათი დაკავშირება პროტოკოლხური კერამიკის ტიპიურ ორნამენტთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორნამენტი არ არის დამახასიათებელი ფიჩორის ნასახლარის ძვ. წ. I ათასწლეულის მასალებისათვის, თუმცა მისი სიმრავლე აშკარაა ტამიშის ნასახლარზე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ორნამენტი

---

354. A. A., К вопросу о древнейшей металургии меди на Кавказе, Игаимк, М., стр. 139-140; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, გვ. ; ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38; (), 8, N(). I, 1936.

355. (),. დასახ. ნაშრომი, გვ. 58-59; ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

356. პროფ. თ. მიქელაძის აზრით ძვ.წ I და ძვ.წ II კერამიკის გავრცლების არეალი ემთხვევა კოლხური ბრინჯაოს გავრცელების რეგიონს (თ. მიქელაძე ძიებანი ...., გვ. 57). და უთითებს რუკას, სადაც დატანილია კოლხური კულტურის ამ – ორი ძირითადი კომპონენტის გავრცელების სურათი. როგორც დავინახეთ ძვ. წ. I კერამიკის გავრცლება კოლხური კულტურის ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში სადღეისო მონაცემებით დამატებითი მასალების გამოვლენას და ზემოთ მოყვანილი ჩვენი აზრით სრულიად მისაღები და სწორი დებულება, დამატებით კვლევას საჭიროებს.

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის გარკვეული რეგიონის ლოკალურ თავისებურებებად იქნას მიჩნეული. ჩვენი აზრით, ამ გარემოებას მოეძებნება შემდეგი ახსნაც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესაძლოა პროტოკოლხური ეტაპის კერამიკა აფხაზეთის ჩრდილოეთ რეგიონებში შემორჩენილი იყოს გვიანამდის. კოლხური კულტურის თანდათანობითი გავრცელების დროს ჩრდილოეთით, აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად ამ კულტურის გავრცელების არეალში ექცეა მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია პროტოკოლხური კერამიკის გავლენა ტამიშის, ნითელი შუქურას, ვერეშჩაგინის ბორცვის, ეშერეს, გაგრის და სხვა ძეგლების მასალებში სწორედ ამ პერიოდს უნდა დაემთხვეს. საკითხი თუ რატომ აისახა ეს მოვლენა ფიჩორის ან კოლხეთის დაბლობის სხვა თანადროული ნასახლარების მასალებში, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი გარემოებით. კოლხეთის დაბლობზე კოლხური კულტურის შეჭრა ძალზე სწრაფად მოხდა და შერწყმის პროცესი ორ კულტურას შორის შესაძლოა საკმაოდ ხანმოკლე იყოს. იქნებ ამის გამოც არ ჩანს კავშირი პროტო და ადრეკოლხურ კერამიკულ ნაწარმს შორის. საკითხი საკმაოდ რთულია და პრობლემური და მომავალ კვლევას მოითხოვს.

დერგების ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ძირითადად მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პროფილის მიხედვით ერთ ტიპოლოგიურ სახეობას წარმოადგენს. ახასიათებთ გადაშლილი, ზოგჯერ ქობიანი პირი, ჩაღარული ყელი, ბირთვისებური ტანი. ადრეულ საფეხურზე ამ ჭურჭლის მხარზე დატანილი იყო ირიბი სავარცხლისებრილისეული შტამპი. მოგვიანო საფეხურზე ჩნდება მთელი რიგი ახალი ელემენტები, რომლებიც აბსოლუტურად ერთგვაროვან ფორმებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ეს სიახლეა მხარზე რელიეფური კუნუბოების სარტყელი და მის ქვეშ ირიბი ჭდეების ვერტიკალური ზოლი, რელიეფური სამკუთხაგანიკვეთიანი სადა სარტყელი; ხშირია პირის დანახნაგება ან პატარა ირიბი ჭდეებით პირის დაკეჭვნა; ჩნდება სქელკედლიანი პირბაკოიანი ჭურჭელი, ზოგჯერ ნინეოვანი ორნამენტით შემკული ფართო ვერტიკალური კანელურებით. აღნიშნული ელემენტები მკვეთრად თიშავს ამ ჯგუფის კერამიკას ერთმანეთისაგან და გარკვეულ ქრონოლოგიურ მნიშვნელობას იძენს.

საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს ჯამები. მათში სამი ძირითადი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. სწორმხრიანი, მხარმომრგვალებული, ბრტყელი, ძირისაკენ თანდათან დაქანებული ტანით, მომრგვალებული ან ზემოდან შებრტყელებული, იშვიათად ქობიანი პირით; 2. სწორმხრიანი, ტანზე მკვეთრი ან მსუბუქი ნიბურიანი გადასვლით; 3. ცილინდრულტანიანი, მომრგვალებული ან ზემოთ შეთხელებული პირი. აღნიშნული კერამიკა ძირითადად სადაა, მხარზე ღარით. ორნამენტი (პრიალა ზოლები, ფოსოები, წერტილოვანი სახეები) ჩნდება მხოლოდ ეტაპის მოგვიანო საფეხურზე და ამ ელემენტით შესაძლებელი ხდება ამ ფორმის ნაკეთობათა ერთმანეთისგან გამიჯვნა.

საყურადღებო სურათს იძლევა ლანგრის ფორმის ჭურჭელი. მათ ძალზე გაშლილი ტანი, პატარა ბრტყელი, ზოგჯერ ქუსლიანი ძირი და მომრგვალებული პირი ახასიათებს. მსგავსი ფორმის ჭურჭელი მხოლოდ ადრეული საფეხურის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი (ტამიშის ქვედა ფენა, ფიჩორი I მეორე ფენა, ნოსირის III ფენა, ნამჭედური III ფენა). მოგვიანო ძეგლებზე კი ამ ფორმის ჭურჭელი სრულიად არ ჩანს.

ქილის ფორმის ჭურჭელი ხასიათდება მოგრძო კასრისებური ტანით, გადმოშლილი ან ცილინდრული ყელი, მომრგვალებული ან დაწახნაგებული პირით. თითქმის ყველა ორნამენტირებულია ირიბი ჭდეებით, ფოსოებით, ღარებით, საკარცხლისეული ან ფრჩხილისეული ნაჭდევებით. ფორმის ცვლილება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ შეინიშნება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანო საფეხურზე საერთოდ ქრება ფრჩხილისეული ანაბეჭდები და ჭურჭლის ზომა მცირდება. სხვა რაიმე ნიშანდობლივი ცვლილება არ შეინიშნება.

ტოლჩები ხასიათდება სწორი ან ოდნავ გადმოშლილი პირით, კანელურებით შემკული ოდნავ სფერული ტანით, ბრტყელი, იშვიათად ქუსლიანი ძირით. ჩვეულებრივ შემკულია ზოომორფული შვერილებით.

ეტაპის გამოყოფისათვის განსაკუთრებით ნიშნადობლივია ჭურჭლის ყურები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანია და ნაირგვარი. მათში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. ყველაზე მრავალრიცხოვანია ოვალურგანიკვეთიანი სადა ყურები. ნახვრეტის მიხედვით ისინი მრგვალ და ოვალურნახვრეტიან ყურებად გაიყოფა. წარმოდგენილია გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის თითქმის ყველა ძეგლზე, თუმცა შეინიშნება ზოგიერთი განსხვავება ეტაპის ადრეულ და მოგვიანო საფეხურების ნაწარმს შორის. მაგ.: ოვალურგანიკვეთიანი და ნახვრეტიანი ყურები მოგვიანო საფეხურზე ძირითადად მცირე ზომის ჭურჭელზეა დაძერწილი. ზოგიერთი მათგანი ორნამენტირებულია სიგრძივი რელიეფური

ზოლებით და ზედა ნაწილში თევზის ფხური ან ბადისებრი სახეებით. მსგავსი ყურების ამგვარი ორნამენტით შემკობა ადრეულ საფეხურზე არ გვხვდება. ასევე მხოლოდ მოგვიანო საფეხურს ახასიათებს მრგვალგანიკეეთიანი ოვალურნახერეტიანი ყურები, რომლებსაც ოდნავ ზემოთ, პირისკენ აზიდული ზედა ნაწილი ახასიათებს, რითაც ისინი შემდგომი, წინარეანტიკური ხანის ყურებთან აკლენს კავშირს. რაც შეეხება მრგვალნახერეტიან სადა ყურებს (II ჯგუფი) ისინი ორივე საფეხურზე აბსოლუტურად ერთგვაროვანია და არავითარ ცვლილებას არ განიცდიან.

III ჯგუფში ვაერთიანებთ ყურებს ზემოდან დაძერწილი შებრტყელებული შვერილით. ადრეული საფეხურის შვერილები რიგ შემთხვევებში წანვეტებულია, კოპისებრი. მოგვიანო საფეხურზე შვერილი უფრო მკვეთრია და მაღალი. ზოგიერთი მათგანი ზემოდან არის დაჭდეული, რაც არ ჩანს ადრეულ საფეხურზე.

IV ჯგუფში გაერთიანებულია შუაში უნაგირისებურად ჩაზნექილი, ზოგჯერ ნახნაგოვანი ყურები. ისინი ორივე საფეხურზეა წარმოდგენილი, თუმცა მოგვიანო პერიოდის ძეგლებზე მათი რაოდენობა რამდენადმე მცირეა. მხოლოდ ადრეული საფეხურის ძეგლებს ახასიათებს ჩვენს მიერ მეხუთე და მეექვსე ჯგუფში გამოყოფილი ყურები. პირველი ხასიათდება მაღალი, ცილინდრული ფორმის, ზემოდან დაბრტყელებული შვერილით, მეორე კი ლიტერატურაში ფრინველის მკერდისებური ყურების სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელები ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი თუმცა გვხვდება მის უშუალოდ მომდევნო საფეხურზეც (ფიჩორი I-ის მეორე ფენა, ნაოხვამუს შუა ფენა, ტამიშის ქვედა ფენა). სამაგიეროდ, მხოლოდ მოგვიანო საფეხურისთვის ჩანს დამახასიათებელი გოფრირებული ყურები და ყურები ზედა ნაწილში რელიეფური განივი ლილვაკით.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკვლევი პერიოდის ძეგლებზე შეინიშნება ზოომორფულ-შვერილიანი ყურების განსაკუთრებული სიმრავლე, მათი შვერილები ირიბად ან სწორედ არის წაკვეთილი, შუაში კი მსუბუქად ან მკვეთრად არიან უნაგირისებურად ჩაზნექილი. ანალოგიური ყურები ერთნაირადაა წარმოდგენილი საკვლევი პერიოდის, როგორც ადრეულ, ისე მოგვიანო საფეხურებზე. აღსანიშნავია, რომ მათი შვერილები წინარეანტიკური ხანის კერამიკასთან შედარებით არაა მკვეთრად გამოსახული და ჩამოყალიბებული და ერთგვარად არქაული იერის მატარებელია. შეინიშნება მხოლოდ ირიბადწაკვეთილი შვერილებიანი ყურები, რომლებიც უპირატესად ადრეული საფეხურის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი (ნაოხვამუ, ჭალადიდის ზურგა, ნამჭედური V-III ფენები, ტამიშის ქვედა ფენა, ფიჭვნარი, აბედათი, ყულევი და სხვა)[357]. ძირითადად, ასევე ადრეული საფეხურისთვის ჩანს დამახასიათებელი ზოომორფული ყურების ერთი სახესხვაობა ე. წ. კოჭისებურშვერილიანი[358], თუმცა ერთეულების სახით გვხვდება ისინი მოგვიანო საფეხურზეც (მოქვის და „აბაჟუს" ნასახლარების წინარეანტიკური ხანის ფენები)[359].

გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკის ქრონოლოგიური გამიჯვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორნამენტს. ჭურჭლის შემკობაში წამყვანი ადგილი წმინდა სავარცხლისებრილეულ დეკორს უკავია. იგი დატანილია უპირატესად ირიბი ზოლების სახით, თუმცა ძალზე გავრცელებული ჩანს ჰორიზონტალური რიგები. ხშირია ამ ორნამენტის შერწყმა ღარულ სახეებთან. მსგავსი შემკობა საერთოდ დამხასიათებელია კოლხეთის ნამოსახლარებისათვის ძვ. წ. II-I ათასწლეულებში. ფიჩორისა და ტამიშის გარდა ვხვდებით მას „აბაჟუს" ნასახლარის ქვედა (III) ფენაში[360], ნაოხვამუს სამივე, განსაკუთრებით კი II-III ფენებში[361], ნამჭედურში (V ფენა)[362], ნოსირში (II-III და ტეხურისპირა მოედანზე)[363], კეკელურის ზურგაზე (ი-II)[364], ანაკლია I-ზე (III-IV)[365], და სხვა. აღნიშნული ორნამენტი ძალზე სპეციფიურია და ქრონოლოგიურ დიფერენციაციას არ ექვემდებარება.

---

357. **Куфтин Б. А.** დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 198, სურ. 48, ტაბ. 55, 60; **Миделадзе** ..., ძიებანი ...., გვ. ტაბ. ; **Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д.**, დასახ. ნაშრომი; გვ. 18-21, ტაბ. 24, 49, 71; **ბარამიძე მ., ჩიგოშვილი ო.**, დასახ. ნაშრომი; **ფხაკაძე გ.**, აბედათის დიხა-გუძუბა, გვ. 139; **Микеладзе Т. К., Барамидзе М. В.**, დასახ. ნაშრომი.

358. **მიქელაძე ო.**, ძიებანი ...., გვ. 55, ტაბ. XIV1.

359. **ბარამიძე მ., ჩიგოშვილი ო.**, და სხვა, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978 წლის ანგარიში; იხ. აგრეთვე, ექსპედიციის 1987-88 წწ. ანგარიშები.

360. **ბარამიძე მ.**, და სხვა, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986-89 წწ. ანგარიშები.

361. **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრომი, ტ. II, ტაბ. 486-8.

362. **Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, ტაბ. 13.

363. **გოგაძე ე.**, კოლხეთის ბრინჯაოს ...., გვ. 53-56, ტაბ. 51; **გრიგოლია გ., ბარამიძე მ.**, და სხვა, დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო ...., გვ. , ტაბ.

364. **მიქელაძე ო.**, და სხვ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის მუშაობის ანგარიში

365. **ფხაკაძე გ.**, აბადეთის დიხა-გუძუბა ....; **ბარამიძე მ.**, და სხვა, დასახ. ნაშრომი.

ორნამენტაციაში ხშირია ჭურჭლის შემკობა სავარცხლისებრილისეული შტამპით და ირიბი ჭდეებით. შედარებით მცირეა სამკუთხა ან წრიული რელიეფური დანაძერწების რიგები. ეს ორნამენტი ტიპიურია კოლხური კერამიკის ადრეულ საფეხურზე და ამ ეტაპზე არსებობას განაგრძობს როგორც გადმონაშთი.

საინტერესო სურათს იძლევა პარკეტული ორნამენტი. იგი ჩნდება ძვ. წ. I ეტაპის საწყის ძეგლებზე და საერთოდ ტიპიურია მომდევნო საფეხურის ძეგლებისათვის. საკელეი პერიოდის მოგვიანო საფეხურზე ვხვდებით მხოლოდ პარკეტულ ორნამენტს, შესრულებულს ნვრილი, წმინდა ხაზებით. ზუსტად იმეორებს ამ სურათს დაშტრიხული სამკუთხედები, რომლებიც ადრეულ საფეხურებზე ღრმად არიან ჩაჭრილი, მოგვიანო საფეხურზე კი დაშტრიხვა შესრულებულია წმინდა, ფაქიზი ხაზებით.

კოლხური კერამიკის ერთ-ერთ ძირითად ორნამენტს კოპით შემკობა და მის გარშემო სხვადასხვა სახეების დატანა წარმოადგენს. ადრეულ ეტაპზე ეს ორნამენტი ძალზე სპეციფიურია და განმსაზღვრელი. გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში კი მათი რაოდენობა მცირდება და კომბინირებული შემკობა ფაქტობრივად ქრება. კოლხეთის დაბლობის I ათასწლეულის ნამოსახლარზე მათი რაოდენობა ერთეულია. სამაგიეროდ ხშირია კოპების დატანა ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ძეგლებზე (ტამიში, „აბაჟუ", მოქვი, ვერეშჩაგინის ბორცვი)[366], სადაც ვხვდებით მათი დატანის, როგორც ცალკეულ, ისე სარტყელებად და ვერტიკალურ ზოლებად მათ განლაგებას. შესაძლოა საქმე გვქონდეს ამ რეგიონის კიდევ ერთ, სპეციფიკურ ლოკალურ ნიშანთან. აღსანიშნავია, რომ კოპების დატანა ფაქტობრივად წყდება წინარეანტიკური ხანისათვის.

კოლხური კერამიკის II საფეხურის მასალებში, ჩვენი აზრით ძალზე საინტერესო სურათს იძლევა ფოლაქისებური, რელიეფური შვერილები, რომლებიც მხოლოდ ამ ეტაპისათვის ჩანს დამახასიათებელი. საყურადღებოა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ ორნამენტის არსებობის ბოლოსათვის (დაახლოებით ძვ. წ. VIIIს.), ზოგიერთ მათგანზე ჩნდება წყვილადი ან ერთმაგი ჯვრისებრი გამოსახულება. ამ ელემენტს უდაოდ დამათარიღებელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან იგი ამ პერიოდის რამდენიმე ძეგლზეა (ფიჩორი I, ტამიში ზედა ფენა, „აბაჟუ", მოქვი, ნამჭედური III და სხვა). დაფიქსირებული არ არის არც ერთი შემთხვევა უფრო ადრეულ საფეხურებზე მათი არსებობის[367]. არ ჩანს იგი უშუალოდ წინარეანტიკურ ხანაშიც.

აღნიშნულ ეტაპზე ერთ-ერთ ტიპიურ ორნამენტს წარმოადგენს პატარა და საშუალო ზომის ჭურჭელზე დატანილი, ვიწრო კანელურები, რომლებიც გავრცელებულია საკელეი რეგიონის აბსოლუტურად ყველა ძეგლზე ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან წინარეანტიკური ხანის ჩათელით. გვხვდება იგი რამდენადმე მოგვიანო მასალებშიც (ქალადიდის სიმაგრე და მისი მიმდებარე ბათქაშოვანი მოედნები, ფიჩორის ნასახლარის III-V და VIII ბორცვების ზედა ფენები) და რაიმე არსებით ცვლილებას არ განიცდიან, აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან ჩნდება ფართოკანელურიანი ორნამენტიც, თუმცა იგი უფრო მოზრდილ ჭურჭელთან (დერგები) არის დაკავშირებული. ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის რიგ ძეგლებზე ამ ფართო კანელურების ზედა ნაწილში ვხვდებით კოპების სათვალისებურად განლაგებას (ტამიშის ზედა ფენა, „აბაჟუ", ნარჩე, ვერეშჩაგინის ბორცვი), რაც ამ რეგიონის სპეციფიურ ლოკალურ თავისებურებად მიგვაჩნია.

მოგვიანო საფეხურის დამახასიათებელი ორნამენტალური სახეებიდან დავასახელებთ კიდეე ტრაპეციისებურ შვერილებს, ნახევარრკალებს, ხოლო ადრეული საფეხურის დამახასიათებელი ორნამენტიდან სამწახნაგაგანიკვეთიან რელიეფურ სარტყელს თითისეული ანაბეჭდით და წეტილოვან ჰორიზონტალურ რიგებს.

ამგვარად აშკარაა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკა (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის საწყისი) სადღეისო მონაცემებით ძირითადად ორი, ქრონოლოგიურად თანმიმდევრული საფეხურის ნაწარმს წარმოადგენს. ცვლილებები ფორმებში თუ ფორმათა ცალკეულ დეტალებში, განსაკუთრებით კი ორნამენტის ხასიათსა და გავრცელებაში, ვფიქრობთ, ამ ერთიან პერიოდში ორი საფეხურის გამოყოფის უფლებას გვაძლევს. ტამიშის, ფიჩორის, „აბაჟუს" ნამოსახლართა სტრარიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, კოლხეთის სინქრონულ ნამოსახლართა მონაცემების გათვალისწინებით ამგვარი გამიჯვნა ყოველმხრივ გამართლებულია და არგუმენტირებული. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე შექმნილი მთელი რიგი ფორმები,

366. ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., დასახ. ნაშრომი.

367. ლ. ჯიბლაძე ფიჩორის ნასახლარის II ფენის მასალების მოკლე მიმოხილვაში იხსენიებს კოპს, ანალოგიური შემკობით და მას ანაკლია I-ის ზედა ფენებში აღმოჩენილი ძვლის ნივთზე არსებული გამოსახულების ანალოგიით დამათარიღებელ მნიშვნელობას ანიჭებს. იხ. ჯიბლაძე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 63, მაგრამ კერძოდ რა პერიოდს აკუთვნებს მას არ ჩანს.

აგრძელებენ არსებობას მომდევნო საფეხურებზეც. იცვლება მხოლოდ დამზადების ტექნოლოგია. ჩარხის გამოჩენის შემდგომ ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი მეოთხედისთვის ხელოსანი იყენებს მხოლოდ იმ ძველ ფორმებს, რომელთა ჩამოყალიბება ჩარხზეც არის შესაძლებელი. ნაწილი ძველი ფორმებისა კი სრულიად ქრება. ამ პროცესში ორნამენტაციას აღარ ექცევა გადამწყვეტი მნიშვნელობა და ძვ. წ. I (ადრეული ეტაპი) მდიდრული, ხშირად კომბინირებული მოტივები ადგილს უთმობს შედარებით მარტივ, ერთგვაროვან შემკობას. ასეთ შემთხვევაში ფორმათა ცალკეულ ელემენტთა დახვეწა და ორნამენტაციის ცვლა განმსაზღვრელი ხდება თვითოეული ტიპის ჭურჭლისათვის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროცესი შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ შიდა ქართლის კერამიკაზე, სადაც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ჩარხზე დამზადებული თითქმის ყველა ფორმა თავს ინახავს ადრეანტიკურ ხანამდე. განვითარების ხაზი შეინიშნება მხოლოდ ფორმათა ელემენტების დახვეწაში ან ახალი ორნამენტის გაჩენასა თუ დატანაში. ჩნდება ზოგიერთი ახალი ფორმაც, მაგრამ იგი უფრო ძველ ფორმათა მოდიფიკაციაა[368]. ამდენად აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით კოლხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს, კერამიკის განვითარებაში მსგავსი პროცესები მიმდინარეობს. ამგვარად, აშკარა ხდება, რომ კერამიკული ნაწარმის დეტალური შესწავლა და ცალკეული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილების გამოყოფა, საშუალებას იძლევა ქრონოლოგიის დაზუსტების და ამ ერთგვაროვან კერამიკაში ორი თანმიმდევრული საფეხურის გამოყოფის. აქედან გამომდინარე საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანას (ძვ. წ. XI-X სს.)[369] მივაკუთვნებთ კოლხური კერამიკის ჯგუფს, რომლებიც წარმოდგენილია ფიჩორი I-ის II ფენის, ტამიშის ნასახლარის ქვედა ფენის, ნაოხვამუს შუა ფენის, წყემის I ფენის, ნასაყდრევის ბორცვის მეორე ფენის, ფიჭვნარის, ნამჭედურის IV და მისი მომდევნო ყვითელი თიხნარის ფენის, „ნამარნუს" IV ფენის, თაგილონის „ნიფურიას" III ფენის და სხვა მასალებში[370]. მისთვის დამახასიათებელი ჩანს მხარზე დატანილი ირიბი სავარცხლისებრილისეული შტამპით ან ნაკაწრი ხაზებით და ბადისებრი ორნამენტით შემკული დერგები, კოჭისებურშვერილიანი ტოლჩები, ლანგრები, სადა ჯამები, ფრჩხილისეულნაჭდევებიანი ქილები, სადა ოვალურგანიკვეთიანი და ნახვრეტიანი ყურები, ნანვეტებული, ზოგჯერ კოპისებური ან ცილინდრისებური, ზემოდან დაძერნილი და ფრინველის მკერდისებური ყურები, ირიბად ნაკვეთილი შვერილებიანი ყურები, ღრმად ჩაჭრილ პარკეტული და დაშტრიხული სამკუთხედები, სამწახნაგგანიკვეთიანი თითისეული ანაბეჭდებით სარტყელები, წერტილოვანი ჰორიზონტალური რიგები და სხვა.

ადრეული რკინის ხანის (ძვ.წ. X-VIII სს.) მივაკუთვნებთ კოლხური კერამიკის იმ ჯგუფს, რომელიც წარმოდგენილია ფიჩორი I-ის II ფენის, ფიჩორი III, IV, V და VIII ბორცვების და „აბაჟუს" ქვედა ფენებში, ტამიშის ზედა ფენის, წარჩეს, სოხუმის მთის, ეერეშჩაგინის ბორცვის, საელიაოს ზედა, საგვიჩიოს №2 ბორცვის, აბედათის დიხა-გუძუბას შემოგარენის, ციხისძირის, ნასაყდრევის I ფენის, პალურის ჟირ-სუკის III, ნაოხვამუს ზედა, ნამჭედურის III, ნოსირის ტეხურისპირა ნასახლარის და სხვა ფენების მასალებში[371].რელიეფური ზოლებით, თევზფხური ან ბადისებრი სახეებით მრგვალგანიკვეთიანი, ოვალურნახვრეტიანი პირისკენ აზიდული ყურები, მკვეთრშვერილიანი, ზოგჯერ დაჭდეული ყურები, გოფრირებული და ზედა ნაწილში ლილვაკიანი ყურები. ორნამენტული სახეებიდან აღსანიშნავია წმინდა, ფაქიზი ჩაჭდეული პარკეტული და დაშტრიხული სამკუთხედები, წყვილადი ან ერთმაგი ნაჭდევებით შემკული ფოლაქისებრი და ტრაპეციისებური შვერილები, ნაჭდევი ნახევარრკალები, ფართო კანელურები და სხვა.

---

368. ბარამიძე მ., შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, საკვალიფიკაციო ნაშრომი, ობ., 1996; Барамидзе М. В. Шида Картли в эпоху поздней бронзы – раннего железа, автореферат, Тб. 1966; ბარამიძე მ., შიდა ქართლის კერამიკული ნაწარმი, ხელნაწერი, 1968.

369. ეტაპის აბსოლუტური ქრონოლოგიის შესახებ იხ. ქვემოთ.

370. ბარამიძე მ., და სხვ., აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983-90 წწ. ანგარიშები; ჯიბლაძე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 93; ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., დასახ. ნაშრომი; Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 193-219; მიქელაძე თ., ძიებანი ..., გვ. Микеладзе Т. К. Барамидзе М.В., О некоторых итогах..., стр. 95-102; რამიშვილი ალ., გვიანბრინჯაოს ხანის ნასახლარი ფიჭვნარში, „მაცნე", № 4, თბ.6 1975; Микеладзе Т. К. Хахутаишвили Д. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 13017; ბარამიძე მ., და სხვ., აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წლის ანგარიში.

371. ბარამიძე მ., და სხვ., აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983-90წწ. ანგარიშები; ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., დასახ. ნაშრომი; გუნბა მ., ნარჩეს ნამოსახლარი, ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 1978; მისიეე, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნარჩეს რაზმის 1977 წლის მუშაობის ანგარიში; კალანდაძე ალ., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1953; Л. А., Сухумская экспедиция; Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., დასახ. ნაშრომი; გრიგოლია გ., ბარამიძე მ., დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო .....; ფხაკაძე გ., აბედათის დიხა-გუძუბა; გრიგოლია გ., ბარამიძე მ., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967-68 წწ. მუშაობის ანგარიში; Куфтин Б.А. , დასახ. ნაშრომი; Микеладзе Т.К. Хахутаишвили Д. А., დასახ. ნაშრომი.

ამ ორი საფეხურის ზოგიერთი ნიშნის ამგვარი ჩამოთვლაც კი აშკარად გვიჩვენებს, რომ მათ ქრონოლოგიური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და ამ საფეხურის გამიჯვნა საკმაოდ რეალურ ტიპოლოგიურ და სტრატიგრაფიულ მონაცემებზეა დაყრდნობილი.

წინარე ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმი
(ტაბ. VI, XXX-XXXV)

აღნიშნული პერიოდის კერამიკა ქრონოლოგიურად შედარებით ადვილი განსასაზღვრია. ამის მიზეზი არის ის, რომ მთელ რიგ სტრატიფიცირებულ ძეგლებზე (ფიჩორი II, III, IV, მოქვი, „აბაჟუ" და სხვა). ისინი მკვეთრად იმიჯნება ადრეანტიკური მასალებისგან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ადრეული იმპორტული მასალების მოშველიებით შედარებით ზუსტად თარიღდება. ამგვარად, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური ნაწარმი, მისი წამყვანი ფორმები და ორნამენტალური სახეები[372]. ამდენად მათი გამოყოფა ტიპოლოგიურად სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ ზემოხსენებულ ძეგლებზე მათ წინ უსწრებს მთელი პლასტი, რომელიც წინარეპერიოდის ნაკეთობებთან ერთად ხშირად შეიცავს ადრეანტიკური ხანის მასალას ან მათ საწყის ფორმებს. ამის გამო ამ ფენას ზოგჯერ „შერეული" მასალის შემცველ ფენას უწოდებენ. აღნიშნულის გამო, ჩვენი აზრით, სადღეისოდ უკვე შესაძლებელია ამ შედარებით ხანმოკლე პერიოდის მასალის ცალკე ქრონოლოგიურ ჯგუფად გამოყოფა. პროფესორ თ. მიქელაძის კლასიფიკაციით ეს პერიოდი ძვ.წ. II ეტაპის ფარგლებში ექცევა, მაგრამ მისგან განსხვავებით ჩვენ ვცდილობთ ამ პერიოდის დაკონკრეტებას და სპეციფიური ერთი ქრონოლოგიური ეტაპის ნაწარმის გამოყოფას. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ თ. მიქელაძისეული II ეტაპის რიგი ძეგლების მასალა (რომელიც არ შეიცავს ამგვარ შერეულ მასალებს) უფრო ადრეულ ჯგუფშია გასაერთიანებელი. კოლხურ ნასახლართა სტრატიგრაფიაზე დაკვირვებამ შექმნა შესაძლებლობა თიხის ნაწარმის განვითარებაში გამოყოფილიყო ეს მეოთხე პერიოდიც.

სამწუხაროდ, ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არ შეიცავს არც წინარე და არც ადრეანტიკური ხანის ფენებს და სტრატიგრაფიულ ჭრილში ერთგვარი ქრონოლოგიური ლაკუნაა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ელინისტური ხანის ნაგებობების ფუნდამენტისთვის მიწის ნიველირების დროს ფენების განადგურება. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ის ფაქტიც, რომ სწორედ ტიპიური ადრე და წინარეანტიკური მასალები ერთეულების სახით მაინც გვხვდება ელინისტური ფენის ქვეშ და მის დონეზეც. მხედველობაში გვაქვს ყურმილიანი ხელადების, სამწახნაგა ბრტყელბაკოიანი ლანგრების, კანელურიანი ფრაგმენტების აღმოჩენა, რომლებიც სრულიად უცნობია წინარე I ათასწლეულის სანყის კერამიკაში.

ფიჩორი I-ის ხარვეზს ავსებს მიმდებარე (III, IV, V) ბორცვების მასალები, რადაც ორივე ეს პერიოდი კარგად არის წარმოდგენილი. ამდენად, ჩვენი ეს მსჯელობა გარკვეულად ფიჩორის სტრატიგრაფიაზეა დამყარებული.

აქვე არ შეიძლება არ გავაერთიანოთ, ე.წ. კოლხურ სამაროვნებზე უკანასკნელ ათასწლეულებში გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი, რომლებიც ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება[373]. მთელი ეს მონაპოვარი ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად ზუსტად თავსდება მიღებულ სქემაში.

წინარეანტიკური ხანის კერამიკა უპირატესად თხელკედლიანია, იშვიათად საშუალო, ფერად ლეგა-მონაცრისფრო, ზოგჯერ მოშავო ან ჩალისფერი, იშვიათად აგურისფერი. კეცი ნვრილმარცვლოვანია კვარცის და ქარსის მინარევებით. უმრავლესობა დამზადებულია ჩარხზე, თუმცა ვხვდებით ხელით ნაძერწსაც (სამარილეები). შედარებით ცოტაა მოზრდილი ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჩნდება ადრეანტიკური ხანისთვის ისეთი სპეციფიური ნაწარმი, როგორიცაა კოლხური ქვევრები, შემკული ფართო, სიგრძივი კანელურებით, ყურმილიანი ხელადები, სამწახნაგგანიეკვეთიანი ბრტყელბაკოიანი ლანგრები და სხვა, მაგრამ მათი რაოდენობა ერთეულია და საფეხურის გამოყოფისთვის არაა ნიშანდობლივი.

ეტაპისათვის განსაკუთრებით სპეციფიური ჩანს კოჭბები. მათ ახასიათებთ დაბალი ჩაღარული ყელი, გადაშლილი პირი, ბირთვისებრი ტანი და პატარა, ბრტყელი ძირი. ზოგიერთი მათგანი

---

372. მიქელაძე თ. ძიებანი.., გვ. 56 და შმდ; ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა., ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა ვანიდან, ვანი V, თბ.., 1981.

373. 24 Микеладзе Т. К., К археологии Колхиды, Тб., 1990, стр. 48 и дал., ქვემოთ სამაროვნების შესახებ მსჯელობის დროს ჩვენ შეეეცდებით დავასაბუთოთ სამაროვანთა რამდენიმე განხვავებული თარიღი.

შემკულია ყურით. ტანი ჩვეულებრივ სიგრძივი პრიალა ზოლებითა ან სავარცხლისკბილისეული შტამპითაა ორნამენტირებული. საყურადღებოა, რომ ამგვარი პროფილის კოჭბები გავრცელებული ჩანს მთელი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის განმავლობაში. განსხვავება მხოლოდ ორნამენტის ხასიათშია. აღსანიშნავია, რომ კოჭბების ძირზე ხშირად ჭილოფის ანაბეჭდები შეინიშნება. პროფ. ბ. კუფტინი ძირის შემკობაში სამი რიგის ორნამენტს გამოყოფდა: 1. წმინდა ჭილოფის ანაბეჭდი მიღებული ფართო თანაბარი სელის ღეროს დაწნევის ტექნიკით; 2. არათანაბარი დაწნევის შედეგად მიღებული არათანაბარი ანაბეჭდები; 3. ბარრისებრი ანაბეჭდები, მიღებული დაგრეხილი ღეროს დაწნევით. ბ. კუფტინი პირველი რიგის შემკობას ხედავდა დაბლაგომისა და დიხა-გუძუბას მასალებში, მეორე და მესამე ჯგუფს კი დიხა-გუძუბაზე[374]. აქედან გამომდინარე შესაძლოა იგი ამ ჩვევას ერთგვარ ქრონოლოგიური განმსაზღვრელის მნიშვნელობას ანიჭებდა. უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს. დიხა-გუძუბას მასალებში პირველი რიგის წმინდა ჭილოფის ანაბეჭდები დადასტურებული არ არის. არ ჩანს ისინი არც ნაუხვამოს ზედა ფენაში. ჩვენი აზრით, ორნამენტის ეს ჯგუფი მხოლოდ წინარეანტიკური ფენებისთვის არის ნიშანდობლივი და ისიც მხოლოდ ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ისინი მხოლოდ ერთეულების სახითაა აღმოჩენილი (მოქვი, „აბაჟუ", ფიჩორი III). დადასტურებულია ისინი დაბლაგომის შუა და ზედა ფენის მონაპოვარში. ამდენად, ძირის შემკობის ეს ვარიანტი გარკვეულ ქრონოლოგიურ ელემენტად უნდა ჩაითვალოს და გამოყენებული იქნას წინარეანტიკური ხანის მასალების გასამიჯნად. აქვე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ კიდევ ერთი მომენტი. დიუნური კერამიკა, რომელიც ქრონოლოგიურად ძირითადად ამ პერიოდს ემთხვევა[375], ხშირად ზედაპირზე ატარებს ქსოვილის ანაბეჭდებს. გუდავის აბაზანისებრი ჭურჭლის ზედაპირზე გვხვდება როგორც წმინდა, ისე შედარებით ფართო სახეები. ეს დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ზემოთმოყვანილი დებულების სასარგებლოდ.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ სპეციფიურ და ძალზედ საინტერესო ჭურჭელს წარმოადგენს კოჭბების კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებსაც ახასიათებს შედარებით სწორი პირი, მსუბუქად დაქანებული ზოგჯერ კანელურებიანი ტანი, მკვეთრად გამოყოფილი ქუსლიანი ძირი, ყურზე ჩვეულებრივ ზოომორფული შეერილი ამკობთ. ამგვარი ჭურჭელი განსაკუთრებით კარგად წარმოდგენილია კოლხურ სამარონებზე (ნიგეზიანი, სამარხი №1, პალურის „საძვლე", ურეკი, ბრილი, დასაკრძალავი მოედანი)[376], სადაც ისინი ძვ.ნ. VII-VI სს. კომპლექსებშია წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ მათი გამოჩენა კოლხეთის ნამოსახლარებზე ხდება რამდენადმე ადრე, ჩვენს მიერ შემუშავებული შკალის მესამე საფეხურის ბოლოს (ფიჩორი IV ქვედა ფენა, „აბაჟუს", ქვედა ფენა, ვედითკარის ზედა ფენა). ფორმით ისინი ზუსტად იმეორებენ ისეთი სპეციფიური ჭურჭელის ფორმებს, როგორიცაა ბრინჯაოს სიტულები, რის გამოც მათ სიტულის ფორმის სასმისებს ვუწოდებთ. მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა ცნობილი შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, სადაც ყველა სამარხეული კომპლექსი, რომლებშიც ანალოგიური სასმისებია აღმოჩენილი რკინის პირველი ნივთების გაჩენის და ან ადრეული რკინის ხანის პერიოდს განეკუთვნება[377]. საყურადღებოა, რომ ზუსტად ამ ფორმებს იმეორებს სამთავროში, თრიალეთში და დიღომში აღმოჩენილი მოჭიქული ნაწარმი. შესაძლოა ჭიქურის დამზადების ტექნიკა წინააზიური ამ რიგის ნივთებიდან მომდინარეოდეს, მაგრამ ფორმათა სრული იდენტურობის გამო, ასევე ადგილობრივ ნაწარმად იქნას მიჩნეული.

სრული მსგავსება ფორმის მიხედვით ბრინჯაოს სიტულებთან, რომელთა კოლხური კულტურისადმი მიკუთვნება საკამათო არ უნდა იყოს[378], კიდევ უფრო ამაგრებს ამ მოსაზრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სიტულის ფორმის კოჭბები გამოჩენას იწყებს აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.ნ. II ათასწლეულის დასასრულისთვის, საიდანაც ისინი კოლხეთის ტერიტორიაზე ვრცელდება დაახლოებით ძვ.ნ. VIII ს-ის ახლო ხანებში. ამ პერიოდში ჩანს ისინი კავკასიონის სამხრეთი კალთების ტერიტორიაზე (ბრილის დასაკრძალავი მოედანი), თუმცა

374. 25 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

375. Рамишвили Ал., О назначении стоянок с "текстильной керамикой" Восточного Причерноморья, СА 1975, № 4 გვ. 43-44.

376. ბარამიძეები რ., სამთავრო სამაროვანზე აღმოჩენილი.., ქრონოლოგიური ტაბულა; ბარამიძე მ., შიდა ქართლი გვიანბრინჯაო.., გვ. 135-143; მისივე, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, მსკა, VI, თბ., 1974, გვ. 133-134; მისივე, Об одной группе керамики Восточного Закавказья, ხელნაწერი, მოხსენება წაკითხული იყო არქეოლოგიური სექტორის სხდომაზე 1969 წელს; სულთანიშვილი ირ., აღმოსავლეთ საქართველოს მოჭიქული ნაწარმი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშათა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, 1977.

377. ბარამიძე მ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 133-134.

378. სახაროვა ლ., ბრინჯაოს უძველესი მბატერული ჭურჭელი საქართველოში, საბჭოთა ხელოვნება, № 12, 1965.

განსაკუთრებით გავრცელებას აღწევენ ძვ.წ. VII საუკუნისთვის. ჩრდილო კავკასიაში, ყობანის სამაროვანზე მათი გამოჩენა შეინიშნება მხოლოდ ძვ.წ. VI საუკუნიდან[379], რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი სწორედ კოლხეთიდან ერთ-ერთი სამხრეთული ტალღის მიერ არიან ყობანში შეტანილი[380].

კოჭბების ჯგუფში გამოიყოფა კიდევ ერთი რიგის ნაწარმი. ანალოგიური პროფილის და ზომის რამდენიმე ჭურჭელს (პალურის „საძვლე", ნიგეზიანი, ფიჩორი III-IV და VIII ბორცვები), მხარზე მიძერწილი აქვს ზემოთ აცქვეტილი ოვალურგანიკვეთიანი სახელური. მსგავსი სახელურები დადასტურებულია ფიჩორი I, II-III ფენებში, პალურის, ჟირ სუკის II ფენაში, ნაოხვამუს ქვედა ფენაში, მაგრამ ისინი უფრო მასიურებია, მრავალგანივკვეთიანი და ზოგჯერ ღილისებრი ბოლოთი დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახელურიანი კოჭბები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს, ძირითადად, შიდა ქართლის რკინის ხანის (ძვ.წ. VIII-VI სს.) მასალებში. ასეთია სამთავროში ოთხი შემთხვევა, კასპში ორი, უფლისციხეში, თრიალეთში და წეროვნის „დიდგორაზე" თითო[381]. ამგვარად აშკარაა, რომ ჭურჭლის მსგაესი სახელურით შემკობა ქრონოლოგიურად წინარეანტიკური ხანისათვის უნდა იყოს ნიშანდობლივი.

ქოთნები ძალზე მრავალრიცხოვანია და ძირითადად ორ სახესხვაობას იძლევა. პირველი ხასიათდება მეტნაკლებად სწორი, ცილინდრული ტანით, ოდნავ გაშლილი პირით და ფართო ბრტყელი ძირით. მეორე ჯგუფი ხასიათდება ბირთვისებური ტანით, დაბალი, ზოგჯერ ჩაღარული ყელით და გადაშლილი, გადმოკეცილი პირით. ორივე ჯგუფის კერამიკა თხელკედლიანია და ორნამენტირებული ყელზე ღარებით ან ფრჩხილისეული და სოლური ორნამენტით. ზოგიერთზე გვხვდება ვიწრო, სიგრძივი კანელურები და პრიალა ხაზები. ტიპოლოგიურად მსგავსი ჭურჭელი გეიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურების ყველა პერიოდებშია წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ ორნამენტის ხასიათშია. აღარა გვაქვს რთული კომბინირებული შემკობა, ამ ჯგუფზე იშვიათი გამონაკლისია სავარცხლისკბილისეული შტამპი და რაც ძალზე ნიშანდობლივია, სრულიად არ გვხვდება ზენური ხვიები, რომლებიც ტიპიურია ნაოხვამუ – დაბლაგომის ანალოგიური ქოთნებისთვის. აქედან გამომდინარე ჩვენ ვთვლით, რომ დაბლაგომი — ნაოხვამუ III რამდენადმე ადრეულია ვიდრე პალურის „საძვლე".[382] ეს მოსაზრება გარკვეულად დაადატურა აფხაზეთის ნამოსალარებმა, სადაც ზენური ხვიები გვხვდება მხოლოდ ფიჩორის I-ის და II ფენაში და არ დასტურდება ზემოთხსენებულ არც ერთ ბორცვზე. აქედან გამომდინარე ქოთნების განხილული ჯგუფი, შესაძლოა გამოდგეს ქრონოლოგიური გამოჯვნის არგუმენტად.

თიხის ჭურჭლის შემდგომ ჯგუფს სასმისები წარმოადგენს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა. მათშიც ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: პირველში ვაერთიანებთ დაბალ ჭიქისებურ სასმისებს, როლებსაც ცილინდრული უყელო ტანი და ბრტყელი ძირი ახასიათებთ, მეორეში კი გაერთიანებულია გამოყვანილი, ზოგჯერ ქუსლიანი ძირის მქონე, ტანგაშლილი სასმისები. ეს უკანასკნელები ე.წ. კოლხურ სასმისთა მოგვიანო ვარიანტებს უნდა წარმოადგენდნენ. მსგავსი პროფილის ჭურჭელი უფრო ადრეული ფენებისთვისაც ჩანს დამახასიათებელი. მათი ზედაპირი ჩვეულებრივ ტალღოვანი ორნამენტით არის შემკული, წინარეანტიკური ხანის სასმისები კი სადა ზედაპირიანია, უორნამენტო. იშვიათად პირის ქვეშ 1 ან 2 ღარი შემოუყვება. არ ჩანს ამ მასალებში კოლხური სასმისის გოფრირებულზედაპირიანი ნიმუშები, რაც ტიპიურია ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური კერამიკისათვის.[383] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ისევ ჩნდება კოლხურ სასმისთა ტანის ტალღოვანი ორნამენტით დაფარვის ჩვევა.

სასმისების ჯგუფში გამოვყოფთ კიდევ ერთი ფორმის ნაწარმს. მას აქვს პანია ფორმა, ბოლოში ნაწვეტებული, ოდნავ მოყრილი სწორი პირი. ზოომორფულშვერილიანი ყური პირის ქვეშ ტანზეა მიძერწილი. ჩვეულებრივ მთელი ზედაპირი სიგრძივი კანელურებითაა შემკული. ანალოგიური ჭურჭელი არ არის დიდი რაოდენობით ცნობილი. გვხვდება ისინი ნიგეზიანის სამაროვანზე, ფიჩორი IV, „აბაჟუზე", ნამჭედურში და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი ფორმის, მხოლოდ ყურის გარეშე, სასმისები ცნობილია სამთავროდან, კასპიდან, სადაც მათი გაჩენა გეიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ბოლოდან არის საგულისხმებელი. არსებობენ ძირითადად ძვ.წ. II

379. Крупцов Е. И., Древная история Северного Кавказа, М., 1960; Алексеева А. П., Позднекубанская культура Центрального Кавказа, Ученные записки ЛГУ, вып. 13, Л., 1949.
380. სამხრეთული ინოვაციების შესახებ ყუბანურ კერამიკაზე იხილეთ ქვემოთ.
381. ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, გვ. 39.
382. ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ., პალურის „საძვლე", გვ. 100-101.
383. ლორთქიფანიძე ოთ., და სხვ; ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა.

ათასწლეულის მეორე ნახევრის განმავლობაში.[384] დასავლეთ საქართველოს მასალებში მათი გაჩენა მხოლოდ წინარეანტიკურ ფენებს უკავშირდება, თუმცა ამ ფორმის სასმისის ბრინჯაოს საკიდი აღმოჩენილია ბრილის აკლდამაში, რომელიც შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდით თარიღდება.[385] ქრონოლოგიური ლაკუნა მათ შორის ისეთი დიდია, რომ ძნელია ილაპარაკო მათ შორის გენეტიკურ კავშირზე.

წინარეანტიკური ხანის მასალებს შორის განსაკუთრებული სიმრავლით ჭურჭლის ყურები გამოირჩევა. გვხვდება როგორც სადა, მრგვალ ან ოვალურგანიკვეთიანი ყურები, ისე ზოომორფულშვერილიანი. ამ უკანასკნელთა ქრონოლოგიური დიფერენცირება ჯერჯერობით ძალზე რთული ჩანს. არის ზოგიერთი ნიუანსი, რომელიც შესაძლებელს ხდის მათ ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიურ გამიჯვნას. მაგალითად, კოჭისებურშვერილიანი ყურები მხოლოდ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვისაა დამახასიათებელი,[386] ხოლო ორკაპა ტოტისებური, ირიბად წაკვეთილბოლოებიანი, შუაში ჩაღრმავებულია ყურები სპეციფიკური ძვ. წ. II ეტაპისათვის. ეს ყურები შესაძლოა წარმოადგენდეს ლილვაკისებრი, შუაში ჩაზნექილი ყურების წინარე ვარიაციას.[387] ამდენად წინარეანტიკური ხანისათვის ყურის ეს ვარიანტი უკვე ჩამოყალიბებული და გარკვეულად სტილიზებულია. ჩვენი აზრით ლილვაკისებრი დანაძერწები ყურზე გენეტიკურად შესაძლოა კოჭისებრშვერილიან ყურებთან იქნას დაკავშირებული. ამგვარ წინარე ვარიანტად წაკვეთილბოლოიანშვერილიანი ყურები ვერ გამოდგება, რადგან ამ ფორმის ყურები, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც თავს იჩენს მოგვიანო მასალებში.

ყურების ფორმირებაში მთელი გვიანბრინჯაოს ხანის განმავლობაში ერთი სპეციფიკა მაინც აშკარაა. თუ პირველი რიგის ყურები ტიპოლოგიურად ფაქტობრივად უცვლელია, მეორე ზოომორფულშვერილიანი ხშირად უმნიშვნელო, ფორმალურ ცვლილებებს განიცდის. ჩვეულებრივ ის გამოიხატება ყურის ღეროს ორნამენტირებაში. თუ ადრეულ ეტაპზე ყურები ხშირად სავარცხლისეული შტამპით ან ირიბი ჭდეებით არის შემკული, ამ მოგვიანო საფეხურზე შემკობა ძირითადად ყურის ზედა ნანილზეა (შვერილზე) დაგატანილი, თითქმის უცნობია ტანის დაკუთხვა, სიგრძივი დალარვა ან გოფრირება.

წინარეანტიკური ხანის კერამიკა შემკული ჩანს ორი ჯგუფის შვერილებით. კოპისებრი შვერილი ყველაზე სპეციფიური ელემენტია დასავლეთ საქართველოს მასალებში მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში. გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდის მასალებისთვის სპეციფიურია კოპის ირგვლივ ღარულ ან რკალური ორნამენტის დატანვა. მოგვიანო ხანებში კი ეს ორნამენტი არ ჩანს. შეინიშნება მხოლოდ ერთი რამ – ზოგიერთი კოპი ნახნაგოვანგანიკვეთიანია და არა მრგვალი. ვფიქრობთ, ამ ელემენტს არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარი კოპები ერთეული და თანაც მსგავსი ჭრილის შვერილები გვხვდება ადრეულ მასალებშიც (ფიჩორი I, II-III ფენები).

მეორე ჯგუფის შვერილებში ვაერთიანებთ ბრტყელ, ოდნავ პირისაკენ აწეულ ოთხკუთხა ფორმის შვერილებს. ამ რიგის ნაკეთობა არაა მრავალრიცხოვანი და გვხვდება პალურის „საძვლეს", ჟირ-სუკის II ფენაში (ძვ. წ. VII-VI სს.), საგვიჩიოს პატარა „კონძას" ზედა ფენაში, აბედათის დიხა-გუძუბას მიმდებარე ვაკე ტერასაზე არსებულ ფენაში.[388] უკანასკნელ ხანებში მსგავსი შვერილები აღმოჩნდა ფიჩორის II, III და V ბორცვების წინარე და ადრეანტიკურ ფენებში. ამგვარად, შესაძლებლად მიგვაჩნია მათ ქრონოლოგიურ განმსაზღვრელ ელემენტად მიჩნევა.

როგორც დავინახეთ წინარეანტიკური ხანის კერამიკა ძალზე მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი. აქ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ძირითადი, პერიოდის განმსაზღვრელი მასალები. არ არის გამორიცხული მათი ფორმების შემდგომი კელევის განვრცობა. დიდი უმრავლესობა ორნამენტირებულია ღარებით, ტეხილი თუ თევზიფხური სახეებით, კანელურებით, სავარცხლისეული შტამპით, ჭდეებით, სიგრძივი ან პრიალა ხაზებით, პარკეტული, ბადისებრი ან გეომეტრიული სახეებით. მაგრამ ჭურჭლის შემკობაში დეკორს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ეტაპის კერამიკა ორნამენტის თვალსაზრისით ერთფეროვანია და ღარიბი, თუ გავიხსენებთ წინარე პერიოდების მასალებს, ეს განსხვავება თვალშისაცემია. გვიანრინჯაოს ხანის ადეული საფეხურის რთული, კომბინირებული მდიდრული ორნამენტაცია ადგილს უთმობს შედარებით მდარე, ღარიბულ, მარტივ ორნამენტალურ მოტივებს. სახეზეა ორნამენტაციის დეგრადირების სურათი, რაც

384. ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი.
385. ბარამიძე მ., ბრილის აკლდამა.
386. ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ., პალურის „საძვლე", გვ. 101.
387. მიქელაძე თ., ძიებანი ...., გვ. 56.
388. ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

გრძელდება მომდევნო პერიოდშიც. რით ავხნათ ეს გარემოება? ჩვენი აზრით, საქმე უნდა გექონდეს თიხის ნაწარმის ფორმირებაში ტექნოლოგიურ ცვლილებათა პროცესთან. ადრეული ეტაპის დასავლური ნაწარმი უკლებლივ ხელითაა ნაძერწი. ჩარხის გამოყენების ნიშნები შეინიშნება მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან. ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში ჩარხზე ნაკეთები ჭურჭელი ვერ დევნის ხელით ნაძერწს და ორივე რიგის ნაწარმის, თითქმის თანაარსებობს. მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის II მეოთხედიდან ჩარხი თითქმის მთლიანად აძევებს ხელით შრომას. ადრეანტიკური ხანისათვის კი ყველა ჭურჭელი მხოლოდ ჩარხზეა დამზადებული. ჩარხის გამოყენება სერიული ნარმოების საფუძველს ნარმოადგენს. ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმის ტიპოლოგიური სიმცირე თავს ინახავს თითქმის ნინარეანტიკურ პერიოდამდე.[389] ერთხელ ჩამოყალიბებული ფორმა არსებობს მოგვიანო ხანამდის. ჩარხის საბოლოო გამარჯვების შემდგომ, სახეზე გვაქვს ახალი ფორმების ჩამოყალიბება-გაჩენის სურათი. ნინარეანტიკური კერამიკა უკვე ხასიათდება ფორმათა მრავალგვარობით. კიდევ უფრო თვალშისაცემია კოლხურ ფორმათა სიმრავლე ადრეანტიკური და ელინისტური ხანებისთვის. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ორნამენტაციის თვალსაზრისით ამ უკანასკნელის ნაწარმი აშკარად ჩამორჩება ნინარეანტიკური ხანის კერამიკასაც კი, თუმცა ფორმათა სიმრავლე აშკარაა.

ამგვარად, ცხადია, რომ ჭურჭლის ხელით ძერწვის დროს ხელოსანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მდიდრულ, დახვეწილ ორამენტალურ სახეებს. სერიული ნარმოების გამარჯვების შემდგომ, რაც ჩარხის გამოჩენას მოყვა, ძირითადი აქცენტი გადადის ახალ ფორმათა შექმნის პროცესზე, ისე რომ ძველი, ადრეული ფორმები მთლიანად არ იკარგება. ასეთ შემთხვევაში ორნამენტს უკვე აღარ ენიჭება თავდაპირველი მნიშვნელობა და პირველ რიგში გამოდის თვით ფორმების სიმრავლე და დახვეწილი იერი. კოლხური კერამიკის განვითარების საერთო სურათში ეს მომენტი, ჩვენი აზრით, უდაოდ გასათვალისწინებელია.

ამ პერიოდში შექმნილი ფორმები აგრძელებს არსებობას მთელი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის განმავლობაში. ცვლილებას განიცდის თითოეული ამ ფორმის ცალკეული ელემენტი ან ორნამენტი. მაგ.: თიხის ბადიები მილისებრი შვერილით ჩნდება მხოლოდ მეორე ათასწლეულის მიწურულს, ხელადები მკვეთრად გამოყოფილი ქუსლით კი – მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის კომპლექსებში. ერთი სიტყვით, სახეზე გვაქვს ფორმათა ცალკეული ელემენტების ევოლუციური განვითარების სურათი. საკითხი თუ რითაა გამოწვეული კოლხეთში ჩარხის რამდენადმე გვიან პერიოდში გამოჩენა მომავალი კვლევის საკითხია.

389. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში ჩარხის გამოყენება შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან. ამის გამო ყველა ფორმა, რომელიც არსებობს ამ ეტაპზე გვიანამდის ინახავს თავს დანერილებით ამის შესახებ იხ. მ. ბარამიძე, შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში; მისივე, შიდა ქართლის კერამიკული ნაწარმი, ხელნაწერი, თბ., 1968.

თავი V

ძვ. წ. II-I ათასწლეულების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიის ძირითადი პრობლემები / ძვ. წ. XX-VI სს./

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძვ. წ. II-I ათასწლეულების კულტურათა მიმოხილვა, რაც წინა თავებში იყო მოცემული აშკარად გვიჩვენებს თუ როგორ მაღალგანვითარებულ, უაღრესად სპეციფიურ და თვითმყოფად კულტურასთან გვაქვს საქმე. მისი ყოველმხრივი, მონოგრაფიული შესწავლა კოლხეთის უძველესი ისტორიის დღემდე ბუნდოვან ბევრ საკითხს მოფენს ნათელს. ბუნებრივია ვერ მოვახერხებთ ამ კულტურის ყოველმხრივ, სრულყოფილ შესწავლას და ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ძირითად, განმსაზღვრელ მომენტებზე. საკვლევი პერიოდის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა – ისეთი როგორიცაა – კერამიკული ნაწარმის განვითარება და მის საფუძველზე ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფა, კულტურათა ცვლის პროცესი და გენეზისის საკითხები, კერამიკისა და ლითონის იარაღის ურთიერთმიმართება, ეთნიკური ატრიბუციის საკითხები, ტოპოგრაფია და არქიტექტურა, ზემოთ იყო განხილული და მასზე ბუნებრივია აქ აღარ ვჩერდებით. გვინდა ქვემოთ ყურადღება გაეამახვილოთ კოლხეთის ისტორიის ისეთ საკვანძო პრობლემებზე, როგორიცაა ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის ზოგიერთი ასპექტი, კავშირურთიერთობანი სხვადასხვა რეგიონებთან, ნამოსახლართა და სამაროვანთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები და სხვა. ე. ი. პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავენ უძველეს არქეოლოგიურ კოლტურათა არსს და გარკვეულად მაჩვენებელი არიან აქ მიმდინარე ისტორიული პროცესების.

§ 1. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან (ტბ XVII-XX)

სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია კაცობრიობის ისტორიის უდიდეს მონაპოვართა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კულტურის დონის განმსაზღვრელია. საწარმოო იარაღის ტიპოლოგიური სიმრავლე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიურ კულტურათა შესახებ. ძვ. წ. III ათასწლეულიდან (მაინც) საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ლითონის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის ყველა ფორმა, რომელიც შემდგომ პერიოდებში ფორმათა დახვეწის თუ ახალ სახეობათა შემუშავება-ჩამოყალიბების გზით წარიმართა. სპეციალურ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ლითონის სხვადასხვა იარაღის ჩამოყალიბების ჩვენების გზით არის მიმართული. ფაქტობრივად არ არის არც ერთი ნაშრომი, რომელიც გარკვეული მიმართულებით მაინც არ ეხებოდეს ამ საკითხებს. ნაშრომის შესაბამის ნაწილში ლითონის იარაღისადმი ტრადიციულ მიდგომას არც ჩვენ უარვყოფთ და ვცდილობთ, ვაჩვენოთ ლითონის ძირითადი ფორმების იარაღის განვითარების ზოგადი სურათი. ამჟამად კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეტალურგიის განვითარების იმ საწარმოო ბაზაზე, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება. საქმე ეხება უძველეს სამთომომპოვებელ გამონამუშევარს, რომლებიც დადასტურებული და ნაწილობრივ შესწავლილია კოლხეთის მთიან ნაწილში.[390]

მეტალურგიის ჩასახვის და განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნედლეულის პრობლემას. ეს უკანასკნელი კი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: მეტალის სათბობის და წყლის მარაგი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია. კავკასიონის მთიანი მასივი, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის მთიანეთი, მდიდარია ყველა ამ კომპონენტით. მათ შორის მთავარი და გადამწყვეტი სპილენძის მადანი ძირითადად სულფიდური მადნებით არის წარმოდგენილი. წყლის, ჟანგბადის თუ ნახშირმჟავის მოქმედებით ეს სულფიდური მადნები გარდაიქმნა მეორად მინერალად, რომელიც წარმოდგენილია ზეჟანგებით, კარბონატებით ან ამ რიგის სხვა შენაერთებით. აქედან გამომდინარე სპილენძის სულფიდური მადნებიდან ამიერკავკასიაში ვხვდებით მალაქიტს, აზურიტს, კუპრიტს, ხრიზოკოლას და სხვა მინერალებს.[391] გვხვდება თვითნაბადი სპილენძიც, ძალზე მცირე სხვადასხვა სახის მინარევით. აღსანიშნავია, რომ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე თვითნაბადი სპილენძის დიდი მარაგი არ არის დაფიქსირებული, რაც შეიძლება ბუნებრივი გარემო

390. ბარამიძე მ., აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტ. II, თბ., 2013, გვ. 43-50.
391. Тавадзе Ф., Сакварелидзе Т., Бронзы древней Грузии, Тб., 1959, стр. 11-13.

პირობებით აიხსნას. საპირისპირო სურათი ჩანს მცირე კავკასიონის ზონაში (გურია-აჭარის მთიანეთი), სადაც თვითნაბადი სპილენძის დიდი მასივებია დაფიქსირებული (ართვინის ოლქი, სოფ. ხოდ-ელია, ენი-რაბათი, ლონგათი, ქედა), რომლებიც ნარმოქმნილია ძირითადად ხალკოპირიტის დაშლის შედეგად.[392] აღსანიშნავია, რომ მინარევის სახით კავკასიის სპილენძის მადნებისათვის ყველაზე ხშირად დარიშხანის შემცველობა ფიქსირდება, რაც დადასტურებულია არქეოლოგიურ ნაკეთობათა ქიმიური ანალიზებით.[393] კავკასიონის სამხრეთი კალთების ტერიტორიაზე სპილენძის გამოსავლები მრავალ პუნქტშია დადასტურებული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ზემო და ქვემო რაჭის, სვანეთის, ლეჩხუმის, აფხაზეთის, სვანეთის და სხვა რეგიონები, სადაც ხშირად სპილენძის გამოსავლების მახლობლად ნიდების ნაყარიც ჩანს.[394] ამგვარად აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მეტალურგია ვითარდებოდა ადგილობრივ საფუძველზე. ეს მშვენივრად დასტურდება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გამოვლენილი ისეთი სპეციფიური ძეგლებით, როგორიცაა ანთიმონის და სპილენძის უძველესი სამთო გამონამუშევრები. სადღეისოდ ამ რიგის ძეგლები ძირითადად თავმოყრილია მთის რაჭის, სხვანეთის და ე.ნ. აფხაზეთის სვანეთის რეგიონებში. მათ შორის ყველაზე სრულად შესნავლილი ჩანს რაჭის სამთომადნო მეტალურგიული კერა მდ. რიონის ზემო ნელის და მისი შენაკადების ზოფხითურას, ჩვეშურას და ლუხურის მიდამოებში.[395] აქ ზღვის დონიდან 1300-2000 მ. სიმაღლეზე მიკვლეულია რამდენიმე ათეული სპილენძის (ხალკოპირიტი, პირიტი, მალაქიტი, აზურიტი) გამონამუშევარი, რომელთაგან უძველესებს გ. გობეჯიშვილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს. ეს გამონამუშევრები ნარმოდგენილია ძირითადად ორი ტიპის მაღაროებით. ესაა რთული პროფილის, რამდენიმესართულიანი მაღაროები და მარტივი ნოლხვრელები. როგორც ირკვევა ეს უკანასკნელები ძირითადად საძიებო შტოლნებია, რომლის მიზანია მოხვდნენ სპილენძის ძარღვზე. ამ თვალსაზრისით სოფ. გონას მიდამოებში დასტურდება რამდენიმე ნოლხვრელი, რომლებიც შეჭრილია მთაში 10-15 მ. მანძილზე და შემდგომ მუშაობა შეწყვეტილია, ვინაიდან ვერ მოხვედრილან ძარღვზე. არის შტოლნები, რომლებსაც მიუღწევიათ სპილენძის მადნამდე და შემდგომ ისინი მიყვება უკვე ძარღვს. ჩვეულებრივ ამგვარი შტოლნები ბოლოვდება მოზრდილი კამერებით, საიდანაც მთლიანად არის ამოღებული მადანი. ამგვარი კამერების ზომები სხვადასხვაა და მერყეობს 2-5 მ. სიმაღლის და 6-7 მ. სიგანის ფართამდის. ამგვარი კამერები დასტურდება რთული პროფილის რამდენიმე სართულიან მაღაროებშიც, რომლებიც ნოლხვრელებისა და შტრეკების მიერ არის ნარმოქმნილი. სამთომადნო გამონამუშევართა სიმრავლე და ძალზე უხეში გაანგარიშება, თუ რა რაოდენობის მადანია გამოტანილი მარტო გონის მეტალურგიული კერიდან რამდენიმე ათეულ ათას ტონას გვიჩვენებს, რაც არათუ მარტო რეგიონს, არამედ უფრო ფართო ტერიტორიასაც დააკმაყოფილებდა. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რაჭის მაღაროები ძირითადად სპილენძის სულფიდური მადნების მოპოვებისთვისაა გამოყენებული, თუმცა ვხვდებით ანთიმონის მაღაროებსაც (ადგილი კირტიშო, ხვარძახეთი). სწორედ ამ უკანასკნელებში დასტურდება მადნის მოპოვება გახურებით და შემდგომ წყლის დასხმით. ამგვარი ტემპერატურული ცელილება იწვევდა კლდის ქანების დანაპრალებას. ჩანს გამოიყენებდნენ ხის სოლებსაც. მადნის მონგრევა ხდებოდა ქვის მოზრდილი ურიოებით, რომლებიც ძირითადად, მაგარი ჯიშის ქვის, გრანიტის ან გაბროდიაბაზისაგან არის დამზადებული. ამგვარ ურიოს შუა ნანილში ხეხვით მიღებული 2-3 სმ. სიფართის ღარი შემოუყვება. სწორედ ამ ღარის მეშვეობით მაგრდებოდა ურო ხის ტარზე და შეიკვრებოდა ღვედით. ამგვარი ურიოები მრავლადაა აღმოჩენილი თითქმის ყველა ცნობილ გამონამუშევარში, მაგრამ სამწუხაროდ მათი დათარიღება არ ხერხდება. ისინი ადრე ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ადრე რკინის ხანის ჩათვლით დროის ძალზე დიდ მონაკვეთში ჩანან გამოყენებული.

მადნის მოპოვების აღწერილი წესი ძირითადად ადრეულ მაღაროებშია დადასტურებული, თუმცა გვხვდება მოგვიანო ხანაშიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება

392. **Вернадский В. И.**, Избранные сочинения, т. II, М., 1955, გვ 272.

393. **Тавадзе Ф., Сакварелидзе Т.**, დასახ. ნაშრომი; **ჯაფარიძე ო.**, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის ნარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1955; **ჯაფარიძე ო., აბესაძე ც., ბახტაძე რ.**, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის, თბ., 1958.

394. **Топурия П. А.** О шкалах Рачи и Лечхуми, Тб., 1938; **Шарашидзе Г. Н., Кереселидзе Г.П. Канделаки Д. Н.** Отчет Тихоморской геологоразведочной партии по работам 1957г., Тб., 1958; **ტოგონიძე გ., რეხვიაშვილი ა.ა., სურგულაძე ს.**, ზემო-რაჭის გეოლოგიური პარტიის ანგარიშები 1954-60 წწ., გეოლოგიის დეპარტამენტის ფონდები.

395. **გობეჯიშვილი ა.ა.**, ღების უძველესი სამთომეტალურგიული კერა, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, 1952, N 3; მისივე, არქეოლოგიური გათხრები ....., გვ. 53-57; მისივე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია. 1960-61 წწ. რაჭის მაღაროების შესნავლაში ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას. კერძოდ, ეხელმძღვანელობდი ჭყორნალიანის და ჩვეშოს საძიებო შტოლნების შესნავლას და ქვაციხურას ფუჭე ქანების ნაყარის გათხრას. ამდენად რაჭის მაღაროების შესახებ მსჯელობა დასახელებულ ლიტერატურაზე და ჩვენს საველე დღიურზეა დაფუძნებული.

სამუშაოები, რომლებიც წარმოებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბაშკაპცარას სამთომადნო გამონამუშევრებში.[396] აქ აშკარად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის პირველი ნახევრის გამონამუშევრებში ცეცხლისა და წყლის გამოყენება მადნის მოსაპოვებლად ექსპერიმენტალურად იქნა დადასტურებული. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ 1 მ³ მადნის შემცველი კლდის მონგრევა ცეცხლისა და წყლის მეშეუობით ოთხი მუშის მონაწილეობით მოხერხდა ორი, შვიდსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში. საყურადღებოა, რომ მაღაროდან გამოტანილი ქანების გადანაყარში აღმოჩნდა მოყავისფროდ გამომწვარი, თხელკედლიანი, წვრილმარცვლოვანი, კვარცნარევი ცომისაგან დამზადებული პირგაშლილი, ყელჩაღარული სფერულმუცლიანი ნახატები. მისი მხარი შემკულია ჭრილი სამკუთხა და თევზიფხური სახეებით და ირიბი ჭდეების სარტყლით. ანალოგიური კერამიკა ცნობილია ტამიშის ნასახლარის ქვედა და ფიჩორი I-ის II კულტურულ ფენებში, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით და I ათასწლეულის სანყისით თარიღდება. ეს მომენტი განსაკუთებით აღსანიშნავია, რადგან კავკასიის სამთომეტალურგიულ ცენტრებში დამათარიღებელი მასალა ძალზე ცოტაა.

რაჭის მაღაროების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოგვიანო გამონამუშევრებში ცეცხლისა და წყლის გამოყენება ნაკლებად შეინიშნება. სამაგიეროდ ამ მაღაროების კედლებზე ხშირია ლითონის სატეხისებური, სოლისებური იარაღის ანაბეჭდები (ჭყორნალიანი, ჩვეშო). სამწუხაროდ, ამგვარი იარაღი თვით მაღაროში არ ყოფილა აღმოჩენილი, თუმცა მსგავსი ნივთის ყალიბი დადასტურდა ჭყორნალიანის № 1 მაღაროდან გამოტანილი მადნის ფუჭე ქანების გადანაყარში.

ამგვარად აშკარაა, რომ რაჭის მაღაროები არსებობს დროის ძალზე დიდი მონაკვეთის განმავლობაში ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე. მართალია, ჯერჯერობით თვითოეული მაღაროს კონკრეტული დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ მთიანი რაჭის ამ რეგიონში აღმოჩენილი მეტალის იარაღი, განსაკუთრებით ბრილის სამაროვანზე, აშკარად ადასტურებს რიონის სათავეების სამთომეტალურგიული ცენტრის სიმძლავრეს და მის უაღრესად მნიშვნელოვან როლს კოლხური და პროტოკოლხური კულტურებისათვის.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას მაღაროების დათარიღების სიძნელესთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ ამ გამონამუშევრებში არქეოლოგიური მასალა თითქმის არ არის. გამონაკლისია მხოლოდ ქვის ურიები და რამდენიმე შემთხვევაში ხის გობების ნაშთები, რომლებითაც ხდებოდა მადნის გამოტანა. მაგრამ შედარებით ზუსტ დათარიღებას არც ერთი მათგანი არ ექვემდებარება. რაჭის მაღაროებში ხშირია ხის მორებით შტოლნების გამაგრება, ისე რომ თითქოს იქმნება საფუძველი მათში რადიონახშირბადის შემცველობის განსაზღვრით გავარკვიოთ მაღაროების გაყვანის ასაკი. მაგრამ დათარიღების ეს მეთოდი რაჭის მაღაროებისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ჩვეულებრივ ყველა ძველ მაღაროში მოედინება წყლები. გამდინარე წყლის არსებობა კი სრულიად ცელის ხის მასლაში რადიონახშირბადის შემცველობას და იწვევს მის ხელოვნურ გაახალგაზრდავებას. მაგ.: ჩვეშოს №2 მაღაროდან აღებული ნიმუშები ლენინგრადის C_{14} ლაბორატორიის განსაზღვრით დათარიღდა ახ. წ. XVI-XVIII სს., მაშინ, როდესაც იგი ერთ-ერთი უძველესი მაღაროთაგანია მთელ ამ სისტემაში და მისგან გამოტანილი ფუჭე ქანების გადანაყარი არქეოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულზე უახლესი არ ჩანს.[397]

უკანასკნელ ხანებში რაჭის სამთომეტალურგიული კერის შესწავლის საკითხში ნაყოფიერად მუშაობდა მეტალურგი თ. მუჯირი. მან სამთო ტექნიკის გათვალისწინების საუძველზე მოგვცა რაჭის მაღაროების ტიპოლოგიური განვითარების სქემა, რაც ზოგადად ჯდება მსოფლიო სამთომადნო გამონამუშევრების საერთო განვითარების ხაზში.[398] ჩვენი აზრით, გამონამუშევართა ამგვარი ტიპოლოგიური განვითარების ხაზი მარტივიდან რთულისაკენ ზოგადად სწორია, თუმცა რიგ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ შტოლნების დანიშნულება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ნოლხვრელთა ნანილი საძიებო ხასიათისაა და იმის გამო, რომ არ მოხვედრილა სპილენძის მადნის ძარღვში, დაკონსერვებულია. ამგვარი სურათი კიდევ უფრო ართულებს მათ დათარიღებას, რადგან ისინი ვერ მოექცევიან მაღაროთა განვითარების ზემოხსენებულ სქემაში. ტიპოლოგიურად ისინი გაერთიანდებიან ადრეულ ჯგუფში, მაშინ როდესაც შესაძლოა აღარ გარდაიქმნენ შედარებით მოგვიანო ტიპის მაღაროდ.

---

396. Бгажба В. В., Отчет археологического изучения Башкапцарсских рудников в 1985 г. ПАИ Абхазии за 1985 г., Тб., 1987.
ე. ბგაჟბამ ბაშკაპსარის სემინარზე, რომელიც ეძღვნებოდა ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხებს, გააკეთა ინფორმაცია ამ ძეგლის ადგილზე ჩვენებით.

397. ჩვენი აზრით, მაღაროების დასათარიღებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნას თერმოლუმინისცენციის მეთოდი, რომელიც მოგვცემდა ფუჭი ქანების ცეცხლში მოხვედრის (გამოხურების) ასაკს. ამ მიმართულებით კვლევა სამომავლო პერსპექტივაშია.

398. Муджири Т., Рачинскийгорнометаллургический центр, Башкасарский семинар.

ჩვენი აზრით, სადღეისო ვითარებიდან გამომდინარე თ. მუჯირის მიერ შემოთავაზებული სქემა ზოგიერთი დაზუსტებით უდავოდ მისაღებია და გასათვალისწინებელი. მაგრამ ეს სქემა შეძლებისდაგვარად უნდა დაზუსტდეს არქეოლოგიური ფაქტებით. საბედნიეროდ არსებობს ზოგიერთი არაპირდაპირი საბუთი ამ სქემის შესამაგრებლად. ამგვარია, მაგალითად ზემოთნახსენები ლითონის სატეხების ანაბეჭდები მოგვიანო მაღაროების კედლებზე. ამასვე ამაგრებს კიდევ ერთი ფაქტი. ჭყორნალიანის ორსართულიანი გამონამუშევანი ერთ-ერთი სრულიად უნიკალური მაღაროთაგანია. კავკასიონის სამხრეთის კალთების შემსწავლელმა ექსპედიციამ (გ. გობეჯიშვილი) გამოიკვლია 1960 წელს. გაირკვა, რომ მაღაროდან გამოტანილი მადანი და ფუჭი ქანი ჩამოტანილია დაბლა, დაახლოებით 1 კმ. მანძილზე, ადგილ ვაციხურაში. ამ ორ პუნქტს ერთმანეთთან აკავშირებს კლდეში გაჭრილი ბილიკი (ზოგ ადგილას გზის სიფართე 1,2 მ. აღწევს), რომელიც იწყება მაღაროს შესასვლელთან და მთავრდება ფუჭე ქანების გადანაყართან ე. ი. საქმე გვაქვს ერთ სინქრონულ კომპლექსთან. მაღაროს გაწმენდის პარალელურად ექსპედიცია სწავლობდა სწორედ ამ გადანაყარ ფენას (ოთ. ღამბაშიძე, მ. ბარამიძე). ამ ფენის საშუალო სისქე 4-4,5 მ. სიგრძე 120 მ. სიგანე კი 80 მ. აღწევს. აღნიშნულ ნაყარში დიდი რაოდენობით გვხვდება ხის ნახშირი; ცეცხლში ყოფნის კვალი ემჩნევა ზოგიერთ მადნისეულ ნატეხს. როგორც ჩანს აქ წარმოებდა მადნის პირველადი გამოხურება, მისგან ცეცხლზე დაჟანგვის გზით გოგირდოვანი მინარევების მოცილება. სწორედ ამ ნაყარში აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი, ალისებრი ფორმის, ბრტყელქედიანი, ორნამენტირებული ურთიერთმკვეთი ხაზებისაგან შექმნილი რომბებით. ვადა ბრტყელია, მომრგვალებული ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი. თავი ანტენისებრია, დაშვებული. ტიპოლოგიურად იგი კარგად უკავშირდება კოლხურ-ყობანურ სამყაროში ცნობილ სატევრებს, რის საფუძველზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით თუ I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღდეს. ზუსტად ანალოგიური ფორმის, მხოლოდ ორნამენტით განსხვავებული სატევარი, აღმოჩენილია ზემო ყობანის სამაროვანზე, რომელსაც ვ. კოზენკოვა ძვ.წ. X-VII სს. ჯგუფში აქცევს.[399] აქვე მახლობლად იქნა აღმოჩენილი ვარდისფერი ქვიშაქვის სამი ნატეხი, რომელიც ერთი კომბინირებული ყალიბის კუთვნილი ჩანს. მასზე შეიმჩნევა სატეხის, ბრტყელი ცულის (თუ სეგმენტის) ფორმები. ეს ნივთები კი სწორედ ნიშანდობლივია ზემოხსენებული პერიოდისათვის. ამ თარიღს ერთგვარად ამაგრებს მოყავისფროდ გამომწვარი რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი, რომლებიც ძვ. წ. II ჩანს. ამგვარად აშკარაა, რომ ჭყორნალიანის მაღარო, ისევე როგორც მისგან გამოტანილი ქანების გადანაყარი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულიდან I ათასწლეულის პირველი ნახევრით. თუ ეს ამოსავალი სწორია და ამგვარი დათარიღება მისაღებია და ეს თარიღი ეხება ერთ-ერთ ყველაზე მოგვიანო მაღაროს, აშკარაა, რომ დანარჩენი გამონამუშევრები, უფრო არქაული ხანით უნდა დათარიღდეს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელი გვეჩვენება თ. მუჯირისეული სქემის გამოყენება დათარიღებისათვის.

ასევე ძალზე ძნელია რაჭის სამთომადნო გამონამუშევრების ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენა. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე მაინც ეს საწარმოო კერა უდაოდ ფუნქციონირებს. რაზეც ზემომოყვანილი ჭყორნალიანის მაღაროც უნდა მიგვითითებდეს. აღმიშნული ნივთები ნაყარი ფენის ქვედა დონეზეა გამოვლენილი და ბუნებრივია მის თავზე წარმოქმნილი 4მ. სისქის ფენა გარკვეულ დროს მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ჭყორნალიანის მაღაროს გადანაყარი არ არის ყველაზე მძლავრი. ჩვეშო II მაღაროდან გამოტანილი ფუჭე ქანის სისქე 16 მ-ია, სიგანე 100 მ. და სიგრძე 75 მ. აღწევს. ტიპოლოგიურად ჩვეშო II, ჭყორნალიანი I სინქრონული ჩანს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული რაჭის მაღაროებიდან რამდენიმე ათეული ათასი ტონა მადანია გამოტანილი. გ. გობეჯიშვილი ამ რაოდენობას რამდენიმე 100000 ტონით განსაზღვრავს[400].სადღეისოდ ამ მაღაროთა რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდილია. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ აქაური სამთომეტალურგი ტომები ამ რაოდენობის მადანს მარტო თავის საჭიროებისათვის არ აწარმოებდნენ. ბუნებრივია მადანი ჩნდება ექსპორტის ძირითადი წყარო. ის გარემოება, რომ უკვე შუა და განსაკუთრებით გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის კოლხეთში შეინიშნება ცალკეული მეტალდამამუშავებელი კერების არსებობა ძალზე ნიშანდობლივია. ერთიანი კულტურის შიგნით ყალიბდება სახელოსნოები, რომლებიც შემოტანილ მადანზე მუშაობს. ეს მით უფრო აშკარაა, რომ კოლხეთის დაბლობზე, სადაც შეინიშნება მთელი რიგი ამგვარი კერები, არ არის სპილენძის რაიმე საბადო. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრეც არის საგულისხმებელი. ყოველ შემთხვევაში ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის გათხრებმა აშკარად გვიჩვენა, რომ ამ მიკროტერიტორიაზე უკვე

399. Козенкова В., Культурно-исторические процессы..., М., 1996, გვ. 98-99, სურ. 96-3.
400. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები ...., გვ. 54.

ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის საქმე გვაქვს მძლავრ მეტალდამამუშავებელ სახელოსნოსთან, რომელიც შემოტანილი მადნის ბაზაზე მუშაობს.[401] სადღეისოდ ძნელია ვამტკიცოთ, რომ იგი მადნით მარაგდებოდა სწორედ რაჭის საბადოებიდან. შესაძლოა გამოყენებული იყო სვანეთის ან აფხაზეთის სვანეთის საბადოები.[402] ეს საკითხის მეორე მხარეა და საკვლევი, ერთი რამ კი მაინც აშკარაა რაჭის სამთამადნო გამონამუშევარი კერის სიმძლავრე ისეთი მასშტაბებისაა, რომ იგი მთლიანად დააკმაყოფილებდა მთელ იმდროინდელ კოლხურ სამყაროს მადნით. არ არის გამორიცხული მადნის ექსპორტირება უფრო შორეულ რეგიონებშიც. ამ თვალსაზრისით უდავოდ თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ რაჭაში ბრილის სამაროვნის I ათასწლეულის შუა ხანების სამარხებში ძალზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იმპორტული ნაწარმი – ეგვიპტური (ნავკრატისი) წარმოშობის მინის მძივები, სკარაბეები, ამფორისკები, ფინიკიური მონეტები თევზის გამოსახულებით. დასაელეთ საქართველოს ჩვენთვის ცნობილ ამ პერიოდის არცერთ ძეგლზე არ ვხვდებით ამდენ იმპორტულ, ეგვიპტურ სამკაულს, რაც ბრილშია. თითო-ოროლა მძივი კოლხეთის დაბლობ ზოლში და კილოგრამობით ოგივე ნივთები ბრილის სამარხებში. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის და განსაკუთრებით შუა ხანების პერიოდისათვის რაჭის სამთომადნო კერა გადის მსოფლიო არენაზე და მისი მადანი შესაძლოა აღწევს ეგვიპტემდეც კი. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ეგვიპტური ნაწარმის ამგვარი მოჭარბება რაჭაში.

ამ მოსაზრების შესამაგრებლად არსებობს კიდევ რამდენიმე, არაპირდაპირი საბუთი. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ეგვიპტეში სპილენძის საბადოები არის სინაის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთ უდაბნოში. მაგრამ აქაური საბადოები არ არის მდიდარი, და ეგვიპტის ბრინჯაოს მეტალურგია ძირითადად შემოტანილი მადნის ბაზაზეა განვითარებული.[403] პირველი მოხსენიება ეგვიპტეში სპილენძის მადნის შემოტანის შესახებ XVIII დინასტიის ეპოქას (ძვ. წ. 1580-1350 წწ.) განეკუთვნება. XIX დინასტიის (ძვ. წ. 1350-1200 წწ.) პერიოდში კი სპილენძი შემოჰქონდათ სირიიდან (რეჩენუ და ჯახი), დასავლეთ აზიიდან (არაპახიტი — თანამედროვე კირკუკი?), ჩრდილოეთ სირიიდან (ისი).[404] აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ტოპონიმი რეჩენუ, რომლის ლოკალიზება სირიის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება. ხომ არ გვაქვს აქ დაცული უძველესი ცნობა რაჭის შესახებ? ამგვარი ახსნის შესაძლებლობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ რაჭა, როგორც ტოპონიმი გვიანი წარმონაქმნი ჩანს, ყოველ შემთხვევაში წერილობით იგი XII ს-ზე უადრეს ხანაში დაფიქსირებული არ არის.[405] საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ ფაქტს მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ცნობილია, რომ სირიის სპილენძის მადნები მინარევის სახით ხშირად შეიცავს ნიკელს, რაც არ ახასიათებს კავკასიის საბადოებს. თუ ჩვენ ავიღებთ ეგვიპტურ ნაკეთობათა ქიმიური ანალიზის ცხრილებს,[406] თვალშისაცემია მთელ რიგ შემთხვევებში სპილენძის გვერდით ნიკელის მინარევების არსებობა. ეს კი პირდაპირ უნდა მიუთითებდეს მადნის სირიულ წარმომავლობაზე. მაგრამ იმავე ცხრილებში ვხვდებით სხვაგვარ სურათსაც. არის შემთხვევები დარიშხანნარევი სპილენძისაგან იარაღის დამზადების. ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტი მათ კავკასიურ, კერძოდ ცენტრალური კავკასიონის რეგიონიდან მომდინარეობაზე. ჩვენი აზრით, საკითხის ამგვარი დასმის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. კიდევ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ის შემთხვევები, როდესაც მინარევში ანთიმონია ჩართული. ეს ელემენტი არც ეგვიპტისთვის და არც სირიისთვის არ არის დამახასიათებელი.[407]

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთიმონის გამოსავლები არ არის დაფიქსირებული ბევრ ქვეყანაში. დიდი რაოდენობით გეხვდება იგი ირანში, მცირე რაოდენობით ბერძნულ კუნძულებზე – ლესბოსსა და ხიოსზე. ანთიმონის კვალი დასტურდება ნიკელის მადნებში სენტ-ჯონის კუნძულზე წითელ ზღვაში. ეს უკანასკნელი კავკასიურ მადნებთან მიმართებაში ირიცხება ნიკელის შემცველობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანთიმონის მიღება მადნიდან ძალზე რთული პროცესია და ადრეული

---

401. **Барамидзе М. В., Джибладзе Л. В., Новый метталургический очаг в с Пичори, Башкасарский семинар;** ბარამიძე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიის ძირითადი საკითხები, იუნესკო-მაბის რეგიონალური კონფერენცია „ზღვა და ადამიანი", თბ., 1995, გვ. 26-29.

402. ფიჩორი I-ის VIII-VII ფენებიდან მომდინარე ლითონის იარაღის ნატეხები, ზოდები, წიდა მადნისეული ნარმოშობის განსასაზღვრად გადმოცემული იყო რუსეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი ე. ჩერნიხი, ექსპერიმენტის შემსრულებელი თ. თენეიშვილი), მაგრამ ესპერიმენტმა შედეგი არ მოგვცა.

403. **Лукас А.**, გვ. 319.

404. დასახ. ნაშრომი.; **Лукас А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

405. აკადემიკოს დ. მუსხელიშვილის ინფორმაცია.

406. **Лукас А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 710-715.

407 **Лукас А.**, დასახ, ნაშრომი, გვ. 308.

პერიოდებისათვის თითქმის შეუძლებელი. ამ წესით ანთიმონის მიღება მხოლოდ XV-XVI სს-ში გახდა შესაძლებელი. ეს გარემოება ერთგვარ საბუთს წარმოადგენს ეგვიპტური ანტთიმონის ნაკეთობების მასალად დასავლურ-კავკასიური წყაროს სავარაუდოდ. ეს მით უფრო შესაძლებელი გვეჩვენება, რომ ზემო რაჭაში დაფიქსირებულია ანთიმონის რამდენიმე ძველი გამონამუშევარი (ადგ. ხეარძახეთი, კირტიშო, ზოფხითო), საიდანაც რამდენიმე ათასი ტონა მადანია გამოტანილი.[408] საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტეში უძველესი ანთიმონის მძივები დადასტურებულია XXII დინასტიის (ძვ. წ. 945-745 წწ.). მასალებში. ფაქტობრივად ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში უმაღლეს დონეზეა ბრინჯაოს მეტალურგია და გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ აქედან მადნის ექსპორტზე.

ბუნებრივია დგება საკითხი ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათის შესახებ. არის ეს პირდაპირი, უშუალო კავშირი თუ საქმე გვაქვს სატრანზიტო, საშუამავლო ურთიერთობებთან. ჩვენი აზრით, ამგვარი უშუალო კავშირი ფაქტობრივად უნდა გამოირიცხოს ვინაიდან თუნდაც ძვ. წ. I ათასლეულისათვის შეუძლებელი ჩანს ასეთი შორეული, თანაც საზღვაოსნო კავშირები. საქმე უნდა გვქონდეს სწორედ საშუამავლო ურთიერთობასთან, რაზეც შემდეგი გარემოებებიც მიგვანიშნებს. თუ თვალს გადავავლებთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას, აშკარა ხდება მათი მჭიდრო, თითქმის რეგულარული ეკონომიკური კავშირები ეგვიპტესთან. ამ თვალსაზრისით, უპირველესი ადგილი სწორედ სირიასა და ფინიკიას უკავია. ამ ვაჭრობის ცენტრი ძველი ფინიკიური ქალაქი ბიბლი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდიდან გვევლინება, როგორც ძირითადი პუნქტი, საიდანაც შედის ეგვიპტეში ხის მასალა, ლითონი, მუშახელი.[409] სავარაუდოა, რომ იყო სხვა ცენტრებიც.[410] ჩვენი აზრით, შესაძლებელია კავკასიური ლითონის ზოდების სახით სწორედ ამ ცენტრების მეშვეობით გადის ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. ეს განსაკუთრებით III-I ათასწლეულების განმავლობაშიც მოიაზრება. არ არის გამორიცხული ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში (კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე) უშუალო კავშირურთიერთობა, რაზეც თითქოს მთის რაჭაში ეგვიპტური ნანარმის მოჭარბება მუთითებს. საყურადღებოა, რომ ძველი მეტალურგიის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიც ფორბესია, ქიმიური ანალიზების საფუძველზე თვლიდა, რომ ანთიმონი და სპილენძი ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეტანილია კავკასიიდან, თუმცა არ აკონკრეტებდა თუ რომელი რეგიონი ჰქონდა მხედველობაში.[411] არქეოლოგიური შესნავლილობის დღევანდელ ეტაპზე კი ყველაზე მძლავრი კერა რაჭის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, რაც სწორედ ამ რეგიონიდან ლითონის ექსპორტირებაზე უნდა მიგვითითებდეს. რომ განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მეტალია გამოტანილი თითოეული მაღაროდან, არსებობს ერთი გზა. განისაზღვროს გადანაყარი ფუჭი ქანების წონა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ვიცოდეთ მეტალის ხვედრითი წონა, რაც სხვადასხვა მადნისთვის სხვადასხვაა. ცნობილმა მეცნიერმა, ქიმიკოსმა ა. ლუკასმა ეგვიპტის უძველეს სამთომეტალურგიულ კერებზე აწარმოა ამ სახის გამოკვლევები.[412] ანალოგიური გამოთვლები მასზე ადრე ჰქონდათ ფ. პეტრის, ბაუერმანს, მურეის და გრივსს. აღსანიშნავია, რომ მეტალის ხვედრითი წონა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა და მერყეობს 2,8-3,5 შორის. თუ ავიღებთ საშუალო მონაცემებს და რაჭის მაღაროების მეტალის შემცველობას 3-ით განვსაზღვრავთ,[413] მივიღებთ შემდეგ სურათს. ჭყორნალიანი I მაღაროდან გამოტანილი ფუჭე ქანების მოცულობა ტოლია 120 მ. X 80 მ. X 4,5 მ. = 43200 მ.^{3}, რაც შეეფარდება წონით 45000 ტ. მხედველობაში მისაღებია კიდევ ერთი გარემოება. ძველი მეტალურგები მეტალის მთლიანად გამოდნობა-მიღებას ქანებიდან ვერ ახერხებდნენ და პირველადი გამოხურების შემდგომ ფუჭე ქანებში მათი მცირე რაოდენობა რჩება. ჭყორნალიანი I გადანაყარის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს რაოდენობა მადანთან შედარებით 1% ფარგლებშია.[414] ამის გამო მიღებულად ითვლება ციფრი 1,8 რაც შეეფარდება არსებული მოცულობიდან მიღებული მადნის რაოდენობის კოეფიციენტს. ამგვარად, 45000 ტ. ფუჭე ქანის წონა

408. რაჭის ანთიმონის მაღაროებიდან მიღებული მადნის რაოდენობა ძალზე ძნელად განსასაზღვრია, რადგან არ არსებობს გადანაყარების ისეთი გროვები, რაც სპილენძის მადნებს ახასიათებთ. შესაძლოა პირველადი გამოსხურების შედეგად მადნის მიღება ხდებოდა უშუალოდ მაღაროსთან, ხოლო წინა და ფუჭი ქანები იყრებოდა თითქმის ვერტიკალური კედლით მდინარეში.

409. **Авдиев В. И.**, История древнего Востока, М., 1953, стр. 364.

410. სიდნაღის 1996 წლის საერთაშორისო კოლოკვიუმზე, რომელიც ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხებს მიეძღვნა ე. კუშნარიოვამ ამგვარ ცენტრად ანატოლიის ქალაქი პუნეფი მიიჩნია.

411. **Forbs R. J.**, etallurgy in Antiquity, Leiden, V, Brtil, 1950, გვ. 263-264.

412. **Лукас А.** Материалы и ремесленные производства древнего Эгипта, М., 1958, გვ. 327-329.

413. ფაქტობრივად, რაჭის მაღაროებში სპილენძის შემცველობა ბევრად უფრო მაღალია, მაგრამ ჩვენ აქ ვიღებთ მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას, რათა მსოფლიოს უძველეს სამთომადნო ცენტრებთან მიმართებაში იყოს იგი განხილული. იხ. გ. ტოგონიძე, ა.ა. რეხვიაშვილი, ს. სურგულაძე, დასახ. ნაშრომები.

414. ჩვენი თხოვნით ანალიზი აწარმოა გეოლოგმა ს. სურგულაძემ 1961 წელს.

გაყოფილი კოეფიციენტზე 1,8-ზე გვაძლევს 2,500 ტონას. ამგვარად, ძალზე მიახლოებით ჭყორნალიანი I გამოტანილია 2500 ტ. წმინდა სპილენძის მადანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ციფრი არ შეიძლება ზუსტი იყოს. ფუჭე ქანის ერთი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში ჩაირეცხებოდა მდ. ენგურში, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ციფრი მინიმუმ უნდა გაორმაგდეს მაინც. მხედველობაშია მისაღები რაჭის მადნებში სპილენძის მაღალი შემცველობის პროცენტიც. აქედან გამომდინარე მარტო ჭყორნალიანი I გამოტანილია დაახლოებით 5000 ტ. სპილენძის მადანი.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა ჩვეშო II გამონამუშევრის გადანაყარი. ბუნებრივი მდებარეობის გამო (გადანაყარი განფენილია რიონისპირა ტერასაზე, მდინარის პირზე ამაღლებულ, ერთგვარ ქვაბულში). მისი უდიდესი სისქე 32 მ. აღწევს, საშუალო კი 16 მ. გადანაყრის სიგრძე დაახლოებით 100 მ., სიგანე კი 75 მ. ამდენად, ფუჭე ქანების მოცულობა აღწევს 100 მ. X 75 მ. X 16 მ. = 120000 მ.^{3} ე. ი. მისი წონა დაახლოებით 150000 ტონაა. გამოდის, რომ ფუჭი ქანის ეს წონა შეეფარდება 6667 ტ. მიღებულ მადანს. ცდომილებების გათვალისწინებით ვიღებთ, რომ ჩვეშო II გამონამუშევრიდან გამოტანილია დაახლოებით 15000 ტ. სპილენძის მადანი. ამგვარად ჩანს, რომ ამ ორი მაღაროდან სულ ამოღებულია 20000 ტ. სპილენძის მადანი. მაგრამ საყურადღებოა, რომ ორივე მათგანი საშუალო ზომის გამონამუშევრებია. ამ ზომის 30-მდე მაღაროა სოფ. გონას მიდამოებში დაფიქსირებული. დაახლოებით 10-ზე მეტი (ჭყორნალიანი I და III, გონა I და II, ჩვეშო I, III-IV, ხვარძახეთი IV და სხვა) ზომით დაახლოებით ორჯერ მეტია.

ამგვარად აშკარაა, რომ სოფ. გონას სამთომეტალურგიული კერიდან ბრინჯაოს ხანაში სულ მცირე 150000 ტ. სპილენძის მადანია საუკუნეთა განმავლობაში ამოღებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპილენძის ძველი გამონამუშევრები მთის რაჭის სხვა ადგილებშიც არის დაფიქსირებული (ღები, ბრილი, კირტიშო), მაგრამ იქ ექსპედიციის მიერ სამუშაოები არ წარმოებულა და მასზე არ ვჩერდებით.

სამთო გამონამუშევრების თვალსაზრისით, უკანასკნელ ხანებში დიდი სამუშაოები წარმოებს სვანეთის ტერიტორიაზეც, სადაც რამდენიმე ასეთი ტიპის მაღარო იქნა მიკვლეული.[415] ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იმ სამუშაოების შესახებ, რაც წარმოებს აფხაზეთის სვანეთის ტერიტორიაზე ბაშკაპცარას გამონამუშევარში. არის გარკეეული მონაცემები ჩრდილოეთ ქართლში, თლის სიახლოვეს სამთოგამონამუშევართა არსებობის შესახებ.[416]

კოლხეთის მთიანეთში სამთომეტალურგიული წარმოების მეტად მაღალ დონეზე კიდევ ერთი, უდაოდ საყურადღებო ფაქტი მიგვითითებს. ანთიმონის ძარღვებთან ხშირად დაკავშირებულია ძალზე ძვირფასი მეტალი, ვოლფრამი. თანამედროვე წარმოებაში იგი გამოიყენება, როგორც მინარევი მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად, მაგრამ იგი გამოდნობისათვის ძალზე მაღალ, 3410^0 ტემპერატურას მოითხოვს, რაც იმ პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამასთანავე, ვოლფრამი 400^0 გახურებისას ძალზე ადვილად უერთდება ჟანგბადს, ქლორს და გამოყოფს მავნე გაზებს, რომლის გამოცალკევება დღესაც კი ურთულეს პროცესთანაა დაკავშირებული. ამიტომ უძველესი მეტალურგები, მიხვდნენ რა, რომ საქმე აქვთ მეტალთან, მაგრამ მისი დამუშავებისთვის არ ეყოთ საწარმოო გამოცდილების და ტექნიკის დონე, მოიქცნენ უაღრესად პრაქტიკულად. ადგილ „კორობში", კირტიშოს მყინვარის მიდამოებში,[417] მოპოვებულია ვოლფრამის მადანი და იგი კი არ გადაუყრიათ, არამედ ანთიმონის ძველი გამონამუშევრების გვერდით წესიერ, კუბურ ფორმებად დაუწყვიათ და ისე შეუნახავთ მომავალი დამუშავებისთვის. მსგავსი ფაქტი ჩვენთვის ცნობილ სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირებული არ არის.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ძირითადად რაჭის სამთომეტალურგიული კერის კვლევის შედეგებს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი სახით საქმე გვაქვს მძლავრ საწარმო ცენტრებთან, რომელიც ძალზე აქტიურ საგარეო კავშირურთიერთობებშია ჩართული ძველი მსოფლიოს რიგ დანინაურებულ ცენტრებთან. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მაგრდება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთების მთელ რიგ პუნქტებში გამოვლენილი ბრინჯაოს ბრწყინვალე ნაკეთობებით, რომელიც ტოლს არ უდებს ნებისმიერი არქეოლოგიური პერიოდის კულტურებს. ამასთანავე ეს მასალები ორგანულ კავშირშია კოლხეთის დაბლობის ნაკეთობებთან და ამ უკანასკნელთან ერთად ერთიან, მძლავრ კოლხურ კულტურას ქმნის.

---

415. ჩართულანი შ., ძველი სვანეთი, თბ., 1997, გვ. 183-193, ტაბ. XXXII-XIII. აქვე იხ. ბაშკაპცარას და ზოფხითურას მაღაროების გეგმა-ჭრილები.

416. 1961 წელს კავკასიონის სამხრეთი კალთების არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა რაზმმა (ბ. გობეჯიშვილი, ო. ღამბაშიძე, მ. ბარამიძე) ანარმოა სამუშაოები თლის სამაროვანსა და მის მიდამოებში. მიკვლეულ იქნა სპილენძის მადნის ფუჭე ქანების გადანაყარი, თუმც თვით მადანი ცნობილი არ არის.

417. 60-იან წლებამდე ადგილ „კორობში" წარმოებდა მოლიბდენის მოპოვება. მართალია არ გვაქვს პირდაპირი საბუთი ამ მეტალის ბრინჯაოს ხანაში მოპოვება-დამუშავების შესახებ, მაგრამ ვოლფრამის ანალოგიურად, ვერ გამოვრიცხავთ კავკასიონის ძველი მელითონე ტომების მიერ ამ მეტალის გარკეეულ ნაცნობობას.

§ 2. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში კოლხეთის არქეოლოგიის ბევრი კარდინალური საკითხი სრულიად ახლებურად იქნა გაშუქებული. ერთ-ერთ ასეთ საკითხს რკინის მეტალურგია და მისი ჩასახვა-განვითარების ეტაპები, ნაკეთობათა ტიპოლოგიური და რეგიონალური გავრცელება და სხვა წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიის საკითხს და ეს სრულიად ბუნებრივია. ამ ინტერესს აღვივებდა ანტიკურ წყაროთა ცნობები, რომლის მიხედვით რკინის, როგორც საწარმოო მეტალის, გამოგონების პრიორიტეტი ეკუთვნით ხალიბებს და შესაძლოა სწორედ აქედან მარაგდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები.[418] სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ხეთების განსაკუთრებული როლიც შავი მეტალურგიის განვითარების საკითხში.[419] ჩვენ არ შეუუდგებით ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურის და თეორიების განხილვას. იგი სავსებით სრულად მოცემულია პროფ. დ. ხახუტაიშვილის სპეციალურ ნაშრომში.[420] როგორც ჩანს გარკვეული საფუძველი ქართველი ტომების (ხალიბების) მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების დასასაბუთებლად მატერიალურ კულტურაში მართლაც არსებობს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ გაჩნდა სპეციალური ტერმინი კოლხეთის რკინის წარმოების სამთომეტალურგიული ცენტრი,[421] რომელიც ეფუძნებოდა ცეცხლაური, ასკანადა, პირველი ჭოლას ტერიტორიებზე გამოვლენილ მძლავრ სამრეწველო ობიექტების არქეოლოგიურ შესწავლას. ფაქტობრივად ამ ტერიტორიის ქვეშ გაერთიანდა გურია-აჭარის და სამეგრელოს რეგიონებიც, სადაც წარმოებდა სპეციალური კვლევა ამ მიმართულებით. უკვე ამ პერიოდში შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიის გაფართოება,რადგან არსებობდა ცნობა ოქუმის ხეობაში მძლავრი რკინის საწარმოო ობიექტის არსებობის შესახებ,[422] რაც უკანასკნელ ხანებში დადასტურდა ჩვენი სამუშაოებით აფხაზეთში, კერძოდ ნანილობრივ შესწავლილ იქნა საკმაოდ მძლავრი კერა გალის რაიონის სოფ. პირველი გალის ტერიტორიაზე, მზიური I საწარმოო სახელოსნოს ნაშთები. აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გაგზავნილმა სადაზვერვო ექსპედიციამ წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას ტერიტორიაზე – „ჯოლორიაშ წყურგეილში" და „ოყანჭეში" მიაკვლია მძლავრ რკინის საწარმო უბანს,[423] რომელიც ნანილობრივ გათხრილ იქნა. 1984-85 წწ. ჩვენ მიერ.[424] მართალია, აქ უშუალოდ სადნობი ქურის მხოლოდ ნიშნები იქნა დაფიქსირებული, მაგრამ საქმე გვაქვს ნიდების, არქეოლოგიური მასალის მძლავრ გადანაყართან, რომლის ფართობი არასრული მონაცემებით 300 X 200 მმ., სისქით საშუალოდ 0,8 მ.-მდე. მონაპოვარ მასალაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ასეული საბერველი მილის ნატეხები, რომელთა ნაწილს თავთან ხელოსნის ნიშნები აქვს დატანილი. ნაყარში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტების და ჩაშვებული სამარხის ინვენტარის მიხედვით საწარმოო ობიექტი თარიღდება ნელთაღიცხვების მიჯნით. თუმცა არ არის გამორიცხული იმ ტერიტორიაზე უფრო ადრეული ქურების არსებობის შესაძლებლობა. ამაზე უნდა მიგვითითებდეს აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ბრტყელი ცული, ტიპიური დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ძეგლებისთვის. სამწუხაროდ, ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლის გათხრები აღარ გაგრძელებულა მისი მასშტაბურობისა და ფინანსური სიძნელეების გამო.

აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1991 წელს ქალაქ გალში, მზიურის ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე შეისწავლა გზის გაყვანისა და სტიქიური მოვლენებისაგან გაშიშვლებული რკინის საწარმო უბნის ერთი ნაწილი. გათხრილი და განმენდილი იქნა ერთ ვერტიკალზე განლაგებული რკინის 4 სადნობი ქურა და მიმდებარე ტერიტორია. ქურების ძირითადი ნაწილი შედის გაუთხრელ ფართობში, რომელთა შესწავლა საჭიროებდა მიწის დიდ სამუშაოებს ტექნიკის დახმარებით, რის

418. Деген-Ковалевский Б., К истории железного производства закавказья. Изв. ГАИМК-120. 1935, გვ. 242.
419. Blinkenberg C., Pe Peys Natal du Fer.mem. Soc. Roy. Antiquity. 1925, p. 204-205; Rickard T., Man and Mettells, II, New-York, 1932, p. 870.
420. Хахутаишвили Д.А. Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987, გვ. 6-39
421. იქვე, გვ. 2.
422. ბერძენიშვილი ნ., დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1968.
423. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული სადაზვერო ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის ანგარიში, საკმს, 1963 წ., თბ., 1964.
424. აბრამიშვილი რ., მიქელაძე თ., ბარამიძე მ., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. მუშაობის ანგარიში, საკმს, 1963 წ.; ბარამიძე მ., რამიშვილი რ., გვიანანტიკური ხანის ძეგლები ენგურის ხეობაში, ისტორიის ინსტიტუტისა და ზუგდიდის ისტორიულეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო სესია, თეზისები, ზუგდიდი, 1965.

გამოც ძეგლის სრული გამოვლენა გათვალისწინებულ იქნა 1992 წელს. სამწუხაროდ, აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ საშუალება არ მოგვცა აღნიშნული ძეგლი სრულად შეგვესწავლა. ამასთანავე ვერ მოხერხდა გეოფიზიკური მონაცემების ლაბორატორიული კვლევის დასრულება და სადღეისოდ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძეგლის ასაკზე. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი კეცის მიხედვით უფრო წინაანტიკური იერისაა ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდის. თითქოს ამავე პერიოდის ჩანს ერთი მრგვალქობიანი, პირგადმოკეცილი პროფილიც. თვით წიდების მონაცრისფრო ნაფენი სწორედ ამ დროისთვისაა დამახასიათებელი, რაც არაერთგზის დადასტურდა დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევების მიხედვით.[425] თვით ქურის ტიპი კარგად უკავშირდება გურია-აჭარის ტერიტორიებზე შესწავლილ ქურებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მზიური პირველი სახელოსნოს ქურების კედლები არაა ქვით მოპირკეთებული და კედლები მხოლოდ ცეცხლგამძლე თიხით არის შელესილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია მზიური I წინასწარულად წინარეანტიკური ხანით იქნას დათარიღებული.[426]

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რკინის სადნობი ქურების დათარიღება ძალზე რთული საკითხია. ჩვეულებრივ ამ ტიპის ძეგლებზე არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა და მათი დათარიღება ჭირს. ამდენად, ჩვენი აზრით გამართლებულია მათი შესწავლისათვის გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. არქეომაგნიტური მეთოდის გამოყენება რთულდება საქართველოსთვის მიღებული მაგნიტური მრუდის ფაქტობრივად არარსებობის გამო. რადიონახშირბადით დათარიღება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ქურებში ჩაყონილი ნყალი ხშირად გარკვეულად ზემოქმედებს ისედაც მცირე რაოდენობის ნახშირზე. უფრო პერსპექტიული უნდა იყოს ამ რიგის ძეგლების დათარიღებისთვის თერმოლუმინისცენციის მეთოდის გამოყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა არ წარმოებს. ბუნებრივია ყველას მაინც კომპლექსური კვლევა სჯობს, მაგრამ ამის საშუალება ყოველთვის არ არის. ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია რკინის სადნობი მთელი რიგი სახელოსნოების შესწავლის შედეგები, რაც წლების განმავლობაში ხორციელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილი რამდენიმე ათეული ქურა-სახელოსნო საინტერესოა არამარტო კულტურის განვითარების, ზოგადი სურათის საჩვენებლად, არამედ კონკრეტულად რკინის წარმოების ადრეული საფეხურების კვლევისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულია მოსაზრება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების ადრეულ პერიოდებში გაჩენასთან დაკავშირებით.[427] ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ქვემო ქართლი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იყო ის რეგიონები, სადაც შესაძლებელია ხდებოდა რკინის წარმოების ჩასახვა და აქედან შემდგომ საქართველოს სხვა რაიონებში მისი გავრცელება. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარებს რკინის გაჩენის იმ მაღალ თარიღებთან დაკავშირებით, რაც არსებობს ზემოხზენებულ ნაშრომებში. ქვემო ქართლში რკინის გაჩენის ადრეული თარიღების შესახებ ჩვენი დამოკიდებულება გამოთქმული გვაქვს ჯერ კიდევ 60-იან წლებში და მას აღარ გავიმეორებთ.[428] დღეს ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზემოთ ხსენებული ქურა-სახელოსნოების დათარიღების კონკრეტულ საკითხებს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ სავსებით გამართლებული გვეჩვენება ამ რიგის საკითხების კვლევა ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, მაგრამ ჩვენ ვერ ვიზიარებთ კალიბრირებული თარიღებისადმი ზედმეტი ნდობის გამოცხადებას. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ათასწლეულებში პ. დაიმონისა და მისი მონაფეების მიერ რადიონახშირბადის დაშლის ციკლის განსაზღვრაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რაც საერთო ჯამში იძლევა 1-დან 4-5 საუკუნემდე თარიღთა დაძველებას.[429] ამის გასამართლებელ არგუმენტად მოტანილია დებულება კავკასიის, ევროპის და ნინა აზია-ანატოლიის უძველეს კულტურათა ერთმანეთთან სინქრონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა.[430] წინაზია-ანატოლია განვითარების ტემპებით ყოველთვის წინ უსწრებდა კავკასიას, მით უფრო ევროპას და ამ კულტურათა ქრონოლოგიური გაწონასწორების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რადიონახშირბადის დაშლის ციკლი

---

425. 35 Гдзелишвили И., Железноплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964; ხახუტაიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 66,69,72,79 და სხვა.

426. ბარამიძე მ., აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტ. II, თბ., 2013, გვ. 50-60.

427. ამირანაშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი...., მისივე, რკინის წარმოების ათვისების საკითხისადმი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ XXII-B, თბ., 1961; ხახუტაიშვილი დ., დასახ. ნაშრომი.

428. ჯაფარიძე ო., რეცენზია; ამირანაშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სსმმ XXIII-B, 1962, გვ. 261-265; ბარამიძე მ., შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1966.

429. Арсланов Х. А. О поправках к радиоуглеродному возрасту, „Геохимия", 1978, # 8.

430. Квантарадзе Г., К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тб., 1983.

ყველგან ერთნაირი არ არის და მისი საყოველთაოდ გამოცხადება აუცილებლად იწვევს ცდომილებას. პ. დაიმონი და მისი მოწაფეები შესაძლოა სავსებით სამართლიანად რადიონახშირბადის დაშლის ციკლის გაზრდას გულისხმობენ ევროპისათვის, მაგრამ არის თუ არა ეს საჭირო კავკასიისათვის ნათელი არ ჩანს. ფიზიკოსთა შორის ამ საკითხის ირგვლივ ერთიანი აზრი არ არის, თუმცა როგორც ჩანს უმრავლესობა მაინც ალიარებს თავდპირველ ვარიანტს, ყოველგვარი დაშლის ციკლის გაზრდის გარეშე. აქედან გამომდინარე კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები ერთგვარად ეჭვის ქვეშ დგება. თუ გავითვალისწინებთ შედარებითი მეთოდებით მიღებულ არქეოლოგიურ თარიღებს, ეს შეუსაბამობა მით უფრო თვალშისაცემია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ფიჩორი I სტრატიგრაფიული ჭრილი, სადღეისოდ ალბათ ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი ძეგლი, ზედა I-V ფენები არქეოლოგიური დათარიღების გარდა, შემოწმებულია ყველა არსებული მეთოდით (არქეომაგნეტიზმი, რადიონახშირბადი, თერმოლუმინისცენცია) და სრულ შესატყვისობაშია შედარებით-ქრონოლოგიურ მეთოდთან.[431] უფრო მეტიც, კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები აშკარად მიუღებელია ამ ფენების დათარიღებისთვის. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეჯერჯერობით მაინც ტრადიციული მეთოდებით დათარიღების მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე ახალი ქრონოლოგიური შკალების შემოღების.

ყოველივე ზემოთ თქმული საჭიროებს გარკვეულ მიდგომას რკინის ქურა-სახელოსნოების დათარიღების საკითხშიც. მზიური I სახელოსნო ცენტრი არქეომაგნეტისმითაა და ძალზე მცირე მასალების მიხედვით წინარე ანტიკური ხანით უნდა განისაზღვროს. ამგვარი თარიღის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს სწორედ ტიპოლოგიური მსგავსება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ქურა-სახელოსნოებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან.[432] განსხვავება მათ შორის მხოლოდ ქურის კედლის მოპირკეთებაშია. მზიურში ქვის გამოყენების კვალი არ დასტურდება და კედლები უშუალოდ ცეცლგამძლე თიხითაა მოპირკეთებული. შესაძლოა, ეს მომენტი რეგიონის ლოკალური თავისებურებების ამსახველი იყოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის ქურა-სახელოსნოების დეტალური განხილვა ვფიქრობ გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის. ჩვენი აზრით, აღნიშნული ქურა-სახელოსნოების ერთი ნაწილი უფრო მოგვიანო ხანის უნდა იყოს, ვიდრე ეს ძეგლის შემსწავლელს აქვს მოცემული. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება ადრეულ ქურებს. დ. ხახუტაიშვილი, როგორც ჩანს უფრო მეტი ნდობით ეკიდება კალიბრირებულ თარიღებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში ამაზე პირდაპირი მითითება არ არის და ჩვეულებრივ ორივე თარიღია მოტანილი.[433] ჩვენი ყურადღება მიიქცია უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებამ, რომ ამ ადრეულ ქურებში არ გვაქვს არქეოლოგიური მასალა, რომელიც უარყოფდა ან დააზუსტებდა ფიზიკოსთა კვლევის შედეგებს. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. მაგ.: მშვიდობაური II არის მოცემული ორი თარიღი, ორმოს ძირზე აღებული ნიმუში იძლევა 3483-125, კალიბრული 1760-103; ორმოს თითქმის ზედა ნაწილში აღებული ნიმუში კი 3270-80, კალიბრირებული 3491-125.[434] ამდენად გამოდის, რომ ქურა ფუნქციონირებს 213-269 წელს, რაც ჩვენ საკმაოდ არარეალური გვეჩვენება. 2-2,5 საუკუნე ერთი ქურის არსებობისათვის ძალზე საეჭვოა. აღსანიშნავია, რომ ამავე ქურიდან არის კიდევ ერთი ნიმუშის თარიღიც, როგორც ჩანს მიღებული თერმოლუმინისცენციის მეთოდით — ძვ. წ. 1207-100.[435] ამდენად, ამ ორი მეთოდით მიღებული თარიღები ნაწილობრივ ემთხვევა ზედა დონეზე მიღებულ დათარიღებას და ერთგვარად ამაგრებს მას. მაგრამ მეორე მხრივ, სრულიად გამორიცხავს კალიბრირებულ თარიღს (ცდომილება აბსოლიტურ ასაკთან 284 წ. მიუღებელი ჩანს).

საინტერესო სურათს იძლევა მშვიდობაური IV არსებული თარიღები. ორმოს ძირზე აღებული ნიმუშის ასაკი განსაზღვრულია 3149-45, კალიბრირებული 3390-125.

აბსოლუტური ასაკი ძვ. წ. 1241 და 1440. სხვაობა 2 საუკუნე საგრძნობია, მით უფრო, რომ თერმოლუმინისცენცია იგივე ქურისთვის იძლევა 1180-100, რაც თითქმის თანხვდება არაკალიბრირებულ თარიღს.[436] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ქურიდან მოიპოვება საკმაო რაოდენობით კერამიკა: შვერილიანი და ზოომორფული ყურები, ფართოკანელურებიანი ჭურჭელი,[437] რაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულზე მიუთითებს და არც ერთ წინარე ძეგლზე ეს ფორმები არ გვხვდება.

431. იხ. ზემოთ ჩვენი ნაშრომი.
432. შდრ. **Д. Хахутаишвили**, დასახ. ნაშრომი, სურ. 2,3,6,8 და სხვა.
433. **Хахутаишвили Д.** დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
434. იქვე, გვ. 180, ცხრილი.
435. იქვე, გვ. 180, ცხრილი,
436. იქვე, გვ. 155; გვ. 180, ცხრილი.
437. იქვე, გვ. 154, სურ. 52.

მსგავსი სურათია ნაგომარი I-II ქურის ასაკთან დაკავშირებით. აქ ორი ნიმუშია განსაზღვრული. ისინი 3410-50 და 3450-50 იძლევა. კალიბრირებული მეთოდით თარიღი განისაზღვრა 3670-103 და 3724-103. ცდომილება აქაც 2,5-3 საუკუნის ფარგლებშია. თერმოლუმინისცენციით ქურა დათარიღდა ძვ. წ. 1377-100.[438] სხვათაშორის ეს არის ყველაზე ძველი თარიღი მიღებული ამ მეთოდით და თითქმის იმეორებს არაკალიბრირებულ თარიღს. სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალაც ამ ქურიდან არ გვაქვს.

ჩვენ არ შეეუდგებით ყველა ქურის თარიღების განხილვას. თითქმის ყველა შემთხვევაში ერთნაირ სურათთან გვაქვს საქმე. არაკალიბრირებული თარიღები მეტნაკლებად ემთხვევა არქეომაგნეტიზმით და თერმოლუმინისცენციით მიღებულ ასაკს. ამდენად, კალიბრირებული მონაცემები რკინის სადნობის ქურა-სახელოსნოებისთვის სრულიად მიუღებელი ჩანს. ეს მით უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამ რიგის ძეგლებს ეხება, საიდანაც გვაქვს არქეოლოგიური მასალებიც, რომლებიც, ძირითადში, სწორედ ათარიღებენ ამ ქურებს. ჩვენ მხოლოდ რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება მხოლოდ ასკანის ჯგუფის ქურების თარიღი. მაგ.: ასკანა I არის, როგორც ჩანს არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული თარიღი ძვ. წ. 1092-100, თვით გამთხრელი კი მასალაზე დაყრდნობით მას ძვ. წ. X-IX სს. ათარიღებს.[439] აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები რამდენადმე მოგვიანო იერის ჩანს. ამ ტიპის კანელურები და ყურები ძირითადად წინარეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩნდება მის წინარე კომპლექსებშიც. ასევე შეიძლება არ გავიზიაროთ ასკანა II-ს თარიღიც, რომლის შესახებ გამთხრელი თვითონ აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები წინარეანტიკური ხანისაა.[440] აღსანიშნავია, რომ ამ ქურიდან არის განსაზღვრული ერთი ნიმუში, რომლის ასაკი 3175-45 (კალიბრირებული 3370-125). არქეომაგნიტური მეთოდით ქურა დათარიღებულია XIV-XIII სს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კალიბრირებული თარიღი გარკვეულად ეხმიანება სხვა მეთოდით მიღებულ დასკვნას. მაგრამ აქ უკვე მეორე მომენტია, ჩვენი აზრით, განმსაზღვრელი, თვით არქეოლოგიური.

მასალა აშკარად გვიანი პერიოდისაა. დაშვება იმის, რომ ქურა ფუნქციონირებდა 7-8 საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ასკანის ჯგუფის ქურებში რამდენადმე მოგვიანოდ ჩანს ასკანა III, რომელშიც ადრეანტიკური იერის კერამიკაა დაფიქსირებული.[441] აღნიშნული გარემოება ერთგვარ საბუთს წარმოადგენს ამ ჯგუფის ქურების მოგვიანო ხანით დათარიღებისათვის.

ასევე საკამათო ჩანს ასკანა IV თარიღიც. საქმე იმაშია, რომ არსებობს ქურის მხოლოდ არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული თარიღი. ზ. ჭელიძის აზრით ასკანა IV ეკუთვნის ძვ. წ. IX ან XIV-XIII სს.[442] განსხვავება 4 საუკუნის ფარგლებში აშკარად მიუღებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ასკანის მთელი კომპლექსი გარკვეულად სინქრონულია, უნდა დავუშვათ, რომ ეს ქურაც უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის ფარგლებში უნდა იქნას მოქცეული.

ამგვარად, ქურა-სახელოსნოთა თარიღების ასეთი მოკლე განხილვაც აშკარად გვიჩვენებს იმ საერთო სიძნელეს, რაც ახლავს ამ რიგის ძეგლების შესწავლას. გეოფიზიკურ მეთოდთა არასრულყოფილება ერთგვარად ეჭქვეშ აყენებს მათი გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეული სიფრთხილე, მეთოდთა დამთხვევა და რაც ყველაზე არსებითია არქეოლოგიური მასალა ნარმოადგენს იმ ამოსავალს, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ამ ქურათა დათარიღების საკითხში. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ კოლხეთის რკინის საწარმოო ქურა-სახელოსნოები ვერ განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ვერც პირველ ნახევარს და ვერც შუა ხანებს. სადღეისო მონაცემებით მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ. წ. XII ს. სილრმეში არ უნდა მიდიოდეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე ადრეული ჩანს მშვიდობაური II და ნაგომარი I, თუმცა მათი ასაკიც II ათასწლეულის მესამე მეოთხედში არ უნდა გადადიოდეს.

რკინის სადნობ ქურა-სახელოსნოთა დათარიღების სიძნელე დაკავშირებულია კოლხეთის არქეოლოგიისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან. საქმე ეხება თვით რკინის ნაწარმს, რომელიც კოლხეთის ადრეულ ძეგლებზე საერთოდ არ ჩანს. უფრო მეტიც, კოლხეთის დაბლობში და ნაწილობრივ მთის ნინა ზოლში ჩვენ არ გვაქვს ფაქტობრივად არც ერთი სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და I ათასწლეულის საწყის კომპლექსებს შეიცავდეს. ეს გარემოება ძალზე ართულებს რკინის ნარმოების ადრეული საფეხურების კვლევის ხასიათს, რაც შეეხება მთის ზოლში განლაგებულ სამაროვნებს (ბრილი, თლი), აქ რკინის იარაღი ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისის უადრეს ხანაში არ ჩანს გაერცელებული. დაბლობის ზოლის ე. წ. კოლხურ სამაროვნებზე კი რკინის იარაღი

438. იქვე, გვ. 162; გვ. 180, ცხრილი.
439. იქვე, გვ. 102-106 გვ. 180, ცხრილი.
440. იქვე, გვ. 106-109; სურ. 25.
441. იქვე, გვ. 119.
442. იქვე, გვ. 122.

ერთბაშად ჩნდება და თანაც საკმაოდ მოგვიანო ხანისათვის. ამდენად, მათი მონაცემების გამოყენება ადრეული საფეხურების რკინის წარმოების ასაკის განსასაზღვრავად ფაქტობრივად შეუძლებელია.

ასევე ძალზე საფრთხილოა ამ მიმართებით აღმოსავლეთ საქართველოს რკინის ინვენტარის შემცველი სამარხების თარიღების მოშველიება კოლხური მასალების დათარიღებისთვის. მაგალითად, ი. გრძელიშვილმა ღელვა I რკინის სადნობი ქურასახელოსნო სამთავრო სამაროვანზე გავრცელებული პირმოყრილი ჭურჭლის ანალოგიებით ძვ. წ. XII ს-ით დაათარიღა,[443] მაგრამ შემდეგი კვლევებით გაირკვა, რომ ეს თარიღი ძალზე დაძველებული იყო, სულ ცოტა 2-3 საუკუნით.[444] პირმოყრილი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისა და მის უშუალოდ მომდევნო ხანისათვის.[445] შემდგომ ეტაპზე იგი უკვე აღარ გვხვდება. საპირისპირო სურათია კოლხეთის ძეგლებზე. ამ ტიპის პირმოყრილი ჭურჭელი კოლხეთში გავრცელებას იწყებს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან და ძირითადად განმსაზღვრელია წინარეანტიკური ხანისთვის.[446] ამდენად, კოლხური კერამიკის დათარიღებისთვის აღმოსავლური ფორმები თითქმის გამოუსადეგარია. ამას ადასტურებს თვით ღელვა I აღმოჩენილი სხვა ფრაგმენტებიც, კერძოდ დაშტრიხული სამკუთხედებით შემკული ჭურჭელი და ზოომორფულშვერილიანი ყური, რომლებიც ტიპიურია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხური კერამიკისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რკინის ნივთების შემცველი ადრეული კომპლექსები კოლხეთიდან ფაქტობრივად არ გვაქვს. ის რამდენიმე სამაროვანი, რომლებზეც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის საწყისის სამარხებია წარმოდგენილია ამ მიმართულებით ფაქტობრივად არაფერს იძლევა. თლის სამაროვანზე იყო მცდელობა გამოყოფილიყო მთელი რიგი სამარხეული კომპლექსები, რომლებშიც რკინის ადრეული იარაღები იყო წარმოდგენილი.[447] ძეგლის გამთხრელი სამაროვანზე რკინის პირველი ნივთების გაჩენას ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან გულისხმობს,[448] თუმცა როგორც ჩანს უძველესი კომპლექსების გამოყოფა მაინც უჭირს და მათაც IX-VII სს. ფარგლებში აქცევს, რაც სავსებით სწორად ასახავს ვითარებას.[449]

ანალოგიური სურათია ბრილის სამაროვანზეც. აქ გათხრილია დიდი კოლექტიური სამარხი-მოედანი ბრინჯაო-რკინის ინვენტარით, რომელსაც გ.გობეჯიშვილი ძვ. წ. X-VII სს. ათარიღებს.[450] შესაძლოა ქვედა თარიღი რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებდეს, რადგან ძირითადი მასალა (ბრინჯაოს სიტულები, ცულები, რკინის იარაღი) აშკარად მოგვიანო იერისაა. ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ სამარხებში – ბრილში რკინის იარაღი ძვ. წ. VIII ს-ზე უადრეს კომპლექსებში არ ჩანს.

საინტერესო სამაროვანი ითხრებოდა ქ. სოხუმში, ნითელი შუქურას ტერიტორიაზე, რომლის გამთხრელი მ. ტრაპში სამაროვნისთვის იძლევა ზოგად თარიღს ძვ. წ. IX-VIII ს-დან ვიდრე II ს. ჩათვლით.[451] აღსანიშნავია, რომ ერთ ადგილზე იგი სამაროვნის ქვედა საზღვრად ძვ. წ. XII ს. იხსენებს.[452] როგორც ჩანს სამაროვნის ასაკი მისთვისაც რამდენადმე გაურკვეველი იყო, რაც დათარიღების ამგვარ განსხვავებაში აისახა. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავიცანით ნითელი შუქურას სამაროვნის კომპლექსები და შესაძლებლად მივიჩნიეთ ზოგიერთი მათგანი (სამარხები № 44, 47, 64, 90, 93) ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით დაგვეთარიღებინა.[453] ამჟამად ჩვენთვის რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება № 93 სამარხი, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს კოლხური ცული, გრძელმასრიანი შუბისპირი და რკინის იარაღები – სამი შუბისპირი და სატევარი (ტაბ. XXXVI). ერთი შეხედვით კომპლექსი აშკარად მოგვიანო იერისა, მაგრამ არის ერთი საყურადღებო მომენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, რამდენადმე აძველებს სამარხის თარიღს. საქმე ეხება სამარხში აღმოჩენილ კოლხურ ცულს, რომელიც დ. ქორიძის კლასიფიკაციით კოლხური ცულების II და IV სახეობებს შორის ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს. II სახეობის ცულებთან მას აკავშირებს ტანის

443. **Грдзелишвили И.**, Железноплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, გვ. 51.
444. **Хахутаишвили Д.** , დასახ. ნაშრომი, გვ. 92.
445. აბრამიშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..; ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, გვ. 42.
446. ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ., პალერის „საძველ".
447. **Техов Б. В.**, Тлийский могильник (комплексы IX _ первой половины VII в. до н. э.), Тб., 1981.
448. იქვე, გვ. 5.
449. ჩვენ შეგნებულად არ ვიძლევით თლის სამაროვნის ზოგიერთი ადრეული კომპლექსის ჩვენეულ თარიღებს. იგი მოცემული გვქონდა ნაშრომში „Хронология-периодизация", რომლის მიხედვით აშკარაა, რომ ძვ. წ. IX უადრესი კომპლექსი რკინის ნივთებით თლიში არაა დაფიქსირებული.
450. **გობეჯიშვილი გ.**, არქეოლოგიური გათხრები..; მისივე, საქართველოს არქეოლოგია, შესაბამისი თავი.
451. **Трапш М.**, Т. I, გვ. 38.
452. **Трапш М.**, Т. II, გვ. 82, 208.
453. **Барамидзе М.**, Хронология-периодизация...

მოყვანილობა, ხოლო IV-ს. დაწახნაგებული ყუა. სწორედ ყუის ფორმირება არის ის ელემენტი, რომელიც აღნიშნულ ცულს უფრო არქაულ იერს აძლევს. თუ ეს სწორია, მაშინ აშკარაა, რომ ცული გარდამავალი ფორმა უნდა იყოს ამ ორ სახეობას შორის. II სახეობის ცულების გავრცელების ასაკი ძვ. წ. XIV-XII სს. მოდის, ხოლო IV სახეობა გავრცელებული ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულის მინურილიდან I ათასწლეულის პირველ მეოთხედში.[454] ამგვარად, წითელი შუქურას ცული ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულით უნდა დათარიღდეს. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას № 93 კომპლექსი ძვ. წ. II ათასწლეულის სულ მინურულით ან I ათასწლეულის საწყისით დათარიღდეს. კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს შუბისპირი ხელს არ უშლის ამგვარ დათარიღებას. შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას სამაროვნის № 93 სამარხი კოლხეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთ უადრეს რკინის იარაღთა შემცველ კომპლექსად მივიჩნიოთ. თაეისთავად რკინის იარაღის სიმრავლე ამგვარ თარიღს ხელს არ უნდა უშლიდეს.[455] ქრონოლოგიურად ამ კომპლექსთან ახლოს უნდა იდგეს №44 სამარხის მასალა, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს დუბლირებული, გაურკვეველი ფორმის საკიდი, ბრინჯაოს ფირფიტოვანი ღრუ მძივები და რაც განსაკუთრებით აღსაიშნავია ნახევრადოვალური ბალთა, ზედაპირზე ჭრილი, სოლისებური ორნამენტით და რკინის მასით ინკუსტრირებული (ტაბ. XXXVI). ბრინჯაოს ღრუ მძივები ტიპიურია დოლმენური კულტურის უკანასკნელი საფეხურისათვის,[456] თუმცა გვხვდება მის უშუალოდ მომდევნო ხანაშიც (ეშერის კრომლეხები, გაგრის ადრეული ოსიუარიუმები).[457] ბრინჯაოს ნახევრადოვალური ბალთები გამოჩენას იწყებენ აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის დასასრულისათვის (სამთავრო, ჯავა, მეღვრეკისი).[458] ცნობილია ისინი აფხაზეთის სხვა პუნქტებშიც.[459] განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში,[460] სადაც გვხედება დროის დიდ მონაკვეთში. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობაი, რკინით, ძვლის ან ხის მასალით არის ინკრუსტირებული.[461] და ფაქტობრივად ეს არის კოლხეთში რკინის მასალის გამოყენების ერთ-ერთი უადრესი შემთხვევა. ზემოთხსენებული კომპლექსიც ამ პროცესის მაჩვენებელი უნდა იყოს. მისი თარიღის განსასაზღვრად, ამოსავალ წერტილად, ბრინჯაოს მძივები მიგვაჩნია, რომლებიც თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულის შემდგომ კოლხურ მასალებში აღარ გვხვდება.[462] აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია № 44 და 93 სამარხების გარკვეული სინქრონიზაცია დაეუშვათ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მასალებში (სამარხეულ კომპლექსებში) რკინის პირველი ნიეთების გაჩენის თარიღად ძვ. წ. II ათასწლეულის მინურული და I ათასწლეულის პირველი მეოთხედი განვსაზღვროთ. ამრიგად, კოლხეთში გამოვლენილი ადრეული ქურა-სახელოსნოები ქრონოლოგიურადაც შეიძლება ამ ეტაპთან იყოს რამდენადმე მიახლოებული.

რაც შეეხება მომდევნო ეტაპებს, კოლხური სამაროვნების მიხედვით აშკარაა, რომ ძვ. წ. VII ს-დან რკინა უკვე ძირითადი სანარმოო საშუალებაა. მისგან არის დამზადებული ყველა, საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღი, თუმცა ჯერ კიდეე სამარხებშია ბრინჯაოს ნაკეთობანიც (ცულები, სატევარი, თოხი). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძვ. წ. VII ს. დასასრულიდან სამარხეულ კომპლექსებში თავს იჩენს რკინის სამკაულიც (სამაჯური, რგოლი, კირკალი), თუმცა ამ რიგის ნაკეთობები ძირითადად მაინც ბრინჯაოსგანაა დამზადებული.[463]

---

454. ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 154. ჩვენ სრულიად ეიზიარებთ დ. ქორიძის კლასიფიკაციას და ტექსტში ძირითადად მას ეეყრდნობით. თუმცა ჩვენ დასაზუსტებელი გვგონია კოლხური ცულების განეითარების ზედა საზღვარი, ე. წ. კოლხურ სამაროვანებზე (პალერის „საძვლეს" ინდივიდუალური სამარხები, ბრილის სამაროვანი) გვიჩვენებს, რომ ეს საზღვარი აშკარად მოიცავს ძვ. წ. VII ს., მის პირველ ნახევარს მაინც.

455. სიღნაღის საკავშირო სიმპოზიუმზე ჩვენი მოხსენების განხილვის დროს განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა გ. კვირკელიამ და სამარხი ძვ. წ. VIII ს. მიაკუთვნა, რკინის იარაღის სიმრავლის გამო.

456. ბარამიძე ბ., ბრილის აკლდამა.

457. Шамба Г., Ешерские кромлеки, таб. XXV, გვ. 28; Бжания Д., Археологические разведки в г. Гагра, მოხსენება წაკითხულია 1985 წელს, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ სესიაზე, თბილისი.

458. ჩუბინიშვილი ტ., მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 90, ტაბ. XVII.

459. Стражев В., Бронзовая культура в Абхазии, Из. АНО, вып. IV, 1926, გვ. 112, სურ. 6.

460. МАК _ VIII, таб. XL12; Крупов Е. И., Древняя история северного Кавказа, გვ. 147, хронологическая таблица.

461. ტ. ჩუბინიშვილი სამთავრულ კულტურაში მათ გაჩენას ჩრდილოკავკასიურ ან დასავლურ-ქართული კულტურებიდან მომდინარედ მიიჩნევს (ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90), მაგრამ ამის სადღეისოდ არავითარი საბუთი არ არსებობს. ჩრდილოკავკასიური ისევე, როგორც დასავლური ნაკეთობანი სულ მცირე 2 საუკუნით მაინც ჩამორჩება ასაკით სამთავრულს.

462. აღსანიშნავია, რომ იყო მცდელობა კოლხურ-ყობანურ კომპლექსებში დადასტურებული ბალთების მიხედვით მომხდარიყო ამ კულტურათა სინქრონიზაცია სამთავრულ კულტურასთან. მაგრამ სხეა ფაქტობრივი არქაული მასალების არ არსებობის გამო ეს მოსაზრება პიპოთეზად დარჩა. აბრამიშვილი რ. კოლხურ-ყობანურ კულტურათა სინქრონიზაციის ერთი ასპექტი, მოხსენება გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში, 1980.

463. ბარამიძე ბ., ოქროპირიძე ნ., პალერის „საძვლე", Микеладзе Т., К археологии Колхиды.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ რ. აბრამიშვილის მოსაზრებას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში რკინის იარაღის შეღწევის სხვადასხვა პერიოდების შესახებ.[464] ეს განსაკუთრებით ეხება მთის ზოლსა და კოლხეთის დაბლობს. ასეთ შემთხვევაში სავსებით დასაშვებია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის რამდენადმე უპირატესი როლი რკინის მეტალურგიის ადრეული საფეხურების კვლევის საკითხებში, რაც ზემოთ ხსენებული ქურა-სახელოსნოების მაგალითზეც კარგად ჩანს. შესაძლოა, სწორედ ეს ტერიტორია იყო ძირითადი რეგიონი, საიდანაც მოხდა რკინის მეტალურგიის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დროის განსხვავებულ პერიოდებში. რკინის შემცველი სამარხეული კომპლექსების გამოვლენა ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს მოფენს ნათელს.

§ 3. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთი) და ყუბანისპირეთის კულტურათა ურთიერთობის საკითხისათვის

ყუბანისპირეთის გვიანი ბრინჯაოს ხანა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ შესწავლილი პერიოდი და რეგიონია მთელი კავკასიის მასშტაბით. ამის ახსნა საკმაოდ ძნელია, მით უფრო თუ გავიხსენებთ, რა საინტერესო და ბრწყინვალე ძეგლებით არის წარმოდგენილი ადრეული და მომდევნო პერიოდების კულტურები (მაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას კულტურები, ადრესკვითური ხანა). ამგვარად, ძვ. წ. III ათასწლეულის და II ათასწლეულის პირველი ნახევრის, აგრეთვე ძვ. წ. VII ს-დან პერიოდის მასალები ყუბანისპირეთში საკმაოდაა წარმოდგენილი, ხოლო მათ შორის პერიოდი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი ზოგადად და I ათასწლეულის პირველი ნახევარი ქმნის ერთგვარ ლაკუნას. ეს მით უფრო გასაკვირია, რადგანაც ყუბანისპირეთის უშუალოდ მიმდებარე სამხრეთით და აღმოსავლეთით თავის განვითარების ზენიტშია ე. წ. კოლხური და ყუბანური კულტურები.

პირველი ვინც შეეცადა გამოეყო ყუბანისპირეთის მასალებში გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდი იყო ა. შმიდტი, რომელმაც თავის ცნობილ პერიოდიზაციაში „გვიანყობანურ" ეტაპში, რომელიც მოყავს რკინის ათვისების ხანამდის, მოაქცია სულ სამი მასრიანი შუბისპირი და ერთი სატეევარი სტ. კრიმსკაიადან (ვესელოვსკის გათხრები, 1995 წ.), აქვე იქნა შესული ორი შუბისპირი მდ. ადერბის ხეობიდან (გელენჯიკის მუზეუმი).[465] ეს იყო და ეს მეტი ფაქტობრივი მასალა 20-იან წლებში არ არსებობდა.

აღნიშნული ფაქტის გამო დეგენ-კოვალევსმ შესაძლებლად ჩათვალა ეს მასალა დაეკავშირებინა ე. წ. ყუბანის „დიდი ყორღანების" ჯგუფისათვის და ჩაეთვალა მათ სინქრონულად.[466]

ფაქტობრივად პირველი ვინც შეძლო ყუბანისპირეთის მასალებში გვიანი ბრინჯაოს ეტაპის ნანარმის გამოყოფა იყო ალ. იესენი, რომელმაც თავის ნაშრომში „Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века", შესანიშნავად გვაჩვენა ამ რეგიონის მატერიალური კულტურის თავისებურება, გამოყო დამახასიათებელი ნაკეთობანი და სხვა. თვით ალ. იესენი აღნიშნავდა, რომ ე. წ. „ლაკუნა" მოჩვენებითია და მასალის სიმცირე უნდა აიხსნას ორი მომენტით. პირველი, არ არის გათხრილი საკვლევი პერიოდის ნასახლარები და მეორე, ამ მასალას ვიცნობთ ყორღანებიდან. ამ შემთხვევაში კი მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის, ყორღანული მასალების მიხედვით, ადრე და შუა ყუბანისპირეთის ეტაპებისთვის დამახასიათებელი მდიდრული მასალა, იცვლება მცირერიცხოვანი, საკმაოდ ღარიბული ინვენტარით დ წარმოდგენილია ერთი ან ორი ჭურჭლით ან ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტით. ამასთანავე ორმოს ფორმა (კატაკომბა) შესაძლებლობას აძლევდა მკვლევარს, ისინი დაეკავშირებინა მოგვიანო პერიოდის სარმატულ სამარხებთან. მაგრამ ეს სამარხებიც არ იძლეოდა საშუალებას გვიანი ბრინჯაოს ხანისთვის დაეკავშირებინათ რიგი ნივთებისა, რომელიც გამოჩნდა 30-50 წწ. ალ. იესენმა შესძლო პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოეტანა სრულად ახალი მასალები და გაეკეთებინა მნიშვნელოვანი დასკვნები,[467] რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და ფაქტობრივად განმსაზღვრელია ჩვენი დღევანდელი თემისთვის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის სპეციფიური ხასიათის გამო მასში თითქმის არ არის განხილული ნივთიერი კულტურის ყველაზე მასიური მასალა, კერამიკა, თუმცა აღნიშნულია, რომ ამგვარი ნაკეთობანი ცნობილია 20-მდის სამარხიდან. სამართლიანობა მოითხოვს თავიდანვე იყოს აღნიშნული, რომ ეს მასალა კავშირურთიერთობის საკითხის კვლევისათვის თითქმის არაფერს იძლევა.

464. აბრამიშვილი რ., რკინის წარმოების ათვისების საკითხისათვის....
465. Schmidt A. V., Die Kurgane der Stanica Konstantinowskaja, ESA, IV, 1929, გვ. 20-21.
466. Деген-Ковалевский Б.Е., Проблема датировки „больших Кубанских курганов", КСИИМК, 1936, გვ. 14-17.
467. Иессен А. А. Прикубанский очаг металургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА-23, М., 1951, გვ 75 и др.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყუბანისპირეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები ამჟამადაც არ არის სპეციალური კვლევის ობიექტი. ჩვენს მიერ სპეციალურად იქნა შესწავლილი კრასნოდარის, მაიკოპის, სოჭის და ტუაფსეს მუზეუმების ფონდები და შეიძლება ითქვას შემდგომ მასალა თითქმის არ მომატებულა. ამ რეგიონში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელები: ი. ანფიმოვი, ვ. მარკოვინი, ე. ეგოროვი, ნ. მინაევა, ვ. ტეშეევი, ს. ბოჩკაროვი, ა. ნეხაევი და სხვა) ძირითადად ან უფრო ადრეულ (მაიკოპურ-ნოეოსვობოდნაიას), ან მოგვიანო ე.წ. მეოტურ კულტურებს სწავლობენ. მათ შორის ლაკუნა ისევ საგრძნობია და თვალშისაცემი. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანა ეს ის პერიოდია, რომლის ძეგლები ყველაზე მრავალრიცხოვნად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ჩვენის აზრით, ამ სიცარიელის ახსნა კიდევ ერთი მომენტით შეიძლება. მთელი რიგი სპეციალისტები უბრალოდ არ ინტერესდებიან ამ პერიოდით და ყურადღება გადააქვთ უფრო ადრეულ და მოგვიანო მასალების შესწავლაზე. მაგალითად, ნეხაევი სწავლობს მაიკოპური კულტურის ორფენიან ნასახლარს, სადაც ზემოდან არის მოგვიანო ფენა, რომლის შესახებ პირად საუბარში პირდაპირ აღნიშნა, რომ ეს კერამიკა რამდენადმე უცხოა მაიკოპურისა და მეოტურისთვის და რას უნდა მიეკუთვნოს ძნელი სათქმელია. მასალის ზედაპირულმა გაცნობამ აშკარად დაგვანახა, რომ იგი თითქმის იმეორებს გუმისთა II და ნანილობრივ კისტრიკის ნასახლარების გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკას და მათი სინქრონული უნდა იყოს. კრასნოდარის მუზეუმის გამოფენაზე წარმოდგენილია კრასნოგვარდეისკის სამაროვნის სამარხეული კომპლექსები, რომლის ქვედა თარიღი განსაზღვრულია ძვ.წ. VI ს. (ადრემეოტური ხანა). ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა კომპლექსმა, რომელშიც შედის ბრინჯაოს სადა, მრგვალმავრთილიანი სამაჯურები, ოვალური 1,5 ხვია აგრაფი, დისკოსებურთავიანი, თავთან ყუნწით საკიდი, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი და ტოლჩა. იმის გამო, რომ კრასნოგვარდეისკის სამაროვანი ძირითადად მეოტურ მასალებს შეიცავს ეს კომპლექსიც მოგვიანო ხანისადაა მიჩნეული, თუმცა შუბისპირის გარდა მთელი მასალა მკვეთრად განსხვავდება მეოტურ ნაკეთობებისაგან და ძვ.წ. IX-VIII სს. უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს. ეს ორი ფაქტი ვფიქრობთ კარგად გვიჩვენებს დამოკიდებულებას ყუბანიპირეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისადმი, რაც გამოჩნდა პროფ. ნ. ანფიმოვის მოხსენებაში კავკასიის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე სიღნაღში, სადაც წარმოდგენილი იყო ძვ.წ. VII-VI და მომდევნო პერიოდის მეოტური მასალები და არა მასზე ადრეული კომპლექსები და ნაკეთობანი. იგივე დამოკიდებულება ამ ძეგლებისადმი ჩანს ი. ვორონოვის წიგნში „Древности Сочи и его окрестностей", სადაც ავტორისთვის დამახასიათებელი ჩვეულების მიხედვით და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე მთელი რიგი ძეგლები ხელაღებით მოგვიანო ხანისად არის მიჩნეული.

კულტურულ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა საკითხების კვლევისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ რეგიონისთვის დამახასიათებელ ელემენტთა განსაზღვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ ურთიერთობათა ხასიათის გარკვევა. ყუბანიპირეთის მასალების შესწავლისას მთლიანად ვეყრდნობით ალ. იესენის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს, რომელშიც გამოყოფილია ერთი მთლიანი ტერიტორია მდ. ყუბანის აუზის და მიმდებარე სტეპების და შავიზღვისპირეთის რაიონები. განსაზღვრულია ამ რეგიონის წამყვანი საბრძოლო და სამეურნეო იარაღები. ერთი სიტყვით ყუბანისპირეთის არქეოლოგიური კულტურის გამოყოფა ხდება წამყვანი საბრძოლო და სამეურნეო იარაღების მიხედვით. სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული არქეოლოგიური კულტურის სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები (ნამოსახლარი და დასახლების ტიპი. სამაროვნები და დაკრძალვის რიტუალი). თვით მატერიალური კულტურის ისეთი ნამყვანი ელემენტი, როგორიცაა კერამიკა. პროფესორი ალ. იესინი თვითონვე გრძნობდა ამ ხარვეზს, რაც სრულიად ბუნებრივად აიხსნება ამ მასალის სიმცირით და ნაკლებშესწავლილობით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერჯერობით ბევრი არაფერია გაკეთებული.

უკეთესი მდგომარეობაა კოლხური არქეოლოგიური კულტურის შესწავლის საკითხში, მაგრამ საკვლევი აქაც ჯერ კიდევ ბევრია. არ არის შესწავლილი კოლხური ბრინჯაოს იარაღთა განვითარების ქრონოლოგიური ეტაპები და მათი კავშირი ყველაზე მასობრივ კერამიკულ ნაწარმთან. არ არის შესწავლილი ამ ნამყვანი იარაღების გავრცელების ზუსტი ტერიტორია და თითოეული ტიპი რამდენ განსხვავებულ ტერიტორიას საზღვრავს. თვით ისეთი საკითხი, როგორიცაა კოლხური კულტურის გავრცელების საზღვრები, ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. ეს განსაკუთრებით ეხება ამ კულტურის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს ე.ი. ტერიტორიას, სადაც იგი უნდა შეხებოდა ყუბანისპირეთის კულტურას. მთელი ეს რეგიონი თანამედროვე გუდაუთი-გაგრა-ადლერი-სოჭის რაიონები არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია და ამ კულტურათა შეხვედრის შესახებ საუბარი გვიხდება მხოლოდ ცალკეული ნივთების მიხედვით. სამწუხაროდ, ეს მასალაც მცირეა.

კოლხური კულტურის საზღვრების გარკვევა გადაუდებელ ამოცანად გვესახება ვინაიდან უნდა დავსახოთ ურთიერთობის საკითხების კვლევის თვალსაზრისით, თუ რა მასალას უნდა დავეყრდნოთ. საერთოდ, ჩვენი მოსაზრება არქეოლოგიური კულტურის და მისი ლოკალური ვარიანტების შესახებ შეიძლება ფორმულირებული იყოს შემდეგნაირად – არქეოლოგიური კულტურა შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი რეგიონში აღმოჩენილი მასალის წამყვანი ელემენტები ემთხვევა ერთმანეთს. მაგ., სახეზე გვაქვს კერამიკის, საბრძოლო და სამეურნეო იარაღის გავრცელების საზღვრების დამთხვევა. რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა სრული სურათის მისაღებად კულტურის სხვა კომპონენტების დამთხვევაც. მაგ., დაკრძალვის წესი, ნამოსახლარის ტიპი, ანთროპოლოგიური მონაცემები, სამკაული და სხვა. მაგრამ, ვიმეორებ, თუკი მატერიალური კულტურის რამდენიმე ელემენტი მაინც ემთხვევა ერთმანეთს, ამ შემთხვევაში გვაქვს სრული უფლება, ერთგვაროვან არქეოლოგიურ კულტურაზე ვილაპარაკოთ, რასაკვირველია, არ უნდა იქნას დავიწყებული ქრონოლოგიური ასპექტი. მაგ., კოლხური კულტურის გავრცელების ადრეულ ეტაპზე კერამიკის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში სხვა სურათი გვაქვს, ვიდრე მომდევნო ხანებში. მკვეთრად გაიყოფა ორი ლოკალური რეგიონი. თანამედროვე გუდაუთა-გაგრის რაიონები ერთი მხრივ, სადაც სახეზეა პროტოკოლხური იერის, უხეში, სქელკეციანი, მოყავისფროდ გამომწვარი, სადა კერამიკა, და მეორე მხრივ სოხუმი, გულრიფში, ოჩამჩირე, გალის რაიონები, სადაც ვრცელდება კოლხური კერამიკის ადრეული ფორმები. მომდევნო საფეხურზე კი, მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს კოლხური, ტიპიური კერამიკა დამახასიათებელი ძვ.წ. I ათასწლეულისთვის. აშკარაა, რომ კერამიკის გავრცელების საზღვრები სხვა რეგიონს ხაზავს, ლითონის ინვენტარი კი სხვას. ეს უკანასკნელი მოიცავს თითქმის მთელი აფხაზეთის ტერიტორიას.

ამგვარად, ურთიერთობის საკითხების კვლევის დროს აუცილებლად მიგვაჩნია დავეყრდნოთ მთელ იმ მასალას, რომელიც ამჟამად არსებობს და თანმიმდევრულად განვიხილოთ კულტურის მთელი რიგი ელემენტები. სამწუხაროდ, ამგვარი კვლევის ჩატარება მოგვიწევს მხოლოდ მატერიალური კულტურის კომპონენტებზე, ვინაიდან როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკვლევი პერიოდის ნასახლარები ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის და საერთოდ უცნობია, თუ რა ტიპის ნასახლართან გვაქვს საქმე – ხელოვნური ბორცვი, ბუნებრივი გორა, ტერასა და სხვა. ასევეა საქმე სამაროვნებთან და დაკრძალვის წესთან დაკავშირებით. ყუბანისპირეთისთვის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი ჩანს ყორღანული სამარხები მდიდრული ინვენტარით, სამკაულით. საყურადღებოა, რომ სამეურნეო იარაღი გვხვდება უფრო ადრეულ კომპლექსებში, მოგვიანო ეტაპზე კი ისინი სრულიად ქრება.

საწინააღმდეგო სურათი გვაქვს ბრინჯაოს ეტაპზე. სამარხების რიგი გვაოცებს თავისი სამარხული ინვენტარის სილარიბით. ისინი წარმოდგენილია თითო-ოროლა თიხის ჭურჭლით, ხშირად ამ ჭურჭლის ფრაგმენტით, რომელზეც ხის ნახშირი დევს.[468] სამარხის ტიპი კატაკომბურია – ჭისებრი ორმო გვერდითი ღრმულებით, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოს დგას შემდგომ ეტაპზე ფართოდ გავრცელებულ სარმატულ სამარხებთან. ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ მასალის სიმცირის პირობებში ძნელდება მათი ქრონოლოგიური გათიშვა. სწორედ ამით უნდა აიხსნას კრასნოგვარდეისკოეს სამაროვანის ადრეული კომპლექსების მოგვიანო ხანით დათარიღების ფაქტები.

ამჟამად თუ გადავხედავთ კოლხეთის და კერძოდ, მისი ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის – აფხაზეთის სამაროვნებს, სხვა სურათს დავინახავთ. აქ გავრცელებული ჩანს ძირითადად ორმოსამარხები, ოსუარიუმები. დაკრძალვის რიტუალი სხვადასხვაგვარია – კიდურებმოხრილი, მეორადი დაკრძალვა, კრემაცია, ნაწილობრივი კრემაცია.[469] ანალოგიურ რიტუალს ვერ ვხედავთ ყუბანისპირეთის კულტურაში. განსხვავება აშკარაა სამარხთა ტიპშიც. აქ საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში აფხაზეთის გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს ე.წ. დოლმენური კულტურა. ტიპოლოგიურად იგი ზუსტად იმეორებს ყუბანისპირეთის მთისწინა და მთის ზოლში[470] გავრცელებული დოლმენების ფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის ამ რიტუალის მიხედვით ეს ორივე რეგიონი ერთი კულტურის წრეში ექცევა.[471] ჩვენთვის საინტერესოა ამჟამად ერთი ფაქტი. დოლმენური კულტურა, როგორც ძირითადი სამარხის ტიპი და დაკრძალვის რიტუალი შუა ბრინჯაოს ხანის ბოლოსთვის, წყვეტს არსებობას. გვიანბრინჯაოს ხანისთვის ხდება მისი იშვიათი, პერიოდული გამოყენება. ეს სურათი აშკარაა როგორც ყუბანისპირეთში, ისე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გვიანი ბრინჯაოს-ადრე

468. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
469. **Трапш М. М.**, Труды, т. I, т. II.
470. არსებობს ვარაუდი ყუბანისპირეთის სტეპების ზოლში დოლმენების არსებობის შესახებ, მაგრამ იგი ჯერჯერობით არ დასტურდება.
471. **Марковин И.**, Дома карликов; **Цвинария И. И.**, Олхарские дольмены (печатается).

რკინის ხანის ერთეული ნივთები, აღმოჩენილი დოლმენებში, უფრო მათ მეორად პერიოდულ გამოყენებაზე მიგვითითებს. ამ თვალსაზრისით სრულიად გაუგებარია იმ მკვლევართა მოსაზრებანი, რომლებიც დოლმენურ კულტურას ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლომდის თვლის გავრცელებულად.[472]

ი. ვორონოვი და მ. გუნბა ვერ გაერკვნენ იმ ფაქტში, რომ ყუბანისპირეთის ერთ-ერთ დოლმენში აღმოჩენილი თუნდაც რამდენიმე ნივთი ამ კულტურის არსებობის ძირითად ასაკს ვერ განსაზღვრავს. კიდევ მეტი, ის ნივთები, რომლებიც მათ მოგვიანო პერიოდისად მიაჩნიათ, ფაქტობრივად ბევრად უფრო არქაულია [473] (მაგ. ბრტყელი, დისკოსებრთავიანი საკინძები).

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი. დოლმენურ კულტურაში გავრცელებული დაკრძალვის მეორადი რიტუალი აფხაზეთის ტერიტორიაზე თავს ინახავს გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაშიც. ოსუარიუმიები – ეშერის, პრიმორსკის, წითელი შუქურას, ეშერის კრომლეხები, მერხეულის, ფიჩორის, ჯანტუხის კოლექტიური სამაროვნები, ყუბანისპირეთში კი ეს რიტუალი თითქოს დოლმენების გაქრობასთან ერთად ისპობა. შესაძლოა, ამგვარი სურათი სამაროვანთა შეუსწავლებლობის ბრალიც იყოს. ყოველ შემთხვევაში არსებულ მოგვიანო მასალებში ეს რიტუალი აღარ ჩანს.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ჩვენს მსჯელობას აფხაზეთის და ყუბანისპირეთის ნამოსახლართა და სამაროვნების შესახებ, დასკვნა ერთი ჩანს – ეს ორი რეგიონი კულტურის ამ ელემენტების მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნულია. შესაძლოა, მომავალმა გათხრებმა და სადაზვერვო სამუშაოებმა ყუბანისპირეთის ტერიტორიაზე რამდენადმე შეცვალოს ეს მოსაზრება, მაგრამ ძირითადი ხაზი სადღეისო მონაცემებით მაინც ამგვარი უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ კერამიკული ნაწარმი, რომელსაც იხსენიებს ა. იესენი, ძალზე მცირერიცხოვანია და ფრაგმენტური: თეითონ მკვლევარი მათ შესახებ არავითარ ცნობებს არ იძლევა, რაც აძნელებს მათზე მსჯელობას. ეს არის შავად ან მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი, ხელით ნაძერწი ჭურჭელი ქოთნის ან ხელადის ფორმის. ქოთნები ხასიათდება კასრისებრი ტანით, დაბალი ყელით და მსუბუქად გაშლილი პირით. ხელადები ხასიათდება მაღალი, თითქმის ცილინდრული ყელით, მსუბუქად გაშლილი პირით, დაბლა დანეული სფერული ტანით და ფართო ბრტყელი ძირით. მრგვალ ან ოვალურგანიკვეთიანი სადა ყური პირზე და მუცელზეა მიძერწილი.

ტიპოლოგიურად მსგავსი ჭურჭლები ცნობილია წითელი შუქურას სამაროვანიდან, თუმცა მათ შორის განსხვავება აშკარაა კეცის მხრივ. სოხუმის ნაწარმი თხელკედლიანია, ხაოიანზედაპირიანი, მოყავისფროდ გამომწვარი ძალზე სუსტად და შლადი, მაშინ, როდესაც ყუბანისპირეთის ამ ჯგუფის ნაწარმი მოშავოა, შედარებით სქელკედლიანი და მსუბუქად ნაპრიალები. კერამიკული ნაწარმის ამ ჯგუფის განხილვა საშუალებას იძლევა კიდევ ერთი საყურადღებო დასკვნის გასაკეთებლად – ხელადები ყუბანისპირეთიდან ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება მოგვიანო ე.წ. მეოტურ მასალას და ამ უკანასკნელების პროტოტიპებს უნდა წარმოადგენდნენ. მეოტურ მასალასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ურთიერთობათა საკითხის კვლევის დროს. საქმე ეხება ამ კერამიკაზე (განსაკუთრებით კი ხელადებზე) ფართოდ გავრცელებულ შვერილებს, რომლებიც ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ზოომორფულ ყურებს; უფრო ზუსტად მეოტური კერამიკის ე.წ. ზოომორფული შვერილები არის კოლხური კულტურის მოგვიანო ვარიანტების დეგრადირებული ფორმები. შესაძლოა, სწორედ აქედან იყოს ეს მასალა გავრცელებული მეოტურ-სარმატულ კერამიკაზე, მით უფრო, რომ მომიჯნავე ცენტრალურ კავკასიურ თუ სტეპების კულტურებისაკენ ამგვარი შვერილები სრულიად უცნობია. ეს არის ერთი ძაფი, რაც ჩანს კოლხეთ-ყუბანისპირეთის კერამიკული ნაწარმის კავშირურთიერთობათა შესახებ.[474]

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საბუთი ამ კავშირების შესახებ ჩვენ შემდგომში გვესახება. აფხაზეთის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაწარმის განხილვის დროს ჩვენ შევეცადეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე კერამიკის გავრცელების მიხედვით გამოგვეყო ორი ლოკალური ვარიანტი. გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველ ეტაპზე გუმისთა II – კისტრიკის მასალების მიხედვით სოხუმის ჩრდილოეთით ისახება ერთი ლოკალური კერა, რომელიც ხასიათდება პროტოკოლხური იერის მოყავისფროდ გამომწვარი, თხელკედლიანი, მარცვლოვანი კერამიკით. კოლხური კულტურის მეორე ეტაპიდან კი თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია ტიპიური კოლხური ნაწარმი.[475]

472. Воронов Ю. Н., Гунба М.М., Новые памятники колхидской культуры, СА-1976 г.

473. Барамидзе М. В., Хронология-периодизация памятников эпохи поздней бронзы-раннего железа Абхазии.

474. ბარამიძე მ., ჩიგოშვილი ო., აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკა (ხელნაწერი).

475. ჩვენთვის რამდენადმე გაურკვეველია თანამედროვე გაგრის რაიონის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, საიდანაც

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ I ეტაპის ნაწარმი სოხუმის სამხრეთით ტიპიური კოლხურია (ფიჩორი, ტამიში, შეშელეთი). გუდაუთა-გაგრის რაიონებში გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე გავრცელებული კერამიკა დამუშავების ტექნიკის მიხედვით ზუსტად იმეორებს ყუბანისპირეთის მასალებში ჩვენ მიერ გამოყოფილ ერთ ჯგუფს. მხედველობაში გვაქვს ვესიოლოეს ნასახლარი (ხელმძღვანელი ვ. ნახაევი). ნასახლარზე დასტურდება ორი კულტურული ფენა რამდენიმე საამშენებლო ჰორიზონტით, რომლებიც მაიკოპ-ნოვოსვობოდნაიას პერიოდს განეკუთვნება. ნასახლარის ზედა ჰორიზონტზე მოპოვებული კერამიკა ზუსტად იმეორებს გუმისთა II და კისტრიკის ნაწარმს. ვ. ნეხაევი ამ კერამიკას მიიჩნევს უცხოდ მაიკოპური და მეოტური ნაწარმისათვის, თუმცა თვლის სინქრონულად მაიკოპური კულტურისა. პირად საუბარში მან გაიზიარა ჩვენი მოსაზრება ამ მასალის გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის მიკუთვნების შესახებ. ეს მით უფრო მისაღებია, რომ ამ მასალის შემცველ ფენასა და მაიკოპური კულტურის ფენებს შორის დევს სტერილური თიხნარი სისქით 3 მ-მდე (მონაზვინი) აღნიშნული გარემოება ყოვლად გაუმართლებლად თვლის ამ მასალის მაიკოპის სინქრონულად მიჩნევას. ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მასალის მიხედვით ყუბანისპირეთის და ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის – აფხაზეთის ჩრდილო რეგიონს შორის მჭიდრო კავშირია და შესაძლოა ერთ კულტურულ წრესაც კი ხაზავს. აღნიშნული მოსაზრება შემდგომ დაზუსტებას და შემაგრებას მოითხოვს. მით უფრო, რომ ჩვენი ეს მოსაზრება ემყარება მხოლოდ ამ მასალის დამუშავების ტექნიკას, კეცს, ფერს, გამონვის ხარისხს. სამწუხაროდ, არც აფხაზეთში და არც ყუბანისპირეთში არ გვაქვს მთლიანი ფორმები, ცალკეული პროფილებიც კი და ძნელია მსჯელობა მათ სრულ მსგავსებაზე.

კავშირ-ურთიერთობათა კვლევის საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეტალის ნაწარმს. ყუბანისპირეთი ტერიტორიულად ისეთ რეგიონს მოიცავს, რომ აქ გარკვეულად უნდა შეხვდნენ ერთმანეთის მომიჯნავე კულტურები. ჯერ კიდევ ა. იესენი აღნიშნავდა, რა ამ რეგიონის მნიშვნელობას, ეცადა გამოეყო ყუბანისპირეთის მასალებში დასავლეთ ამიერკავკასიური (კოლხური), ცენტრალურ კავკასიური (ყობანური) და სტეპების კულტურათა ნაწარმი.[476] პროფ. ა. იესენის მიერ ჩატარებული სკურპულუზური კვლევის შედეგად გამოყოფილ იქნა მთელი ეს ნაწარმი და დარჩენილი მეტალის ინვენტარი კი განხილულ იქნა როგორც ადგილობრივი დამახასიათებელი ნაკეთობანი. სამწუხაროდ, მკვლევარმა ვერ შესძლო მოეცა ზუსტი ქრონოლოგიური თარიღები ამ მასალისათვის და ალბათ ეს შეუძლებელიც იყო. დღესაც კი ძალზე გაჭირდება გამოიყოს კოლხური კულტურის მეტალის იარაღში ის ფორმები, რომლებიც მეტნაკლებად ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ექვემდებარება, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო იქნა ჩატარებული.[477] უახლესი აღმოჩენების გათვალისწინებით ჩვენ შეეცადეთ მოგვეძებნა გარკვეული საფუძველი ყუბანისპირეთის მთელი ამ მასალის დათარიღებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემდა თავის მხრივ გაგვერკვია ამ მეზობელ კულტურათა კავშირების ხასიათი, ინტენსიურობა და ურთიერთგავლენა.

ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იქცევს ბიჭვინტის განძი, რომელშიც აღმოჩენილია 1 ცული ე.წ. პილენკოვოს ტიპის, 1 კოლხური ცული II ტიპის (ო.ჯაფარიძის მიხედვით) ან II ქვეტიპი დ. ქორიძის მიხედვით და 3 ცული განსხვავებული ფორმის. ორ მათგანს ახასიათებს მოგრძო, ოდნავ მოხრილი ტანი, მრგვალი სატარე, მკვეთრად გამოყოფილი, დიფერენცირებული, ზემოდან დაბრტყელებული ყუა, სატარეზე გარედანნიბურებით. ანალოგიური ცულები არაა გავრცელებული კოლხურ-ყობანურ კულტურებში და როგორც სამართლიანად შენიშნავდა პროფ. ა. იესენი ყუბანისპირეთის რეგიონს უნდა ახასიათებდეს. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მსგავსი ცულები აღმოჩენილია ბორგუსტანის და აგურის განძებში და უჩკულანის მახლობლად. განსხვავებული ფორმისაა მეხუთე ცული, რომელიც ხასიათდება მოკლე და ფართო, ოდნავ მოხრილი ტანით, მოქანდული პირით, მრგვალი სატარით, რომელზეც გარედან მსუბუქი რელიეფური ქედები შეინიშნება. პროფ. ა. იესენი მის ანალოგად თვლის მდ. სოჭაზე აღმოჩენილ ცულებს,[478] რომლებსაც შედარებით მოგრძო და ვინრო სატარე და გაფართოებული პირი ახასიათებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოჭის ცულებში შეინიშნება ერთგვარი ტიპოლოგიური განვითარება, ისე რომ ბიჭვინთის განძის ცული ტიპოლოგიურად ყველაზე გვიანია და პროფ. ა. იესენის აზრით განეკუთვნება ბრინჯაოს ხანის დასასრულს.[479] მისივე

საერთოდ არ გვაქვს ამ პერიოდის მასალა, კერამიკის სახით. ერთეული ფრაგმენტები კალდხვარას გამოქვაბულიდან ზემოთ მოყვანილი მოსაზრების დამასაბუთებლად გვეჩვენება. შდრ. Воронов Ю., Археологическая карта Абхазии.

476. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ 80 და შმდ.

477. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; Барамидзе М. В., Хронология-периодизация памятников эпохи поздней бронзы-раннего железа и их синхронизация с основными памятниками колхидской культуры.

478. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 100 სურ. 29.

479. იქვე, გვ. 98-100.

ვარაუდით, ეს ცულები გარკვეულად უკავშირდება სამხრეთ-ამიერკავკასიის დოლმენების ნაწარმს.[480] თუმცა არ ასახელებს რა მასალას გულისხმობს. ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან მსგავსი ცულები ცნობილი იყო ეშერის დოლმენებიდან.[481] უკანასკნელ ხანებში ისინი აღმოჩენილია ოთხარის და ხვაბის დოლმენებში და მიეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანას.[482]

ბიჭვინთის განძის დათარიღების საკითხს ბევრი მკვლევარი შეეხო (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, ალ. რამიშვილი და სხვა). ყველა მათგანი მას ერთ-ერთ უადრეს განძად თვლის და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს ან გვიანის საწყისს მიაკუთვნებს. ამ საკითხს უკანასკნელად შევეხეთ ჩვენც, სადაც აღვნიშნავდით, რომ ბიჭვინთის განძი თავისთავად, ყველა ელემენტით არქაულ განძს წარმოადგენს. კოლხური ცული ხასიათდება არქაული იერით, ყუის გაფორმების მიხედვით; პილენკოვოს ტიპის ცული შეიძლება მიჩნეულ იქნას კოლხური ცულების პროტოტიპებად (გაგრა, ლიხნი, ერგე, მახუნცეტის ცულებთან ერთად), რაც შეეხება ე.წ. „დოლმენურ" ცულს იგიც უფრო შუა ბრინჯაოს ხანისაკენ ინევს. აღნიშნული გარემოება გვაძლევს უფლებას ბიჭვინთის განძი მიჩნეულ იქნას შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ეტაპის კუთვნილად და მისი ასაკი ძვ.წ. XV-XIV ს-ის საწყისით განისაღვროს. აქედან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია პროფ. ა. იესენისეული თარიღი (ბრინჯაოს ხანის დასასრული) რამდენადმე დაძველდება და დაკონკრეტდება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ განვსაზღვროთ საკვლევ პერიოდში კოლხურ და ყუბანისპირეთის კულტურათა შეხვედრის და ორმხრივი ურთიერთობის ასაკი.

ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა გამახვილდეს კიდევ ერთ საკითხზე: დასავლეთ ამიერკავკასიის და ყუბანისპირეთის კულტურათა ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანით. თავი რომ დავანებოთ იმ მჭიდრო კავშირებს და იმპულსებს, რომელიც ჩანს ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანაში[483] და ცდება ჩვენი კვლევის ჩარჩოებს. იგივე პროცესი საგულისხმოა შუა ბრინჯაოს ხანისათვის. სადღეისოდ ამის მონაცემები, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს ცულების კიდევ ერთი ფორმა. საქმე ეხება ე.წ. ყუამილიან ცულებს. პროფ. ა. იესენის აზრით, კავკასიონის ორივე კალთაზე რაჭასა და დიგორიაში გვიანბრინჯაოს ხანაში არსებობს ადგილობრივი საწარმოო მეტალურგიული კერა, რომლის ნაწარმი აგრძელებს ძვ.წ. II ათასწლეულის ნაწარმის ტრადიციებს, მაშინ, როდესაც ეს ნაკეთობანი სხვა რეგიონებში უკვე გამქრალია.[484] მისი აზრით, სწორედ ცენტრალური კავკასიიდან გვიანბრინჯაოს ხანაშია მოხვედრილი ყუამილიანი ცულები ყუბანისპირეთში. პროფ. ა. იესენი ასახელებს ორ ცულს. ერთი მათგანი მომდინარეობს ურუპიდან, მას ახასიათებს მოკლე კოჭისებური ყუა, ყუასთან შევიწროებული, შედარებით სწორი ტანი და ძალზე მოქანდული ფართო პირი. მეორე მომდინარეობს ხუტორ შუნტუკიდან და აქვს მოგრძო მილისებრი სატარე, გარეთ მოხრილი ტანი, ფიგურულად შეჭრილი წანვეტებული პირი. უკანასკნელ ხანებში ამ მასალას დაემატა ამ ტიპის კიდევ რამდენიმე ნაკეთობა. კრასნოდარის მუზეუმში დაცულია ურუპის ტიპის ერთი ცული და ერთი მილი, აგრეთვე შუნტუკის ცულის პირის ფორმის ნაკეთობა. პროფ. ა. იესენს მიაჩნია, რომ აღნიშნული 2 ცული მოხვედრილია ყუბანისპირეთში ცენტრალურკავკასიურ (დიგორიის) კულტურასთან ურთიერთობის შედეგად.[485] ორივე ეს ცული სხვადასხვა ტიპოლოგიურ ვარიანტებს წარმოადგენს, და მათი გავრცელების რეგიონი მარტო რაჭა-დიგორიით არ შემოიფარგლება (რასაც თვით პროფ. ა. იესენიც აღიარებს) და გავრცელებულია კავკასიონის მთის ზოლში (სვანეთი, ჩრდილოეთ ქართლი, იმერეთი), მათი ასაკი რამდენადმე ადრეულია და გვიანბრინჯაოს ხანისთვის მათი მიკუთვნება გაძნელდება. იმერეთის ცულები (საჩხერე) ტიპოლოგიურად უფრო ადრეულები ჩანს[486] და მათი მიკუთვნება ადრე ბრინჯაოს ხანისათვის ეჭვს არ ინვევს. ამ ცულების განვითარება ტიპოლოგიური თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მასრას, რაც გამოიხატა სატარე მილის დამოკლებასა და მილისებრი სატარის კოჭისებურად გარდაქმნაში.[487] ამ ელემენტებით ურუპის ცული ზუსტად იმეორებს რაჭის ცულებს, კომპლექსები, სადაც ეს ცულებია აღმოჩენილი, შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულზე მოგვიანოდ არ შეიძლება იქნას მიჩნეული. რაც შეეხება დიგორიის მასალებს, მის უადრეს საფეხურზე მაინც, ისინი რამდენადმე უფრო მოგვიანოა რაჭასთან შედარებით და ამ

480. იქვე, გვ. 98.
481. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949.
482. **Цвинария И.**, Новые памятники дольменной культуры.
483. **Пхакадзе Г.**, К изучению памятников Риони-Квирильского бассейна, СА-№2, 1988; **Пхакадзе Г.**, Некоторые вопросы энеолита Западного Закавказья, სმამ-130, №1, 1988; **Цвинария И. И.**, Поселение Гуандра, Тб., 1979.
484. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85, სურ. 8, 9.
485. იქვე, გვ. 85-86.
486. **ჯაფარიძე ო.**, ქართველი ტომების ისტორიისათვის...
487. **Барамидзе М. В.**, დასახ. ნაშრომი.

კულტურის გავრცელება ყობანში სწორედ რაჭის გაელით თუ რაჭიდან მოხდა.[488] ეს პროცესი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდანაა საგულისხმებელი. ასევე ზუსტად იმეორებს შანტუკის ცული, ბრილის პარადულ ცულებს, რომლებიც კომპლექსების მიხედვით შუა ბრინჯაოს ხანისა ჩანს. აქვე მხედველობაშია მისაღები მხოლოდ ერთი გარემოება. როდისაა ეს ნივთები მოხვედრილი ყუბანისპირეთში. თვით ამ ნივთების არსებობის ხანაში, თუ რამდენადმე გვიან, ვიდრე არ გავარკვევთ ამ საკითხს, ჩვენი აზრით, მათი ასაკი მაინც შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით უნდა იყოს განსაზღვრული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყუამილიანი ცულების გავრცელება ყუბანისპირეთის ტერიტორიაზე გარკვეულ პერსპექტივებს სახავს კავშირურთიერთობათა კვლევის საკითხში ადრე და შუა ბრინჯაოს ხანისათვის. ზემოთ ხსენებული ურუპის და შუნტუკის ცულები არაა გამონაკლისი ყუბანისპირეთისათვის და აქ წარმოდგენილი სხვა მასალაც, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა მოვიხსენიებთ კრასნოდარის მუზეუმში დაცულ ერთ ყუამილიან ცულს, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, თუმცა, აშკარაა, რომ ამ რეგიონიდან მომდინარეობს. მას ახასიათებს სწორი ტანი, ოდნავ მოქანდული გორდა პირი, მოკლე მილისებური სიგრძივი რელიეფური ზოლებით შემკული სატარე. აღნიშნული ცული მეტ-ნაკლებად ზუსტად იმეორებს ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის VIII ფენაში აღმოჩენილი ყალიბების ფორმას,[489] რომლებსაც ჩვენ ე.წ. „ფიჩორულ" ვარიანტს ვუწოდებთ. საერთო მოყვანილობით (ტანი, ყუაზე ქედები). აღნიშნული ცულები გარკვეულად უკავშირდება კელერმერმესის №5 ყორლანში აღმოჩენილ ცულს, ყუაზე ქედებით.[490] იგი კავშირშია კავკასიის ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ყალიბის ფორმასთან, თუმცა ამ უკანასკნელს აგურის განძის ცულთან ერთად, ოდნავ განსხვავებული, მსუბუქად მოხრილი ტანი აქვთ. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყუაზე ქედების არსებობა ყუბანისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კიდევ რამდენიმე ცულს ახასიათებს (მდ. სოჩი, კრუგლოსელსკოე, ყუბანის ოლქი), მაგრამ ისინი არაა ისე მკვეთრად გამოსახული, როგორც პირველ შემთხვევაში. არაა გამორიცხული, რომ ყუის ამგვარი შემკობა, ეს ტექნიკური ელემენტი შესული იყოს ყუბანისპირეთში სამხრეთიდან, სადაც მას ეხვედებით ქრონოლოგიურად უფრო ადრე საფეხურზე. ყოველ შემთხვევაში, კელერმესის, აგურის თუ სხვა ცულები შუაყობანურ ხანას არ გასცდება და რამდენადმე მოგვიანია, ვიდრე „ფიჩორული" ვარიანტის ცულები.

ჩვენთვის სადღეისოდ საჭიროა განვსაზღვროთ კოლხურ-ყობანური და ყუბანისპირეთის ფორმათა გავრცელება-შეჭრის საერთო ელემენტები ორივე რეგიონში. პროფ. ა. იესენმა შესძლო გამოეყო ყუბანისპირეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ნაკეთობანი, მაგრამ იმის გამო, რომ ხელთ არ ჰქონდა კომპლექსური მასალები, ვერ ასცდა ზოგად სურათს. ნაშრომში არაა მოცემული ქრონოლოგიური გრადაციის სურათი, რისთვისაც შეეცადეთ გვერდი არ აგვეცლო. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი მასალა, განსაკუთრებით ყუბანისპირეთიდან, თითქმის არაა, რაც აძნელებს კვლევას. სადღეისოდ შესაძლებელი ხდება გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის გამოიყოს მთელი რიგი ნაკეთობანი, რომლებიც ამ რეგიონებს ახასიათებს. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ ცულებს. ქ. სოჭის ტერიტორიაზე, ნავაგინის ქუჩაზე აღმოჩენილი იყო ერთი კოლხური II ტიპის ცული[491] – როგორც პროფ. ა. იესენი აღნიშნავს, ეს ერთადერთია, სოჭის ჩრდილო-დასავლეთით მას არ ეგულებოდა არც ერთი შემთხვევა ამ ცულის აღმოჩენის, თუმცა აღნიშნავდა, რომ ერმიტაჟში დაცულია 2 კოლხური ცული და საკანჭური, რომელიც თითქოს ქერჩის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ამის გარდა იგი იხსენიებდა ყობანური ცულის ჩაქუჩისებურ ყუას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მონაცემები არაა სრული. სოჭის მუზეუმის ფონდების დათვალიერებისას 1987 წ. ჩვენ გვაჩვენეს 1 ტიპის კიდევ ორი ცული, რომელიც, გაუგებარია რატომ არ შეიყვანა ნაშრომში ავტორმა. ასევე არ იხსენიებს მათ ი. ეორონოვიც, როგორც ჩანს, ა. იესენის ნაშრომის გავლენით. ა. იესენს მოჰყავს ცნობები პილენკოვოს, გაგრის და ბიჭვინტის განძების შესახებ, სადაც კოლხური ცულის პროტოტიპებთან ერთად 1 კოლხური ცულიცაა აღმოჩენილი. იგი გამოყოფს პროტოტიპებს, როგორც ამ მოსაზღვრე რეგიონის დამახასიათებელ ელემენტს და მიაჩნია, რომ საზღვარი კოლხურ და ყობანურ კულტურებს შორის, სადღაც ამ რეგიონში უნდა გადიოდეს.[492] რასაკვირველია ეს მონაცემები სადღეისოდ არაა სრული.

---

488. ბარამიძე მ., ბრილის აკლდამა; იხ. აგრეთვე ჩვენი ნაშრომის III თავი.

489. ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის არქეოლოგიური მონაპოვარი.

490. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ.102, სურ.36; ОАК, 1904, გვ.96, სურ.164.

491. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ.80, სურ.1.

492. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ.83; კოლხური ცულის პროტოტიპების ამ მოსაზღვრე რეგიონის დამახასიათებელ ნაკეთობად მიჩნევა, ჩვენი აზრით, რამდენადმე გადაჭარბებულია. ცულის ეს ფორმა დამახასიათებელი ჩანს ამ ტერიტორიის გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიებისათვის.

ლესელიძის (ხეინის) საშუალო სკოლის მუზეუმში დაცულია I კოლხური II ტიპის მასიური ცული და ერთიც ცულის ფრაგმენტი. არის ცნობა, რომ კოლხური ცულები აღმოჩენილი ყოფილა სხვა დროსაც.[493]

აღსანიშნავია, რომ ყუბანისპირეთის ტერიტორიაზე მრავლადაა ე.წ. ყობანური ცულები. ისინი ძირითადად ერთი ტიპისაა და ხასიათდებიან სწორი ტანით, ჩაქუჩისებური ყუით. ასეთია მაგ.: მდ. ყუბანის ზემო წელზე მდებარე ადგილ ხურზუკში აღმოჩენილი I ტიპის ცული, მარუხის, ურუპის, კრიმსკაიას ცულები.[494] ყველა მათგანი თითქმის ერთი ტიპისაა, მხოლოდ კრიმსკაიას ცული ყუადაბრტყელებულია, დანარჩენი კი ორფერდა. მსგავსი ცულები მრავლადაა აღმოჩენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე (სოხუმის განძი, ყულანურხვა, ნითელი შუქურა, ეშერი, გალი და სხვა).

პროფ. ა. იესენი დასაშვებად მიიჩნევს მათ ადგილობრივ დამზადებასაც კი.[495] მეცნიერთა შორის აღნიშნული ტიპის ცულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილს იგი ტიპიურ ყობანურ ნაკეთობად მიაჩნია (კრუპნოვი, იესენი, კოზენკოვა). ნაწილი კი მათ კოლხურ ფორმად მიიჩნევს (დ. ქორიძე), სადღეისო სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მათი უმეტესი რაოდენობა სწორედ კოლხეთის ტერიტორიაზეა საგულვებელი.[496] უკანასკნელ ხანებში ე.წ. კოლხურ სამაროვნებზე გამოვლენილმა მასალებმა ეჭვის ქვეშ დააყენა მთელი რიგი ე.წ. ყობანური ნაკეთობების კულტურული კუთვნილების საკითხი (სატევრები, სამაჯურები, იხ. ქვემოთ).

თუ გავიზიარებთ ჩვენს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სანყისი პერიოდისათვის ყუბანის ტერიტორიაზე ახალი ეთნიკური მასის შეჭრასთან დაკავშირებით[497], შესაძლოდ მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ კოლხური ცულის ფორმა სამხრეთიდანაა შეჭრილი ცენტრალურ კავკასიაში, სადაც მან, შესაძლოა, გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მიღებული ქრონოლოგიით[498] კოლხური ცულის ადრეული ვარიანტები (I და II სახეობა) უკვე კარგა ხნის შექმნილია, ვიდრე საკუთრივ ყობანური ფორმა (იგი კომპლექსების მიხედვით რამდენადმე მოგვიანო პერიოდისაა. არაა გამორიცხული ის გარემოება, რომ ყუბანისპირეთში გავრცელებული ე.წ. ყობანური ცულები თავისი წარმოშობით სამხრეთული იყოს. ხოლო მათი მოხვედრა ყუბანისპირეთში ყობანის ტერიტორიიდან არ უნდა გამორიცხავდეს ამ შესაძლებლობას. ყობანი ამ შემთხვევაში ფორმის გადამცემ, ერთგვარ სატრანზიტო როლს ასრულებს. თითქოს ამას უნდა ადასტურებდეს ა. იესენისეული დებულება ამ ცულების ადგილობრივ ყუბანისპირეთში დამზადების შესახებ.

საინტერესო სურათს იძლევა ყუბანისპირეთის შუბისპირების შესწავლა. ამ ტერიტორიაზე სადღეისოდ სულ 26 შუბისპირია აღმოჩენილი.[499] მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ანდრიუკოვსკის ეგზემპლარი. მას ახასიათებს გახსნილი ჭედვით დამზადებული მასრა, ვიწრო პირი, ძალზე დაშვებული მხრები. ანალოგიური შუბისპირები ყუბანისპირეთში კიდევ ორი ცალია აღმოჩენილი (კამენომოსტსკოე, ტუაფსეს რაიონი). მასრა მეტ-ნაკლებად გახსნილი აქვს პირველ მათგანს, მეორეს კი გაჭრილი მასრა ნაკერივით ემჩნევა. ქვედა ნაწილში მსუბუქად გახსნილია. ანალოგიური შუბისპირები არაა დამახასიათებელი ჩრდილო კავკასიისათვის[500] და მათ ვხვდებით მრავლად, როგორც აფხაზეთის, ისე საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზე.[501]

მათი გავრცელება ყუბანისპირეთში სწორედ სამხრეთის გზითაა საგულვებელი.

რაც შეეხება მთლიანმასრიან შუბისპირებს, ისინი ფართოდაა გავრცელებული და მათი ტერიტორიალური გამიჯვნა ძნელდება. არაა გამორიცხული, რომ ისინი სწორედ ამ რეგიონის დამახასიათებელ ნაკეთობად იქნას მიჩნეული. რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი გავრცელება, ისევე როგორც

493. გუმილევსკი, რომელმაც შექმნა ხეინის სკოლაში მუზეუმი, ანყობდა დაზვერვებს სოფელსა და მის შემოგარენში. აქაურმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ამ დაზვერვებში, მოგვაწოდეს ეს ცნობა.
494. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ.83.
495. იქვე.
496. აღნიშნული საკითხის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქვს თლის სამაროვნის კულტურული კუთვნილების საკითხის გადაჭრას. ამ ტიპის ცულების უდიდესი ნაწილი სწორედ თლიშია ნაპოვნი. თუ თლი ყობანური ლოკალური კულტურის სფეროში ექცევა, მაშინ რაოდენობრივი უპირატესობა ყობანის სასარგებლოდ ჩანს. აქ დადასტურებული მთელი რიგი მონაცემები (დაკრძალვის წესი, კერამიკის ნაწილი, ტიპიური ყობანური ნაკეთობანი) მაინც არ გამოდგება იმის მყარ საბუთად, რომ თლი ყობანური კულტურის ნრეში გაერთიანდეს. ჩვენი აზრით, თლიში კოლხური ელემენტების სიჭარბე მას, რაჭა-ლეჩხუმთან ერთად, კოლხურ სფეროში აქცევს.
497. იხ. ჩვენი ნაშრომის III თავი.
498. **ჯაფარიძე ო.**, კოლხური ცული; ქორიძე დ., დასახ ნაშრომი, გვ. ; **აბრამიშვილი რ.**, კოლხურ-ყობანურ კულტურათა სინქრონიზაციის ზოგიერთი ასპექტი; **რამიშვილი ალ.**, დასახ. ნაშრომი; **Барамидзе М.**, Хронология-периодизация...
499. ცნობა ამოღებულია ა.იესენის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 111-114; ჩვენთვის ცნობილ ახალ მასალებში შუბისპირები დადასტურებული არ ყოფილა, გარდა I უპასპორტო ნივთისა კრასნოდარის მუზეუმიდან.
500. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი; **Крупнов Е. И.**, Древняя история ...
501. **სახაროვა ლ.**, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის ისტორიიდან (ბრინჯაოს ხელშუბისპირები), მაცნე, 1973, გვ. 82-94.

საქართველოში, გვიანი ბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურს განეკუთვნება[502] და ძირითადად I ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შუბისპირები სწორედ ამ პერიოდში არის გამოყენებაში აფხაზეთშიც (წითელი შუქურა, ეშერი, ყულანურხვა). თუმცა ტიპიური აფხაზეთის ლოკალური რაიონისთვის დამახასიათებელი გრძელყუნწიანი, სამკუთხაპირიანი იარაღი აქ არ ჩანს. ამდენად, სადღეისო მონაცემებით აშკარაა, რომ შუბისპირის პირველი ტიპი, მასრაგახსნილი, ყუბანისპირეთში მოხვედრილია კოლხეთის გზით, ხოლო მეორე ტიპი მთლიანმასრიანი ერთნაირად ახასიათებს ორივე რეგიონს და საიდან არის იგი გაერცელებული ძნელი სათქმელია. უფრო მისაღებად გვეჩვენება სამხრეთული გზა, რადგან ანალოგიური შუბისპირები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მრავლად არის აღმოჩენილი.

საინტერესო სურათს გვაძლევს შუბისპირების იმიტაციები. ორი ცალი ამგვარი იარაღი აღმოჩენილია მდ. სოჭზე. მათ ახასიათებთ გახსნილი მასრა, მოკლე ფოთლისებური პირი. პროფ. ა. იესენი მათ ისრისპირებს უწოდებს და მიაჩნია ყუბანისპირეთში კოლხური ნანარმის არსებობის ერთ-ერთ ელემენტად. მათ ანალოგად იგი ასახელებს ქვალონის ნაოხვამუს ეგზემპლარებს და ისინი ბრინჯაოს ნანარმად მიაჩნია[503]. პროფ. ბ. კუფტინი ამ იარაღს შუბისპირის იმიტაციას უწოდებს და გვიანი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს.[504] პროფ. თ. მიქელაძე ნაოხვამუს ფენას, რომელშიც აღნიშნული იარაღია აღმოჩენილი, გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით ათარიღებს.[505] უკანასკნელ ხანებში მსგავსი იარაღი კოლხეთის კიდევ რამდენიმე პუნქტში იქნა ნაპოვნი (პალურის ჟირ-სუკი, „საძვლე", ნიგვზიანი, სოხუმის მთა, ფიჩორი). ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ისინი ისრისპირების სპეციალურ კოლხურ ვარიანტში გაგვეერთიანებინა და კომპლექსებზე დაყრდნობით ადრეული რკინის ხანით (ზოგადად I ათასწლეულის პირველი ნახევრით) დაგვეთარიღებინა.[506] ამ მოსაზრებას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ მსგავსი ფორმის რკინის იარაღი აღმოჩენილია სოხუმის მთასა და ნიგვზიანში. აშკარაა, რომ მათ კოლხეთის ტერიტორიაზე განვითარების საკუთარი გზა აქვთ და სწორედ აქედან არის ისინი მოხვედრილი ყუბანისპირეთის ტერიტორიაზე.

ასევე სამხრეთული იერისაა იქვე აღმოჩენილი ერთი ხელშუბის პირი, რომლის ანალოგს იესენი ხედავს ლუკინისეულ კოლექციაში.[507] ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული იარაღი ტიპოლოგიურად კარგად უკავშირდება ზემოთგანხილულ მთლიანმასრიან შუბისპირებს, თუმცა მათთან შედარებით უფრო მოკლეა და პირი დაფნისფოთლისებრი მოყვანილობის აქვს. მსგავსი ხელშუბისპირები კოლხური კულტურის გავრცელების რეგიონში მრავლადაა ნაპოვნი და კარგად ახასიათებს ამ კულტურას (ე.ნ. კოლხური სამაროვნები: პალური, მუხურჩა, ნიგვზიანი, ურეკი და სხვა). აღნიშნულ იარაღთან ერთად, როგორც ჩანს, არის ნაპოვნი ზემოგანხილული ისრისპირები მდ. სოჭიდან და ამდენად მისი სამხრეთული წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

საინტერესო სურათს გვაძლევს სატევრები, რომლებიც ყუბანისპირეთში სულ რამდენიმე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.[508] ძირითადად აქ ორი ტიპის იარაღია – ყუნწიანი და უყუნწო. პირველ ტიპში ერთიანდება ვესელოესკის მიერ ჯერ კიდევ 1897 წ. ხუტორ ანდრიუკოესკაიასთან გათხრილ №7 და №8 ყორლანებში აღმოჩენილი სატევრები. მათ ახასიათებთ მოგრძო სამკუთხა ტანი, დაშვებული მხრები, მკვეთრი ქედი. სამანჭველე ნახვრეტები არა აქვს. მათგან პირველი აღმოჩენილია მასრაგახსნილ შუბისპირთან ერთად, რომელიც ზემოთ იყო განხილული და კოლხურ ნანარმად მიჩნეული. მეორე მათგანს კი ყუნწზე 1 და მხარზე 2 სამანჭველე ნახვრეტი ამკობს. ანალოგიური იარაღები დამახასიათებელია კოლხური კულტურის გვიანდელი საფეხურისათვის და ამ უკანასკნელ ხანებში შესწავლილ თითქმის ყველა კოლხურ სამაროვანზეა წარმოდგენილი (პალური, ურეკი, ნიგვზიანი, მუხურჩა, ფიჩორი და სხვა).[509] ამდენად, სრულიად დასაშვებია, რომ იარაღის ამგვარი ფორმა ყუბანისპირეთში სწორედ კოლხეთიდან იყოს გავრცელებული.

ტიპოლოგიურად ამ იარაღთან ახლოს დგას ხუტორ ბესლენეესკაიასთან აღმოჩენილი კიდევ ერთი იარაღი. მას ძალზე გრძელი ტანი და დაშვებული მხრები ახასიათებს.[510] პირი მსუბუქად გამოყვანილია,

---

502. იქვე; ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, გვ. 59.
503. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 100, სურ. 31 – 3, 4.
504. Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 118.
505. მიქელაძე თ., ძიებანი ....., გვ. 53. ჩვენ არ ეიზიარებთ პროფ. თ. მიქელაძისეულ თარიღს ნაოხვამუს ზედა ფენის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისადმი მიკუთვნების შესახებ. Барамидзе М., Хронология-периодизация ...
506. ბარამიძე მ., მერხეულის სამაროვანი, გვ. 46-48.
507. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 100, სურ. 31 – 2.
508. იქვე, გვ. 114-115, სურ. 51, 52.
509. Папуашвили Р. Колхидские кинжалы, Тб., 1990, препринт.
510. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 115, სურ. 51 – 4.

რითაც იგი განსხვავდება კოლხური ნაწარმისაგან. არ არის გამორიცხული, რომ იგი ზემოთგანხილული ყუნწნიანი სატევრების განვითარებულ, ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდეს. ამ მოსაზრებას ერთგვარად ამაგრებს მსუბუქად გამოყვანილი, ალისებრი პირი, რაც რამდენადმე მოგვიანო ელემენტს უნდა წარმოადგენდეს სატევართა განვითარებაში. ბეკეშევსკის განძის სატევარი აღნიშნულ სატევრებთან კავშირში არ უნდა იყოს. იგი მართალია ყუნწნიანია, მაგრამ ტანი ბრტყელი, უქედო, ფართო ტოლფერდა სამკუთხედისებრი აქვს და ამით მკვეთრად განსხვავდება ზემოთგანხილული ტიპისაგან.

ყუბანისპირეთში აღმოჩენილი დანარჩენი სატევრები უყუნწოა და ტიპოლოგიურად სხვადასხვა ვარიანტს წარმოადგენს. ხუტორ ჩამლიკსკაიასთან ვესელოვსკის მიერ გათხრილ ყორღანში აღმოჩენილი სატევარი ფოთლისებურია, ბრტყელპირიანი, უქედო, ძალზე პროპორციული. მომრგვალებულ სატარეზე 3 სამანჭვლე ნახვრეტი აქვს. თარიღდება შუა ყობანური პერიოდის დასასრულით.[511] მის ანალოგს იესენი ვერ ასახელებს. ტიპოლოგიურად ამ ფორმის იარაღები მრავლადაა ამიერკავკასიაში ცნობილი და ფოთლისებურ სატევართა ჯგუფში ერთიანდება,[512] რომლებიც სპეციფიურია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის. აღნიშნულ სატევართა პრიმიტიული იერი თითქოს იმის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს, რომ ისინი შესაძლოა ადგილობრივადაც იქნა წარმოდგენილი.

ტიპოლოგიურად რამდენადმე განცალკევებით დგას ორი სატევარი, ზიჩისეული კოლექციიდან (ყუბანი) და მდ. გონაჩხირიდან. ორივე ქედიან ფოთლისებურ სატევართა ვარიანტს განეკუთვნება და ტიპოლოგიურად მეტ საერთოს ნახულობს აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქვემო და შიდა ქართლის ანალოგიურ ნაწარმთან.[513] იმის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავსი იარაღი არ ჩანს, კოლხური კულტურის გზით მათი შეღწევა ყუბანისპირეთში საეჭვოა. სავარაუდოა ამ ფორმათა ყუბანისპირეთში შეჭრა აღმოსავლეთ საქართველოდან, ყობანის გზით. ამგვარი ვარაუდის საფუძველი სადღეისოდ ვფიქრობთ არსებობს.

ნაკლებად გავრცელებულია ყუბანისპირეთში ბრტყელი ცულები (ბეკეშევსკის და ბორგუსტანის განძები). ისინი ძირითადად ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი[514] – ცულები გვერდითი შვერილებით და სადა, ოთხკუთხა ფორმის შვერილების გარეშე. ეს უკანასკნელი საერთოდ დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო-კავკასიის რეგიონებისათვის.[515] რაც შეეხება პირველ ვარიანტს, იგი სრულიად უცნობია ყობანის ტერიტორიისათვის და ახასიათებს კოლხურ კულტურას, უფრო ზუსტად კი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. ის გარემოება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არა გვაქვს ბრტყელი ცულები, ყუბანისპირეთის მასალის წარმომავლობის კერად სამხრეთ რეგიონებს გვაგულისხმებინებს. არაა გამორიცხული ამ რეგიონის უფრო კონკრეტულად განსაზღვრაც რაჭა-ლეჩხუმის რაიონით, საიდანაც ცნობილია ყუბანისპირეთის ცულების ზუსტი ანალოგიები.[516]

ურთიერთობათა კვლევის საკითხში საინტერესო სურათს იძლევა სამკაული. სამწუხაროდ, მასალიც ეს ჯგუფიც ძალზე მცირეა, ყუბანის ზემო წელზე, ყარაჩაიში ნაპოვნია 7 ბრინჯაოს საკინძი ბრტყელი ოვალური ფორმის ტანით, ბოლოსაკენ წაწვეტებული. თავის მხარეს იგი სპირალურად ჩახვეულია, ღარული და სპირალური ორნამენტით შემკული. ანალოგიური საკინძები ნაპოვნია ხუტორ ანდრიუკოვსკაიაში, თუმცა ეს ორი უკანასკნელი ხასიათდება მოგრძო ბოლოთი და ზედაპირი ტალღური ნაჩხვლეტი ორნამენტითაა შემკული.[517] ანალოგიური რამდენიმე საკინძი ნაპოვნია მ. ტრაპშის მიერ წითელი შუქურას სამაროვანზე[518] და მიჩნეულია კოლხური კულტურის აფხაზეთის ლოკალური კერის კუთვნილად, მაგრამ სხვა სინქრონულ ძეგლებზე მსგავსი საკინძი დადასტურებული არ არის.

---

511. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 114, სურ. 52 – 3.

512. **ლომთათიძე გ.**, ბრინჯაოს სატევარ-მახეილები, თბ., 1987; **ჩუბინიშვილი ტ.**, დასახ. ნაშრომი; **ბარამიძე მ.**, კასპის სამაროვანი.

513. იქვე.

514. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 107, სურ. 20, 21. პროფ. ა. იესენი თვლიდა, რომ ბრტყელი ცული გვერდზე შვერილებით დამახასიათებელია საერთოდ ამიერკავკასიისათვის, თუმცა ზუსტ ანალოგს ბორგუსტანის განძის ცულს ვერ უძებნიდა და ისინი ადგილობრივ ნაწარმად ქონდა მიჩნეული. ავტორის ეს მოსაზრება ფორმის პრიმიტიულობის გამო გამოსარიცხი არ არის, თუმცა ჩვენ მაინც გვერდზე შვერილებიანი ბრტყელი ცულები მათი კოლხეთის ტერიტორიაზე საყოველთაო გავრცელების გამო, სამხრეთულ ნაკეთობად მიგვაჩნია. ამის დასასაბუთებლად კიდევ ერთი არგუმენტი შეიძლება იქნას მოტანილი. ფიჩორი I-ის VI ფენაში აღმოჩენილია ზუსტად ანალოგიური ფორმის ბრტყელი ცული, მხოლოდ გვერდითი შვერილების გარეშე. აშკარაა, რომ კოლხეთში ამ ტიპის იარაღის განვითარებას თავისი ხაზი გააჩნია, რაც გვიანბრინჯაოს ხანისთვის გვერდითი კბილანა შვერილების გაჩენაში აისახა.

515. იქვე, გვ. 107.

516. სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, გვ. 31.

517. **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 115, სურ. 53.

518. **Трапш М.**, Труды, т. II.

აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ფორმის შემუშავებაში დიგორიის სანარმოო ცენტრის გავლენა უნდა დავინახოთ. აქედან გამომდინარე ალბათ, სავარაუდოა ნითელი შუქურას საკინძეების ყუბანისპირული წარმომავლობა ვივარაუდოთ. ზემოთხსენებულ საკინძეებთან ერთად ყუბანის ზემო წელზე ნაპოვნია 13 საკიდი ცხოველის გამოსახულებით, რომელსაც პროფ. ა. იესენი აფხაზურ-დასავლურ ამიერკავკასიურ ტიპს უწოდებს. ავტორი პარალელს მათ უძებნის მხოლოდ მუგუძირხვასა და ეშერაში.[519] სადღეისოდ ანალოგიური საკიდები მრავლადაა აღმოჩენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამარხეულ კომპლექსებში და მხოლოდ ამ რეგიონს ახასიათებს.[520] ეს არის ერთადერთი იმ ელემენტთაგანი, რომლითაც აფხაზეთის რეგიონი გამოყოფილია, როგორც კოლხური კულტურის ლოკალური კერა.[521] როგორც ჩანს, სწორედ ამ რეგიონის გავლენით ყუბანისპირეთში იქმნება ანალოგიურ ნაკეთობათა წარმოების საკუთარი კერა. მხედველობაში გვაქვს მდ. კიაფარზე, ხუტორ სტოროჟევსკის მახლობლად ნაპოვნი, ღრუ საკანჭური ჭდეებით, ორი სამაჯური და 10 ცალი საკიდი. აქედან 5 ცალზე ცხოველის გამოსახულებაა გამოყვანილი, ძალზე სტილიზებული და სქემატური. არის მილისებრი საკიდი მასზე მიმაგრებული ღილაკისებრ შეერილებით. ნაკეთობანი გარკვეულად ემსგავსებიან აფხაზეთის მასალებს, მაგრამ იმდენად სქემატურად არიან შესრულებული, რომ უფრო დასაშვებად მიგვაჩნია მათი ადგილობრივი დამზადება, ზემოთ ხსენებულ ნაკეთობათა ფორმების და სტილის გათვალისწინებით.

ამგვარად, მონაპოვარი მასალის მიმოხილვა აშკარად გვიჩვენებს ყუბანისპირეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კულტურათა მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის სურათს და ხასიათს. აშკარაა, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის განმავლობაში მაიკოპ-ნოვოსვობოდნაიას კულტურების არსებობის პერიოდში ეს ურთიერთობა საკმაოდ არსებითი ხასიათისაა და მაიკოპური გავლენები აშკარად შეინიშნება „კოლხეთის დაბლობის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურაში."[522] ამ მომენტის ხაზგასასმელად ფიჩორი I-ის VIII ფენაში აღმოჩენილი ცულის ყალიბებიც გამოდგება, რომელსაც ყველაზე ახლო ანალოგი კრასნოდარის მუზეუმის ფონდებშია დაცული და სავარაუდოა, რომ ყუბანისპირეთში იგი სამხრეთიდანაა მოხვედრილი. გარკვეული გავლენები კერამიკულ ფორმებში (მრგვალძირიანი ჭურჭელი, წითლად ნაპრიალევი კერამიკა, მარგალიტისებრი ორნამენტი და სხვა) აშკარად მიუთითებს სამხრეთულ-წინააზიურ იმპულსებზე კოლხეთის გავლით ყუბანისპირეთამდის.

მდგომარეობა ერთგვარად იცვლება ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამ პერიოდისთვის მასალები ფაქტობრივად არა გვაქვს და უნდა ვივარაუდოდ, რომ ეს კავშირები დარღვეულია და შეწყვეტილი.

მდგომარეობა რადიკალურად იცვლება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან. ჩვენ მიერ გარდამავალ ეტაპად გამოყოფილი ძეგლების მასალები გარკვეულ ორმხრივ კავშირებს ასახავს ამ ორ რეგიონს შორის. ამის საილუსტრაციოდ კოლხური ცულის პროტოტიპების და ურუპ-ჯანტუხის ბრილური ვარიანტის იარაღების ყუბანისპირეთში გავრცელების ფაქტიც კმარა. აშკარაა, რომ ეს კავშირი და გავლენა სამხრეთიდან ჩრდილოეთით არის მიმართული და არა პირიქით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთგვარად აღდგენილია ძვ.წ. III ათასწლეულში არსებული სურათი და ამ ურთიერთობას რეგულარული ხასიათი აქვს, გარკვეულად, დასტურდება გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში. ამ პერიოდიდან უკვე გარკვეული კავშირები და გავლენა იგრძნობა კულტურის ფაქტობრივად ყველა კომპონენტში – კერამიკა, იარაღი, სამკაული. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის რეგიონში. ურთიერთობა იმდენად მჭიდროა და როგორც ჩანს რეგულარული, რომ შესაძლებელი ხდება ერთი რაიონის დამახასიათებელ ნაკეთობათა გავლენით ადგილობრივი წარმოების ჩამოყალიბება (საკიდები). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმპულსების გამავრცელებლად კვლავ სამხრეთი გამოდის და კოლხური კულტურის გაელენა საგრძნობია. უფრო მეტიც, თუ კულტურის გავრცელების ძირითად ნიშნად ლითონის იარაღს მივიჩნევთ, მაშინ შესაძლებელია ამ რეგიონების ერთ ლოკალურ ერთეულში მოქცევა. სამწუხაროდ, აფხაზეთის ჩრდილო რეგიონის და სოჭი-ადლერის მხარის არქეოლოგიური შესწავლილობის დღევანდელი დონე ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნილებას და აღნიშნული საკითხი დღესდღეობით ღიად რჩება.

---

519. Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 94.
520. Куфтин Б. А., Материалы ....., I, таб. XI-XIII; Трапш М. М., Труды, I; Его же. Труды, II; Шамба Г., Эшерские кромлехи.
521. ფოლიძე ნ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ლითონის სამკაული, პრეპრინტი, 1997; Барамидзе М., Хронология-периодизация.
522. Пхакадзе Г., К изучению памятников ....; Ее же, Некоторые проблемы ...; ფხაკაძე გ., დასავლეთ ამიერკავკასია ... .

§ 4. კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი (კერამიკული ნაწარმი)
(ტაბ. LXXXV-LXXXVII)

კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე სადაო და პრობლემატურია არქეოლოგიურ მეცნიერებაში. ფაქტობრივად იგი უკავშირდება ამ კულტურათა წარმოშობა-გენეზისის პრობლემას, რომლის ირგვლივ მრავალი თეორია და დებულებაა წამოყენებული. თითქმის შეუძლებელია დაასახელო კავკასიის სიძველეთა რომელიმე მკვლევარი, რომელიც გარკვეულ ასპექტში მაინც არ შეხებოდეს ამ კულტურათა ურთიერთობის საკითხებს. მთელ რიგ ბრინჯაოს ნაკეთობათა ზედმიწევნითი მსგავსების გამო, ფაქტობრივად ეს პრობლემა კოლხურ-ყობანურ კულტურათა რაობის განსაზღვრამდის დადის. რა არის ეს მოვლენა? არის ეს ერთიანი კულტურის ლოკალური, რეგიონალური კულტურები თუ საქმე გვაქვს ორ, სრულიად დამოუკიდებელ არქეოლოგიურ კულტურასთან, გარკვეული ურთიერთგავლენით ერთმანეთზე. ამ მიმართებით კვლევა ფაქტობრივად თითქმის ერთი საუკუნეა მიმდინარეობს, მაგრამ ერთიანი აზრი პრობლემის ირგვლივ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. თუ როგორ გადაწყდება ყობანური კულტურის ნარმოშობის საკითხი ეს პირველ ყოვლისა კოლხური კულტურის მეშვეობით უნდა მოხდეს.

ამ მხრივ, მეცნიერებაში 3 ძირითადი მიმართულებაა შემუშავებული. პირველი ყობანს განიხილავდა, როგორც კავკასიისთვის სრულიად უცხო მოვლენას. მეორე – როგორც კავკასიის ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ გამოვლინებას, მესამე კი – ცენტრალური კავკასიის კულტურათა დამოუკიდებელი განვითარების ნაყოფს.

პირველი მიმართულება არსებობდა ყობანური კულტურის შესწავლის პირველ საფეხურებზე და უკვე ორმოცდაათიანი წლებისთვის კავკასიის მკვლევართა მიერ უარყოფილ იქნა, როგორც სრულიად დაუსაბუთებელი.[523]

მეორე მიმართულება წარმოიშვა თითქმის თანადროულად პირველთან და დაკავშირებულია კავკასიის სიძველეთა ისეთ ცნობილ მკვლევართა სახელთან, როგორიცაა ცოლ-ქმარი პ. და ს. უვაროვები.[524] ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური ძიების შედეგად დაგროვილი მრავალრიცხოვანი მონაცემების შედეგად ამ მიმართულების მრავალი მომხრე კავკასიისმცოდნე გამოჩნდა, რაც აისახა სპეციალურ გამოკვლევებში. ისინი ხშირად სხვადასხვაგვარად ხსნიან ამ მოვლენას, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ყობანი არის ტიპიური კავკასიური მოვლენა.[525]

მესამე მიმართულება ჩამოყალიბდა 60-იან წლებში და მისი ავტორი იყო ცნობილი კავკასიამცოდნე ე. კრუპნოვი. ის თვლის, რომ ყობანური კულტურა განვითარდა და დამოუკიდებლად, ცენტრალური კავკასიის ადგილობრივ კულტურათა საფუძველზე.[526] ეს მოსაზრება შემდგომში განავრცეს და განავითარეს მისმა მიმდევრებმა და მონაფეებმა.[527] ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის სამუშაოები, რომლებიც წინაყობანური კულტურების გამოვლენა-შესწავლის მიმართულებით იყო წარმოებული.[528] გამოყოფილ

523. **Иессен А. А.** К вопросу о древнейшей металлургии; მისივე, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА-3; მისივე, Прикубанский очаг...; **Крупнов Е. И.**, Древняя история... .

524. МАК-VIII.

525. **Городцов В. А.**, Бытовая археология, 1910; **Иессен А. А.**, დასახ. ნაშრომი; **Куфтин Б.**, Материалы ..., т. I _ т. II; ჯაფარიძე ო. კოლხური ცული; აბრამიშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ..., გოხეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები ...; მისივე, საქართველოს არქეოლოგია ...; ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები; **Лордкипанидзе О.**, Древняя Колхида; **Техов Б. В.**, Центральный Кавказ ...; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიიდან; რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან; თ. მიქელაძე. ძიებანი ...; მისივე, К археологии Колхиды ...; ბარამიძე მ., მერხეულის სამაროვანი და სხვა.

526. **Крупнов Е. И.**, Древняя история Северного Кавказа; Его же, О происхождении и датировке Кобанской культуры, СА №1, 1957; Его же, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА-23, М-Л., 1951; Его же, Об уточненной датировке и периодизации Кобанской культуры, СА №1, 1969.

527. **Марковин В. И.**, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (I тысячелетие до н. э.), МИА-93, 1960; Его же, К вопросу о хронологии археологических культур эпохи бронзы Северного Кавказа, Грозный, 1982; **Козенкова В. И.**, Кобанская культура, Восточный вариант, САИ, вып. В 2-5, М., 1977; Ее же, Типология и хронологическая классификация ..., САИ, вып. В 2-5, М., 1982, Ее же, Кобанская культура. Западный вариант, САИ, вып. В 2-5, М., 1989.

528. **Куфтин Б. А.**, Материалы к археологии Колхиды, т. I; **Деген-Ковалевский Б. Е.**, Курганы в Кабардинском парке, МИА-3, 1941; **Круглов А. П.**, Северо-восточный Кавказ во II-I тысячелетиях до н. э. МИА-68, **Крупнов Е. И.**, Материалы по археологии Северной Осетии, МИА-23; **Сафронов В. А.**, О датировке рутхинского погребального комплекса северокавказской культуры, КСИА-108, М., 1966; Его же, Классификация и датировка памятников бронзового века Северного Кавказа, ССАПК, вып. VII, М., 1974; **Иессен А. А.**, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА-3, 1941; **Марковин В. И.**, Культура племен Северного Кавказа ...; **Козенкова В. И.**, დასახ ნაშრომი და სხვა.

იქნა მთელი რიგი ძეგლები, რომლებიც აშკარად წინ უსწრებს კლასიკური ყობანის პერიოდს და დაისვა საკითხი ამ კულტურათა მიმართების შესახებ. ჩვენ ბუნებრივია დღეს არ ვეხებით ამ პერიოდის გამოყოფის სისწორეს, ქრონოლოგიის საკითხებს, რაშიც ბევრი სადაო და საკამათო ელემენტები შეინიშნება, თუმცა აღვნიშნავთ, რომ წინაყობანური პერიოდების გამოყოფა უდაოდ მნიშვნელოვანი ეტაპია ყობანური კულტურის შესწავლისათვის. სხვა საკითხია რამდენად სწორად არის გააზრებული წინარეყობანური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების და კავშირის საკითხები. სადღეისო მონაცემებით ეს კავშირი მაინცდამაინც მკეთრად არ არის ნაჩვენები და ჩვენ პირადად იმ მოსაზრებისკენ ვიხრებით, რომ საკუთრივ ყობანს ადგილობრივი საფუძველი ნაკლებად ეძებნება მიუხედავად ზოგიერთი ელემენტის მსგავსებისა და მისი წარმოშობის სათავე სამხრეთითაა საძებნელი. ეგებ ამ მიმართულებით საყურადღებო იყოს პროტოკოლხური და წინარეყობანური კულტურების ურთიერთმიმართების შესწავლა. ამ პრობლემის ირგვლივ სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტობრივად თითქმის არაფერია მოცემული. არის ცდები კულტურის ზოგიერთი ელემენტის დაკავშირების შესახებ, მაგრამ კულტურათა მიმართების საკითხის გარკვევისათვის ეს ძალზე ცოტაა. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოელისა ისაა, რომ პროტოკოლხური კულტურის კვლევა ჩვენში სანყის სტადიაში და ფაქტობრივად მათ შორის რაიმე კავშირი ან გავლენა თითქოს არ შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში სადღეისო სურათით ასეთი მდგომარეობა ჩანს. თუ პროტოკოლხური კულტურის კავშირი კოლხურთან თითქოს ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, ჩრდილოკავკასიური კულტურების კავშირი კლასიკურ ყობანთან ძალზე საეჭვოა. იქნებს ნორედ ეს გარემოება იყოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ყობანური კულტურის სამხრეთული ფესვების ძიების საქმეში. ყოველ შემთხვევაში სანამ არ ჩატარებულა სკრუპულოზური ანალიზი ყობანური კულტურის ყველა ძირითად კომპონენტზე მისი გენეტიკური ფესვების ძიების მიზნით საკითხი ვერ გადაიჭრება. ამგვარი ძიება ცენტრალური კავკასიის რეგიონისათვის სადღეისო მონაცემებით უპერსპექტივოა. თუკი ერთის მხრივ სახეზე გვაქვს კულტურის გენეზისის სურათი (პროტო და კოლხური კულტურები), ხოლო მეორეს მხრივ საკმაოდ საეჭვო და ხელოვნური კავშირი (ჩრდილო-კავკასიური კულტურები და ყობანი), უპირატესობა ამ პირველს უნდა მიენიჭოს, სადაც გვაქვს კულტურის ცალკეულ ელემენტთა ტიპოლოგიური განვითარების საერთო ხაზი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროტოტიპური ფორმები. აქედან გამომდინარე ყობანური კულტურის წარმოქმნის საფუძველი სწორედ პროტო და კოლხურ კულტურებშია საძებნელი. საქმეს ერთგვარად ართულებს ის გარემოება, რომ უკვე გარკვეული ეტაპიდან (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო) ამ კულტურებს უკვე დამოუკიდებელი განვითარების გზები ეძებნებათ, თავისი სპეციფიური ნიშნებით, რაც სრულიად ლოგიკურია.

საქმეს ართულებს კიდევ ერთი პრობლემა – კულტურათა გავრცელების არეალის განსაზღვრა. ამ საკითხშიც მეცნიერებს შორის ერთიანი აზრი არ ჩანს. თუ კოლხური კულტურის გავრცელების რეგიონი (განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი საზღვარი) მეტნაკლებად სწორედ არის მოხაზული, ამას ვერ ვიტყვით ყობანური კულტურის მიმართ. ეს გარემოება განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა უკანასკნელ ხანებში ვ. კოზენკოვას ნაშრომებში. მისი აზრით ყობანური კულტურა მოიცავს მთლიანად ცენტრალური კავკასიის რეგიონს, კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებს.[529] ამ მოსაზრებით ყობანური კულტურის გავრცელების არეალში მოექცა ისეთი ტიპიური კოლხური ძეგლები, როგორიცაა ყაზბეგის განძი, ყაზბეგი, ხევი, ჩმი, ღარი, როკი, თლი, ხვცესტირფაზი, სტირფაზის ძეგლები, წოისი, ყორნისი, ოყორა, ნული, ქვასათალი, სოფ. რუსთავი, ცხინვალის ნაცარგორა, არკნეთი, ოსპრისი, ცხინვალის განძი, ცაცხვები, კლივანა, მელვრეკისი, ხელჩუა, ყანჩაეთი, საძეგური-ახალგორის განძი, დუშეთი, ფასანაური, ფასანაურის და ჩაბარუხის განძები – დაახლოებით 35-მდე პუნქტი, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა პერიოდს ძვ.წ. XIV-V სს. ჩათვლით. ჩვენ ამჟამად თავს ვიკავებთ ადრეანტიკური ხანის ძეგლების ამგვარი თვითნებური მიკუთვნების საკითხის განხილვისგან, მაგრამ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ აღვნიშნოთ ვ. კოზენკოვას „კვლევის" ობიექტურობა. უპირველეს ყოელისა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ რატომ არ მოხვდა ამ სიაში ბრილი, იგი ხომ ავტორის კონცეფციით ყობანური კულტურის კუთვნილია. მთელი ეს ძეგლები ძირითადად შიდა ქართლისთვის დამახასიათებელ მასალებს შეიცავენ, რომლებსაც ერევა კოლხური ელემენტიც. განმსაზღვრელი მაინც აღმოსავლურ-ქართული მატერიალური კულტურაა აბსოლუტურად უგულებელყოფილია მოსაზრება, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი რეგიონი იყო ის მხარე, სადაც ერთგვარად შერწყმულია აღმოსავლურ-ქართული (ცენტრალურ-ამიერკავკასიური) და კოლხური კულტურები.[530] თუმც ნამყვანი ამ ძეგლებზე (თლის გარდა)

529. **Козенкова В. И.**, Культурно-исторические процессы ...., стр. 7-11.

530. **ჯაფარიძე ო.**, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ.; **Барамидзе М.**, Шида Картли в эпоху поздней бронзы-раннего железа, автореферат, Тб., 1966; **ბარამიძე მ.**, კასპის სამაროვანი, გვ. 64.

მაინც აღმოსავლური ელემენტია. იგივე სურათია თლის სამაროვანზეც. გამთხრელი ბ. ტეხოვი სამაროვანს ძირითადად ყობანურ კულტურას უკავშირებს,[531] თუმცა რიგ შემთხვევებში იძულებულია პარალელები მოიყვანოს ძირითადად სამთავროს სამაროვნიდან. აშკარაა, რომ გამთხრელი მაინც ხედავდა აქ აღმოსავლურ მასალებს. ჩვენ სპეციალურად გავეცანით თლის სამაროვნის კერამიკას (მართალია იგი რაოდენობრივად მცირეა, რაც დამახასიათებელია მთის ზოლის სამაროვნებისთვის) და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკის დიდი ნაწილი ტიპიური სამთავრული ფორმებია. ხშირ შემთხვევაში მსგავსება შეინიშნება არამარტო ფორმებში, არამედ კეცშიც.[532] არის ელემენტები, რომელიც ვერაფითარ შემთხვევაში ვერ თავსდება ყობანური კულტურის ჩარჩოებში და მხოლოდ კოლხური კერამიკის გავლენის მაჩვენებელია (მაგ. ზოომორფულშვერილიანი ყურები). აღსანიშნავია, რომ მსგავსი სურათი შეინიშნება ცხინვალის ნაცარგორის, ქვასათალის, ნულის, სტირფაზის და სხვა ძეგლების მასალებშიც. რაც შეეხება ლითონის იარაღ-სამკაულს, თლიში უპირველესად კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი ნაკეთობანია აღმოჩენილი, ტიპიური აღმოსავლურ და ყობანურ ფორმებთან ერთად. აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ თლის სამაროვანი კოლხური კულტურის გავრცელების არეალში უნდა იყოს მოქცეული და ყობანურად გამოცხადების არავითარი მატერიალური საფუძველი არ არის.

ამგვარად აშკარაა, რომ კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხის კვლევის დროს მატერიალური კულტურის სწორი ინტერპრეტაცია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, უკანასკნელ ხანებში ძირითადად გავრცელებულია მოსაზრება კოლხურ-ყობანურ კულტურათა სხვადასხვა კულტურებისადმი მიკუთვნების შესახებ.[533] მათი აზრით არის მთელი რიგი ნივთები, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი და ამ ორ კულტურას მხოლოდ ცულები აახლოვებს და ეს იარაღია მათი გაიგივების მთავარი მიზეზი, მაგრამ საქმე არც ასე მარტივადაა, უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ნაკეთობანი, რომლებიც ყობანურად იყო მიჩნეული, კოლხური კულტურისათვისაც აღმოჩნდა დამახასიათებელი. მაგალითად სწორკუთხა, ბრტყელი ბალთები, სამაჯურების, საკინძების და საკისრე რკალის გარკვეული ტიპები, სატეერების ჯგუფი და სხვა.[534]

მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც კოლხურ-ყობანურ კულტურათა სხვადასხვაობაზე ლაპარაკობს, ერთ-ერთ არგუმენტად ამ რეგიონებში განსხვავებული კერამიკული ფორმების და ორნამენტის არსებობას გულისხმობს. აქ ერთი გარემოებაა მხედველობაში მისაღები. ყობანურ სამაროვნებში კერამიკა ძალზე ცოტაა და ვინაიდან ეს მოსაზრება გამოთქმული იყო სამაროვნების მასალებზე დაყრდნობით სწორი ჩანს. უკანასკნელ ხანებში ცენტრალური კავკასიონის და კოლხეთის ტერიტორიებზე ფართოდ გაშლილმა საველე-არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გვიანი ბინჯაოს ხანის არაერთი ნასახლარი გამოავლინა, რომელთა მონაპოვრის უდიდეს ნაწილს კერამიკა წარმოადგენს. მიუხედავად მასალის სიმრავლისა არავის ჯერჯერობით არ უცდია ცენტრალური კავკასიის (ყობანის) კერამიკა კოლხურ მასალებთან მიმართებაში განეხილა და ის ჩვენი აზრით მოძველებური დებულება კოლხურ-ყობანური კერამიკის მკვეთრი განსხვავების შესახებ გადაესინჯა. წინარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ რამდენადმე შეგვევსო ეს ხარვეზი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში ყობანური კულტურის ირგვლივ გამოიცა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, სადაც მოცემულია ამ რეგიონში მოპოვებული მთელი მასალები, გაანალიზებულია ისინი და გაკეთებულია მთელი რიგი ახალი დასკვნები. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. კოზენკოვას ნაშრომი,[535] რომელშიც ავტორი მიმოიხილავს ყველა ცნობილი ნამოსახლარის კერამიკას სამარხეულ კომპლექსებთან კავშირში.

ყობანის კერამიკა უხეშია, ხელით ნაძერწი. უპირატესად სიმეტრიულია, რაც ავტორს სამეთუნეო ჩარხის თუ არა, ყოველ შემთხვევაში მბრუნავი, რაღაც პრიმიტიული რგოლის (იგივე ჩარხის) გამოყენებას აფიქრებინებს. ყობანური კერამიკა ორ ჯგუფადაა გაყოფილი. პირველ ჯგუფს განეკუთვნება უხეში კეცისგან დამზადებული დერგების და ქოთნების პროფილები. მათი ზედაპირი ჩვეულებრივ შემკულია ფრჩხილისა და თითისეული ანაბეჭდებით, მხარზე ან ყელზე რელიეფური ტალღოვანი

531. **Техов Б. В.**, Центральный Кавказ ..., стр. 77.

532. **Барамидзе М.**, დასახ. ნაშრომი; მისივე, შიდა ქართლის კერამიკული ნაწარმი (ხელნაწერი).

533. **Иессен. А. А.** დასახ. ნაშრომი; **ჯაფარიძე ო.**, კოლხური ცული; **Крупнова Е. И.**, Древняя история ...; **Козенкова В.**, დასახ. ნაშრომი და სხვა.

534. **Григолия Г., Барамидзе М., Окропиридзе Н.**, Палурское «Садзаве», доклад на всесоюзной сессии посвященной полевым исследованиям в 1971 г., М., 1972; **ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ.**, პალურის „საძველ". **ქორიძე დ.**, შემთხვევით აღმოჩენილი მასალები სოფ. კურზუდან, სსმმ-XXII-B, 1961; **Микеладзе Т.**, К археологии Колхиды და სხვა.

535. **Козенкова В. И.**, Кобанская культура, Восточный вариант, САИ-В 2-5, 1989; Ее же, Культурно-исторические процесы на Северном Кавказе ..., М., 1996.

ზოლებით, კოპისებრი შვერილებით და ასტრალური ნიშნებით.[536] ეს კერამიკა დამახასიათებელია ყობანური კულტურის აღმოსავლეთი ვარიანტის ყველა ნასახლარისათვის ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან I ათასწლეულის შუახანებამდის, თუმცა სამარხეულ კომპლექსებში ისინი ჩანან ძვ.წ. VIII ს. შუახანებამდის. ამ პერიოდიდან სამარხებში ისინი მხოლოდ გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი. ავტორი მათ გენეტიკურად უკავშირებს უფრო ადრეული ეპოქის იმ მასალას, რომელიც გამოყოფილი იყო ბ. დეგენის მიერ ნალჩიკის ყორღანებში. მისივე აზრით, ამ რიგის კერამიკა აშკარად მოსულია და ვითარდება ადგილობრივი, საკუთრივ ყობანური, კერამიკის პარალელურად. ავტორის მიხედვით მხოლოდ ძვ.წ. V ს. შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მოსული ტრადიციის სრულ გამარჯვებაზე და ორნამენტაციაში ფრჩხილისეული და ნათითური სახეების სრულ გაქრობაზე. ვ. კოზენკოვას მთელი ეს მსჯელობა რამდენადმე აბსურდულია და წინააღმდეგობებითაა სავსე. კერძოდ, იგი თითქოს კერამიკის ამ ჯგუფს მიიჩნევს შემოსულად. მაგრამ იქვე რამდენადმე ქვემოთ ჩანს, რომ ფრჩხილისეული და ნათითური ორნამენტით შემკული ფრაგმენტები მიაჩნია ადგილობრივ ნანარმად. ავტორი ეყრდნობა დეგენის მოსაზრებას ამ კერამიკის გენეტიკური წარმომაელობის შესახებ, მაგრამ აქაც ზოგი რამ გასარკვევია. ჯერ ერთი ბ. დეგენი ნალჩიკის ყორღანების შესახებ არ იძლევა კონკრეტულ თარიღებს და თვლის, რომ ისინი არსებობენ ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან. მთელი II ათასწლეულის განმავლობაში და ნაწილობრივ მოიცავენ ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისს, თუმცა მასალის უდიდესი ნაწილი მოიცავს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს.[537] ასეთ შემთხვევაში, როდესაც არ არის გამიჯნული ნალჩიკის ყორღანებში ადრეული და გვიანდელი კომპლექსები, ძნელია ამტკიცო გენეტიკური კავშირის არსებობა ყობანურ კერამიკასთან. თუ მისაღებია დეგენის ქრონოლოგია, მაშინ სრულიად შესაძლოა იგი ადრე ყობანურ მასალასთან იქნას დაკავშირებული და გენეტიკურ კავშირზე ლაპარაკი ძნელი იქნება. მეორეს მხრივ, თვით ნალჩიკის ყორღანების მასალების გადათვალიერებაც კი გვიჩვენებს, რომ იგი რამდენადმე უფრო ადრეულ მასალებს შეიცავს. ყოველ შემთხვევაში დეგენის მიერ მოცემული ქვედა თარიღი (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეები) უდაოდ სწორია. დანარჩენი მასალა კი არ უნდა გამოდიოდეს ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ფარგლებიდან (მხედველობაში გვაქვს ქვის გახვრეტილი ცულებიანი კომპლექსები), რომელთა გავრცელების ზედა საზღვარი ძვ.წ. XVII ს. ზემოთ არ უნდა მოდიოდეს. ამდენად, იქმნება გარკვეული ქრონოლოგიური ლაკუნა ნალჩიკის და ყობანის კერამიკას შორის და მათ შორის გენეტიკური კავშირის დანახვა ერთგვარ ეჭვს იწვევს. საქმე იმაშია, რომ ნალჩიკის ყორღანების კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტი არც თუ მაინცდამაინც დამახასიათებელია ყობანური კერამიკისათვის. მაგალითად ყობანში, არ ვხვდებით ჭრილ ტეხილხაზოვან სარტყელს, რელიეფური ტალღოვანი სარტყლის შერწყმას სხვა სახეებთან, ნერტილოვან რთულ კომპოზიციას, პირზე რელიეფურ ნიბურებს; ჭრილი შვერონული ორნამენტიც ყობანურ კერამიკაზე საერთოდ უცნობია. ფაქტობრივად გვრჩება მხოლოდ ნათითური და ფრჩხილისეული სახეები, რომლებიც მართლაც რამდენადმე აკავშირებს ამ ორ ჯგუფს, თუმცა როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენი აზრით, ამ ფაქტს სხვა ახსნა შეიძლება მოეძებნოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დიდი ნაკლია ვ. კოზენკოვას ნაშრომისათვის. მთელი მოცემული მასალა ავტორს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით აქვს დათარიღებული[538] (ტაბ. III-XX) და ტექსტში ნახსენები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეების თითქმის არც ერთ კომპლექს არ იხსენებს. საქმეს ვერ ცელის ზემობაქსანის განძი, სადაც ერთ-ერთი ჭურჭელია აღმოჩენილი და ავტორის მიერ II-I ათასწლეულების მიჯნით და I ათასწლეულის საწყისითაა დათარიღებული.[539] ამგვარად, ლაკუნა, რაც ნახსენები იყო ზემოთ კიდევ უფრო თვალშისაცემია და დაახლებით სულ მცირე 5 საუკუნეს მაინც მოიცავს.

საინტერესოდ დადგება საკითხი თუ ამ კერამიკას სხვა მხრივ შევხედავთ და მის საფუძველს სამხრეთით, კოლხურ სამყაროში მოვძებნით. უპირველეს ყოვლისა რელიეფურ სარტყელიან, თითისანაბეჭდებიან ფრაგმენტებსა და ფრჩხილისეულ ორნამენტზე დაყრდნობით კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მოხერხდა გამოყოფილიყო პროტოკოლხური ნანარმი, რომლის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად სწორედ ეს ორნამენტია წარმოდგენილი. ფიჩორის ნასახლარის მასალების მიხედვით ცენტრალურ კოლხეთში იგი გავრცელებულია ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდის ოჩამჩირე, ისპანი, ფიჩორი I, ფენები IV-VIII. მის მომდევნო ხანაში რელიეფური სარტყელი ნათითური ანაბეჭდით ჩანს ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის რიგ სხვა ძეგლებზე

536. Козенкова В. И., Восточный вариант, გვ. 66, таб. III, IV, VII, XI, XV, XVI, XVIII, XX.
537. Деген-Ковалевский Б. Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 266-257.
538. Козенкова В. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 66 და შმდ., ტაბ. III-XX.
539. იქვე, ტაბ. XXI.

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში (ტამიშის ნასახლარი).[540] აშკარაა, რომ აქ ისინი მჭიდრო გენეტიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან. მსგავსი სურათი ჩანს ფრჩხილისეულ ორნამენტშიც, თუმცა ეს უკანასკნელი არაა ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც პირველი. რაოდენობრივად მათი სიმრავლე უფრო I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე შეინიშნება. ამგვარად, ეს ორი ელემენტი, რომელიც ვ. კოზენკოვას უფრო არქაულ ნიმუშებად აქვს მიჩნეული ყობანისათვის, არსებული ქრონოლოგიური ლაკუნის გამო ვერ ნახულობს წინარე კულტურაში გენეტიკურ კავშირს, რაც შესაძლებლობას იძლევა მათი სამხრეთული წარმომავლობის შესახებ დაისვას საკითხი.

რაც შეეხება ყობანის I ათასწლეულის კერამიკის ორნამენტალურ მოტივებს, აქ უკვე პირდაპირ თვალშისაცემია თუ იდენტურობა არა, ძალზე მჭიდრო კავშირი კოლხურ მასალასთან. ჩვენ ჯერ-ჯერობით ამ პერიოდის საერთო დეკორს, მაგ., ე.წ. სოლური ორნამენტი, უფრო ზუსტად სამკუთხა ჭდეები, რომელიც ხშირად ბრტყელ ბაკოზეა დატანილი. მსგავსი ორნამენტი ტიპიურია კოლხური ნანარმისათვის ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედიდან, თუმცა ჩნდება რამდენადმე ადრეც და არსებობს ადრე ანტიკური ხანის ჩათვლით. მათი წარმომავლობა ჩვენის აზრით უფრო აღმოსავლური კულტურებიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც იგი ჩანს უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, მართალია რამდენადმე სახეცვლილი, მოგრძო სოლური ფორმის სახით.

თევზიფხური ორნამენტით შექმნილი სარტყელი ტიპიურია კოლხეთისათვის წინარე და ადრეანტიკურ ხანაში (ფიჩორის ნასახლარის ბორცვები №2, 3, 4, 5, 8, ჯვარალები, განმუხური, ტამიში, მოქვი და სხვა). პირის ქვეშ მარცვლოვანი, წერტილოვანი ჭდეებისაგან ნარმოქმნილი სარტყელი. ასევე დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის. ძალზე სპეციფიურ, კოლხურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე ჭურჭლის ტანის დაღარვის დეკორის სახით. იგი შედარებით მცირერიცხოვანია კოლხეთში, თუმცა ჩანს როგორც პროტოკოლხურ, ისე კოლხურ კერამიკაში. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან. ძველი კოლხური I ეტაპის ნანარმის ერთ-ერთ დამახასიათებელ დეკორად ჩანს პარკეტული ორნამენტი, რომელიც I ათასწლეულის კერამიკაზე შემორჩენილია უფრო ღრმა, მკვეთრი ხაზების სახით. ყობანში სწორედ ამ რიგის ორნამენტია დადასტურებული.[541] იშვიათია ყობანურ კერამიკაზე ბადისებური სახეებით შემკული სარტყელის დატანა,[542] რაც კოლხური კერამიკის ერთ-ერთი მთავარი ორნამენტია წინარე და ადრეანტიკური ხანისათვის.[543] ხშირია ყობანურ კერამიკაზე დაშტრიხული სამკუთხა შევრონების დატანა.[544] აღნიშნული შემკობა ჩვეულებრივია კოლხური კერამიკისათვის, სადაც იგი უკვე ძვ.წ. I ეტაპზეა ნარმოდგენილი;[545] თუმცა მათი უდიდესი უმრავლესობა უშუალოდ წინარეანტიკურ და ადრეანტიკურ ფენებს ახასიათებს. ამ სახის შემკობიდან განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება დაშტრიხულსამკუთხედიანი სარტყელები, რომლებიც ერთ ან ორ რიგად შემოუყვებიან ჭურჭელს ჩვეულებრივ მხარზე. ზუსტად მსგავსი ფრაგმენტებია მოპოვებული ფიჩორის ნასახლარზე, ტამიშში, მოქვში და სხვა. ტიპიურ კოლხურ ნანარმს კარგად უკავშირდება პირის ქობის შემკობის წესი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას ვამახვილებთ ყობანურ ჭურჭელზე, რომელთა ქობაზე დატანილია მარცვლისებური ან ირიბი ჭდეები. ეს ორნამენტი ყობანურ კერამიკაზე ძირითადად მომრგვალებულ ქობაზეა დატანილი ერთ ან იშვიათად ორ რიგად და იგი დამახასიათებელია ადრეული ჯგუფის ნანარმისათვის (ალბათ I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებისათვის). კოლხეთისათვის ძალზე სპეციფიური ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი ყობანში ცოტაა, თუმცა მაინც ვხვდებით I ათასწლეულის შუა ხანის ნანარმში. აქაც ისევე, როგორც კოლხურ ნანარმში ვხედავთ ბაკოს შემკობას ჯვრისებური, თევზიფხური და ურთიერთდახრილი ხაზებით[546] (ტაბ. XVI-24, 25, 26, 28, XX-21). უდაოდ ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ამ რიგის ნანარმის პროფილები ზუსტად იმეორებს კოლხურ ფორმებს. ამგვარი ორნამენტით ბაკოს შემკობა ტიპიურია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის, თუმცა მათი გაჩენა უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის ფენებში აშკარაა. ამგვარად, ეს მოტივიც ყობანისთვის უცხო უნდა იყოს. ორნამენტის კიდევ ერთ რიგზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. საქმე ეხება კოპისებურ შვერილებს, რაც მკვლევართა ნაწილს სპეციფიურ ყობანურ ელემენტად აქვთ მიჩნეული.[547] კოპისებრი შვერილები კოლხურ კერამიკაში გავრცელებულია ყველა ეტაპზე და მისი შემკობის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიურ ელემენტად გვეელინება. მათი გაჩენა

540. ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., ტამიშის ნასახლარის კერამიკა.
541. Козенкова В., დასახ. ნაშრომი, ტაბ. III-9.
542. იქვე, ტაბ. IV-26; V-20.
543. ბარამიძე მ.,ჩიგოშვილი თ., დასახ. ნაშრომი.
544. Козенкова В., დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV-7, 21, 35, V-10, 22, VI-24, 30, VIII-7, 14, 24.
545. Козенкова В., დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV-12, V-4, 5, 21, VI-7, 12, 13, 17; VII-2, 3 და სხვა.
546. იქვე, ტაბ. XVI-24, 26, 28, XX-21.
547. იქვე, გვ. 67, ტაბ. IV-3, VI-16, XIII-36, XV-34, XVIII-21, XIX-18, XX-3, 9.

სავარაუდოა ადრე ბრინჯაოს ხანაში მაინც და შემდგომ იგი აგრძელებს არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდის. ზოგ შემთხვევაში განიცდის ტიპოლოგიურ ცვლილებას, რაც გამოსახულია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან რიგ შემთხვევებში კოპის ირგვლივ ჭრილი ორნამენტის გაჩენაში (შევრონები, ფესტონები, ღარები). უკვე ამ ეტაპიდან კოპი და მის ირგვლივ ჭრილი სახეები კოლხური კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიური და განმსაზღვრელი ხდება. აქვე უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თვით ამ კოპების დატანაში შეინიშნება ტექნოლოგიური ცვლილებებიც. ადრეული პერიოდის (პროტოკოლხური ეტაპი) კოპები რიგ შემთხვევაში შიდა მხრიდან ამობურცვის წესით არის მილებული; მოგვიანო ეტაპზე კი ამგვარი რამ აღარ ჩანს. კოპი ზოგჯერ დაძერწილია უშუალოდ ტანზე და დაწნეხვისეული ღრმულები აღარ ემჩნევა. აშკარაა, რომ კოპების ტექნიკა თავის საფუძველში არაა ყობანური ელემენტი და ჩვენ უფრო სწორედ გვეჩვენება ისინი ყობანში კოლხური კერამიკის გავლენით მოხვედრილ ორნამენტალურ სახეობად იქნას მიჩნეული.

ყობანური კერამიკის კიდევ რამდენიმე ორნამენტზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. ყუბანისპირეთის მასალებში ზასლონსკინის ნასახლარის ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის ფენაში ნაპოვნია ერთი ფრაგმენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალზე საყურადღებოა საკვლევი საკითხისათვის. ჭურჭლის მხარგვერდზე დატანილია ჭრილი ორნამენტი. იგი წარმოდგენილია ყელზე სიგრძივი ვიწრო ზოლებით, რომლის შიგნით ირიბი, მოკლე ჭდეებია დატანილი. მის ქვეშ ამოკაწრულია სამკუთხედი შემკული ჰორიზონტალური მოკლე ჭდეებით, ხოლო მის ქვეშ კვლავ მეორდება ზედა ფრიზის მსგავსი სახეები. მსგავსი შემკობა ჩანს ფრაგმენტის მარჯვენა ნაწილში. მათ შორის ნატეხის სივრცე სადაა, მხოლოდ მასზე დაძერწილია ზემოდან დაბრტყელებული მკვეთრი შვერილი.[548] ანალოგიური ფრაგმენტები ძალზე სპეციფიურია კოლხური ნაწარმისათვის ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და II-I ათასწლეულის მიჯნის მასალაში (ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი, III ფენა, ტამიში ქვედა ფენა, ნაოხვამუს შუა ფენა, მოქვი ქვედა ფენა და სხვა). ის გარემოება, რომ მსგავსი ფრაგმენტი უცხოა საერთოდ ყობანისათვის და მხოლოდ ერთეულის სახით არის წარმოდგენილი, ჩვენ იგი კოლხური ნაწარმის ტიპიურ ნაკეთობად მიგვაჩნია.

ზოლსკის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ერთი ფრაგმენტი, რომელზეც მოცემულია სამი რიგი პატარა კოპებისგან შექმნილი რელიეფური სარტყელი, მის პერპენდიკულარულად ქვეეით მიემართება ორი რიგი ანალოგიური ზოლები. ზუსტად მსგავსი ორნამენტით შემკული ნატეხები მასიურად წარმოდგენილია ტამიშის ნასახლარის ორივე ფენაში და ამ ძეგლის სპეციფიურ ორნამენტს წარმოადგენს.

იმავე ნასახლარზე, მხოლოდ სხვა პუნქტში (წმინდა მთა), ნაპოვნია კოჭების ფრაგმენტი (ტაბ. VII-6), რომელზეც სამმაგი სიგრძივი ზოლებია დატანილი ყელზე. იგი მხრიდან გამოიყოფა წერილი ღარით, რომლის ქვეშ რელიეფური კოპების სარტყელია დატანილი; მეორე ფრაგმენტზე ქვედა ნაწილში (ტაბ. VI-22) ურთიერთდახრილი მოკლე ჭდეები და ტალღოვანი ორნამენტია დატანილი, მესამე შემთხვევაში (ტაბ. VI-23) კი წერტილოვანი ჭდეებით შემკული სარტყელი დაუყვება. ყელის არე სამივე შემთხვევაში ერთგვარია, საყურადღებოა, რომ პროფილითაც ისინი ძალზე ახლოს დგანან კოლხურ ნაწარმთან.[549] რაც შეეხება ორნამენტს, იგიც ტიპიურ კოლხურ დეკორს იძლევა და პარალელები ეძებნება მხოლოდ კოლხურ ნაწარმში (ტამიში, ფიჩორი №3, №4 ბორცვები, მოქვი).

ძალზე საინტერესო ფრაგმენტებია ნაპოვნი ეტოკის №I ნამოსახლარზე (პიატიგორსკის მუზეუმი). ყურადღებას ვამახვილებთ ერთი დერგის ფრაგმენტზე. მას დაბალი მკვეთრად დაღარული ყელი, უქობო, გარედან ოდნავ შებრტყელებული პირი და სფერული ტანი ახასიათებს. პირზე დატანილია წერტილოვანი ჭდეების ერთი რიგი, მხარზე კი ტალღოვანი ორნამენტის სარტყელი.[550] მის ქვემოთ კი ირიბი ჭდეებისგან შექმნილი ოთხმაგი ზოლები აქვს. მსგავსი ფრაგმენტები ძალზე ხშირია კოლხურ ნაწარმში და ზუსტად იმეორებს ფიჩორის №3, №4 ბორცვების, ცენტრალური ბორცვის III-II ფენების და განსაკუთრებით ტამიშის ნასახლარის მონაპოვარს. მსგავსება, როგორც პროფილით, ისე ორნამენტით იმდენად დიდია, რომ ძნელია იგი შემთხვევით მოვლენას დაუკავშირდეს.

საყურადღებო დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევს ყობანური კულტურის გავრცელების არეალში აღმოჩენილი ყურები, რომლებიც ასევე ბევრ საერთოს ნახულობს კოლხურ ნაწარმში. მაგრამ აქ უნდა ხაზი გაესვას ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან გარემოებას. ყობანში ყურიანი ჭურჭელი კოლხეთთან შედარებით აშკარად მცირეა. ძირითადად ეს არის მრგვალნახვრეტიანი და მრგვალგანიკვეთიანი ყურები, რომლებიც ერთნაირად არის გავრცელებული თითქმის მთელ კავკასიაში და მათზე დაყრდნობით რაიმე კულტურული კუთვნილების თუ გავრცელების არეალის განსაზღვრა ძალზე

548. იქვე, ტაბ. XX-17.
549. იქვე, ტაბ. VI-16, 22, 23.
550. იქვე, ტაბ. VIII-21.

რთულია და ნაკლებ საიმედო. მსგავსი ყურები ერთნაირად დამახასიათებელია ყველა რეგიონისთვის და მათი მიხედვით რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება უსაფუძვლოა. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მომენტი. ყობანში სრულიად არ ჩანს კოლხური კერამიკის ისეთი სპეციფიური ნიმუშები, როგორიცაა ზოომორფული ყური. ჩვენთვის ცნობილ მასალაში საკვლევ პერიოდში ზოომორფული ყურის აღმოჩენის ერთი ფაქტიც არა გვაქვს, მაგრამ ეს ეხება კერამიკას. ამავე დროს გვაქვს ბრინჯაოს ნანარმი, რომლებიც ტიპიური ზოომორფული ყურებითაა შემკული.[551] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრინჯაოს ჭურჭელი ტიპიურ კოლხურ ნანარმს ნარმოადგენს და რაჭა-ლეჩხუმის მეტალურგიული კერისათვის ჩანს დამახასიათებელი.[552] ფორმით, აღნიშნული ნანარმი თავის პროტოტიპებს აღმოსავლურ-ქართული კულტურის ნრეში გავრცელებულ თიხის ჭურჭელში პოულობს, რომელიც ჩნდება ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. ეს ფორმები ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისიდან ვრცელდება კოლხეთში.[553]

საინტერესო სურათს გვაძლევს ყობანური კულტურის გავრცელების არეალში აღმოჩენილი ყურების ერთი ჯგუფი. საქმე ეხება ზედაპირსიგრძივდაღარულ ყურებს, რომლებიც აღმოჩენილია ხუმარინის (ტაბ. XIX-8), ბესლენევსკის (ტაბ. XIX-29), უჩკულანის (ტაბ. XX-4, 6) ნამოსახლარებზე და დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.[554] ყურის სიგრძივ დაღარვა ძალზე სპეციფიური და განმსაზღვრელი ელემენტია კოლხური კერამიკისათვის გარდამავალი ხანიდან (ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი IV ფენა). ამ ნიშნით კოლხეთში შესაძლებელი ხდება პროტოკოლხური და ძვ. კოლხური კერამიკის ურთიერთდაკავშირება და მას ერთგვარი დამათარიღებელი მნიშვნელობა ენიჭება (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები). მსგავსებას კოლხურ ნანარმთან ავლენს ბესლენევსკის ეგზემპლარი, რომელსაც ყურის ზედა ნაწილში, ისევე როგორც ფიჩორის ეგზემპლარს ნახევარრკალურად დაუყვება წერტილოვანი ჭდეების რიგი. უჩკულანის ეგზემპლარზე კი წყვილი რელიეფური მეჭეჭია დაძერწილი. ამ ელემენტით იგი რამდენადმე ადრეულ ნიმუშს ნარმოადგენს, თუმცა არ გამოდის ძვ.წ. I ეტაპიდან (დაახლოებით ძვ.წ. XIV-XIII სს). ამდენად აშკარაა, რომ ზედაპირულდაღარული ყურები საკმაოდ კარგ დამათარიღებელ ნიმუშს ნარმოადგენენ და ერთ-ერთი არგუმენტი უნდა იყოს ყობანური კულტურის ქვედა თარიღის დაზუსტებაში.

ცალკე განვიხილავთ ბესლენევსკის კიდევ ერთ ყურს. იგი სადაა, მრგვალგანიკვეთიანი მხოლოდ ზედა ნაწილში, ოდნავ გვერდზე ერთი შვერილი ამკობს.[555] მსგავსი ფრაგმენტებიც მოპოვებულია ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის IV-II ფენებში ე.ი. ისიც ქრონოლოგიურად უფრო არქაულ ჯგუფს უკავშირდება.

ძალზე საინტერესო ხელადა არის აღმოჩენილი ზემო ბაქსანის განძში. მას ახასიათებს მაღალი, თითქმის ცილინდრული ყელი, უქობო, ოდნავ გაშლილი და დათხელებული პირი, სფერული ტანი, ბრტყელი, ფართო ძირი. მრგვალგანივკვეთიანი, ოვალურნახვრეტიანი ყური მუცელზე და პირზე არის მიძერწილი ისე, რომ ყური ატანილია პირის ზემოთ და რამდენადმე შეკეწროებული. მხარზე ღარების და მარცელისებური ჭდეების წყვილი რიგები შემოუყვება. მსგავსი ყურები არაა ფართოდ გავრცელებული კოლხეთში, თუმცა ერთეულის სახით გეხვდება ძვ.წ. I ეტაპის ნანარმში (ფიჩორი, III ფენა, აბედათში). ამგვარად, მათი გავრცელება ძირითადად ძვ.წ. XIV-XIII სს. საგულისხმებელი. უდაოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განძის გამომქვეყნებელი ვ. კოზენკოვა განძის ქვედა თარიღად ძვ.წ. VIII ს. გულისხმობს სწორედ ამ ჭურჭელზე და რამდენიმე ბრინჯაოს სატევრისებურ საკიდზე დაყრდნობით, თუმც თვითონ მიიჩნევს, რომ განძის ძირითადი ინვენტარი რამდენადმე არქაულ იერს ატარებს[556] და ასაკს II-I ათასწლეულების მიჯნით განსაზღვრავს. მართლაც, თუ ამ მასალას თვალს გადავაყლებთ, აშკარაა ინვენტარის ერთი ნაწილის არქაულობა (ცულები, სატევარი, სამაჯურები სპირალური ბოლოებით). ამ მასალას ჩვენი აზრით უნდა დაემატოს ფრინველის საკიდები, რომლებიც გარკვეულ გენეტიკურ კავშირში ჩანს აფხაზეთის დოლმენების მონაპოვართან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ განძი უფრო არქაულია, ვიდრე II-I ათასწლეულების მიჯნა. ზემოთ ნახსენები ყური არათუ ხელს არ უშლის განძის თარიღის დაძველებას, არამედ პირიქით, მოტანილი პარალელების მიხედვით ამაგრებს კიდეც. ჩვენი აზრით, ეს განძი ერთ-ერთი ყველაზე არქაული კომპლექსია ადრეყობანური კულტურისთვის და ნარმოადგენს ძალზე მყარ საბუთს კოლხურ-ყობანურ კულტურათა სინქრონიზაციისათვის.

551. იქვე, ტაბ. XL-2, 3.
552. **გობეჯიშვილი გ.**, არქეოლოგიური გათხრები ..., გვ. 96; **სახაროვა ლ.**, ბრინჯაოს მხატვრული ჭურჭელი ... .
553. **ბარამიძე მ.**, კასპის სამაროვანი, გვ. 38; მისივე, შიდა ქართლის კერამიკული ნანარმი.
554. **Козенкова В.**, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIX-8, 29, XX-4, 6.
555. იქვე, ტაბ. XIX-25.
556. იქვე, გვ. 20-21.

გვინდა ვისაუბროთ ყურების კიდევ ერთი ჯგუფის შესახებ, საქმე ეხება ზონარგასაყრელ თუ საერთო შვერილისებრად მიძერწილ ცრუ ყურებს. მსგავსი ყურები მცირე რაოდენობითაა ყობანურ კულტურაში გავრცელებული და ისიც მხოლოდ ამ კულტურის გავრცელების აღმოსავლურ ვარიანტში.[557] მათში ძირითადად ორი ვარიანტი შეინიშნება. ჰორიზონტალურად დაძერწილი და რამდენადმე ზემოთ ატანილი. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ კოლხურ ნაწარმში ასევე ხშირია ამგვარი ყურების თუ ცრუ ყურების გამოყენება. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მსგავსი ყურები გვხვდება ძირითადად პატარა ზომის ჭურჭელზე და ამ მოტივითაც კიდევ ერთი ნიშანი იქნება კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთდასაკავშირებლად.

ამ კულტურათა ურთიერთკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად ჩვენი აზრით გვეელინება თიხის ჭურჭლის კიდევ რამდენიმე ფორმა. მაგ., სენჟენიურტის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ოდნავ პირმოყრილი ჯამები მსუბუქად გამოყოფილი ბრტყელი ძირით და დასვრეტილი ტანით. ამ რიგის ნაწარმი უხვშია, ყოველგვარი მოპრიალების გარეშე. მსგავსი ფრაგმენტები ნაპოვნია ალხასტინის ნამოსახლარის ძვ.წ. IX-VII სს. დათარიღებულ ფენებში. ნესტროვისა და მიხაილოვსკოეს ნამოსახლარების მიხედვით, მათი არსებობა ჩანს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდის. ყობანური კულტურის ცენტრალური ვარიანტის გავრცელების არეალში ისინი გვხვდება ძვ.წ. X-VIII სს. დათარიღებულ ზმეისკოეს ნასახლარის ფენებში. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ყობანური კულტურის დასავლეთ ვარიანტის გავრცელების ტერიტორიაზე მსგავსი ფორმები არ გვაქვს.[558]

კოლხური კულტურის კერამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მსგავსი უხეში კეცისაგან დამზადებული ნაწარმი გავრცელებულია ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, III-IV ფენები), თუმცა გვხვდება უფრო მოგვიანო ხანებშიც (ტამიში, მოქვი, გაგიდა, გუდავის დიუნური ნასახლარი). ყველაზე მრავლად მსგავსი ნაწარმი სწორედ დიუნურ ნასახლარებზეა დადასტურებული და როგორც ჩანს, ხმარებაშია მთელი გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის განმავლობაში.

სენჟენიურტის ნამოსახლარის ძვ.წ. X-VII სს. ფენაში ნაპოვნია კიდევ ერთი საყურადღებო ქოთანი. მას ახასიათებს ძალზე გაშლილი ძაბრისებრი პირი, სფერული მუცელი. მხარზე სამ რიგად ფრჩხილისეული ჭდეების სარტყლები შემოუყვება, მის ქვემოთ კი სხვადასხვა მიმართულების ჭრილი სახეებია დატანილი.[559] ამ რიგის ნაწარმს ხშირად ზედაპირი თხელი წმინდა თიხით აქვს მოპრიალებული. აღნიშნულ კერამიკას ვ. კოზენკოვა თვლის კაიაკენტ-ხოროჩოევის კულტურიდან შემოტანილად და ისინი მიაჩნია ამ კულტურათა სინქრონიზაციის ნიშნად ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა და გარკვეულად ეთანხმება ვ. მარკოვინის მოსაზრებას.[560] რ. მუნჩაევი წმინდა თიხით ზედაპირის მოპრიალებას თვლის დაღესტნის ადგილობრივი კერამიკის დამახასიათებელ ელემენტად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის საწყისისათვის.[561] ვ. კოტოვიჩი ველიკენტის ნამოსახლარზე მსგავსი ტექნიკით შესრულებული ფრაგმენტების არსებობას მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან ერთად უფრო არქაულ ეპოქას უკავშირებს.[562] ჩვენი აზრით, აქ დაშვებულია რამდენიმე შეცდომა. ჭურჭლის ზედაპირის შედარებით წმინდა თიხით მოპრიალება ჩანს ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის საფეხურზე ე.წ. კიკეთი-დიდუბის ჯგუფის ნაწარმზე[563] და შესაძლოა უფრო ადრეც კი. ამდენად მისი მიკუთვნება ერთი რომელიმე რეგიონის სპეციფიკურ ლოკალურ თავისებურებად მართებული არ გვეჩვენება. მეორე საკითხი დგას კულტურათა სინქრონიზაციის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. კოზენკოვა იზიარებს ვ. მარკოვინის მოსაზრებას კაიაკენტ-ხოროჩოევის და ყობანის კულტურათა სინქრონიზაციის და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით მათი დათარიღების შესახებ. ამ შემთხვევაში სრულიად უარყოფილია სხვა მოსაზრება კაიაკენტ-ხოროჩოევის კულტურის რამდენადმე უფრო არქაული თარიღების შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი სინქრონული ჩანს ცენტრალურ-ამიერკავკასიური და კოლხური კულტურების და მისი ქვედა საზღვარი ძვ.წ. XIV ს. არის განსაზღვრული.[564] აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ყობანური

557. **В. Козенкова.**, Типология и хронологическая классификация, Восточный вариант. გვ. 75, ცხრ. L-4, 6.
558. იქვე. გვ. 76, ტაბ. L-1, 11.
559. იქვე. გვ. 75, ტაბ. L-2.
560. **Марковин В. И.**, Дагестан и Горная Чечня в древности. Каякенто-Хорочоевская культура, М., 1969, გვ. 44-47. სურ. 18-20.
561. **Мунчаев Р. М.**, Эпоха меди и бронзы в истории Дагестана, автореферат, М., 1953. გვ. 12.
562. **Кочетков В. И.**, Новые археологические памятники южного Дагестана. Материалы по археологии Дагестана, М., 1959, გვ. 132.
563. **ფხაკაძე გ.**, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 58.
564. **Мунчаев Р. М.**, დასახ ნაშრომი; **Котович В. И.** Хронология-периодизация Каякенто-Хорочоевской культуры, მოხსენება წაკითხულია სოფლაღის საკავშირო სესიაზე 1979 წ.

და კაიაკენ-ხოროჩოების კულტურათა სინქრონიზაცია მოითხოვს მეტ დაკონკრეტებას და დასაბუთებას. დგება საკითხი ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კერამიკის შესახებ კოლხეთის მასალებში ნმინდა თიხით ჭურჭლის ზედაპირის მოპრიალება ჩანს უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან (ოჩამჩირე, გუმისთა I, გუანდრა, მაჭარა, ფიჩორი VIII-VII ფენები). არსებობს იგი მომდევნო ხანებშიც, ისე, რომ ამ შემთხვევაშიც მტკვარ-არაქსის კულტურის მსგავს მომენტთან გვაქვს საქმე. ზემოთ მოყვანილი სენჟენიურტის ჭურჭლები კი[565] ფორმითა და ორნამენტით ზუსტად იმეორებენ ფიჩორის ნასახლარის ქვედა ფენებში (VIII-VI) აღმოჩენილ ნაწარმს. ველიკენტის მასალების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდის, რომ აქ ამ ჯგუფის კერამიკის სახით გვაქვს ორნამენტის იგივე სახეობა, რაც კოლხეთში. საქმე ეხება უხეშ ნაწარმს თითისეული ანაბეჭდით შემკული სარტყლებით და პირის დაკენჭვნით ე.ი. ეს ის კერამიკაა, რაც ასე კარგად ახასიათებს პროტოკოლხურ ნაწარმს და უცხოა მტკვარ-არაქსისთვის. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ველიკენტის ნასახლარზე სწორედ მტკვარ-არაქსის ნაწარმია ძირითადად ფიქსირებული, არ უნდა გამოვრიცხოთ აქ გარკვეულად კოლხეთის დაბლობის ადრე ბრინჯაოს კულტურის მონაწილეობაც. ამდენად, აშკარა ხდება, რომ სერჟენიურტის ნაწარმის ეს ჯგუფიც გარკვეულწილად კოლხურ სამყაროს, პროტოკოლხურ ნაწარმს შეიძლება დაუკავშირდეს.

ამგვარად, თუ თავს მოვუყრით მთელ ზემონათქვამს, შესაძლებლად მიგვაჩნია ყობანურ ნაწარმში გამოიყოს მთელი პლასტი თიხის ნაწარმის, რომელიც ძირითადად ორნამენტით, იშვიათად კი ფორმებით მჭიდროდ დაკავშირებულია კოლხურ გარემოსთან და შესაძლოა სამხრეთული ტალღის გავლენის შედეგად იყოს ყობანში გაჩენილი. მაგრამ ჩვენი ეს მოსაზრება ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ყობანის კერამიკა მთლიანად კოლხური იყოს. შეინიშნება საკმაოდ თვალშისაცემი განსხვავებაც. ეს უპირველეს ყოვლისა ჭურჭლის კეცსა და ფორმებში გამოიხატება. პირველი, თიხის ფაქტურა, ძალზე ადვილი ასახსნელია. კავკასიონის მთის ზოლში ძირითადად გავრცელებულია კაოლინიანი თიხის გამოსავლები სხვადასხვა მინარევებით. მათი ხარისხი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ბარის ზოლის. ამდენად განსხვავება კეცში სრულიად გასაგებია. რაც შეეხება ფორმებს, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხეთთან შედარებით შეინიშნება ფორმათა სიმცირე, რაც ალბათ უნდა აიხსნას სამეთუნეო ჩარხის გვიან შემოსვლაში. თვით კოლხეთში ჩარხი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, ისევ როგორც მის წინამორბედ პროტოკოლხურ ნანარმში, არ ჩანს. ჩარხი კოლხეთში ჩნდება, როგორც ჩანს, ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საფეხურიდან და უკვე ამ პერიოდიდან აშკარად იგრძნობა კერამიკული ნაწარმის ფორმათა სიმრავლე, მრავალფეროვნება. რაც შეეხება ყობანს, ეს პროცესები კოლხეთზე უფრო გვიანდელია. ჩვენი აზრით, კოლხურ ფორმათა შეღწევა ცენტრალური კავკასიონის რეგიონში, როგორც ჩანს, ხდება რამდენჯერმე. ერთ-ერთი ყველაზე ნათლად გამოხატული პერიოდი მოდის დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნეზე, მეორე ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ე.ი. ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში არ ჩანს ჩარხი. ამის გამო ყობანში ფორმები საკმაოდ ერთფეროვანია და სამეურნეო წარმოების ადგილობრივ დონეს შეესაბამება. იქაური თიხის ხელით დამუშავებით ვიღებთ გარკვეული ტიპის ნაწარმს. მისი მრავალფეროვნება, სერიულობა მხოლოდ ჩარხის მეშვეობით შეიძლება იქნას მიღწეული, ეს პროცესი კი ცენტრალური კავკასიონის მთაში, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებზე რამდენადმე გვიან ხდება და უკავშირდება აქ ე.წ. მეოტური კერამიკის გაჩენას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყობანურ კერამიკაში შეინიშნება რიგი ორნამენტული სახეები, რომელიც ადგილობრივი ლოკალური იერისაა და კოლხურ ნაწარმთან კავშირს ვერ ნახულობს. ეს უპირველეს ყოვლისა არის რელიეფური ნაძერწები (სვასტიკა ან მისი მოდიფიკაცია, გადმობრუნებული ღუზა, ცხოველის გამოსახულებანი, რელიეფური ბურთულებით ტანის დაფარვა, ნუშისებრი დანაძერწები). ეს ორნამენტული მოტივები სრულიად უცხოა კოლხეთისთვის. ასევე უცხო ჩანს კოლხურ ნაწარმში ჭრილი ორნამენტის რიგი მოტივები (ჭადრაკული დეკორი, სპირალისებრი ხვია, სამკუთხედის და ოვალური რგოლის კომბინაცია და სხვა).[566] ასევე სრულიად უცნობია კოლხეთისათვის ყობანური კერამიკის ერთ ნაწილზე[567] გავრცელებული თეთრი პასტით ზედაპირის ინკრუსტაცია, რაც ვიწრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და საკუთრივ ყობანის დამახასიათებელი უნდა იყოს.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ყობანში თვით ისეთი სპეციფიური და ვიწრო ლოკალური კულტურის დამახასიათებელი ელემენტი, როგორიც კერამიკაა, ატარებს შერეულ ხასიათს, ორნამენტული მოტივები უმთავრესად საერთოა ორივე რეგიონისათვის და აშკარად

565. **В. Козенкова.**, დასახ. ნაშრომი, ტაბ. L-2.
566. იქვე. ტაბ. LVI-3, 7 10, 24; **В. Козенкова.**, Кобанская культура. Западный вариант, таб. XI-17, 26, XV-34, XVII-41, XVIII-4.
567. იქვე. ტაბ. III-8, 13, XIV-3, XV-36? XVIII-18 და სხვა. იქვე, გვ. 67.

შესულია ყობანში კოლხეთიდან. საერთო ჩანს რიგი ფორმებიც, უმთავრესად ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების მასალაში.[568] ყოველივე ზემოთქმული, ჩვენის აზრით, გვაძლევს უფლებას კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობაში სამხრეთული იმპულსები თუ გადამწყვეტად არა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იყოს მიჩნეული. კერამიკული მასალის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთული გავლენის 3 ქრონოლოგიური საფეხური იქნას დაფიქსირებული. ეფიქრობთ კვლევა ამ მიმართულებით უაღრესად პერსპექტიულია და მისი გადაწყვეტა ამ კულტურათა რაობის გარკვევისათვის შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

§ 5. კოლხურ სამაროვანთა ზოგიერთი თავისებურების და ქრონოლოგიის საკითხები

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული კოლხურ სამაროვანთა გამოვლენის და შესწავლის თვალსაზრისით. ამ მიმართებით აღსანიშნავია ენგურის, კოლხეთის, შავიზღვისპირეთის, ნოსირ-მუხურჩას, სვანეთის, აფხაზეთის არქეოლოგიურ ექსპედიციათა მუშაობის შედეგები, როდესაც დროის მცირე მონაკვეთში გამოვლინდა სამაროვანთა სრულიად ახალი ტიპი, დაკრძალვის სპეციფიური რიტუალით და მრავალნოვანი მასალით, რამაც მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია. სადღეისოდ აღნიშნული სამაროვნები გათხრილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თითქმის ყველა რეგიონში. გამოქვეყნებულია სპეციალური სტატიები და მონოგრაფიები ცალკეულ ძეგლთა შესახებ, თუმცა მთელი რიგი საკითხები დამატებით კვლევას საჭიროებს. უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელობით შესწავლილი იქნა ისეთი პირველხარისხოვანი ობიექტები, როგორიცაა პალურის „საძვლე", მერხეულის, ფიჩორის და ნიგვზიანის სამაროვნები და ბუნებრივია მთელ რიგ საკვანძო საკითხებზე ჩვენი ყურადღების გამახვილება. გათვალისწინებულ იქნა ურეკის, ერგეტას (თ. მიქელაძე), მუხურჩას (ე. გოგაძე), ლარილარის (შ. ჩართოლანი), ბრილის კრემაციული მოედნის (გ. გობეჯიშვილი) და სხვა მონაცემები, რომლებიც გარკვეულად ავსებენ ჩვენს ცოდნას ამ მიმართულებით.

კოლხურ სამაროვნებზე სამარხის რამდენიმე ტიპია დადასტურებული. ყველაზე გავრცელებული ჩანს კოლექტიური სამარხი ორმო, რომლებიც დასტურდება ურეკის, ერგეტას, ფიჩორის, ნიგვზიანის სამაროვნებზე. ჩვეულებრივ ასეთ ორმოებში რამდენიმე ათეული მიცვალებულია დაკრძალული. სამარხის მეორე ტიპს დასაკრძალი მოედანი ნარმოადგენს (პალურის „საძვლე" მოედნები, მერხეული, მუხურჩა, ნიგვზიანის მოედანი, ბრილი). ჩვეულებრივ იგი მომზადებულია ნინასწარ, ფსკერი მოსწორებულია ზოგჯერ მოტკეპნილი. მიცვალებულები დაკრძალულია ცალ-ცალკე და ზოგჯერ ხერხდება ცალკეული კომპლექსების გამოყოფა. ვხვდებით, როგორც მეორად რიტუალს, ისე კიდურებმოხრილ პოზაში მიცვალებულის დასვენებას. ამ რიგის სამაროვნებში ეს რიტუალი გამონაკლისი ჩანს და მხოლოდ პალურის „საძვლეს" აღმოსავლეთ და დასავლეთ მოედნებზე ფიქსირდება. სამარხის მესამე ტიპს – თხრილი ნარმოადგენს, რომელიც ნარმოდგენილია ნალისებური (პალურის „საძვლე") ან ჩვეულებრივი სწორი თხრილის სახით (შესაძლოა ამგვარი იყოს ლარილარის სამაროვანი), თითქმის ყველა ტიპის სამარხთან დასტურდება აღაპის კვალი. აღსანიშნავია, რომ პალურის „საძვლეს" ნალისებრი თხრილი უვლის ოთკუთხა მოედანს, რომელიც ზემოდან სპეციალური თიხითაა მოტკეპნილი და მომზადებული. სამწუხაროდ, მასზე არავითარი კულტურული ნაშთის კვალი არ დასტურდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ რიგის სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის რიტუალი და მისი მთელი რიგი თავისებურება. ჩვეულებრივ ორმოსა, თხრილსა თუ მოედნებზე მიცვალებულის ჩონჩხი პატარა ფრაგმენტების სახითაა ჩაყრილი და ცალკეულ მიცვალებულთა ჩონჩხის გამოყოფა შეუძლებელია. ისინი პირამდის ავსებულია ძვლებით, მიწით და არქეოლოგიური მასალით, რომელიც ძალზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. დასაკრძალ მოედნებზეც, პალურის გარდა, მსგავსი სურათია. მიცვალებულის ძვლები და ინვენტარი უსისტემოდაა მიმოფანტული. ჩონჩხი ზოგიერთ შემთხვევაში ატარებდა ცეცხლში ყოფნის ნიშნებსაც, თუმცა ძვალი მთლიანად დამწვარი არ იყო. აქ უფრო ცეცხლში გატარების ნიშნებთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ მხრივ მერხეულის სამაროვანი ახლოს დგას პალურის „საძვლესთან", ნიგვზიანთან, ფიჩორთან, მუხურჩასთან, სადაც მიცვალებულის მეორადი

568. სწორედ ამ პერიოდიდან არის ყობანშიგავრცელებული სიტულის ფორმის თიხის ჭურჭლები, რომლებიც აშკარად კოლხური კულტურის წრიდან არის აქ მოხვედილი. იხ. მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 38; ბარამიძე მ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 73.

დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობაც სავარაუდოა.[569] შეუძლებელია ერთი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარის კი არა, ცალკეული ინდივიდის ძვლების გამოყოფაც კი. მიცვალებულის ჩონჩხის მსგავსი უსისტემო განლაგება დამახასიათებელია სნორედ იმ რიგის ძეგლებში, სადაც მკვლევარები მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობას ვარაუდობენ, ამგვარი რიტუალის არსებობა კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალების მიხედვით. განსაკუთრებით ეს შეეხება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, სადაც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ვს. ა. მილერი გაკვრით აღნიშნავდა ამგვარი რიტუალის არსებობას. მისი აზრით, ძველი კოლხეთისათვის დამახასიათებელ ამ რიტუალის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს გაგრასთან აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ადამიანის ძვლებით.[570] შემდგომში მეორადი დაკრძალვის შესახებ ცნობები მოგვეპოვება ვ. სტრაჟევთან, რომელმაც სოფელ პრიმორსკოესთან (ყოფ. პეტროპავლოვსკი) დაადასტურა ურნებში დაკრძალვის ეს რიტუალი.[571] ანალოგიური სამარხები გათხრილი იყო 1930 წ. მ. ივაშჩენკოს,[572] ხოლო 1934 წ. ბ. კუფტინის[573] მიერ ქვემო ეშერის ტერიტორიაზე. მეორადი დაკრძალვის რიტუალი ჩანს დოლმენებშიც[574] და დოლმენური მასალების შემცველ კრომლეხებშიც.[575] მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებულია უფრო ადრეული ხანის ძეგლებშიც. კერძოდ, ძვ. გაგრის ზღვისპირა პარკის მახლობლად კარსტულ მღვიმეში და სოფ. კალდახვარას ფარდულში,[576] რომლებიც ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული სოხუმის მახლობლად წითელი შუქურას სამაროვანზე, სადაც დადასტურდა ორმოსამარხებში მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალი ნაწილობრივი კრემაციით;[577] სოფ. ოთხარის ტერიტორიაზე გათხრილ დოლმენური ტიპის სამარხებში,[578] ბრილის სამაროვანზე გათხრილ კოლექტიურ ქვის აკლდამაში, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა ეკუთვნოდეს.[579]

ანალოგიური რიტუალი დადასტურებულია ცენტრალური კოლხეთის კიდევ ორ პუნქტში. კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანში ნაწილობრივ შეისწავლა ვრცელი სამაროვანი, სადაც გამოვლინდა შემდეგი სურათი: მოყვითალო თიხნარში ამოჭრილ მოზრდილ ორმოებში (დიამეტრი 4მ.) უსისტემოდ ჩაყრილია მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი: მრავალრიცხოვანი კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამკაული. დაფიქსირდა დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობის ფაქტი. გაიწმინდა ნახშიროვანი ლაქები და რაც მთავარია, თვით ინვენტარი და ძვლები ატარებენ ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს. როგორც ჩანს, ისინი გატარებულია „წმინდა" ცეცხლში მიცვალებულის ავი სულებისგან განწმენდის მიზნით. ძეგლი, თარიღდება ძვ.ნ. VII-VI სს-ით.[580]

როგორც ჩანს, მსგავსი რიტუალი უნდა იყოს ჩატარებული მარტვილის რაიონის სოფ. მუხურჩას სამაროვანზეც, სადაც დადასტურდა სპეციალური პატარა მოედნები მსგავსი მასალით და უსისტემოდ ჩაყრილი ძვლებით.[581]

შესაძლოა მსგავს რიტუალთან გვაქვს საქმე ლარილარის სამაროვანზეც.[582] მეორადი დაკრძალვის რიტუალის ნიშნები ჩანს ნალკის ზეგანზეც. აქ 1936 წ. პროფ. კუფტინის მიერ ადგილ ტაშბაშში გათხრილ ელეონითურ სამარხში ისე უსისტემოდ ეყარა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი, რომ თავის ქალა და ქვედა ყბა აღმოჩნდა ორ, მეზობლად მდგარ ჯამში.[583] დაახლოვებით ამავე პერიოდისაა და

569. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., პალურის საძეელ, გვ.97-98.
570. Миллер А. А., О некоторых древных погребальных обрядах на Кавказе, Этнографическое обозрение, # 1-2, СПБ, 1911, გვ.17.
571. Стражев В. И., Бронзовая культура в Абхазии, გვ.107.
572. Ивашенко М. М., დასახ. ნაშრომი, გვ.58.
573. Куфтин Б. А. Материалы К археологии Колхиды, т. I, გვ. 178-182.
574. Шамба Г. К. Эшерские кромлехи, გვ. 34.
575. Куфтин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 269, 272-278; Соловьев Л. Н., Погребения долменной культуры в Абхазии, გვ. 64-70.
576. Соловьев Л. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 80-90; Воронов Ю. Н., Археологическая карта Абхазии, стр. 18.
577. Трапш М. М., Труды, т. II, გვ. 155.
578. Цвинария И. И., Новые данные.....
579. ბარამიძე მ., ბრილის აკლდამა, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1961.
580. მიქელაძე თ., ბარამიძე მ., ხახუტაიშვილი დ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის ანგარიში, საინსტიტუტო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1974 წ. ნაშრომული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი; Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., Колхидский могильник VII-VI вв. до н.э.с. ингвзиани, КСИИМК 151, М., 1977.
581. გოგაძე ე., არქეოლოგიური სამუშაოები 1974 წ. სოფ. მუხურჩას სამაროვანზე, საქართველოს სახ. მუზეუმის საანგარიშო სესიაზე წაკითხული მოხსენება.
582. ჩართოლანი შ., ლარილარის სამაროვანი, სკმაკ, თბ., 1968, გვ. 312.
583. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, Тб.,1941, გვ. 117.

მსგავსი წესი შეინიშნება ახალციხის ამირანის გორაზე გათხრილ ერთ სამარხშიც.[584] ყოველივე ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს მეორადი დაკრძალვის წესი დამახასიათებელი იყოს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიისათვის. ეს წესი კარგად ჩანს ჩრდილო კავკასიაშიც, განსაკუთრებით კი დაღესტანში; მაგალითად, ყარაბუდაღკენტის №2 სამაროვნის პირველ სამარხში, რომელიც ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.[585] ამავე პერიოდისა ჩანს მსგავსი დაკრძალვის წესის შემცველი კატარგაჩ თაფას და კარკომაპოლას №2 ყორღანები.[586] ძვ.წ. II-I ათასწლეულებს უნდა მიეკუთვნებოდეს ჰოლა-ადის და ყიზილ-იარას სამაროვნები, სადაც ასევე ვხვდებით მეორადი დაკრძალვის რიტუალს.[587] იგივე სურათი ჩანს ბ. დეგენის მიერ გათხრილი ნალჩიკის №2 ყორღანშიც.[588] ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში აღნიშნული რიტუალი ფართოდაა გავრცელებული მთელი კავკასიის ტერიტორიაზე, თუმცა მომდევნო ხანებში მათი რაოდენობა, დაღესტნის ტერიტორიის გარდა, მკვეთრად იკლებს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ დაკრძალვის ეს წესი დაღესტნის ტერიტორიაზე სარმატულ ხანაში ადგილობრივი ტომებისათვის ერთ-ერთი წამყვანი რიტუალი ხდება. ამაზე მიუთითებს ტარკის და ყარაბუდახკენტის №1 სამაროვნის მონაცემები, სადაც დაკრძალეის სარმატული რიტუალის გვერდით ვხვდებით მეორადი დაკრძალვის ფაქტებსაც.[589]

დაკრძალვის რიტუალის განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით კიდევ ერთ საყურადღებო მომენტს. მიცვალებულთა ძვლების ნაწილი ატარებს ცეცხლში ყოფნის კვალს (ფიჩორი, პალურის „საძვლე"). მათგან განსხვავებით მერხეულის სამაროვანზე მოპოვებული სამარხეული ინვენტარის ნაწილიც ატარებს ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს – რკინის იარაღი, ბრინჯაოს რამდენიმე სამაჯური და კირკალი მაშინ, როდესაც პალურის „საძვლეზე" სამარხეული ინეევტარი ცეცხლში ყოფნის ასე აშკარა ნიშნებს არ ატარებს. ამ თვალსაზრისით მერხეულის სამაროვნის ნაკეთობანი უფრო ახლოს დგას გუადიხუს სამაროვანის მასალებთან, სადაც მეორე ჯგუფის სამარხ-ორმოებში დადასტურებულია მიცვალებულთა და თანჩატანებული ინვენტარის ნაწილობრივი, არასრული კრემაცია.[590] მიცვალებულის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დასავლეთ საქართველოს მასალებისათვის არაა უჩვეულო, ამის მაგალითად ბრილის ცნობილი სამაროვანიც კმაროდა,[591] მაგრამ მერხეულში საქმე მაინც განსხვავებულ რიტუალთან გვაქვს. მიცვალებულის ძვლები დამწვარი კი არ არის, არამედ მხოლოდ ცეცხლშია გატარებული, შესაძლოა ავი სულებისაგან დაცვის მიზნით.

მერხეულის სამაროვანზე დამოწმებული დაკრძალვის წესი ყველაზე მეტ მსგავსებას ნიგვზიანის სამაროვნის მონაცემებთან ამჟღავნებს. ნიგვზიანის კოლექტიურ სამარხ-ორმოებში უსისტემოდ ჩაყრილი მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს ატარებს. აღსანიშნავია, რომ აქაური ნაკეთობანი ხშირად თითქმის წიდად ქცეულია და დეფორმირებული და რიგ შემთხვევაში ფორმის განსაზღვრაც კი ჭირს.[592]

კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობის შესახებ, წმინდა არქეოლოგიური მონაცემების გარდა, მოგვეპოვება ბერძენ-რომაელ მწერალთა პირდაპირი ცნობები. მათ შორის ყველაზე სრული ცნობა დაცულია აპოლონიოს როდოსელის (ძვ.წ. III ს.) „არგონავტიკაში": იქ „ახლაც კიდევ კოლხებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ მიცვალებული მამაკაცების ცეცხლში დაწვა, ან მათი დაფლა მიწაში და ჩამოჰკიდებენ ხეებზე ქალაქის მოშორებით, მაგრამ მიწაც ღებულობს თავისას ისე, როგორც ჰაერი, ვინაიდან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი არის მათი ჩვეულება".[593] პროფ. ბ კუფტინის აზრით, აპოლონიოს როდოსელს აღნიშნული ცნობა აღებული

584. ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა, თბ., 1962, გვ. 84. ტაშბაშისა და ამირანის გორის სამარხებში მეორადი დაკრძალვის რიტუალი არ ჩანს ისე მკვეთრად გამოსახული, როგორც ზემომოტანილ ძეგლებზე. მაგრამ მათ ეასახელებთ იმდენად, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი მოსაზრება არის გამოთქმული.

585.Мунчаев Р. М., Древнейшая культура северо-восточного Кавказа, МИА-1006 М., 1961, გვ. 133; Мунчаев Р. М., Смирнов К. Ф., Археологические памятники близ с Карабудахкента, МИА-69, 1958. გვ. 148-149.

586. Смирнов К. Ф., Отчет о работе Дагестанской археологической экспедиции в 1951 г. Архив ИАН СССР. ф. 1р.

587. Анучин Д. Н., Отчет о поездке в Дагестан, «Древности», ТМАО, вып. 2-3, М., 1883, გვ. 36.

588. Деген Б. Е., Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МИА-33, М.-Л., 19411, გვ. 232.

589. Смирнов К. Ф., Археологические исследования в районе Дагестанского селения Тарки, в 1948-1948, МИА-23, 1951, გვ. 226.

590. Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

591. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოსი, თბ., 1951, გვ 99.

592. Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., დასახ. ნაშრომი.

593. Латишев В. В., Известиия древных писателей греческих и римских о Скифии и Кавказе, I. греческие писатели, СП., 1886, გვ. 418.

აქვს მისი უფროსი თანამედროვის ნიმფოდორ სირაკუზელის „პერიპლუსიდან",[594] უკანასკნელი კი აღნიშნავს: „კოლხებში არ არის მიღებული მიცვალებულ მამაკაცთა არც დაწვა და არც მინაში ჩაფვლა. გვამებს ისინი ახვევენ ნედლ ტყავში და კიდებენ ხეზე. მიცვალებულ ქალებს კი ასაფლავებენ მინაში".[595] მსგავსი ცნობებია დაცული სხვა ავტორებთანაც. ნიკოლოზ დამასკელი (ახ.წ. I ს.) წერს: „კოლხები არ ასაფლავებენ მიცვალებულებს, არამედ კიდებენ ხეზე".[596] კლავდიუს ელიანე (ახ.წ. II ს. ბოლო III ს. დასაწყისი) – „კოლხები მიცვალებულებს შემოაკერებენ ტყავს და კიდებენ ხეებზე".[597] ამგვარად აშკარად ჩანს, რომ ისტორიულ წყაროებში დაცულია ცნობა კოლხურ ტომებში დაკრძალვის ამ რიტუალის არსებობის შესახებ; საკითხის ერთი მხარეა, თუ რა პერიოდის ვითარებას ასახავს ეს ცნობები. დასავლეთ საქართველოს დღევანდელი არქეოლოგიური შესწავლილობის დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეორადი დაკრძალვის რიტუალი უფრო ადრეულ პერიოდებს უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე ნიმფოდორ სირაკუზელისა თუ აპოლონიოს როდოსელის ცნობის ხანაა. მართლაც, ჯერჯერობით მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა უფრო მოგვიანო ხანებში, ვიდრე ეს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებია, არქეოლოგიურად დადასტურებულია მხოლოდ ვანის ნამოსახლარზე გათხრილ ერთ სამარხში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნიმფოდორ სირაკუზელს თუ აპოლონიოს როდოსელს ხელთ ჰქონდათ უფრო ძველი ცნობები. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ „არგონავტიკაში" მკვლევართა მიერ აშკარად გამოყოფილია უძველესი და შედარებით ახალი შრეები.[598] ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ცნობა კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის შესახებ ადრეულ პერიოდს ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას, ნმინდა არქეოლოგიური მონაცემების გარდა, შესაძლოა მხარს უჭერდეს თვით აპოლონიოს როდოსელის ცნობაც, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს: „ეხლაც კიდევ კოლხებს ცოდვად მიაჩნიათ" და ა.შ.

სხვა საკითხია, რამდენად სწორად აქვთ გადმოცემული დაკრძალვის რიტუალი ამ ავტორებს. აპოლონიოს როდოსელის და ნიმფოდორ სირაკუზელის ცნობებით ეს რიტუალი მხოლოდ მამაკაცთა მიმართ არის გამოყენებული, ქალები კი იმარხებიან ჩვეულებრივ, მინაში. ყველა სხვა ავტორი (ნიკოლოზ დამასკელი, ფსევდო პლუტარქე, კლავდიუს ელიანე) ამგვარ სქესობრივ განსხვავებას დაკრძალვის რიტუალისათვის არ აღნიშნავენ.

სამწუხაროდ, კრანიოლოგიური მასალების ფრაგმენტულობის გამო, ამ საყურადღებო მოსაზრების შემონმება ანთროპოლოგიურად ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს, მაგრამ არქეოლოგიური მასალების განხილვა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგ., პალურის „საძვლეს" შესწავლის დროს ჩვენს წინაშე იდგა საკითხი აღნიშნული რიტუალის სქესობრივი კუთვნილების შესახებ. „საძვლეს" თხრილში მხოლოდ ბრინჯაოს ერთი ყუნწიანი სატევრისპირი და კოლხური ცულის მინიატურული მოდელი – საკიდია ნაპოვნი. თხრილის ორ მხარეს (აღმოსავლეთით და დასავლეთით) უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე გაითხარა ორი სწორკუთხა მოედანი, რომელზეც შესწავლილია 70-მდე ინდივიდუალური ინჰუმაციური სამარხი. სამარხეული კომპლექსები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მრავლად შეიცავდა ბრინჯაო-რკინის იარაღებს. მასალის ამგვარი განლაგება გვაფიქრებინებს, რომ თხრილში მეორადი დაკრძალვის წესით ასაფლავებდნენ ქალებს, ხოლო იქვე გვერდით ინჰუმაციის წესით მამაკაცებს.[599]

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მეორადი დაკრძალვის რიტუალი ქალებისათვის გამოყენებული ჩანს ბრილის აკლდამაშიც, რომლის მრავალრიცხოვანი ინვენტარი მხოლოდ სამკაულებითაა წარმოდგენილი. გამონაკლისია მხოლოდ ერთი კაჟის ისრისპირი.[600]

აღნიშნული გარემოება, გვაფიქრებინებს, რომ ანტიკური წყაროების ცნობები კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობისა და დაკრძალვის წესში სქესობრივი განსხვავების შესახებ ერთგვარად ეჭვის ქვეშ იქნეს დაყენებული. სავარაუდოა, რომ ეს წესი გამოიყენებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ორივე სქესის მიცვალებულთა მიმართ.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა დასტურდება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ფაქტებითაც. XVII ს. ცნობილი მოღვაწე, მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, წერდა, რომ აფხაზებს აქვთ საყურადღებო ჩვეა – მიცვალებულებს არ

594. **Куфтин Б. А.**, Материалы К археологии Колхиды, т. I, გვ. 187-188.
595. **Латышев В. В.**, ციტირებული ნყარო, გვ. 409.
596. იქვე. გვ. 455.
597. **Латышев В. В.**, ციტირებული ნყარო, გვ. 698.
598. აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით იხ. **ო. მიქელაძე**, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 157-162.
599. **ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.
600. **ბარამიძე მ.**, ბრილის აკლდამა.

მარხავენ, არამედ დებენ ხის სკივრში, რომელსაც ყურძნის ლერწით ამაგრებენ ხის ნეეროზე. იქვე კიდებენ მიცვალებულის მთელ იარაღს.[601] მსგავს სურათს აღწერს XVII ს. თურქი მოგზაური ევლია ჩელები[602] და ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.[603]

XIX ს. შუა ხანებისათვის მსგავსი რიტუალი აღწერილი აქვს პირველ აფხაზ ეთნოგრაფს სოლომონ ზვამბაიას. მისი ცნობით, მეხის დარტყმით მოკლულ ადამიანს ან საქონელს ათავსებენ ოთხ ბოძზე აღმართულ სპეციალურ ხის კოშკში მანამ, მისგან მხოლოდ ძვლები არ დარჩება. ამის შემდეგ მიცვალებულს ჩამოხსნიან და მის ძვლოვან ნაშთს მიწაში მარხავენ.[604]

საინტერესო ცნობებს აფხაზეთის ტერიტორიაზე XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში შემორჩენილი აღნიშნული რიტუალის შესახებ გვაწვდიან ნ. ალბოვი,[605] ნ. ჯანაშია,[606] გ. ჩურსინი,[607] შ. ინალიფა[608] და სხვა. მათი ცნობით აფხაზეთში მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ნესი ძირითადად მეხით მოკლული პიროვნებისადმი იყო გამოყენებული. აღნიშნული ცნობები ვრცლად არის არქეოლოგიურ ლიტერატურაში განხილული[609] და ჩვენ აქ მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, მეორადი დაკრძალვის რიტუალი ცეცხლში ნანილობრივ ყოფნის კვალით არაა უცხო დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისათვის. თუ რით უნდა აიხსნას ამგვარი რიტუალის არსებობა, ეს საკითხის კიდევ ერთი მხარეა. სავარაუდოა, რომ ეს რიტუალი წარმოადგენს ადამიანის აზროვნებაში სულისა და ხორცის (მატერიალური სანყისი) ერთიანობის გამოხატვის ასახვას. ხორცეული (მატერიალური) თავისთავში შეიცავს სულიერს და ვიდრე ეს მატერიალური არსებობს, სულიერიც მასში არის მოქცეული. ამის გამო, სანამ ხორციელი მთლიანად არ მოსცილდება, სულიერი სანყისი ცოცხალია. შესაძლოა სწორედ ამიტომ არ ასაფლავებდნენ მიცვალებულს უშუალოდ მიწაში, ვინაიდან მათ წარმოდგენაში სული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საჭიროებდა მოვლაპატრონობას, მხოლოდ ხორცის სრული გახრწნის შემდეგ იმარხებოდა ძვლები მიწაში ე.ი. მაშინ, როცა სული ხორცთან ერთად ტოვებდა მიცვალებულს.[610] ასეთ შემთხვევაში უკვე გასაგები ხდება, თუ რითაა გამოწვეული მიცვალებულის დაკრძალვის ამგვარი რიტუალის არსებობა, რაც შეეხება ცეცხლის მონაწილეობას, იგი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ავი სულებისაგან მიცვალებულის გაწმენდის სურვილით.

საქართველოს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დაკრძალვის ეს რიტუალი განსაკუთრებით კარგად და ფართოდ აფხაზეთის ტერიტორიისათვის ჩანს დამახასიათებელი, სადაც მის პარალელურად იმავე დროს გვხვდება დაკრძალვის სხვა წესებიც. მაგალითად, ნითელი შუქურას სამაროვანზე დადასტურებულია მიცვალებულის დაკრძალვის რამდენიმე წესი: 1. გაშოტილი პოზა; 2. კიდურებმოხრილი პოზა. დაკრძალვა ორივე შემთხვევაში წარმოებს ოვალური ფორმის ორმო-სამარხებში. დაკრძალვის მესამე ტიპი წარმოდგენილია მეორადი დაკრძალვით ურნებსა და ოვალური ფორმის ორმოებში.[611] აღნიშნული სხვაობის მიუხედავად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამ სამაროვანზე სხვადასხვა ეთნიკური მასების არსებობა იქნას ნავარაუდევი. პირიქით, არქეოლოგიური მასალების სრული იდენტურობა და ზოგიერთი საერთო მომენტი სამარხის აგებაში (სამარხი ორმოს ფსკერის ქვეშით მოფენა, კრემაციის არარსებობა და სხვ.) სრულიად სამართლიანად ავარაუდებინებს სამაროვნის შემსწავლელ მ. ტრაპშს ნითელი შუქურას სამაროვანზე ერთი ეთნიკური მასის არსებობას. განსხვავებას დაკრძალვის წესში ავტორი ხსნის მიცვალებულთა სხვადასხვა სოციალური მდგომარეობით ან სხვადასხვაგვარი სიკეთდილით.[612] სამარხებში გვხვდება სრულიად იდენტური მასალები, ისე რომ სოციალურ მომენტს ნითელი შუქურას სამაროვნის მასალების მიხედვით არ უნდა ჰქონდეს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა. ასევე საეჭვოა სხვადასხვა სახის სიკეთდილის მომენტის მიღებაც, ვინაიდან სამაროვანზე

601. **Арканджело Ламберти**, СМОММПК, 43, ПБ., 1913, გვ.189-190.
602. **Браун Ф. К.**, Путешествие турецкого туриста вдоль восточного берега Черного моря, ЗООИД, IX, გვ. 178.
603. ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172.
604. **Званба С. Т.**, Этнографические этюды Сухуми, 1955, გვ. 67-68.
605. **Альбов Н.**, Этнографические наблюдения в Абхазии, «Живая Сторина», т. III. გვ. 23.
606. **Джанашия Н. С.**, Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960, გვ. 67-68.
607. **Чурсин Г. Ф.**, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1956, გვ. 57.
608. **Иналифа Ш. Н.**, Абхазы, Сухуми, 1965, გვ. 531-532.
609. **Ивашенко М. М.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 71-78; **ნორაძე გ.**, მიცვალებულის პაერზე დამარხვა, ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., გვ. 74; **Куфтин Б. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 188-190; **Трапш М. М.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 161-162; **Шамба Г.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-42.
610. **ნორაძე გ.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-78.
611. **Трапш М. М.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 149-150;
612. იქვე

დაკრძალვის სამივე ტიპი თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც ბუნებრივია, არ იქნებოდა თუ ჩვენ ამ მომენტს ჩაეთვლით სამარხთა ტიპების განმსაზღვრელად. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ქრონოლოგიურად მერხეულის და ნითელი შუქურას სამაროვნების თანადროულ გუადიხუს სამაროვანს ახასიათებს. აქ დადასტურებულია მიცვალებულის სრული და ნაწილობრივი კრემაციის ფაქტები.[613] აქედან გამომდინარე, მ. ტრაპშის შრომების გამოცემის დროს სარედაქციო კოლეგიას გაუკეთებია შენიშვნა, რის მიხედვით გუადიხუს და ნითელი შუქურას სამაროვნები სხვადასხვა ეთნიკური მასების კუთვნილებად არის გამოცხადებული.[614] თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ არ არის ახსნილი თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფებს გულისხმობენ ამ შენიშვნაში ავტორები, სრულიად უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ არქეოლოგიური მასალები ორივე სამაროვანზე აბსოლუტურად იდენტურია, რაც საკითხის ამგვარი დასმის უფლებას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, სხვადასხვა ეთნიკური მასისათვის უნდა მიგვეკუთვნებინა ბრილის სამაროვანიც, სადაც მიცვალებულის კრემაციის პარალელურად, ქვაყუთებში და ორმოსამარხებში დაკრძალვის სხვა რიტუალია დადასტურებული,[615] ან პალურის „საძვლე", სადაც თხრილში გვაქვს მიცვალებულის მეორადი დაკრძალვა და თხრილის გარეთ კი ინჰუმაცია.[616] აღნიშნულის გამო მხოლოდ დაკრძალვის წესში სხვაობის მიხედვით არაა მართებული სხვადასხვა ეთნიკური მასების შესახებ მსჯელობა, მაგრამ მაშ რით ავხსნათ ერთი და იგივე სამაროვნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის სამარხთა არსებობა. ამის გასარკვევად, ჩვენი აზრით, გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს მერხეულის სამაროვანი, რომელსაც უკავია სულ 40 m^2 ფართობი. ასეთი პატარა ზომები გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს საგვარეულო სამაროვანთან. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსხვავება ერთი და იგივე სამაროვანზე არსებულ ქრონოლოგიურად თანადროულ დაკრძალვის წესში ერთი ეთნიკური ჯგუფის შიგნით სხვადასხვა საგვარეულო ჩვეულებებით აიხსნას. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარი დასმის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

ჩვენი აზრით, ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არ უნდა იქნას გამორიცხული მიცვალებულთა სქესობრივი განსხვავება. ამის საილუსტრაციოდ პალურის „საძვლეს" და ბრილის აკლდამის ზემომოყვანილი მაგალითიც იემარებდა. შეიძლება მოვიტანოთ დამატებითი საბუთიც. აფხაზეთის ტერიტორიაზე გათხრილია ძალზე საყურადღებო სამაროვანი „გუადიხუ". აქ შესწავლილია ძვ.წ. VIII-VI სს. 32 სამარხი,[617] რომლებშიც დაკრძალვის წესის მიხედვით ორი ჯგუფის სამარხები გამოიყოფა. პირველი ტიპი (სულ 15) წარმოდგენილია მრგვალი ფორმის პატარა სამარხებით, რომლებშიც მიცვალებულის სრული კრემაციის წესია დადასტურებული.[618] აღნიშნული სამარხების ინვენტარში ვხვდებით მხოლოდ სამკაულს (სამაჯურები, ფიბულა, სასაფეთქლე რგოლი, კირკალი, მძივები და სხვ.), გამონაკლისს წარმოადგენს ერთი (№5) სამარხი, რომელშიც ბრინჯაოს 2 სეგმენტური იარაღია ნაპოვნი. მეორე ტიპის სამარხები (სულ 17) წარმოდგენილია მოგრძო, კუთხეებში მომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის ორმოსამარხებით. მიცვალებული დაკრძალულია ნაწილობრივი კრემაციის წესით, რომელიც სრულდებოდა უშუალოდ ორმოებში.[619] ამ ჯგუფის ინვენტარი უფრო ნაკლებად ატარებს ცეცხლში ყოფნის კვალს და წარმოდგენილია ძირითადად საბრძოლო იარაღით (ცულები, შუბისპირი, სატევარი, დანისპირები). შედარებით მცირეა სამკაული. ამ ჯგუფის სამარხებში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 3 (№12, 24, 25), მაგრამ სამივე შემთხვევაში ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ნაირგვარი, რასაც ვერ ვიტყვით პირველი ჯგუფის სამარხების ინვენტარზე. მასალის ამგვარი განანილება დაკრძალვის წესით განსხვავებული ორი ჯგუფის სამარხებში, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ პირველი ჯგუფის ორმოსამარხებში სრული კრემაციის წესით იმარხებოდნენ ქალები, ხოლო მეორე ჯგუფის ორმოსამარხებში ნაწილობრივი კრემაციით – მამაკაცები.

კოლხური სამაროვნების დაკრძალვის წესის განხილვა აშკარად გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს დაკრძალვის რამდენიმე რიტუალი (მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით, ინჰუმაცია, კრემაცია და სხვ.). დაკრძალვის წესის ამგვარი განსხვავება ერთი სამაროვნის შიგნით, უნდა აიხსნას ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შიგნით არსებული საგვარეულო რწმენა-წარმოდგენით. ამ დროს გარკვეული მნიშვნელობა, შესაძლოა, ექცეოდა მიცვალებულის სქესსაც.

613. იქვე, გვ. 46.
614. იქვე, გვ. 50, შენიშვნა.
615. გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 103-104.
616. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 98.
617. Трапш М. М., დასახ. ნაშრომიმ, გვ. 20-45.
618. იქვე, გვ. 45.
619. იქვე.

საინტერესოდ დგას საკითხი კოლხურ სამაროვანთა დათარიღების შესახებ. აღნიშნულ პრობლემას მრავალი მკვლევარი შეეხო, თუმცა სადღეისოდ ერთიანი შეხედულება მაინც არ არის ჩამოყალიბებული და საკვლევი ბევრია. ერთ რამეში ყველა მკვლევარის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. კოლხურ სამაროვანთა ძირითადი პლასტი ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება და ზოგიერთი სამაროვნის (მერხეული, ფიჩორი, ლარილარი, პალური), ზედა საზღვარი გარკვეულად ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარს მაინც მოიცავს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სამაროვანთა გავრცელების ქვედა თარიღი. ამ რიგის ძეგლებიდან ყველაზე ადრე ბრილის კრემაციული მოედანი იქნა შესწავლილი, რომელიც გ. გობეჯიშვილმა ძვ.წ. X-VI სს-ით დაათარიღა,[620] თუმცა იქვე შენიშნა, რომ ძირითადი მასალა ძვ.წ. VIII-VI სს-ს უნდა მიეკუთვნოსო. პალურის „საძვლეს" გათხრის პირველსავე ანგარიშებში რ. აბრამიშვილმა და თ. მიქელაძემ არქაული იერის ბრინჯაოს სატევრებზე დაყრდნობით სამაროვნის ფუნქციონირების ასაკი ძვ.წ. XIV-V სს-ით განსაზღვრა.[621] შემდეგ წლებში ძეგლზე სამუშაოები გაგრძელდა მ. ბარამიძის და ნ. ოქროპირიძის ხელმძღვანელობით (ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. გრიგოლია). გაირკვა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის მასალები სამაროვანზე საერთოდ არ ჩანს და მისი ქვედა საზღვარი IX საუკუნის უადრესი არ უნდა იყოს.[622] გამთხრელთა ეს მოსაზრება ძირითადად გაიზიარა ყველა მკვლევარმა. ამავე პერიოდში ისწავლებოდა მუხურჩის სამაროვანიც, რომლის ქვედა საზღვარი ე. გოგაძემაც ძვ.წ. IX ს. მიიტანა.[623] განსხვავებული სურათია ლარილარის (შ. ჩართოლანმა)[624] და მერხეულის (მ. ბარამიძე)[625]სამაროვნებზე, რომლებიც ძირითადად VI-V სს-ებით იქნა დათარიღებული. დაახლოებით ამავე პერიოდის აღმოჩნდა ფიჩორის სამარხიც, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით და VI ს. თარიღდება.[626] დიდი სამუშაოები ამ მიმართებით ჩატარდა კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. თ. მიქელაძე ერგეტას, ურეკის, ღვადას და ნიგვზიანის სამაროვნებზე დაყრდნობით კოლხურ სამაროვანთა გავრცელების ძირითად დროდ ძვ.წ. VII-VI სს. განსაზღვრა,[627] თუმცა არ გამოირიცხა ზოგიერთი კომლექსის რამდენადმე უფრო ადრეული პერიოდით დათარიღება. უკანასკნელ ხანებში, როგორც ჩანს, ამავე ექსპედიციაში შემუშავდა სამარხი ორმოების შეფარდებითი ქრონოლოგია, რომელიც თითქოს კიდევ უფრო აძველებს ამ თარიღს.[628] ამგვარად აშკარაა, რომ პრინციპში ერთგვაროვანი სამაროვნების აბსოლუტური სინქრონიზაცია ვერ ხერხდება და შესაძლებელი ხდება მათში გამოიყოს რამდენადმე ადრეული და მოგვიანო კომპლექსები. ამ თვალსაზრისით საყურადღებო სურათს იძლევა პალურის „საძვლე", სადაც კოლექტიური სამარხი ორმოთხრილის გვერდით გვხვდება ორი დასაკრძალავი მოედანი ინდივიდუალური სამარხებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სამარხები უფრო მოგვიანო ეტაპისაა, ვიდრე თხრილი, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივადაა გამოყენებაში და მხოლოდ ბოლო ეტაპზე ხდება მათი სინქრონიზაცია. ამ თვალსაზრისით პალურში შემდეგი სურათი ისახება. ყველაზე მოგვიანო ჩანს დასავლეთის დასაკრძალავი მოედანი, რომლის კომპლექსები (№№18-40, 44-1, 46, 49, 59 და სხვ.). აშკარად ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან V ს-ის პირველ ნახევრამდე უნდა მიეკუთვნოს. ამის საფუძველს იძლევა რკინის აკინაკები, ყუაკვერიანი ცულები, სეგმენტები, კირკალი, სამაჯური და სხვ., რომლებიც სწორედ ამ პერიოდში ჩანს გავრცელებული. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დასავლეთის მოედანზე ბრინჯაოს იარაღი საერთოდ არ გვხვდება და ამ მასალისაგან მხოლოდ რამდენიმე სახის სამკაული (ბეჭედი, სამაჯური, საკინძი) არის წარმოდგენილი. ქრონოლოგიურად მასთან ახლოს უნდა იდგეს მერხეულის სამაროვანი, რომელიც უკავშირდება „საძვლეს" ამ ჯგუფს ყუაკვერიანი ცულით, აკინაკით, კონუსისებურად თავგაფართოებული სამაჯურებით, ვერცხლის თავგახსნილი რგოლებით. აღსანიშნავია, რომ მერხეულში ნაპოვნია ბრინჯაოს გრეხილღეროიანი დიადემები, რომლებიც ვანის ითხეისის, ახალგორის განძის, ბრილის და სხვა პარალელებით მყარ ქრონოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს.[629] როგორც ჩანს, ამავე

620. გობეჯიშვილი გ., საქართველოს არქეოლოგია.
621. აბრამიშვილი რ., მიქელაძე თ., ... ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. მუშაობის ანგარიში, ისტორიის ინსტიტუტის XIV სერია, გვ. 15; აბრამშვილი რ., არქეოლოგიური სამუშაოები ენგურჰესის სამშენებლო მოედნებზე, ისტორიის ინსტიტუტის და ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
622. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., პალურის „საძვლე", გვ 122.
623. გოგაძე ე. არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. მუხურჩას სამაროვანზე.
624. ჩართოლანი შ., ლარილარის სამაროვანი, გვ. 313.
625. ბარამიძე მ., მერხეულის სამაროვანი, გვ. 64-69.
626. Барамидзе М., Исследования в с. Пичори, АО 1982 г., М., 1983, გვ. 421. არსებობს ძეგლის რამდენამდე განსხვავებული თარიღი. გ. კეირკველია მას ძვ.წ. VI-V სს-ს მიაკუთვნებს.
627. Микеладзе Т., К археологии Колхиды, стр. 58-62
628. ჰაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, აეტორეფერატი, თბ., 1998.
629. ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.

პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ლარილარის სამაროვანი, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ იგი ფუნქციონირებას იწყებს რამდენადმე ადრე.

ქრონოლოგიურად ამ კომპლექსებს წინ უნდა უსწრებდეს „საძვლე" აღმოსავლეთ მოედნის კომპლექსები (№№7, 48, 35, 24, 44 და სხვ.), სადაც თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ბრინჯაოს (კოლხური ცულები, სეგმენტი, თოხი, სხვადასხვა ტიპის სატევრები, შუბისპირი) და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ბრინჯაოს სამკაული; ძალზე მცირეა რკინის სამკაული, თუმცა მაინც გვხვდება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინის მშვილდსაკინძი, რომელიც ბრინჯაოს ანალოგურ ნაკეთობებს იმეორებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ნაკეთობები არაა ფართოდ გავრცელებული და როგორც ჩანს მისი გაჩენა უნდა დაუკავშირდეს ძვ.წ. VI ს-ის პირველ ნახევარს (ბრილი, თლი). ამდენად შესაძლოა დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთის მოედნის სამარხები რამდენადმე წინ უსწრებს დასავლეთის მოედნის მასალებს, თუმცა რალაც მონაკვეთში (ალბათ ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები) ისინი თანაარსებობენ. აქედან მოედნის ქვედა საზღვარი ძვ.წ. VII ს. საწყისთან მაინც უნდა იქნას მიტანილი. როგორც ჩანს, ამ ეტაპის სინქრონული უნდა იყოს ფიჩორის სამარხიც, რომლის ძვ.წ. VII ს. საწყისთან მიტანას უნდა ადასტურებდეს სამარხის ქვედა დონე, სადაც არც ერთი რკინის ნივთი არაა დაფიქსირებული და ბრინჯაოს იარაღი წარმოდგენილია ყუნწიანი სატევრისპირებით, მასრაგახსნილი შუბისპირით. როგორც ჩანს, ძირითადად ამ პერიოდს უნდა დაუკავშირდეს „საძვლეს" თხრილის მასალის ნაწილი და საერთოდ კოლხური სამაროვნების ძირითადი მონაპოვარი. თუმცა აქაც ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს. მაგ., ნიგვზიანის სამაროვანი მიჩნეულია ძვ.წ. VII-VI სს-ის ძეგლად,[630] თუმცა მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ აქ უფრო ადრეული ფენის მასალის გამოყოფაც შეიძლება. №1 სამარხ ორმოში 7 დონე იყო ფიქსირებული. აქედან ზედა 5 შეიცავდა რკინის იარაღს და მრავალრიცხოვანი კერამიკის იმ ჯგუფს, რომელიც ძვ.წ. VII ს. უადრესი არ უნდა იყოს (ე.წ. შერეული მასალის შემცველი), ქვედა ორ დონეზე კი დაფიქსირებულია მხოლოდ ბრინჯაოს იარაღი ყუნწიანი სატევრისპირების და კერამიკის იმ ფორმებით, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად წინარეანტიკური ხანისთვის. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ნიგვზიანის სამაროვნის ქვედა საზღვარი ძვ.წ. VIII ს. იქნას გადატანილი. რაც შეეხება სამაროვნის ზედა ზღვარს, აქ ყველაზე არსებითი მასალები სარიტუალო მოედანზე (თუ ინდივიდუალურ /?!/ სამარხთა არის მოპოვებული. მხედველობაში გვაქვს რკინის სახნისები და თოხები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ზე უადრესი არ ჩანან. აღსანიშნავია, რომ სახნისი ნაპოვნია ფიჩორის სამარხის ზედა დონეზე, რაც კიდევ ერთი საბუთია მოგვიანო ეტაპზე მათი სინქრონიზაციის.

ძალზე საინტერესო გვეჩვენება პალურის თხრილის თარიღის გარკვევის საკითხი. როგორც ჩანს, თხრილი გამოყენებაში იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თხრილის ზედა საზღვრის განსაზღვრა შედარებით იოლია აქ აღმოჩენილი ოქროს საყურე რგოლის და კოლხური თეთრის მიხედვით და ძვ.წ. V ს-ის საწყისით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება ქვედა საზღვარს ჩვენ მას ძვ.წ. VIII ს. ვათარიღებდით. რიგი ძეგლების ძვ.წ. VIII ს. გადატანამ საჭირო გახადა „საძვლეს" რამდენადმე დაძველება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მასალის დეტალურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ თხრილის ათვისება იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ფიქსირდება კერამიკის შედარებით არქაული პროფილები. ყოველ შემთხვევაში, მასალა, რომელიც ჩვენს მიერ კოლხური კერამიკის მეორე და განსაკუთრებით, მესამე ეტაპის ნაწარმშია გაერთიანებული. სამწუხაროდ, სხვა მასალა, რომელიც დააზუსტებდა ამ თარიღს, ფაქტობრივად არ გვაქვს. როგორ აღვნიშნავდით, თხრილში ძირითადად სამკაულია აღმოჩენილი, რომელიც არ იძლევა საშუალებას ეს თარიღი რამდენადმე კონკრეტიზირებულ იქნას. ადრეული იერის ბრინჯაოს იარაღი აღმოჩენილი იყო მხოლოდ ზედაპირულად და „საძვლეს" ძირითად მასალასთან იგი დაკავშირებული არ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება თხრილის ქვედა თარიღი ძვ.წ. IX ს-ით მაინც იქნას განსაზღვრული. ამით გარკვეული სინქრონიზაცია ხდება უპირველეს ყოვლისა მუხურჩის ქვედა მოედნის მონაპოვართან, რომელიც ე. გოგაძის აზრით სწორედ ძვ.წ. IX ს-ით არის დათარიღებული.

როგორც ჩანს, დასაზუსტებულია სხვა – ე.წ. კოლხურ სამაროვანთა თარიღიც. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი გამოკვლევებით ურეკის, ერგეტას და ღვადას სამაროვნებზე თითქოს ხერხდება რამდენადმე ადრეული კომპლექსების გამოყოფა, რაც ჩვენ სრულიად მისაღები გვეჩვენება.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ კოლხური სამაროვნები არსებობენ თითქმის მთელი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის განმავლობაში და შესაძლებელი ხდება მათში ადრეული და მოგვიანო კომპლექსების გამოყოფა. ამ მიმართულებით კვლევა გასაგრძელებელია და აუცილებელი.

---

630. Микеладзе Т., Бурамидзе М., Колхский могильник VII-VI вв. до н.э.

დასკვნა

როგორც ნაშრომიდან ჩანს, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. II-I ათასწლეულის არქეოლოგიური კულტურების შესწავლა ბევრ პრობლემატურ საკითხს სრულიად ახლებურად სვამს და აშუქებს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს.

1. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე საცხოვრებად ძირითადად ხელოვნური ბორცვი ნამოსახლარებია გამოყენებული, რომელთა კონცენტრირება შეინიშნება რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღავას და ენგურ-ერისწყლის აუზებში. საცხოვრებლად გამოყენებულია ჯარგვალი, ფაცხა, ნახევრადმიწური, კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი. ფიქსირდება რთული საარხო სისტემები და ამ არტერიებზე ხუტორული ტიპის დასახლებანი. ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისიდან შეინიშნება ჭარბი მოსახლეობის მიერ პირველსაცხოვრისი ადგილის ირგვლივ ახალი დასახლებების ათვისება და იქმნება პროტოურბანისტული ცენტრები, რომლებიც ხასიათდება ერთიანი გამაგრების სისტემით და ფართო ტერიტორიებით.

2. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) ექცევა პროტოკოლხური კულტურის მეორე ეტაპის ფარგლებში. მონაპოვარი მასალის, განსაკუთრებით კერამიკის, ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე ხერხდება ამ კულტურის ორი, თანმიმდევრული, ქრონოლოგიური საფეხურის გამოყოფა, რომელიც პროტოკოლხური IIa და IIв ფაზებად გვაქვს გაყოფილი. განსაზღვრულია თითოეული ამ საფეხურის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ელემენტები და მათი გენეტიკური განვითარების ხაზი. ნიშანდობლივია, რომ იგი აღმოცენებულია ადგილობრივი, ადრე ბრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური I) საფუძველზე.

3. პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად კერამიკაზე დაყრდნობით მოხერხდა შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გარდამავალი ეტაპის გამოყოფა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურათა ურთიერთმიმართების გენეზისის კვლევის საქმეში. განსაზღვრულია ეტაპის კუთვნილი არქეოლოგიური ძეგლები, მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნაწარმი. მოცემულია პროტოკოლხური და კოლხური კულტურების ერთიანი ატრიბუციის ცდა. პროტოკოლხური კულტურა განსაზღვრულია როგორც სვანურენოვანი, ხოლო კოლხური – მეგრულ-ზანური ეთნოსის კუთვნილი. ორი ქართველური ტომის შეხვედრა-შერწყმის პროცესი ასახული მატერიალურ კულტურაში, ატარებდა მშვიდობიან, დიფუზიურ ხასიათს და მკვეთრი სოციალური ძვრები არ გამოუწვევია. გარკვეულ ჯგუფთა მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთით, მთის ზოლის ინტენსიური ათვისება ახსნილია ბრინჯაოს მეტალურგიის მკვეთრი აღმავლობით და მადანზე გაზრდილი მოთხოვნილებებით. ამავე, გარდამავალ პერიოდში, სამხრეთული, კოლხური ნოვაციები აღწევს ჩრდილოეთ კავკასიაში, რითაც იქმნება საფუძველი ყობანური კულტურის სამხრეთული ფესვების ძიების საკითხში.

4. ძეგლთა სტატიგრაფიაზე და კომპლექსურ მონაცემებზე დაყრდნობით პირველად მოხერხდა გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხური კერამიკის განვითარებაში გამოყოფილიყო 4 თანმიმდევრული ქრონოლოგიური ეტაპი. განისაზღვრა თითოეული ამ საფეხურის ძირითადი მახასიათებელი ფორმები, ფორმათა ელემენტები და ორნამენტი. ზოგიერთ ამ ნიშანს ენიჭება დამათარიღებელი მნიშვნელობა. გამოიყო 4 ეტაპი ლითონის იარაღში და მოხდა ეტაპების მიხედვით მათი ურთიერთდაკავშირება. ახლებურად არის გააზრებული სამეთუნეო ჩარხის გამოჩენის და მასთან დაკავშირებით ხელოსნური ნარმოების ჩასახვის საკითხი.

5. რაჭის სამთომომპოვებელი კერის მასშტაბების განსაზღვრამ დღის წესრიგში დასვა მადნის შორეულ ქვეყნებში ექსპორტის საკითხი. არქეოლოგიური მასალის წერილობითი წყაროების და ქიმიური ანალიზების საფუძველზე დგინდება მადნის ექსპორტი ისეთ შორეულ რეგიონებში, როგორიცაა ეგვიპტე და შესაძლოა მესოპოტამია. სავარაუდოა, რომ ეს სავაჭრო კავშირი ხორციელდებოდა სირია-ფინიკიის საშუამავლო ცენტრების მეშვეობით.

6. რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების და რკინის ნივთების შემცველი ადრეული კომპლექსების შესწავლით დგინდება კოლხეთში რკინის გამოჩენის თარიღი, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედზე ადრეული არ უნდა იყოს. შეინიშნება დასავლეთ საქართველოს რიგ რეგიონებში ამ იარაღის გაჩენის არასინქრონულობა.

7. დგინდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ყუბანისპირეთის კულტურათა კავშირურთიერთობის სურათი. ეს იმპულსები და გავლენები ხორციელდება რამდენიმე ეტაპად და მოიცავს პერიოდს ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან ადრესარმატული პერიოდის ჩათვლით.

8. პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ხდება გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხების კვლევა კერამიკული ნაწარმის მიხედვით. ირკვევა, რომ ყობანურ კერამიკაში შეიძლება გამოიყოს მასალის ერთი ჯგუფი, რომელიც იშვიათად ფორმებით ან ფორმათა ელემენტებით, განსაკუთრებით კი ორნამენტით მჭიდროდ უკავშირდება კოლხურ სამყაროს და მოხვედრილია ყობანში სამხრეთული იმპულსების გზით. დგინდება ამ გავლენის 4 ეტაპით, რომელიც მოიცავს პერიოდს გარდამავალი საფეხურიდან ადრეანტიკური ხანის ჩათვლით. აღნიშნულ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყობანური კულტურის სამხრეთული ფესვების ძიბის საკითხში.

